საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№39 (130)
2 - 8 ნოემბერი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## ვანოს ახალი შოუ და მთელი ეს ვარდების მაპინდუზი

2

## «იმედის» დარბევა ამერიკაში გადაწყდა და დიკ ჩეინის გეგმით განახორციელა გიგა ბოკერიამ»

7

ნანა კაკაბაძე:

## როცა პატიმრები მოითხოვენ ექიმს, მათ უმოწყალოდ სცემენ და ეუბნებიან, აი, ეს არის შენი ექიმიო

8

6



ბიძინა ივანიშვილი:

# სააკაშვილს დღეს საკუთარი დედაც კი არ მისცემს ხმას!

„სამი ტელევიზია ამ ყველაფერს ისე გადმოგვცემს, თითქოს ომი დაიწყო რუსეთმა და გაიმარჯვა საქართველომ. ნუთუ ქართველი ხალხი ასეთი ბრიყვია?! მსოფლიოში ყველამ ყველაფერი იცის, ნუ ვცდილობთ ხალხის გაბრიყვებას. ასეთი იყო სიტუაცია. ასე გვახსოვს ჩვენ და ამას ვერ წაშლიან მეხსიერებიდან, ვერ მოახდენენ ჩვენს ზომბირებას.“

## ერთადერთი სასულიერო პირი, რომელმაც რელიგიის შესახებ კანონში ცვლილებების მიღების გამო ხელისუფლების წარმომადგენლები დაწყევლა, ისკარიოტელის ცოდვასა და უმადურობაზე საუბრობს

12

არქიმანდრიტი ბართლომე:

«მე მიკვირს იმ ადამიანების, რომლებმაც ბიძინას დამსახურება იციან და საქართველოს მოქალაქეობის მისთვის წართმევის გამო ხმას არ იღებენ. ზოგადი საუბარი რომ არ გამომივიდეს, დავასახელებ მიხეილ მაჭავარიანს, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელმაც შემოსავლების მინისტრის თანამდებობაზე ყოფნიდან მოყოლებული შესანიშნავად იცის, რა უკეთებია ბატონ ბიძინას ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. მიკვირს ასეთი დუმილი»

## ხელისუფლებამ დევნილი თამაზ ჯლამაძე შიმშილითა და სიცივით სიკვდილისთვის გაწირა

15

# უარყოფილი მარიონეტი

9



„მარიონეტის ჩამოსახრჩობად თოკის ძებნა საჭირო არ არის, რადგან მისი სცენიდან გაყვანა ზედვე მიბმული თოკით არის შესაძლებელი. შესაბამისად, ამერიკელებს სააკაშვილის პოლიტიკური ძალაუფლებიდან ჩამოსაშორებლად რაიმე სერიოზული ღონისძიების გატარება აღარ დასჭირდება და მას უპრობლემოდ „გადააყენებენ“, თუ საამისო მიზეზი იარსებებს, როგორც ეს მუბარაქის შემთხვევაში მოხდა. სააკაშვილი, მართალია, მარიონეტია, მაგრამ აქტიური, ძალაუფლების მოყვარე მარიონეტი, რომელიც უკანასკნელ წუთამდე ეცდება ძალაუფლების შენარჩუნებას. ამის მისაღწევად ის ყველა გზას გამოიყენებს.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# ვანოს ახალი შოუ და მთელი ეს ვარდების მაპინდუზი




**გასულ კვირას საბოლოოდ გაირკვა, თუ რით განსხვავდება ქართული პოლიცია ტანზანიის პოლიციისგან: ამ შორეულ აფრიკულ ქვეყანაშიც სამართალდამცავები მშვიდობიან მიტინგებს არბევენ, ოპოზიციონერებს აპატიმრებენ და დაუცხრომლად იცავენ მმართველი პარტიის ინტერესებს, რომელიც რომანტიულ სახელწოდებას „ჩამა ჩა მაპინდუზი“ ატარებს. მაგრამ ტანზანიელი პოლიციელები კომპიუტერულ თამაშებს არ ქმნიან; როგორც ჩანს, ამისთვის ფანტაზია არ ჰყოფნით ან კიდევ ბიუჯეტს უფრთხილდებიან. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი 26 ოქტომბერს ამაყად გვამცნო, რომ ,,კომპიუტერული თამაშის „პოლიციის“ ახალი ვერსია შექმნა“.**

ტანზანია იმიტომ გამახსენდა, რომ ჩვენი ხელისუფლება, როგორც ჩანს, იქეთ მიექანება. ამ ულარიბეს ქვეყანას ორი დედაქალაქი აქვს, სააკაშვილს თუ დასცალდა, ეს არც ჩვენ აგვცდება. ამასთანავე, ძალთა განლაგება იქაურ პარლამენტში რაღაცას ძლიერ მაგონებს, თავად განსაჯეთ: „ჩამა ჩა მაპინდუზი“ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 206 ადგილს ფლობს, „გაერთიანებული სამოქალაქო ფრონტი“ — მხოლოდ 19 ადგილს, ხოლო „ჩამა ჩა დემოკრასია და მაენდელეელო“ — ხუთს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აქაურ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ „ჩამა ჩა მაპინდუზიმდე“ ჯერ კიდევ ბევრი უკლია; ტანზანიის მმართველ პარტიას საკმაოდ მყარი იდეოლოგიური ბაზისი გააჩნია, რომელიც „უჯამაას სოციალიზმის“ კონცეფციას ეფუძნება, რაც ამ პარტიის საპროგრამო დოკუმენტებში ნათლად აისახება, ამიტომ პოლიტოლოგებს, ასე თუ ისე, შეუძლიათ აღწერონ, რას წარმოადგენს „ჩამა ჩა მაპინდუზი“, მაგრამ, როდესაც საქმე „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე” მიდგება, ისინი მორცხვად დუმდებიან.

მაგრამ ტანზანიას თავისი გასაჭირი ეყოფა, უშუალოდ მთავარ თემაზე გადავიდეთ. საქართველოს შსს-მ, მის 26 ოქტომბრის განცხადებას თუ დავეყრდნობით, ჯერ კიდევ 2010 წლის ზაფხულში „წამოიწყო ინოვაციური პროექტი, რომლის მიზანიც საქართველოში სათამაშო ინდუსტრიის ხელშეწყობა და განვითარება იყო. დაკომპლექტდა საპროექტო ჯგუფი და დაიწყო პირველი ქართული თამაშის შექმნის პროექტი. თამაშის პროექტის გუნდმა თავიდან მოიძია და შეისწავლა ახალი ტექნოლოგიები. ახალბედა და დამწყებმა სპეციალისტებმა აითვისეს კომპიუტერული გრაფიკისა და პროგრამული კოდის თავისებურებები, შემუშავდა თამაშის კონცეპტ-დოკუმენტები, სადაც აღიწერა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო თამაში ზოგადად და მისი ცალკეული გმირები — პოზიტიური გმირები, მტრის პერსონაჟები, სათამაშო გარემო, რა გარემოში აღმოჩნდეოდა მოთამაშე და ა.შ.“.

**კარგად გავიაზროთ განცხადების ეს მონაკვეთი, რათა უკეთ გავიგოთ, თუ სად მიდის ჩვენი ფული. ალბათ, არავის ექნებოდა არაფერი საწინააღმდეგო იმისა, რომ შსს-ს კონფლიქტის ზონაში მყოფი სამართალდამცავებისთვის თავდაცვის დამატებითი საშუალებები შეეძინა ან, მაგალითად, ჩაეტარებინა თანამშრომლებისთვის მეტად აქტუალური ტრენინგი თემაზე „რატომ არ უნდა ჩაწიხლო ქალი, ბავშვი და მოხუცი“, მაგრამ, როდესაც ჩვენი ჯიბიდან ამოღებული ფული ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, არატრადიციული მიზნების მიღწევაზე იხარჯება, გადამხდელებმა ამ ფაქტს ყურადღება უნდა მივაქციოთ.**

პირველ ნაწილთან შედარებით, თამაშის მეორე ნაწილი ისეთივე დახვეწილია, როგორც ექვსი წლის ბავშვის ნახატი, სამი წლის ბავშვის ნახატთან შედარებით. ერთის მხრივ, პროგრესი სახეზეა, თუმცა, მეორეს მხრივ, მხოლოდ ძალიან ტვინგახურებულ მშობელს შეუძლია ასეთ ნახატს ხელოვნების ნიმუში უწოდოს და ეროვნულ გალერეაში მისი გამოფენა მოითხოვოს. „პოლიციის“ მეორე ნაწილის შედარება, რომელიმე რამდენადმე ცნობილ თამაშთან ისევე შეუძლებელია, როგორც პარალიზებულის გამოყვანა სარბენ ბილიკზე, თუნდაც მისი კონკურენტი ძალიან ცუდი მორბენალი იყოს. ტექნიკური ხარვეზების აღწერა, ჩვენი მხრიდან, ისედაც ატკივებული კბილის სადისტურ წვალებას დაემსგავსებოდა. ასე რომ, უბრალოდ, მოკლედ მიმოვიხილოთ ის, რის თაობაზეც თურმე მთელი კონცეპტ-დოკუმენტები დაიწერა; დადებით და უარყოფით გმირებს და სათამაშო გარემოს გადავხედოთ.

**შსს-ს განცხადების თანახმად, „თამაშის მეორე ვერსიის სიუჟეტი განახლებული ბათუმის ქუჩებში ვითარდება“. სინამდვილეში, მოთამაშეს შეუძლია მხოლოდ ორი ქუჩის მცირე, ერთმანეთის პერპენდიკულარულ მონაკვეთზე გაიაროს, რომელიც გამოიყურება როგორც „ჩვეულებრივი ბათუმი“, ხოლო ე.წ. განახლებული ბათუმი, სავარაუდოდ, სადღაც მოშორებით, ღობის მიღმა მდებარეობს, სადაც ცათამბჯენების სილუეტები მოჩანს, მაგრამ თამაშის გმირებს იქ შეღწევა არ შეუძლიათ.** ღობესთან დგას მამაკაცი უდროოდ გალოთებული ზომბის სახითა და მანერებით; ის მშენებლობას ხელმძღვანელობს. როდესაც მას პოლიციელი გოგონა მიმართავს, ჯერ მოუცლელობას იმიზეზებს, მაგრამ, როგორც კი გაიგებს, რომ საქმე შსს-ს წარმომადგენელთან აქვს, ამბობს: „გეთქვათ თავიდანვე, მე ყოველთვის ვთანამშრომლობ პოლიციასთან, ასე ვთქვათ“ და სამუშაო პროცესს აჩერებს (ძნელი სათქმელია, რას გულისხმობს ეს მისი „ასე ვთქვათ“, შესაძლოა, წვრილფეხა პროვოკატორია ან შესაბამის ინსტანციებში ოპოზიციურად განწყობილი მუშების სიებს აგზავნის და მათ სამსახურიდან აგდებს). როდესაც პოლიციელი ეკითხება: „ეს რა მშენებლობაა?“, ხსენებული პერსონაჟი ისეთ მგზნებარე მონოლოგს წარმოსთქვამს, თვით ნუგზარ წიკლაურსაც რომ შეშურდებოდა: „როგორ თუ რა მშენებლობაა? არ გსმენიათ? კი მაგრამ, ტელევიზორს არ უყურებთ?!“... „რას ამბობთ, ეს ხომ საუკუნის მშენებლობაა! ბათუმი ახალ სახეს ღებულობს, სულ მალე დუბაისა და ლონდონის გვერდით დაიკავებს ადგილს. სხვათა შორის, ეს დიდწილად ჩემი დამსახურებაც იქნება, ჯერ კიდევ ათი წლის წინ ვფიქრობდი მსგავსი პროექტის განხორციელებაზე და აი ახლა, როდესაც მომავლის კარზე ვაკაკუნებთ, რაღაც-რაღაც წვრილმანების გულისთვის გვიხდება შეყოვნება. აი, ეს ხალხი, აქ რომ ცხოვრობს, უვიცი და გაუგონარია, ჩივილით აგვიკლეს, რა, ერთს გადაკეტილი ქუჩა არ მოსწონს, მეორეს ხმაური აწუხებს, ჩუმად როგორ უნდა ვიყოთ, კაცო! აი, თქვენ წარმოგიდგენიათ 50-ტონიანი ტრაქტორი რამდენს იწონის? რო დამთავრდება ეს მუშაობა, გენაცვალე, და ეს ქუჩა რომ გალამაზდება, მერე აღმოჩნდება, რომ არც ისე ცუდები ვყოფილვართ, რომ არ ვაძინებდით და ვაწუხებდით, გაიგეთ?“.

**ალბათ, იშვიათია შემთხვევა, როდესაც კომპიუტერული თამაშის ერთ მცირე ეპიზოდში შეიძლება ჩაეტიოს ამდენი პროპაგანდა, იდეოლოგია, ფსიქოლოგია და ალალი, მართლაც რომ შეუბღალავი, შიზოფრენია.**

სამუშაოების ფრიად მოკრძალებული მასშტაბებით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ იქ საშუალო ზომის საზოგადოებრივ ტუალეტს აშენებენ, თუმცა ჩავთვალოთ, რომ ეს მართლაც „საუკუნის მშენებლობაა“. ასევე (ამჯერად) ნუ შევეხებით ბოდვას დუბაისა და ლონდონზე და იმ უმწვავეს პრობლემებს, რომლებიც რეალური ბათუმის წინაშე რეალურად დგას. ამ შემთხვევაში საკვანძოა ფრაზა „უვიც და გაუგონარ ხალხზე“, რომელიც ქვეყნის „აღმშენებლებს“ (ცუდია, რომ ამქვეყნად ორმაგი ან სულაც სამმაგი ბრჭყალები არ არსებობს), თურმე ხელს უშლის, აწუხებს, ჩივის. სწორედ ამ ფრაზაში, როგორც სარკის ნამსხვრევში, აირეკლა სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკა და მთელი ეს, ტანზანიელებს რომ დავესესხოთ, „ვარდების მაპინდუზი“ (ეს სიტყვა სუაჰილზე „რევოლუციას“ ნიშნავს), რომელიც საქართველოს თავს დაატყდა. სავარაუდოდ, ჩვენ უნდა მოვკვდეთ, ან ქვეყნიდან წავიდეთ, ან ხმა არ ამოვიღოთ, რათა მათი პროექტების (ამ მხრივ, კარგი ბოლოდროინდელი მაგალითი ჩამონგრეული თუ ჩარეცხილი ანაკლიის ხიდია) განხორციელებას ხელი არ შევუშალოთ. ალბათ, იგულისხმება, რომ კვლავ მორჩილად უნდა დავუჯეროთ, მაგალითად, ასეთ განცხადებებს: „თბილისი-ცხინვალი-სოხუმის ავტობანის მშენებლობას გახსნილად ვაცხადებ. 2008 წელს ამ გზით ცხინვალში ჩავალთ, ხოლო 2010 წელს ან არა უგვიანეს 2011 წლის დამდეგისა, ეს გზა სოხუმშიც ჩაგვიყვანს. სოხუმში ჩასვლას ბევრად უფრო ადრე ვგეგმავთ, მაგრამ შემდეგ უკვე კარგი გზებით, ყოველგვარი პრობლემის გარეშე ვივლით“ (მიხეილ სააკაშვილი; 2006 წლის 15 მარტი). NO COMMENT.

**დავტოვოთ გალოთებული ზომბი, უფრო სწორად, „მიშმშენებელი“, რომელმაც იცის, თუ „რამდენს იწონის 50-ტონიანი ტრაქტორი“, ვირტუალურ რეალობაში, სადაც ის თავს, ალბათ, კომფორტულად გრძნობს, რამეთუ „რეალურ რეალობაში“ ასეთი პერსონაჟები დიდხანს ვერ ძლებენ და ყურადღება კაფეში მსხდომი წყვილის დიალოგს მივაქციოთ.**

ვაჟი: „სამსახურს მიჩითავს ბიძაჩემი, ეს ნაცნობობა არ მიყვარს, მარა სხვანაირად არ გამოდის, ხომ იცი“.

გოგონა: „შენ გაიქაჩები, ხომ იცი“.

ბიძის გარეშე, სამსახურის შოვნა მართლაც რომ არ გამოდის და ამ მონაკვეთში თამაში სავსებით რეალისტურია, თუმცა გოგონას რეპლიკის მსუბუქად (ჰა, საშუალოდ) ეროტიული ტონალობა, სავარაუდოდ, გადაავიწყებს იმ ყმაწვილს ფიქრს იმაზე, რომ ეს სიტუაცია ზოგადად არანორმალურია და, ალბათ, იმ დასკვნამდეც არ მივა, რომ ქვეყანაში რაღაც უნდა შეიცვალოს. ვინ იცის, იქნებ, თამაშის შემდეგ ნაწილში ეს ახალგაზრდა ზონდერი გახდება?

ეპიზოდური პერსონაჟების დაკვირვება უფრო საინტერესოა, ვიდრე მთავარი მოქმედი პირების, რადგან ეს უკანასკნელნი, ერთობ შიზოფრენიულად გამოიყურებიან. მაგალითად, მთავარ ბოროტმოქმედს, ბათუმში მოღვაწე ბანკირს და მცირე კალიბრის ოლიგარქ ვიტალი გრომოვს საქართველოში ჯართი შემოაქვს (გრენლანდიაში ყინულის შეტანა, ალბათ, უფრო დამაჯერებელი იქნებოდა), ჯართში კი ნარკოტიკებს მალავს. გრომოვი გულისამრევი აქცენტით საუბრობს, პენტჰაუსში ზის და, სავარაუდოდ, თავის კრეტინულ გეგმებს აწყობს. პერანგის სახელოზე მას წითელი ლაქა ემჩნევა (პოლიციელი ვარაუდობს, რომ ეს სისხლია). ისე, შსს-ს 26 ოქტომბრის განცხადებაში ნათქვამია, რომ მომავალში „თამაშში გაჩნდებიან, აგრეთვე, რეალური, ცნობადი პერსონაჟები“ და, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ ვინ შეიძლება დაიკავოს ვიტალი გრომოვის ადგილი.

**ძალიან სასაცილოა მომენტი, როდესაც ერთ-ერთი ახალგაზრდა პოლიციელი ცდილობს, გრომოვს ფსიქოლოგიაში მცირე ლექცია წაუკითხოს და, ასე ვთქვათ, საკუთარი ინტელექტუალური უპირატესობა დაუმტკიცოს. ვინ იცის, რამდენი ფარული კომპლექსი იმალება ამ მოკლე ეპიზოდის მიღმა? თუმცა ეს მცირე დეტალებია, თამაშის ძირითად ნაწილს კი დაუცხრომელი კაცთაკვლა იკავებს. არანაირი დაპატიმრება (ან დაჭრა და დაპატიმრება), როგორც ეს იმ ცნობილ თამაშებში ხდება, რომლებიც სამართალდამცავების მუშაობას ეძღვნება. იმ თამაშებში ზედმეტი სისხლისღვრისთვის მოთამაშე ჯარიმდება, აქ კი პირიქითაა, თუ გრომოვის რომელიმე ხელქვეითს მოთამაშე ტყვიას თავში მოარტყამს, ამ ეპიზოდს კიდევ ერთხელ, ახლო ხედით გადაღებულს ნახავს; ეს ერთგვარი ბონუსია. „წელს ბათუმში მკვდარი სეზონი ადრე დაიწყო, არა?“ — სიცილით და ნულოვანი ტოლერანტობით წარმოთქვამს პოლიციელი გოგონა და მთავარი გმირები გვამებით მოფენილ სასტუმროს ტოვებენ.**

ისე, ნებისმიერი თამაშის შემქმნელებს შეუძლიათ გააკეთონ ის, რაც უნდათ და როგორც უნდათ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი ექსპერიმენტები შსს-ს ბიუჯეტიდან, ანუ ჩვენი ჯიბიდან უნდა დაფინანსდეს.

**მაგრამ იქნებ ვაცალოთ, რომ თამაშის მესამე ნაწილიც შექმნან? როგორც ჩანს, საქართველოში ხელისუფლება მალე შეიცვლება: ან არჩევნებით, ან, უკიდურეს შემთხვევაში, „მაპინდუზით“ (იხ. სუაჰილის ლექსიკონი). სავარაუდოდ, ქვეყნიდან წასულ ხელისუფალთ, „საქართველოზე, რომელიც მათ დაკარგეს“ დროდადრო ნოსტალგია შეაწუხებთ. ასეთ დროს ჩართავენ ამ თამაშს და იხილავენ ე.წ. საუკუნის მშენებლობას და იდიოტ მოწინააღმდეგეებსაც იოლად დაამარცხებენ. სიბერეში თავშესაქცევი მაინც ექნებათ.**

ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენი ტელევიზიები, დიდი ხანია, ბრეჟნევის დროინდელ „ვრემიას“ დაემსგავსა, იქაც და აქაც ხელისუფლების „ჯერ არნახულ მიღწევებზეა“ სიუჟეტები, საბჭოთაოპტიმისტურია ტონი და ამერიკასაც და ევროპასაც კვლავ „ვასწრებთ“, თუმცა „ბრეჟნევიზაციის“ პროცესი ამით არ დასრულებულა; არის კიდევ ერთი, რითაც სააკაშვილი ნაბიჯ-ნაბიჯ იმეორებს ბრეჟნევის მიღწევებს: მის დროს ჩამოართვეს მოქალაქეობა მწერლებს — ალექსანდრე სოლჟენიცინს, ვლადიმირ მაქსიმოვს, ალექსანდრე ზინოვიევს, ვასილი აქსიონოვს, გიორგი ვლადიმოვს, ვლადიმირ ვოინოვიჩს, ედუარდ კუზნეცოვს, ვალერი ტარსისს.**

# სააკაშვილმა კონსულს მოქალაქეობა ბრეჟნევის ხელწერით ჩამოართვა

**ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის სკანდალური გადაწყვეტილების გახმაურების შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ მოიჭრა თავი; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საპატიო კონსულს უფლებამოსილება შეუწყდა. ნინო კალანდაძის განმარტებით, ლაშა დარბაიძე დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებდა. თავად კონსული უფლებამოსილების შეწყვეტას ბიძინა ივანიშვილისადმი მის სიმპათიას უკავშირებს.**



**ამ ხელისუფლებამ ივანიშვილს სამების ტაძარი, გადარჩენილი ქართული ხელნაწერები, თეატრები, სკოლები და დახარჯული მილიარდი არ დაუფასა და ერთ ეკლესიას თუ რამდენიმე სამუშაო ადგილს დაინახავდა?**

„საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებს პერიოდულ მონიტორინგს როგორც დიპლომატებზე, ისე საპატიო კონსულებზე, თუ რამდენად ჯეროვნად ახორციელებს ესა თუ ის პირი საკუთარ მოვალეობას და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. ამ შემთხვევაშიც განხილვის შედეგად იქნა მიღებული გადაწყვეტილება. სხვა კონსულებიც იმავე ბედს გაიზიარებენ, თუ პირობები დაკმაყოფილებული არ იქნება,“ – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

თავად ლაშა დარბაიძე უფლებამოსილების შეწყვეტას ბიძინა ივანიშვილს უკავშირებს.

**დარბაიძემ განაცხადა, რომ 24 ოქტომბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში, საქართველოს ხელისუფლების დავალებით, შეხვდა ადამიანი, რომელმაც საკონსულოს საიტზე განთავსებული ბიძინა ივანიშვილის ფოტოების ამოღება მოსთხოვა. დარბაიძის თქმით, ფოტოებზე აშშ-ის ელჩის — ჯონ ბასისა და ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა იყო ასახული.**

**„მე შევეწინააღმდეგე და უარი ვთქვი ფოტოების ამოღებაზე, რის შემდეგაც ერთ დღეში უფლებამოსილება შემიწყვიტეს. როდესაც ვიკითხე, თუ რატომ უნდა ამომეღო ფოტო, მიპასუხეს, – ჩვენ დიდი პოპულარობით ვსარგებლობთ ქართულ დიასპორაში და ჩვენი ინტერესი ამ პიროვნების მიმართ ძალიან ცუდად იმოქმედებს ხალხზე და გარკვეულ ბიძგს მისცემს“.**

დარბაიძეს სამსახურიდან დათხოვნა არ აკმარეს და საქართველოს მოქალაქეობაც შეუწყვიტეს. „ საქართველოს მოქალაქეობა, ამერიკის მოქალაქეობის მიღებასთან ერთად, წელიწად-ნახევრის წინ უნდა შემწყვეტოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მოქალაქეობა შემიწყვიტეს ორი დღის შემდეგ, როდესაც ბიძინა ივანიშვილს შეუწყვიტეს მოქალაქეობა. რატომ მოხდა ასეთი დამთხვევა, ვერ ვხვდები“.

სამაგიეროდ ამის მიხვედრა ჩვენთვის არ უნდა იყოს რთული. იმ ტრაბახის ფონზე, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება ეწევა, ირკვევა, რომ სახელმწიფო ორგანიზაციები და უწყებები საერთოდ არ ფლობენ ინფორმაციას არა მარტო რიგით მოქალაქეებზე, არამედ დიპლომატებზეც კი. როგორც ივანიშვილის, ისე დარბაიძის შემთხვევაში წელიწად-ნახევრის (და მეტის) დაგვიანებით იგებენ, რომ მათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა აქვთ მიღებული. თუ საქართველოს მოქალაქეობა მათ უკანონოდ უნარჩუნდებოდათ ამდენი ხნის განმავლობაში, ვინ უნდა აგოს პასუხი ამაზე? იმ სახელმწიფო სტრუქტურებმა ხომ არა, რომელთაც მხოლოდ პოლიტიკური დაკვეთის შემთხვევაში ეღვიძებათ?

**ბრეჟნევის დროს ერთი ასეთი ანეკდოტი დადიოდა საბჭოთა ხელისუფლების შესახებ: მიდის კომუნიზმის მატარებელი, მიდის და უცებ ჩერდება. სტალინმა მიზეზი იკითხა. უპასუხეს, — რელსები დამთავრდაო. სტალინმა შაბათობა მოაწყობინა, რელსები დააგებინა და ცოტა ხანში მატარებელი კვლავ დაიძრა. მიდის მატარებელი, მიდის და ისევ ჩერდება. ხრუშჩოვმა მიზეზი იკითხა. უპასუხეს, – რელსები დამთავრდაო. ნიკიტამ უბრძანა — უკან დარჩენილი რელსები აყარეთ და წინ დააგეთო! ისევ დაიძრა მატარებელი. მიდის მატარებელი, მიდის და ისევ ჩერდება. ბრეჟნევმა მიზეზი იკითხა. უპასუხეს, — რელსები დამთავრდაო. ბრეჟნევმა ფარდების ჩამოფარება ბრძანა და თანმხლებ პირებს უთხრა: — ახლა დავსხდეთ ჩვენ-ჩვენს ადგილებზე და „ჩუქუ-ჩუქუ“ ვიძახოთ, ვითომ მივდივართო!**

სააკაშვილის ხელისუფლებაც ასე ზის ფარდებჩამოფარებულ ოთახში და „ჩუქუ-ჩუქუს“ გაიძახის. თვითონ ჰგონიათ, რომ ქვეყანა წინ მიდის, სინამდვილეში კი ყველა ხედავს, რომ მიშას მატარებელი ადგილზე დგას. ბრეჟნევის პერიოდს ხომ სწორედ „ზასტოი“ უწოდეს! ბოდიში რუსული კალკისთვის, მაგრამ ქართულ „უძრაობის ხანაზე“ უკეთ ამ მოვლენის შინაარსს სწორედ ეს სიტყვა გადმოსცემს.

**ჩვენი ტელევიზიები, დიდი ხანია, ბრეჟნევის დროინდელ „ვრემიას“ დაემსგავსა, იქაც და აქაც ხელისუფლების „ჯერ არნახულ მიღწევებზეა“ სიუჟეტები, საბჭოთაოპტიმისტურია ტონი და ამერიკასაც და ევროპასაც კვლავ „ვასწრებთ“, თუმცა „ბრეჟნევიზაციის“ პროცესი ამით არ დასრულებულა; არის კიდევ ერთი, რითაც სააკაშვილი ნაბიჯ-ნაბიჯ იმეორებს ბრეჟნევის მიღწევებს: მის დროს ჩამოართვეს მოქალაქეობა მწერლებს — ალექსანდრე სოლჟენიცინს, ვლადიმირ მაქსიმოვს, ალექსანდრე ზინოვიევს, ვასილი აქსიონოვს, გიორგი ვლადიმოვს, ვლადიმირ ვოინოვიჩს, ედუარდ კუზნეცოვს, ვალერი ტარსისს.**

**გენიალურ პოეტს, ბორის პასტერნაკს ნობელის პრემიის მიღებაზე უარი სწორედ მოქალაქეობის ჩამორთმევისა და ქვეყნიდან გაძევების მუქარით ათქმევინეს. მასაც გააძევებდნენ ქვეყნიდან, მაგრამ მისი უფლებების დაცვის კომიტეტს ჯავაჰარლალ ნერუ ჩაუდგა სათავეში. საბჭოთა კავშირმა მსტისლავ რასტროპოვიჩსა და მის მეუღლეს, გალინა ვიშნევსკაიას, ტაგანკის თეატრის დამფუძნებელსა და მთავარ რეჟისორს — იური ლუბიმოვს ჩამოართვა მოქალაქეობა. დისიდენტი ბუკოვსკი ჩილელ კომუნისტ პოეტ — ლუის კორვალანზე გაცვალეს. მხატვარ ოსკარ რაბინს ხრუშჩოვის გენიალური გადაწყვეტილების — ავანგარდისტ მხატვართა გამოფენის ბულდოზერებით გასრესის შემდეგ ასევე ჩამოართვეს მოქალაქეობა და გააძევეს.**

მოქალაქეობის ჩამორთმევის სტანდარტული პროცედურა ასეთი იყო: დაინტერესებული უწყება (როგორც წესი, კგბ საბჭოთა პროკურატურასთან შეთანხმებით ან საკუთარი გადაწყვეტილებით) წარუდგენდნენ კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ბარათს, რომელშიც ამ ზომის აუცილებლობა იყო დასაბუთებული და შესაბამისი ბრძანებულების მზა პროექტიც ერთვოდა. საკითხს პოლიტბიურო განიხილავდა და ბრძანებულებას გამოსცემდა. აი, ამგვარი ტიპობრივი ბრძანებულების ნიმუში:

**საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება**

**ი.ს.შელკოვსკისთვის საბჭოთა კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ**

N35 (2317) – 563 - გ3.654

**იმის გათვალისწინებით, რომ ი.შელკოვსკი სჩადის საბჭოთა კავშირის მოქალაქისთვის შეუფერებელ ქმედებებს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:**

**სსრკ 1978 წლის 1 დეკემბრის კანონის „მოქალაქეობის შესახებ“ მე-18 მუხლის თანახმად, სსრკ მოქალაქის მაღალი წოდების სახელის გამტეხი ქმედებებისა და საბჭოთა კავშირის პრესტიჟისთვის ზიანის მიყენების გამო ჩამოერთვას სსრკ მოქალაქეობა შელკოვსკი იგორ სერგის ძეს, დაბადებულს 1937 წელს ქალაქ ორენბურგში.**

**სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა.გრომიკო**

**სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი**

**მოსკოვი, კრემლი.**

**1985 წლის 22 აგვისტო. N3086–XI.**

პრეზიდენტის უკანასკნელი ბრძანებულება, რომელიც მის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა, 2010 წლის 23 მარტით თარიღდება და N187 აქვს მიკუთვნებული. **ჩვენმა ხელისუფლებამ, რომელმაც თავი მოგვაბეზრა კომპიუტერისა და ინგლისურის ცოდნით, ისიც ვერ მოახერხა, რომ წელიწად-ნახევარის განმავლობაში ოფიციალური საიტი ქართულად მაინც განაახლოს. საიტის ინგლისურ ვერსიაში საქმე კიდევ უფრო უარესადაა, თუმცა ინტერნეტში მათ მარტო მასალის შეტანა კი არა, გამოტანაც არ ეხერხებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიკიპედიაში მაინც რომ შეეხედათ, ნახავდნენ, რომ ლაშა დარბაიძემ აშშ-ის მოქალაქეობა ჯერ კიდევ 2010 წელს მიიღო!**

რამდენიმე თვის წინ ლაშა დარბაიძე „იმედის გმირად“ წარმოსახა ტელეკომპანია „იმედმა“ და, როგორც წესია, თავადვე გაანადგურა ის „იმედი“, რომლის გმირადაც დარბაიძე მონათლა. იგი ამერიკაში პრესტიჟული დაცვის სამსახურის ხელმძღვანელია და სამშობლოდან გადახვეწილი ქართველების ერთ-ერთ მთავარ დამსაქმებლად ითვლება. მის სახელს უკავშირებენ პენსილვანიაში პირველი ქართული ეკლესიის აგებასაც. თუმცა **ამ ხელისუფლებამ ივანიშვილს სამების ტაძარი, გადარჩენილი ქართული ხელნაწერები, თეატრები, სკოლები და დახარჯული მილიარდი არ დაუფასა და ერთ ეკლესიას თუ რამდენიმე სამუშაო ადგილს დაინახავდა?**

სხვათა შორის, „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი ამბობს, რომ „წარდგინება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შეაქვს სასამართლოს, პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს; სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ – შესაბამის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულოს“.

**არც ერთი სახელმწიფო უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე მსგავსი ინფორმაცია ივანიშვილთან დაკავშირებით არ იძებნება, ხოლო დარბაიძესთან საერთოდ ანეკდოტური ვითარებაა; მისი მოქალაქეობის დაკარგვის წარდგინება აშშ-ში საქართველოს საელჩოს ან საკონსულოს უნდა გაეკეთებინა, მაგრამ მას ისე სასწრაფოდ შეუწყვიტეს მოქალაქეობა (ორ დღეში), რომ თბილისამდე დიპლომატიური ფოსტა ჩამოსვლას ნამდვილად ვერ მოასწრებდა. ამაზეა ნათქვამი: „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო“!**

თუმცა, კაცმა რომ თქვას, **დოკუმენტების ამ ვაკუუმში მაინც არსებობს ერთი, რომლის მიხედვითაც დღეის მდგომარეობით ლაშა დარბაიძე კვლავ კონსულად რჩება! საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე იგი საპატიო კონსულთა ჩამონათვალში მე-17 ნომრითაა:**

ლაშა დარბაიძე

ქ. ჯერსი სითი, ამერიკის შეერთებული შტატები

61, Vroom st. Jersey City, NJ 073160, USA.

იქვეა მითითებული მისი ტელეფონები და ელექტრონული ფოსტა. სამაგიეროდ, ერთი **სიტყვაც არ არის ნათქვამი მისი მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე. არადა, კანონით, სწორედ საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა მიეღო ეს ინფორმაცია აშშ-ში საქართველოს საელჩოდან და შემდეგ იუსტიციის სამინისტროსთვის გადაეცა! ეს ჩვენი „ყველაზე ეფექტური“ მთავრობა ისე ეფექტურად ახერხებს პოლიტიკური განცხადებების კეთებას, რომ შესაბამისი დოკუმენტების შედგენაზეც კი არ იტკიებს თავს.**

ზუსტად ორი წლის წინ, 2009 წლის 30 ოქტომბერს, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი ვაშაძემ ამაყად განაცხადა, რომ, მოქალაქეობის მინიჭების პროცედურასთან დაკავშირებით, განცხადების მიღების ონლაინ-სისტემა დაინერგა. იგი ირწმუნებოდა, რომ ამ სიახლეს განსაკუთრებული მნიშვნელობა საზღვარგარეთ მცხოვრებ პირთათვის ექნებოდა, რომელთაც საქართველოს მოქალაქეობა სურთ. ახლა დარბაიძეს ისღა დარჩენია, რომ სააგენტოს ვებგვერდზე აპლიკაციები აგზავნოს, ხოლო პასუხს ის ისევე მიიღებს, როგორც საქართველოში მცხოვრები ბიძინა ივანიშვილი და მისი მეუღლე. თუმცა საქართველოს ხელისუფლებისგან პასუხის მიღება საქართველოს ჯერ კიდევ მოქალაქეებად მყოფ პირებსაც ასევე გვიჭირს.

**ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფილმის – ორსონ უელსის „მოქალაქე კეინის“ უკანასკნელი სიტყვები – „ვარდის კოკორი“ ამოუხსნელი გამოცანა აღმოჩნდა ჟურნალისტ ტომპსონისთვის, თუმცა მაყურებელი გადაყრილ ძველ ნივთებში ნათლად ხედავდა საბავშვო ციგას წარწერით „ვარდის კოკორი“. ჩვენი ხელისუფლების გაუაზრებელი მოქმედებები სწორედ მათ ბავშვურ კომპლექსებს უკავშირდება. აქ მხოლოდ ის არის გასაკვირი, რომ 2003 წელს ვარდის კოკრებით მოხიბლული ადამიანები მხოლოდ ახლა ხვდებიან, საით მიჰყავდა მაშინ სააკაშვილს საქართველო, თუმცა ამაზე – „საქართველო და მსოფლიოს“ 23 ნოემბრის სპეცგამოშვებაში...**

**ნანა დევდარიანი**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვარაუდი, რომ დასავლეთი გაყალბებული არჩევნების შემდეგ სააკაშვილს სანქციებს დაუწესებს, ერთობ ოპტიმისტური და, ალბათ, ძლიერ უსაფუძვლოა. ვაშინგტონი კომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდება, თუ ერთ-ერთი ყველაზე პროამერიკული რეჟიმის წინააღმდეგ სერიოზულ სანქციებს შემოიღებს. მაქსიმუმი, სავარაუდოდ, თითის რამდენიმე დაქნევა და რიგი პროგრამების შეჩერება იქნება; ასე, ალბათ, ევროკავშირიც მოიქცევა.
თუ გაყალბებული არჩევნების შემდეგ არ დაიწყება უძლიერესი ზეწოლა რეჟიმზე ქვეყნის შიგნით, დაახლოებით ისეთი, როგორსაც ადგილი ეგვიპტეში ჰქონდა, ჯადოსნურ ფრაზას „სააკაშვილი უნდა წავიდეს“ დასავლურ დედაქალაქებში „თავისით“ არავინ წარმოთქვამს.

# ციყვი ბორბალში, ანუ აგონიის მოკრძალებული ხიბლი

**„ერთ-ერთი სერიოზული ოპოზიცია ცდილობს, წარსულში დაგვაბრუნოს. ვფიქრობ, წარსულში დაბრუნება აქ არავის უნდა, თუმცა შესაძლოა, მოქალაქეების 10-15%-ს უნდოდეს, მაგრამ ეს მომაკვდავი მენტალიტეტია და უკან დაბრუნების შანსი არ არსებობს,“ — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა 28 ოქტომბერს, უკრაინულ დელეგაციასთან შეხვედრაზე. კომენტატორების უმრავლესობამ ეს პასაჟი შეაფასა, როგორც სააკაშვილის პირველი საჯარო კომენტარი პოლიტიკურ არენაზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენასთან დაკავშირებით. განხილული განცხადება, ალბათ, მკაფიოდ მიანიშნებს იმაზე, რომ სააკაშვილი საკონსტიტუციო უმრავლესობისა და შეუზღუდავი ძალაუფლების დათმობას ცოცხალი თავით არ აპირებს.
ამ მიდგომამ კი შეიძლება გზა ძალიან ნეგატიური სცენარების რეალიზებას გაუხსნას.**



## როგორც ციყვი ბორბალში

**რას აკეთებს დღეს სააკაშვილი? ერთის მხრივ, ის მთლიანად წინასაარჩევნო რეჟიმშია გადასული, პრაქტიკულად, ყოველდღიურად რეგიონებში ჩადის, ცინცხალ ინიციატივებს ახმოვანებს, ჰაერში ფერად ბუშტებს უშვებს და ა.შ. მეორეს მხრივ, მისი ხელისუფლება ახალი პოლიტიკური ოპონენტის წინააღმდეგ მასირებულ შეტევას ახორციელებს. ამ შეტევას შეუძლებელია გააზრებული ან მომზადებული უწოდო; თუმცა ფაქტია, ის ფრონტალურ ხასიათს ატარებს და მასში პრაქტიკულად ყველა საინფორმაციო და პოლიტიკური რესურსია ჩართული.**

სააკაშვილის ახალი ინიციატივები ექსპრომტის შთაბეჭდილებას ტოვებს. ავიღოთ თუნდაც 26 ოქტომბერს მთავრობის სხდომაზე გაკეთებული განცხადება: **„თუ ნებისმიერი ბიზნესი სამსახურში 45-დან 60 წლამდე ადამიანს აიყვანს, გარკვეულ ფარგლებში გათავისუფლდეს საშემოსავლო გადასახადისგან“**. ამ განცხადებიდან არ ჩანს, თუ როგორ უნდა მოხდეს პროცესის ადმინისტრირება, სხვადასხვა მაქინაციების პრევენცია, რომელთა შესაძლებლობა ზედაპირზე დევს. მოკლედ, გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება მოხდეს ამ ინიციატივის პრაქტიკული რეალიზება. როდესაც სააკაშვილი მსგავს ლოზუნგებს ახმოვანებს, მისი პარტიის წარმომადგენლები, როგორც წესი, წინასწარ მომზადებულები არიან და თავიანთი ბელადის იდეების განვრცობას და ინტერპრეტირებას ახდენენ. მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი მეტწილად დუმდნენ, მხოლოდ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ მელიქიშვილმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში „საგადასახადო შეღავათის დაწესებაზე მსჯელობა, როგორც იდეის ავტორთან, ასევე მეწარმეებთან უნდა შედგეს და გადაწყვეტილება ამის შემდეგ იქნება მიღებული“. **ეს, ალბათ, ნათლად მიანიშნებს იმაზე, რომ სააკაშვილის ინიციატივა წინასაარჩევნო ექსპრომტია, რომელსაც მმართველი პარტიაც კი ერთობ მოუმზადებელი შეხვდა.**

მთავრობის ამავე სხდომაზე ნიკა გილაურმა „მთავრობის 10-პუნქტიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის“ პრეზენტაცია მოახდინა. თუ რამ განაპირობა ამ გეგმის ინიცირება, „ბევრი ექსპერტისთვის პასუხგაუცემელ კითხვად რჩება, — აღნიშნავს „რადიო თავისუფლება“, — მათ შორისაა ეკონომიკური და სოციალური კვლევების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი დავით ნარმანიაც. მისი განცხადებით, 10-პუნქტიანი გეგმის მსგავსია მთავრობის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების უკვე არსებული დოკუმენტი“. 10-პუნქტიან გეგმაში ახალი მართალაც არაფერია და ის, სავარაუდოდ, მხოლოდ ახალ ტიკში ძველი ღვინის ჩასხმის მცდელობას წარმოადგენს. მსგავსი აქტიურობა, ალბათ, მხოლოდ წინასაარჩევნო კონტექსტში უნდა განვიხილოთ, ისევე, როგორც სააკაშვილის ვიზიტები რეგიონებში; კახეთში, სადაც მან განაცხადა: „კახეთისთვის ძალიან დიდ სიურპრიზს ვამზადებთ“ (ტერიტორიებს დააკარგვინებს?), გორში, სადაც სააკაშვილმა, ალბათ, საკუთარი „საბრძოლო დიდების“ ადგილები მოინახულა, ტყიბულში და ა.შ.

**შემდეგ, როდესაც ცესკო არჩევნების შედეგებს „დადებს“ და, დიდი ალბათობით, „ნაციონალურ მოძრაობას“ საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვებას მიანიჭებს, ამ პარტიის წარმომადგენლები, ალბათ, იტყვიან, რომ მოსახლეობასთან კარგი წინასაარჩევნო მუშაობა ჩაატარეს. ყველაზე საინტერესო კი ისაა, თუ რა მოხდება ამ მომენტიდან მოყოლებული. თუ ივანიშვილი თავის პოლიტიკურ პარტნიორებთან ერთად ჩაატარებს თუნდაც საშუალო დონის კამპანიას უხეში შეცდომების გარეშე, ალბათ, ყოვლად წარმოუდგენელი იქნება, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობის აღება შეძლოს. მაგრამ ასევე წარმოუდგენელია, ხელისუფლება თუნდაც ტოტალური გაყალბების ფასად არჩევნების რაიმე სხვა შედეგს დასჯერდეს. მას ეს, უბრალოდ, არ ძალუძს. ალბათ, სწორედ აქედან მოდის სააკაშვილის წინმსწრები განცხადებები 10-15%-ზე (კიდევ კარგი, 7-8% არ თქვა); მან, როგორც ჩანს, მიანიშნა, რომ მეტის დათმობას არ აპირებს.**

რა მოხდება ასეთი „არჩევნების“ შემდეგ? პროცესების გადატანა ქუჩაში თუ ალასანია-უსუფაშვილის დაღვრემილი სახეები პრესკონფერენციაზე, სადაც ისინი განაცხადებენ, რომ პარლამენტში მაინც შევლენ და „ბრძოლას იქედან გააგრძელებენ“? თუ რით სრულდება „ბრძოლა იქიდან“, ფაქტობრივი ერთპარტიულობის პირობებში, გასულ კვირას თვალნათლივ ვიხილეთ, როდესაც ხელისუფლებამ ალასანიას ორ თანაგუნდელს — ზურაბ აბაშიძესა და ვიქტორ დოლიძეს თბილისის საკრებულოში დაკავებული თანამდებობები დაატოვებინა; პოლიტიკური ანგარიშსწორების მსგავს ფაქტებს ადგილი, დიდიხანია, არ ჰქონია.

**ვარაუდი, რომ დასავლეთი გაყალბებული არჩევნების შემდეგ სააკაშვილს სანქციებს დაუწესებს, ერთობ ოპტიმისტური და, ალბათ, ძლიერ უსაფუძვლოა. ვაშინგტონი კომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდება, თუ ერთ-ერთი ყველაზე პროამერიკული რეჟიმის წინააღმდეგ სერიოზულ სანქციებს შემოიღებს. მაქსიმუმი, სავარაუდოდ, თითის რამდენიმე დაქნევა და რიგი პროგრამების შეჩერება იქნება; ასე, ალბათ, ევროკავშირიც მოიქცევა. თუ გაყალბებული არჩევნების შემდეგ არ დაიწყება უძლიერესი ზეწოლა რეჟიმზე ქვეყნის შიგნით, დაახლოებით ისეთი, როგორსაც ადგილი ეგვიპტეში ჰქონდა, ჯადოსნურ ფრაზას „სააკაშვილი უნდა წავიდეს“ დასავლურ დედაქალაქებში „თავისით“ არავინ წარმოთქვამს.**

მაგრამ იმისთვის, რომ მსგავსი პროცესები წარმატებით დაგვირგვინდეს და მას მასშტაბური დესტაბილიზაცია არ მოჰყვეს (სამოქალაქო ომი ან რაიმე სხვა უბედურება), აუცილებელია, რომ ხელისუფლების შიგნით ბზარი გაჩნდეს. მმართველ ჯგუფში, რომელშიც ათიოდე ადამიანი შედის, განხეთქილება სავარაუდოდ, არ მოხდება, რადგან მასში შემავალ პირებს, სხვა რეჟიმის პირობებში არანაირი ხელშესახები პერსპექტივა არ აქვთ. თუმცა განხეთქილება მეორე-მესამე ეშელონში (ალასანიას თქმის არ იყოს), სავსებით რეალური ჩანს.

**თუ ივანიშვილი თავის პოლიტიკურ პარტნიორებთან ერთად ჩაატარებს თუნდაც საშუალო დონის კამპანიას უხეში შეცდომების გარეშე, ალბათ, ყოვლად წარმოუდგენელი იქნება, რომ «ნაციონალურმა მოძრაობამ» საკონსტიტუციო უმრავლესობის აღება შეძლოს**

## ВОТ АППЕРКОТ - Я НА ПОЛУ, И МНЕ НЕХОРОШО...

**დღევანდელი სიტუაცია, ალბათ, განსხვავდება „ვარდების რევოლუციის“ წინარე პერიოდისგან იმით, რომ მაშინ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს ოპოზიციისთვის (სინამდვილეში კი, ხელისუფლების კონტროლირებადი გადაცემისთვის) აქტიური წინააღმდეგობის გაწევა რომც დაეპირებინა, შევარდნაძე ამ მცდელობას, სავარაუდოდ, სწრაფად და ეფექტურად აღკვეთდა. სააკაშვილი განსხვავებულ მდგომარეობაშია. მას, ჯერ ერთი, ხელისუფლებიდან წასვლა არ სურს, მაგრამ ამას რომც დათანხმდეს, გაუჭირდება, თანაგუნდელები აიძულოს, „ვარდების რევოლუციის“ მსგავსი სცენარის ჩარჩოებში იმოქმედონ.**

სააკაშვილის კონტროლი საკუთარ გარემოცვაზე მეტწილად ეფემერულია. ასეთ თამაშებში მას შევარდნაძეზე გაცილებით ნაკლები გამოცდილება აქვს, ამიტომ ჩვენ, ალბათ, ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ხვალ რომელიმე სახელისუფლო ჯგუფში შეთქმულება არ აღმოცენდება. ვინც რუსული რევოლუციის ისტორიას იცნობს, ალბათ, გაიხსენებს, რომ თებერვლის რევოლუციის წინარე პერიოდში, ხელისუფლების მაღალ ეშელონებსა და ნიკოლოზ II-ს გარემოცვის წიაღში, სადაც აცნობიერებდნენ (ან გრძნობდნენ), რომ საქმე კრახისკენ მიდის, იბადებოდა უამრავი კომბინაცია, თითქმის რეალიზების სტადიამდე მიყვანილი შეთქმულება, რომელიც მიზნად ხელისუფლების შენარჩუნებას ისახავდა, თუნდაც ეს მონარქის ნების უგულებელყოფით ან კანონის დარღვევით მომხდარიყო. მსგავსი მისწრაფებები დესტაბილიზაციის საფრთხეს ზრდის.

**ხელისუფლების დღევანდელი აქტიურობის მეორე მიმართულებას, მის** ▶

## ჰომოსექსუალიზმი — ჰუმანიტარული დახმარების სანაცვლოდ

**დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი იმ ქვეყნებს, რომლებიც ერთსქესიან ქორწინებას ეწინააღმდეგება, ჰუმანიტარული დახმარების შეწყვეტით დაემუქრა.** ეს განცხადება პრემიერ-მინისტრმა გააკეთა ავსტრალიაში, ბრიტანული თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ლიდერებთან შეხვედრაზე, სადაც მთავარ საკითხად ადამიანის უფლებების დაცვა განიხილებოდა. კემერონის თქმით, ვინც დიდი ბრიტანეთისგან დახმარებას იღებს, ადამიანის უფლებები სათანადოდ უნდა დაიცვას. ამასთან დაკავშირებით, ინგლისის პრემიერმა თანამეგობრობის ქვეყნებს მოუწოდა, ერთსქესიანი ქორწინება არ აკრძალონ.

## ნახევარსაათიანი შეთანხმება

**პალესტინელმა მებრძოლებმა ისრაელის მხარესთან დადებული ზავი დაარღვიეს და ქალაქი აშდოდი (ისრაელი) კვლავ დაბომბეს.** ისრაელის მედიის ცნობით, პალესტინელმა მებრძოლებმა ისრაელის მიმართულებით ცეცხლი საზავო ხელშეკრულების ამოქმედებიდან ნახევარი საათის გასვლის შემდეგ გახსნეს. წინა დღეს პალესტური მხარის მიერ ღაზას სექტორიდან გახსნილ ცეცხლს ერთი ისრაელელი ემსხვერპლა. ისრაელის საჰაერო-სარაკეტო შეტევის შედეგად ცხრა პალესტინელი მებრძოლი დაიღუპა.

**ივანიშვილის „გამოჩენიდან“ არც ისე დიდი დრო გავიდა, ხელისუფლება შოკური მდგომარეობიდან ჯერაც არ გამოსულა და, შესაბამისად, კონტრმოქმედების გააზრებულ სტრატეგიას, სავარაუდოდ, ვერ შეიმუშავებდა. ის, ალბათ, შეიძლება, შევადაროთ მოკრივეს, რომელმაც უძლიერესი აპერკოტი „გაუშვა“, გონება დაუბნელდა და ახლა ხელებს ქაოტურად იქნევს, რათა შემდეგი დარტყმა როგორმე თავიდან აიცილოს (ვლადიმერ ვისოცკის ამ თემაზე გენიალური სიმღერა ჰქონდა), საინტერესოა, მისცემს თუ არა ივანიშვილი ამოსუნთქვის საშუალებას? ლოგიკით თუ ვიხელმძღვანელებთ, წესით, არ უნდა მისცეს.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**◀ ფრონტალურ შეტევას ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, უმეტესწილად, იდიოტიზმის ჭარბი გამოვლენა ახასიათებს. ივანიშვილს, ისევე, როგორც ნებისმიერ პოლიტიკოსს (ბიზნესმენს ან, ზოგადად, ადამიანს), სუსტი წერტილები ნამდვილად აქვს და მის წინააღმდეგ ეფექტური პროპაგანდისტული კამპანიის წარმოება შეუძლებელი სულაც არ არის. მაგრამ ხელისუფლება ამ სუსტ წერტილებს კი არ ურტყამს, არამედ, როგორც საინფორმაციო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, იმდენად არაპროფესიულ, უკიდეგანო ბოლმით სავსე შეტევას აწარმოებს, რომ, ძალიან დიდი ალბათობით, საპირისპირო შედეგს მიაღწევს და ივანიშვილის ისედაც სოლიდურ რეიტინგს კიდევ უფრო გაზრდის.**

რამდენიმე კომენტატორმა ეჭვიც კი გამოთქვა — ხომ არ არის ეს მხოლოდ წინააღმდეგობის იმიტაცია და არა რეალური წინააღმდეგობა, თუმცა საქმე, ალბათ, მაინც სხვა რამესთან გვაქვს: ივანიშვილის „გამოჩენიდან“ არც ისე დიდი დრო გავიდა, ხელისუფლება შოკური მდგომარეობიდან ჯერაც არ გამოსულა და, შესაბამისად, კონტრმოქმედების გააზრებულ სტრატეგიას, სავარაუდოდ, ვერ შეიმუშავებდა. ის, ალბათ, შეიძლება, შევადაროთ მოკრივეს, რომელმაც უძლიერესი აპერკოტი „გაუშვა“, გონება დაუბნელდა და ახლა ხელებს ქაოტურად იქნევს, რათა შემდეგი დარტყმა როგორმე თავიდან აიცილოს (ვლადიმერ ვისოცკის ამ თემაზე გენიალური სიმღერა ჰქონდა), საინტერესოა, მისცემს თუ არა ივანიშვილი ამოსუნთქვის საშუალებას? ლოგიკით თუ ვიხელმძღვანელებთ, წესით, არ უნდა მისცეს.

ამასთანავე, არის კიდევ ერთი საინტერესო ნიაუნსი; სერიოზულ სიტუაციებში სააკაშვილის ხელისუფლება დამოუკიდებლად, პრაქტიკულად,

არასოდეს მოქმედებდა. თავის საქმეში ფრიად გაწაფული ამერიკელი მრჩევლები მუდამ მის გვერდით იყვნენ. ისინი ყოველთვის მოქმედებდნენ, როგორც ძიძა, რომელიც ბავშვს სიარულს ასწავლის. როდესაც ხსენებული ბავშვი დაუსხლტდებოდა და რაიმე შარში გაეხვეოდა, მისდევდნენ, ფეხზე აყენებდნენ, ტანსაცმელს უწმენდნენ და ისევ ხელს ჰკიდებდნენ და აქით-იქით დაატარებდნენ. მათი „მზრუნველი ხელი“ საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებში, სავარაუდოდ, საკვანძო როლს ასრულებდა. **დღეს კი (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით) ივანიშვილთან დაკავშირებული პროცესების მიღმა ძია სემის ხსენებული „ხელი“, რომელიც ადრე თითქმის მუდამ მზად იყო, რეჟიმისთვის დახმარება აღმოეჩინა, არ იგრძნობა. სააკაშვილის ხელისუფლება, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე დამოუკიდებლად მოქმედებს და ივანიშვილთან ბრძოლაში შეცდომას შეცდომაზე უშვებს. მისი ქაოტური აქტიურობიდან ეფექტურობა სულაც არ გამომდინარეობს; უფრო — პირიქით.**

## გრძელი გზა რაიხსტაგისკენ

**„სტრატეგიული თვალსაზრისით, ხელისუფლებას წაგებული აქვს. პრობლემა ის არის, ძალიან დაბლა არ შევაფასოთ ხელისუფლება, კიდევ ძალიან ბევრი ცუდის გაკეთება შეუძლია,“ — განაცხადა ფილოსოფოსმა კახა კაციტაძემ PRESAGE.TV-სთან საუბარში. ეს გასული მშფოთვარე თვის, ალბათ, ყველაზე ზუსტი კომენტარი იყო. მეორე მსოფლიო ომთან პარალელს თუ გავავლებთ, ფაქტობრივად, საქმე 1943-44 წლების მიჯნასთან გვაქვს, მაღალი რანგის პოლიტიკოსებისთვის და სამხედროებისთვის უკვე სავსებით ცხადია, რომ ომის ბედი გადაწყვეტილია, თუმცა უმრავლესობისთვის ცხადი ჯერ კიდევ არაფერი არ არის და ბერლინამდე გრძელი, მძიმე გზაა.**

აშშ, დიდი ბრიტანეთი და საბჭოთა კავშირი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული სახელმწიფოები იყვნენ, მაგრამ მათ გააერთიანეს ძალები, რათა ნაცისტური გერმანია დაემარცხებინათ. უინსტონ ჩერჩილი, კომუნიზმის ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული მოწინააღმდეგე მსოფლიოში, 1941 წლის 22 ივნისს პარლამენტში მივიდა და თავისი ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი სიტყვა წარმოთქვა. მასში, მათ შორის, ასეთი მონაკვეთიც იყო: „ჩვენ ერთადერთი შეუცვლელი მიზანი გვაქვს. ჩვენ მოწადინებულნი ვართ, ჰიტლერი და ნაცისტური რეჟიმის ყველა კვალი გავანადგუროთ. უარს ამაზე ვერაფერი გვათქმევინებს. ჩვენ არასოდეს გავურიგდებით, არასოდეს დავიწყებთ მოლაპარაკებებს ჰიტლერთან, ან მისი ბანდის რომელიმე წევრთან. ჩვენ ვიბრძოლებთ მის წინააღმდეგ ხმელეთზე, ჩვენ ვიბრძოლებთ მის წინააღმდეგ ზღვაზე, ჩვენ ვიბრძოლებთ მის წინააღმდეგ ჰაერში, ვიდრე, ღვთის შეწევნით, არ ვიხსნით სამყაროს მისი აჩრდილისაგანაც კი და ერებს მისი უღლისგან არ გავათავისუფლებთ. ნებისმიერი ადამიანი ან სახელმწიფო, რომელიც ნაციზმის წინააღმდეგ იბრძვის, ჩვენს დახმარებას მიიღებს. ნებისმიერი ადამიანი ან სახელმწიფო, რომელიც ჰიტლერის გზას მიუყვება, ჩვენი მტერია“.

**ალბათ, არის ამქვეყნად სიტუაციები, როდესაც განსხვავებული შეხედულებებისა და მისწრაფებების ადამიანებმა უკანა პლანზე უნდა გადაწიონ ის, რაც ერთმანეთისგან აცალკევებს და გაუმაძღარ ბოროტებას ერთიანი ძალებით შეუტიონ. არანაირი პარალელები სააკაშვილსა და ჰიტლერს შორის, თუმცა მისი ხელისუფლება საზოგადოებასთან მიმართებაში, სავარაუდოდ, სწორედ ისეთივე პოზიციაში ჩადგა, როგორც ნაცისტური გერმანია დანარჩენ კაცობრიობასთან მიმართებაში და მათი თანაარსებობა, რაღაც მომენტში, შეუძლებელი შეიქნა. დღეს ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების წევრებს მიეცათ შესაძლებლობა, არა მხოლოდ შეხედონ ერთმანეთს როგორც პოტენციურ მოკავშირეებს, არამედ ეს პოლიტიკური მოკავშირეობა რეალობად აქციონ.**

შემდეგ ისინი, ალბათ, ისევ დაშორდებიან ან სულაც დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, მაგრამ ეს, სავარაუდოდ, მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერთად დაამარცხებენ ბოროტებას, რომელსაც ადამიანობასთან და სიცოცხლესთან შეუთავსებლად მიიჩნევენ და ერთმანეთს პირობით მდინარე ელბაზე შეხვდებიან.

**თუ საზოგადოება ერთიანი ოპოზიციური ფრონტის იდეას გაიაზრებს და შეისისხლხორცებს, სააკაშვილს ხელისუფლების შენარჩუნების იოტისოდენა შანსიც არ დარჩება. ამიტომ მისი მთავარი დარტყმა, სავარაუდოდ, ამ იდეის ან, თუ გნებავთ, ამ განწყობის წინააღმდეგ იქნება მიმართული.**

**ისე საინტერესო დროში ვცხოვრობთ, ყველაფერი ცხადი კია, თუმცა ამავე დროს და პარადოქსულად ცხადი ჯერ კიდევ არაფერია.**

**დიმიტრი მონიავა**

**აშშ, დიდი ბრიტანეთი და საბჭოთა კავშირი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული სახელმწიფოები იყვნენ, მაგრამ მათ გააერთიანეს ძალები, რათა ნაცისტური გერმანია დაემარცხებინათ... არანაირი პარალელები სააკაშვილსა და ჰიტლერს შორის, თუმცა მისი ხელისუფლება საზოგადოებასთან მიმართებაში, სავარაუდოდ, სწორედ ისეთივე პოზიციაში ჩადგა, როგორც ნაცისტური გერმანია დანარჩენ კაცობრიობასთან მიმართებაში და მათი თანაარსებობა, რაღაც მომენტში, შეუძლებელი შეიქნა.**

**თუ საზოგადოება ერთიანი ოპოზიციური ფრონტის იდეას გაიაზრებს და შეისისხლხორცებს, სააკაშვილს ხელისუფლების შენარჩუნების იოტისოდენა შანსიც არ დარჩება**

## ყირგიზეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა

**ყირგიზეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ქვეყნის ტერიტორიაზე სულ 2 289 საარჩევნო უბანი მოქმედებდა და დაახლოებით 3 მილიონი ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული.** ყირგიზეთის საარჩევნო კანონმდებლობაში, ამომრჩევლის აქტივობასთან დაკავშირებით, ზღვრული ნორმა არ არსებობს. მისი შედეგები აქტივობის ნებისმიერი მაჩვენებლის შემთხვევაში აღიარებული იქნება. წინასწარი მონაცემებით, პრემიერმა ალმაზბეკ ატამბაევმა ხმათა 63,14% მიიღო.



## ტიმოშენკო, შესაძლოა, მკვლელობაშიც დაადანაშაულონ

**იულია ტიმოშენკო, შესაძლოა, მკვლელობის შეკვეთაში დაადანაშაულონ.** უკრაინის გენერალური პროკურატურა იმ დოკუმენტების შესწავლას აპირებს, რომლებიც ქვეყნის ყოფილი პრემიერის მიერ მკვლელობის შეკვეთაში მონაწილეობის დამადასტურებლად შეიძლება გამოდგეს. საქმე ეხება 1996 წელს დეპუტატ ევგენი შერბანის მკვლელობას. ამჟამად მიმდინარეობს მოკვლევა, თუ რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ტიმოშენკოს ამ საქმესთან. ამ დროისათვის ტიმოშენკოს წინააღმდეგ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმე აღიძრა.

## 12 ათასი დამნაშავე

**პოლიციის მიერ ჩატარებული მასშტაბური ოპერაციის შედეგად ჩინეთში ნარკოტიკულ დანაშაულში მონაწილეობის ეჭვით 12 ათასი ადამიანი დააკავეს.** ადგილობრივი მედიასაშუალებების ინფორმაციით, დაკავებულთაგან ყველაზე მცირეწლოვანი 14 წლისაა. ამოღებულია დაახლოებით 300 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება. სპეცოპერაცია ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარდა. ჩინეთში მზადდება კანონპროექტი, რომელიც სამართალდამცველებს ინტერნეტის კონტროლის საფუძველზე ნარკოტიკული ქსელების წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა დაეხმაროს.

მოკლედ

## დედამიწის მოსახლეობა 7 მილიარდი გახდა

**ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში გაეროს მოსახლეობის დეპარტამენტის ინფორმაციით, დედამიწის მოსახლეობის რაოდენობამ 7 მილიარდს მიაღწია, 2100 წლისათვის კი ამ მაჩვენებელმა, შესაძლოა, 10 მილიარდს გადააჭარბოს.** მოსახლეობის რაოდენობამ მილიარდიან ნიშნულს მხოლოდ 1804 წელს მიაღწია, მისი გაორმაგებისათვის კი 125 წელი გახდა საჭირო. 1800-დან 2011 წლის ჩათვლით მოსახლეობა შვიდჯერ გაიზარდა. 1960-იანი წლებიდან კი — გაორმაგდა.



## ცსს-ს პატიმარი ლიტვას უჩივის

**პალესტინელმა აბუ ზუბაიდამ, რომელიც ამ დროისთვის გუანტანამოს ციხეში იმყოფება, ევროპის სასამართლოში ლიტვის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი.** აბუ, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტშია ეჭვმიტანილი, აცხადებს, რომ ის ცსს-ს იმ საიდუმლო საპატიმროში იმყოფებოდა, რომელიც ლიტვაში მდებარეობს. აბუს ზუბადაის განცხადებით, ის უკანონოდ დააკავეს და აწამეს. სტრასბურგის ევროპულ სასამართლოში შეტანილ სარჩელში აბუ მოითხოვს, რომ ლიტვის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე წამების მსხვერპლად აღიარონ.

საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჟურნალისტები დაინტერესდნენ, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ივანიშვილის თანაგუნდელები და ახლობლები ხომ არ ისარგებლებენ ხელშეუხებლობის იმუნიტეტით. ამის იმედი ივანიშვილმა ძირშივე მოსპო: „არავინ დაიზოგება, არც ერთი ჩემი თანამოაზრე არ მიიღებს ინდულგენციას. ვიქნები დაუნდობელი ელიტურ კორუფციასთან ბრძოლაში. არ დავუშვებ არავითარ კორუფციას და მასთან ბრძოლა უმაღლესი ეშელონებიდან დაიწყება. უპირველეს ყოვლისა, ელიტური კორუფცია უნდა აღმოიფხვრას,“ — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.**



## ბიძინა ივანიშვილი:

# სააკაშვილს დღეს საკუთარი დედაც კი არ მისცემს ხმას!

**როგორც სააკაშვილს უყვარს ხოლმე თქმა, ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციაზე ჯერ არნახული ვითარება სუფევდა. ჟურნალისტები ისე გლეჯდნენ ერთმანეთს ხელიდან მიკროფონს, როგორც არასდროს და არავისთან. ყველაზე მეტად „ნაციონალური“ არხების ჟურნალისტები აქტიურობდნენ. წინასწარ მომზადებული „ჩამჭრელი“ კითხვები ერთი ხელით ნაწერს ჰგავდა, სახის მიმიკა და ინტონაციაც — ერთი სარკის წინ ნავარჯიშევს.**

**ბიძინა ივანიშვილი იმაზე უფრო მშვიდი და მობილიზებული ჩანდა, ვიდრე ამას „პოლიტიკოსობაზე“ თავგამოდებული „ნაციონალი“ დეპუტატები ახერხებენ ხოლმე. მათი ბანაკის წევრი ჟურნალისტები თავისივე დეზინფორმაციების შესახებ უსვამდნენ კითხვებს ივანიშვილს, ის კი ღიმილით ურჩევდა, დამშვიდებულიყვნენ, ერთმანეთისთვის ესმინათ და საკუთარი პროფესიისთვის ეცათ პატივი.**

მისი პასუხებიდან გაირკვა, რომ იგი კარგად არის ინფორმირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში, იცნობს „მეინ-სტრიმს“ და მისი „წამოკიდება“ არც ისე იოლი ყოფილა. ერთი სიტყვით, მათ, ვისაც იმედი ჰქონდა, რომ მილიარდერი პოლიტიკაში დილეტანტია, მძიმე დარტყმა მიიღეს. ივანიშვილი იმდენად ეფექტიანად იგერიებდა ჟურნალისტთა თავდასხმებს **(სწორედ თავდასხმებს, რადგან ეს, მისივე სიტყვებით, „ზემოდან დავალებული კითხვები იყო და არა ის, რაც ჟურნალისტს უნდა აინტერესებდეთ“)**, რომ ვერავინ იფიქრებდა, თუ ეს მისი პირველი და თანაც ასეთი მასშტაბური პრესკონფერენცია იყო.

ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე ფარისევლური პოლიტკორექტულობის გარეშე მოუწოდა ჟურნალისტებს, იყვნენ გულწრფელები და ბრძანებებისგან გათავისუფლდნენ. პირველი შეკითხვა, შეთანხმებისამებრ, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წარმომადგენელმა დასვა, უფრო სწორად, საყვედურებით აავსო ივანიშვილი „მედიაზე თავდასხმისთვის“; უსაყვედურა პრესკონფერენციაზე შესვლისას ჟურნალისტების შემოწმებისთვის, დაინტერესდა, მომავალშიც ხომ არ აპირებს ამ მეთოდით ჟურნალისტებთან ურთიერთობას და არის თუ არა ეს ის დემოკრატია, რითაც ივანიშვილს ევროპის გაოცება სურს.

ბიძინა ივანიშვილმა გოგონას უპასუხა, რომ მისი სურვილია, ჟურნალისტი „ასე არ დაიძაბოს“, პრესკონფერენციაზე ასეთი „მომზადებული“ არ მივიდეს, თავისუფალი იყოს და დასვას ის კითხვები, რაც პირადად მას აინტერესებს და არა — რაც დაუკვეთეს.

**„ჩემი მიზანია ნამდვილი დემოკრატიული გარემოს შექმნა, ნამდვილი მედია და არა ის, რასაც წარმოადგენს „პირველი არხი“, „რუსთავი 2“ და „იმედი“. თავი დავანებოთ ერთმანეთის მოტყუებას, თვალებში შევხედოთ ერთმანეთს, გავუღიმოთ და სიმართლე ვთქვათ,“** – განაცხადა მან. ივანიშვილი არც იმას მორიდებია, რომ „იმედის“ ჟურნალისტისთვის ეთქვა: **„იყავით საქართველოს იმედი და არა — სააკაშვილისა“!**

„მაესტროსთან“ და „კავკასიასთან“ დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, ისინი ობიექტურები უნდა იყვნენ და არა ნახევრად ობიექტურები. **„მე ვიქნები გულწრფელი თქვენს შეკითხვებზე პასუხისას და თქვენც შეეცადეთ, იქნებ დღეს რაღაც ახალს მივაღწიოთ. მე მოვედი არა ვინმეს დასამარცხებლად, არამედ საქართველოს გასამარჯვებლად. მე მოვალე ვარ, ყველას ვუთხრა, რაც ხდება“.**

ჟურნალისტის ტირადაზე (ეს კითხვა კი არა, პოზიციის დაფიქსირება უფრო იყო) იმის შესახებ, რომ ივანიშვილმა 2008 წლის ომის დაწყებაზე პასუხისმგებლობა ქართულ მხარეს დააკისრა, მან ასე უპასუხა: **„მოვიშველიებ ტალიავინის მოხსენებას და სპეციალური რეზოლუციის ტექსტს, რომელშიც წერია, რომ ქართულმა მხარემ დაიწყო საომარი მოქმედება. მე შემიძლია დაგიზუსტოთ იმ ქართველებს, ვისაც ეს საწყენად მიგაჩნიათ და შეგახსენოთ, როგორ ვითარდებოდა პროცესი — როგორ იბომბებოდა ლიახვის ხეობა გაუგებარი ფორმირებების მიერ. იმის ნაცვლად, რომ სააკაშვილს მოსახლეობა გამოეყვანა, საერთაშორისო ორგანიზაციები მოეწვია და დაეფიქსირებინა, რაც ხდებოდა, მან დაიწყო რეგიონის გაუაზრებელი დაბომბვა და ეს ფიქსირდება ყველგან“.**

**„სამი ტელევიზია ამ ყველაფერს ისე გადმოგვცემს, თითქოს ომი დაიწყო რუსეთმა და გაიმარჯვა საქართველომ. ნუთუ ქართველი ხალხი ასეთი ბრიყვია?!**

**განა არ გვახსოვს, რის შემდეგ წამოვიდა რუსეთისგან დიდი აგრესია? მსოფლიოში ყველამ ყველაფერი იცის, ნუ ვცდილობთ ხალხის გაბრიყვებას. ასეთი იყო სიტუაცია. ასე გვახსოვს ჩვენ და ამას ვერ წაშლიან მეხსიერებიდან, ვერ მოახდენენ ჩვენს ზომბირებას,“** — აღნიშნა ივანიშვილმა.

უკვე მობეზრებულ შეკითხვაზე, არის თუ არა იგი „კრემლის უკანასკნელი იმედი“, ივანიშვილმა მშვიდად განმარტა: **„ის, რომ მე კრემლის პროექტი, აგენტი და უკანასკნელი იმედი ვარ, მოგონილია, რადგან ხელისუფლებას ჩემ წინააღმდეგ ხელჩასაჭიდი არაფერი აქვს. კრემლის პროექტი, აგენტი, იმედი — ჩემზე ძირითადი შეტევა ამ კუთხით ხორციელდება. მუდმივად ამ თემას ატრიალებენ და აჟიტირება ხდება, თითქოს მე საქართველოში მტრული განზრახვით ვარ გამოგზავნილი. ამის საპასუხოდ ვთქვი, რომ, 9 წელია, რუსეთში არ ვყოფილვარ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი პასუხი არ აღმოჩნდა.**

**ასეთ შემთხვევაში, მინდა მოგმართოთ, ქმედებით შემაფასოთ — 20 წლის წინ საქართველოში 450 ტრაქტორი გამოვგზავნე და იქიდან მოყოლებული სიკეთის მეტი არაფერი მიკეთებია. რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ მე შეიძლება საქართველოსთვის საშინელება ჩავიდინო? თუ მტრების გეშინიათ, შეხედეთ სააკაშვილს. განა მასში არ ჩანს ის, რაც გინდათ, რომ მე მომაწეროთ?! განა მტრული არაა ამდენი ძალადობა?! გარდა ამისა, ორ კარგ მაგალითს მოვიყვან — კახა ბენდუქიძეს, რომელიც პირდაპირ რუსეთიდან წამოსული მინისტრად დასვეს, და გრიგოლ ვაშაძეს, რომელიც ასევე რუსეთიდან წამოსული დღეს საგარეო საქმეთა მინისტრია. მათ მიმართ რატომ არ დაისვა ეს შეკითხვები?! მინდა მივმართო საქართველოს მოსახლეობას – ჩემზე, როგორც რუსეთის პროექტზე, აგენტზე თუ იმედზე ლაპარაკობენ იმიტომ, რომ ჩემ საწინააღმდეგოდ არაფერი აქვთ ხელჩასაჭიდი. არ არსებობს ჩემ მიერ ჩადენილი არანაირი კანონდარღვევა“.**

ბიძინა ივანიშვილმა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენაზეც ისაუბრა. მისი თქმით, რუსული ბაზარი უაღრესად საინტერესოა და მისკენ მთელი მსოფლიო ისწრაფვის. **„რუსული ბაზარი ჯერ კიდევ რუსეთ-საქართველოს ომამდელ პერიოდში დაიკარგა. სააკაშვილმა თავისი არადიპლომატიური და გაუაზრებელი განცხადებებით მიაღწია იმას, რომ რუსული ბაზარი მარტო საქართველოსთვის დაიკეტა. ეს მოხდა ომამდე. მისი გაუაზრებელი განცხადებების შედეგად საქართველოს მოსახლეობამ უდიდესი ბაზარი დაკარგა. დღეს მთელი მსოფლიო ახერხებს რუსეთთან სავაჭრო- ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას და ჩვენც უნდა შევძლოთ ეს,“** — აღნიშნა ივანიშვილმა.

მან „იუკოსის“ ყოფილი ხელმძღვანელის, მიხეილ ხოდორკოვსკის საქმესთან დაკავშირებით „გულშემატკივრულ“ კითხვასაც უპასუხა და აღნიშნა, რომ ამ საქმის დეტალებს უშუალოდ იცნობს. „ცივილიზებულმა სამყარომ გვიან დაიწყო ამ საკითხის განხილვა. მე კარგად ვიცი, რომ აუქციონის გამართვისას, დასაწყისშივე იყო დიდი შეცდომები. თუმცა, ხოდორკოვსკი შერჩევითად დაისაჯა, რაც მართებულად არ მიმაჩნია“.

არაერთი ჟურნალისტი დაინტერესდა ივანიშვილის შემდგომი ნაბიჯებით მოქალაქეობის ჩამორთმევის შემდეგ. **„მოქალაქეობა უკანონოდ ჩამომართვეს, მაგრამ ვერ ჩამომართმევენ ქართველობას და სამშობლოს სიყვარულს, რომელიც ძალიან დიდია,“** — განაცხადა მან.

მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილის ვერანაირი ქმედება, ვერც კანონიერი და ვერც უკანონო, მას ვერ შეუშლის ხელს, „მივიდეს არჩევნებამდე“. „არჩევნებზე კი, გარწმუნებთ, რომ შევცვლით მთავრობას“.

ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ თანამშრომლობას ყველა ოპოზიციურ პარტიასთან აპირებს, თუმცა თანამშრომლობა არ ნიშნავს გაერთიანებას. იგი საკუთარ გუნდში აქცენტს ახალ სახეებზე აკეთებს. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ივანიშვილის თანაგუნდელები და ახლობლები ხომ არ ისარგებლებენ ხელშეუხებლობის იმუნიტეტით. ამის იმედი ივანიშვილმა ძირშივე მოსპო: **„არავინ დაიზოგება, არც ერთი ჩემი თანამოაზრე არ მიიღებს ინდულგენციას. ვიქნები დაუნდობელი ელიტურ კორუფციასთან ბრძოლაში. არ დავუშვებ არავითარ კორუფციას და მასთან ბრძოლა უმაღლესი ეშელონებიდან დაიწყება. უპირველეს ყოვლისა, ელიტური კორუფცია უნდა აღმოიფხვრას,“** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მმართველი გუნდის სიხარულს ნამდვილად ვერ გამოიწვევდა ივანიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ პარლამენტში უმრავლესობით მოსვლის შემთხვევაში იგი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის იმპიჩმენტის საკითხის დაუყოვნებლივ დაყენებას აპირებს: **„მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა კონსტიტუცია მაქსიმალურად მოირგო საკუთარ თავზე, პარლამენტში უმრავლესობით მოსვლით მყისიერად დავიწყებთ მისი იმპიჩმენტის საკითხის განხილვას, თუ თვითონ ვერ მოახერხებს განცხადების დაწერას“.**

ამ უპრეცენდენტოდ ხალხმრავალი და მღელვარე პრესკონფერენციის ტრანსლაცია, დაპირებული 40 წუთის ნაცვლად, თითქმის ორ საათს გაგრძელდა. მმართველი პარტიის მაღალ-დაბალი ეშელონები ტელეეკრანებსა და კომპიუტერებს არ მოშორებიან.

საპარლამენტო უმრავლესობის დაზაფრულმა წევრმა ვახტანგ ბალავაძემ ბიძინა ივანიშვილის სახით „პუტინის მესიჯების ასე ღიად გამხმოვანებელი პირველად ნახა“.

მისი თქმით, ქართულ საზოგადოებას ბევრი პოლიტიკური ძალა ახსოვს, რომლებიც რუსულ ინტერესებს ემსახურებოდნენ, მაგრამ „ასეთი ღია“ არ უნახავს.

**„მან არამარტო ომში დაგვადანაშაულა, არამედ ემბარგოშიც. მე ვურჩევდი, დაელაპარაკოს იმ ადამიანებს, ვინც გამოყარეს რუსეთიდან, მაშინ, როდესაც თავად იქ მშვიდად იყო და მილიონებს და მილიარდებს შოულობდა პუტინთან ერთად,“** — განაცხადა ბალავაძემ. მან კიდევ ერთხელ მიმართა ივანიშვილს, რომ „ქართული საზოგადოება ფულზე, განსაკუთრებით, რუსულ ფულზე არ იყიდება“.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა პავლე კუბლაშვილმა კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თავდაპირველად პრესკონფერენციას თვალყურს ადევნებდა, მაგრამ მისი მოსმენა აღარ გაუგრძელებია მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა თქვა, რომ ომი საქართველომ დაიწყო (რა თქვა სინამდვილეში ივანიშვილმა, შეგიძლიათ ზემოთ წაიკითხოთ). რაც შეეხება ტალიავინის დასკვნას, რომელიც ივანიშვილმა მოიყვანა არგუმენტად და რომელიც, საქართველოს ხელისუფლების მიერაც არის მოწონებული, კუბლაშვილი აცხადებს: **„მან თქვა, ასე წერიაო, სინამდვილეში იქ სხვა რამ წერია. მან ისე თქვა, როგორც თვითონ უნდოდა“. ამაზეა ნათქვამი, „ჩემი შენ გითხარიო“!**

**ამ ორ „უმრავლესს“ არც შოთა მალაშხია ჩამორჩა: იგი ბიძინა ივანიშვილში საქართველოს მტერს ხედავს, ოღონდ რატომ აიგივებს საკუთარ თავს საქართველოსთან, უცნობია.**

**მისი აზრით, მხოლოდ საბჭოთა მენტალიტეტის ადამიანს შეუძლია თქვას, რომ საქართველომ დააწესა ემბარგო და რომ ხოდორკოვსკისთან დაკავშირებით საქმე არც ისეა, როგორც მსოფლიო ლაპარაკობს.**

„არაფერზე პასუხი არ აქვს. არ იცის, როგორი იქნება საგადასახადო სისტემა. არ იცის, როგორ მოხდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. არ იცის, ავღანეთში გაუშვებს თუ არა ჯარს, ნატოსთან როგორ ითანამშრომლოს და ა.შ.,“ — განაცხადა მალაშხიამ და დასძინა, რომ ივანიშვილი შეკითხვებს ვერ იტანს და სურს, ისეთი კითხვები დაუსვან, რაც თავად აწყობს. მალაშხია დარწმუნებულია, რომ ბიძინა ივანიშვილს ხელისუფლებაში მოსვლის თეორიული შანსიც არ აქვს.

**ეჰ, ისტორიულ ძნელბედობას რა ვუთხრათ, თორემ მალაშხია პირველია იმ სიაში, რომლის წარმომადგენლებსაც ქართულ პოლიტიკაში არაფერი ესაქმებათ! თუმცა მას რას ვერჩით, როცა საპარლამენტო უმრავლესობის უმრავლესობა სწორედ ამგვარია!**

**P.S. პრესკონფერენციის კულმინაცია ის მომენტი აღმოჩნდა, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა სრული სერიოზულობით განაცხადა: „მათ აქვთ მექანიზმები და ემზადებიან ტოტალური გაყალბებისათვის... ნუ აქვთ ილუზია, ნუ აქვს იმის განცდა სააკაშვილსა და მის გარემოცვას, რომ მოხდება რამე მსგავსი. რეალობა მე ასე წარმომიდგენია რომ სააკაშვილს დღეს საკუთარი დედაც კი არ მისცემს ხმას, საკუტარ გარემოცვასაც აღარ სჭირდება დღეს სააკაშვილი!” დარბაზის დიდი ნაწილი ამ სიტყვებს ტაშით შეხვდა, თუმცა კუბლაშვილს, ბალავაძეს, მალაშხიასა და მისთანებს ეს ან არ მოუსმენიათ, ან სააკაშვილისთვის დედის მაგივრობის გაწევას აპირებენ.**

**GEWORLD.GE-ს მიხედვით**

**სწორედ ახალაიას და კოდუას დაევალათ „იმედის“ იმ ხელმძღვანელთა და ჟურნალისტთა უსაფრთხოდ გამოყვანა დარბევის დროს, ვინც ხელისუფლების აგენტი იყო. ვანო მერაბიშვილმა თავად დაურეკა გოკა გაბაშვილსა და მაია ნადირაძეს და სთხოვა — „იმედში“ თქვენი „ჟურნალისტების“ გვარები მითხარითო. ცხადია, ეს აგენტები „იმედში“ დამატებითი უსაფრთხოების ზომებით უზრუნველყვეს...**

ვერსია
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «იმედის» დარბევის დღემდე უცნობი დეტალები

**2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედის“ სპეცრაზმით დარბევის დეტალები, რომელთა გამოაშკარავებაც ცხადყოფდა, თუ რატომ მიმართა ხელისუფლებამ ჟურნალისტთა წინააღმდეგ ასეთ ვანდალურ ქმედებას და რატომ გათიშა „იმედი“ ანძიდან; ანდა, რატომ არ გათიშეს „იმედი“ თავად ტელეკომპანიაში მოკალათებულმა ხელისუფლების აგენტებმა? შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა ხომ ცხადყო, რომ გიორგი თარგამაძე — „იმედის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების დირექტორი, ლევან ვეფხვაძე — არხის მთავარი პროდიუსერი და „იმედის“ სხვა ხელმძღვანელი პირებიც ხელისუფლების ნების აღმსრულებელნი იყვნენ და მათ თავისუფლად შეეძლოთ მაუწყებლობის გათიშვა. ამას ისე გააკეთებდნენ, მათზე ეჭვს ვერავინ მიიტანდა (2008 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე — 21 მაისამდე მაინც). რატომ წავიდა ვაბანკზე ხელისუფლება, რატომ აიტკივა აუტკივებელი თავი, როცა უპრობლემოდ შეეძლო „იმედის“ გათიშვა? ამ კითხვებს ამ წერილში ვუპასუხებ.**



მიხეილ სააკაშვილის იმჟამინდელი უახლოესი გარემოცვის შესახებ ბევრი დაწერილა და თქმულა. დღემდე უცნობია ის კულუარული ამბები, რასაც ამ გარემოცვის ერთ-ერთი წევრი იხსენებს. **იმ დროს, როცა სპეცრაზმელებმა რიყეზე აქცია დაარბიეს, ხოლო მომიტინგეთა ნაწილმა სამების ეკლესიასთან გადმოინაცვლა, მიხეილ სააკაშვილი შავნაბადაზე იმყოფებოდა. ამ დროს მასთან ერთად იყვნენ გელა ბეჟუაშვილი, ვანო მერაბიშვილი, კახა ბენდუქიძე, ძმები ახალაიები, გივი თარგამაძე, ერეკლე კოდუა, ამირან მესხელი, ზურაბ ადეიშვილი, კახა ლომაია, გიორგი პაპუაშვილი და ნინო ბურჯანაძე.** სააკაშვილისთვის ცხადი იყო, რომ რევოლუცია კარს იყო მომდგარი, ამიტომ თითქმის ყველაფერზე იყო წამსვლელი. წყარო აცხადებს, რომ სააკაშვილს და იქ თავმოყრილ ჩინოსნებს ხალხის კრიტიკული მასისა ეშინოდათ, არადა, „იმედიც“ და „კავკასიაც“ უკვე მოუწოდებდა ხალხს, შეერთებოდნენ აქციის მონაწილეებს. ამ დროს ორივე ტელეკომპანიაში ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, ექსპერტები და ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ერთადერთი მოწოდებით — ხალხო, შემოგვიერთდით და დავასრულოთ ეს ხელისუფლება!

მიხეილ სააკაშვილი და მისი გარემოცვა უმძიმეს დღეში იყო. ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრებით გამოწვეული საპროტესტო პროცესი, რომელსაც ოსტატურად მართავდა ბადრი პატარკაციშვილი, ჩანდა, იმ ტალღად უნდა ქცეულიყო, რომელსაც ხელისუფლება უნდა ჩაეძირა. **სააკაშვილი ვანო მერაბიშვილს სთხოვდა, სასწრაფოდ მოეფიქრებინა რაიმე, რითაც პროტესტანტ ტელეკომპანიებს შეაჩერებდა.**

**ამ დროს პარლამენტში გიგა ბოკერია, ლევან რამიშვილი და „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლები ხელისუფლების მაღალი შტოებიდან ცალკე თათბირობდნენ ბოკერიას კაბინეტში.** მათაც იგივე პრობლემა ჰქონდათ — „იმედის“ როგორმე განეიტრალება. მაგრამ ჩვენთვის უცნობია, პარლამენტში თავშეყრილი ბოკერია და მისი გუნდი რას და როგორ თათბირობდა.

შავნაბადაზე კი სიტუაცია იძაბებოდა. სააკაშვილი მერაბიშვილს უკვე უყვიროდა, — რამე მოიფიქრე სასწრაფოდო. მერაბიშვილმა შესთავაზა, რომ ერთადერთი გამოსავალი ტელევიზიის გათიშვა იყო; ისიც უთხრა, ამის გაკეთება ანძიდანაც შეიძლება და თავად „იმედის“ ტექნიკური ჯგუფიც მოახერხებს. მე მყავს „იმედის“ ხელმძღვანელობაში ხალხი, რომლებიც არა მარტო ტექნიკურ ჯგუფს აკონტროლებენო (თარგამაძე, ვეფხვაძე და სხვები). სააკაშვილი თანახმა იყო, რომ თავად „იმედელებს“ გაეთიშათ ტელევიზია და ამით, „იმედში“ ჩანერგილი აგენტურა გამოეაშკარავებინა.

საკითხი თითქმის გადაჭრილი იყო, მერაბიშვილი ამირან მესხელთან, ერეკლე კოდუასთან და დათა ახალაიასთან ერთად, ცალკე კაბინეტში აპირებდა გასვლას სპეცოპერაციის დეტალების დასაზუსტებლად. უთხრა კიდეც ამ სამეულს — წავიდეთ, დავაზუსტოთ ყველაფერიო. მიშამ უთხრა ვანოს, ოღონდ შენ ეგ ისე გააკეთე, რომ ოდნავ მაინც ჰგავდეს სიმართლეს, თითქოს „იმედის“ ტექნიკურმა ჯგუფმა, პროტესტის ნიშნად, სახელმწიფოს გადატრიალების თავიდან ასაცილებლად გათიშა ტელევიზია და დანარჩენს მოვაგვარებო. **დანარჩენი ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან ამ პოლიტმაქინაციების „გაპრავებაზე“ ზრუნვა იყო. სააკაშვილს მხედველობაში ჰყავდა მეთიუ ბრაიზა; ამერიკის ელჩი საქართველოში, ჯონ ტეფტი და აშშ-ის პრეზიდენტის — ჯორჯ ბუშის გავლენიანი თანაშემწეები. ამ საკითხის მოგვარებას, სააკაშვილთან ერთად, ნინო ბურჯანაძე და გიგა ბოკერია შეეცდებოდნენ. სააკაშვილმა ნინო ბურჯანაძეს უთხრა კონდოლიზა რაისის ერთ-ერ-**

## «იმედის» დარბევა ამერიკაში გადაწყდა და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის, დიკ ჩეინის გეგმით განახორციელა გიგა ბოკერიამ

**თი თანაშემწის გვარი — დაურეკე, უთხარი, რომ სხვა გზა არ გვაქვს, ან დაგვამხობენ, ან „იმედი“ უნდა გავთიშოთ და მერე არ ატეხონ აყალმაყალი, თავისუფალ მედიას რატომ შეეხნენო.**

გიგა ბოკერია ახსენა სააკაშვილმა და რამდენიმე წამში კაბინეტში ფერდაკარგული ბოკერია და ლევან რამიშვილი შემოცვივდნენ. გარეთ რამდენიმე ადამიანი უცდიდა მათ. ერთ-ერთი ნინო კალანდაძე იყო. ბოკერიამ იკითხა — მიშა, რას აპირებ, სანამ არ გადაგვივლიან, მანამდე ხელს არ გაანძრევო? მიშა გაბრაზდა — „სპეცრაზმმა“ ხალხი ჩახოცა ცემით, გაზი, წყლის ჭავლი და „დუბინკა“ არ დავაკელი, სხვა რა ვქნაო? ეგ, ხომ ხედავ, არ შველის, უფრო მეტი ხალხი გროვდება, რაიონებიდან დაიძრა ისევ ხალხი, მთავარია, „იმედი“ გაითიშოსო. მიშა გაჩუმდა და გიგას უთხრა, ვანოს მოუსმინეო. **ვანომ მოკლედ უთხრა, თუ როგორ აპირებდა ტელევიზიის გათიშვას. ლევან რამიშვილმა ჩაილაპარაკა — მაგარი სისულელეა, გაყიდული ამბავია, ეგ ერთი; მეორეც, რამდენჯერაც გათიშავ, იმდენჯერ ჩაგართევვინებენ, გარედან ზეწოლა იქნება ისეთი, რომ ჩაგართევინებენ, იმ შენს აგენტურას კი, „იმედში“ რომ გყავს, შარში გახვევ არაფრის გამოო.**

**გიგა ბოკერიამაც იგივე გაიმეორა და თან დასძინა — „იმედი“ სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, თანაც ისე, უნდა გაითიშოს, გულით რომ სურდეთ, მინიმუმ 1 კვირა ველარ ჩართონ, ეს ერთი კვირა გვინდა დროის მოსაგებადო.** მიშამ იკითხა — რა ვქნათო? ბოკერიამ უთხრა — ტელევიზიაში „სპეცნაზი“ უნდა შევარდეს, იქაურობა უნდა მილეწ-მოლეწოს. ნიღბებით ისეთი ხალხი გაუშვით, ვისაც ტელევიზიაში უმუშავია ან მისი სპეციფიკა იცის, რომ, რაც შეიძლება ძვირადღირებული აპარატურა დაამტვრიონ ან ისეთი, ურომლისოდაც „იმედი“ ვერც შიდა მაუწყებლობას შეძლებს და ვერც სატელიტზე გავა კარგა ხნითო. ბოკერიამ დასძინა — ეს სამაგალითო სასჯელი იქნება იქაური ჟურნალისტებისთვისო.

**მიშა წინააღმდეგი იყო ამ ოპერაციისა — ამერიკელებისა ეშინოდა, ამას არ მაპატიებენო. ბოკერიამ უთხრა, რომ საკითხი უკვე შეთანხმებული იყო ჯონ მაკკეინთან და რიჩად ჰოლბრუკთან. თუ გინდა, გადაურეკეო, — უთხრა მიშას. სააკაშვილმა ორივეს დაურეკა, ორივესგან დასტური მიიღო. ამის მერე მიშამ ბრაიზასთან და ტეფტთან დარეკვაც სცადა, მაგრამ ტეფტმა არ უპასუხა, ბრაიზას კი ესაუბრა. საუბრის დასრულების მერე, მიშამ გიგას უთხრა — მეთიუმ მითხრა, მე ხელი დამიბანია, რადგან, როგორც ვიცი, დიკ ჩეინიც კი დაიყაბულეს მაკკეინმა და ჰოლბრუკმა „იმედის“ დარბევაზე, მე არავინ მეკითხებაო. ბოკერიამ მხოლოდ ამის მერე განაცხადა, რომ დიკ ჩეინიც საქმის კურსში იყო.**

ცოტა ხანში სააკაშვილთან დარეკა ჯონ ტეფტმა და მცირე ხნით ესაუბრა. სააკაშვილმა განაცხადა, ტეფტი შედეგებზე პასუხისმგებლობას იხსნის, თუ „იმედში“ სისხლი დაიღვრა და მსხვერპლი იქნა, თუ არადა, ხვალ დილით გამოვა და განაცხადებს — სახელმწიფოს გადატრიალება ხდებოდა, „იმედი“ ამ პროცესში იყო ჩართული და ეს იყო დემოკრატიის გადასარჩენად გაკეთებული იძულებითი ქმედებაო. გიგამ დასძინა — მეთიუც, ალბათ, ამასვე იტყვის, რადგან ტეფტისგან განსხვავებულ განცხადებას ვერ გააკეთებსო.

**ამ სპეცოპერაციის წინააღმდეგი, რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, ვანო მერაბიშვილი იყო. მას საკუთარი ვერსია მოსწონდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი მფარველები ამერიკიდან კარტ-ბლანშს იძლეოდნენ. თავიდან სააკაშვილი უყოყმანოდ იყო თანახმა, მაგრამ უეცრად, შეიცვალა პოზიცია. გიგა, თუ რამე მოხდა გაუთვალისწინებელი, მე მომთხოვენ პასუხს შინაც და გარეთაც და არა შენო. ბოკერია გაბრაზდა — ხვალ ამ დროს პასუხის მომთხოვნი აღარავინ ვიქნებით, დროზე თუ არ ვიმოქმედეთ, გადაგვივლიანო. მერაბიშვილიც ცდილობდა ბოკერიას დარწმუნებას — გიგა, იქნებ გავთიშოთ „იმედი“, „სპეცნაზი“ მაინც „სპეცნაზია“, რამე უბედურება არ დატრიალდესო. დაახლოებით 5 წუთს გაგრძელდა კამათი, ბოკერია-რამიშვილი თავიანთ არგუმენტებს ასახელებდნენ, ძირითადად, მიშას აშინებდნენ, მალე აქ კაბინეტში შემოგივარდება ხალხი, იმ საკანში კი, ოქრუაშვილი რომ ზის, შენ ჩაგსვამენო.**

მერაბიშვილი უკვე აღარ აქტიურობდა, ბოკერიამ გააჩუმა, რამდენჯერაც რამის თქმა დააპირა. მიშა მაინც თავისაზე იდგა — არა, გავთიშოთ „იმედიო“. ბოლოს — ბოკერიამ უთხრა: თუ მაგათ არ დაარბევ სასწრაფოდ, მე ჩემი გუნდით გადავდივარ ოპოზიციაში და, რაც გინდა, ის ქენიო — კაბინეტიდან გავიდა. მას მიჰყვა ლევან რამიშვილი. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა, მიშას მიტკლის ფერი დაედო, შუა ბრძოლაში მტოვებს, ეს ხომ არ გაგიჟდაო, — თქვა ბოკერიას მისამართით. **მერე ბურჯანაძეს მიუბრუნდა, გიგა თუ წავიდა, საერთაშორისო მხარდაჭერას დავკარგავთ; ეგ ერთი უბედურება და მეორე უბედურება კიდევ — ბოკერია იქნება ოპოზიციაშიო. ბურჯანაძემ უთხრა, მართალი ხარ, მაგის მხრიდან წასვლა ახლა ღალატია, მაგრამ არ ესმის და, ხომ იცი, თუ აიჩემა, ვერ გააგებინებო.**

**ამის მერე მიშამ ვანოს უთხრა, — „სპეცნაზი“ გაამზადე, გაუშვი „იმედში“ და დალეწონ იქაურობა, ოღონდ, მსხვერპლი არ იყოსო. თავად კი გიგა ბოკერიას დაურეკა — ამობრუნდი, ყველაფერზე ნუ იბუტები, ვანო უკვე ამზადებს „სპეცნაზს“ „იმედში“ გასაგზავნადო.** ბოკერია და რამიშვილი, ეტყობა, შენობიდანაც არ იყვნენ გასული და მალევე შემობრუნდნენ უკან. მათ მოსვლამდე კი მერაბიშვილი, გივი თარგამაძე, ამირან მესხელი, დათა ახალაია და ერეკლე კოდუა გავიდნენ კაბინეტიდან. ეს ის დროა, როცა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამო, დათა ახალაია ძიების დასრულებამდე „გადააყენეს“ პოსტიდან. არადა, თავიდან ბოლომდე იქ იყო, პროცესის დაწყებიდან ბოლომდე.

**სწორედ ახალაიას და კოდუას დაევალათ „იმედის“ იმ ხელმძღვანელთა და ჟურნალისტთა უსაფრთხოდ გამოყვანა დარბევის დროს, ვინც ხელისუფლების აგენტი იყო. სხვათა შორის, ვანო მერაბიშვილმა თავად დაურეკა გოკა გაბაშვილსა და მაია ნადირაძეს და სთხოვა — „იმედში“ თქვენი „ჟურნალისტების“ გვარები მითხარითო. ცხადია, ეს აგენტები „იმედში“ დამატებითი უსაფრთხოების ზომებით უზრუნველყვეს, რადგან, როცა „სპეცნაზი“ შედის სადმე, სპეცოპერაციის ჩასატარებლად და თან ობიექტზე შეიარაღებული დაცვაა, კაცმა არ იცის, რა მოხდება.**

აი, ასეთია „იმედის“ დარბევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების რეალური ისტორია. დასკვნის სახით, იმის თქმა შეიძლება, რომ **ამერიკელებმა მიხეილ სააკაშვილიც გადააგდეს და გიგა ბოკერიაც. 8 ნოემბერს მეთიუ ბრაიზაც და ჯონ ტეფტიც აკრიტიკებდნენ სააკაშვილს, „დამოუკიდებელ ტელეკომპანიაში სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრის, ჟურნალისტთა დევნისა და „იმედის“ კუთვნილი ტექნიკის მწყობრიდან გამოყვანის გამო“. თითქმის ანალოგიური განცხადება გააკეთა კონგრესმენმა რიჩარდ ჰოლბრუკმაც. იმავე დღეს, საღამოს სააკაშვილი ამერიკელებმა აიძულეს, გადამდგარიყო და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაენიშნა. თავად კი ხელები დაიბანეს.** წყარო აცხადებს, რომ, მიუხედავად მრავალგზისი მცდელობისა, სააკაშვილი 8 ნოემბერს ვერც ჯონ მაკკეინს დაუკავშირდა და ვერც დიკ ჩეინს. ამასვე ცდილობდა გიგა ბოკერიაც, მაგრამ ამაოდ. რიჩარდ ჰოლბრუკმა კი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა მოიმიზეზა და მათთან ლაპარაკს თავი აარიდა, თუმცა მალე გააკეთა სააკაშვილის ხელისუფლების ქმედების დამგმობი განცხადება.

**მოკლედ, „იმედის“ დარბევა ამერიკაში გადაწყდა და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის, დიკ ჩეინის გეგმით განახორციელა გიგა ბოკერიამ, ხოლო მერე უგანეს სააკაშვილს, რადგან ევროპული საზოგადოებრივი აზრი და მედია დაუპირისპირდა საქართველოს ხელისუფლებას. ამერიკის ადმინისტრაციაც იძულებული გახდა, გადაწყობილიყო ევროპელთა ჰანგებზე. სააკაშვილს კი განაჩენი უკვე თბილისში გამოუტანეს, ოღონდ — ისევ ამერიკელებმა, ჯონ ტეფტმა და მეთიუ ბრაიზამ კატეგორიულად მოსთხოვეს, გადამდგარიყო.**

სააკაშვილი მართალი გამოდგა — მომხდარზე პასუხისგება მას მოუწია და გადადგა, გიგა ბოკერიამ კი კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა ამერიკელ პატრონებთან დავალების უზადოდ შესრულების გამო.

**ლევან ჯავახიშვილი**

საქართველო და მსოფლიო
სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მსჯავრდებულთა სულ ცოტა 70 პროცენტს არ აქვს იმის უფლება, რომ იქონიოს პირველადი მოხმარების ნივთები, შესაბამისად, ისინი ვერ ახერხებენ პირადი ჰიგიენის დაცვას, რაც, ბუნებრივია, ძალიან დიდ დისკომფორტს უქმნით. პატიმართა უდიდეს ნაწილს ასევე არ აქვს უფლება, იქონიოს დანა, ჩანგალი, კოვზი და იძულებულია, წვნიანი საკვები, როგორც ცხოველმა, ისე მიიღოს.“**

**ციხეებში არსებულ მდგომარეობასა და, ზოგადად, ადამიანის უფლებების დარღვევის ბოლოდროინდელ ფაქტებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**





## ნანა კაკაბაძე:

# როცა პატიმრები მოითხოვენ ექიმს, მათ უმოწყალოდ სცემენ და ეუბნებიან, აი, ეს არის შენი ექიმიო

**— ქალბატონო ნანა, სახალხო დამცველის ბოლო დასკვნაში საუბარი იყო იმაზე, რომ მსჯავრდებულთა სიკვდილიანობა კატასტროფულად იზრდება. რა შეიცვალა მას შემდეგ, მინიმალურად მაინც თუ გაუმჯობესდა მაჩვენებელი?**

— არანაირი გაუმჯობესების ნიშნები, სამწუხაროდ, არ ჩანს, იმ თვალსაზრისით, რომ გაუმჯობესება არ გამოიხატება მხოლოდ ციფრებში. საერთოდ, ციფრებით მანიპულირება ამ ხელისუფლებას ახასიათებს და ეს არის ამათი ერთ-ერთი ჩვეული მეთოდი, რითაც ხდება ხოლმე იმ უკიდურესად შემაშფოთებელი სტატისტიკის გაყალბება, რაც რეალურად არის ქვეყანაში.

**— კონკრეტულად რომელ მეთოდს გულისხმობთ?**

— მას შემდეგ, რაც ამათი ძალადობრივი პოლიტიკის შედეგად უკვე სამნიშნა ციფრებში გამოიხატებოდა გარდაცვლილ მსჯავრდებულთა რაოდენობა, ხელისუფლება მიხვდა, რომ საერთაშორისო რეაგირება იქნებოდა უკიდურესად მწვავე და მოიფიქრეს ამ ციფრების შემცირების სხვადასხვა მეთოდი. ერთ-ერთი მეთოდი კი იყო ის, რომ პატიმრები, რომლებიც უკვე გარდაცვალების პირას იყვნენ და რამდენიმე დღე ან საათი ჰქონდათ დარჩენილი, გადაჰყავდათ ქალაქის საავადმყოფოებში, უტარდებოდათ ვითომ მკურნალობა და გარდაცვალების შემდეგ უკვე ისინი ეწერებოდნენ არა პენიტენციარულ სისტემას, სადაც რეალურად მიჰყავდათ სიკვდილის პირამდე, არამედ ქალაქის საავადმყოფოებს.

ამით ციხეებში **სიკვდილიანობის მაჩვენებელი, რასაკვირველია, შემცირდა, მაგრამ შემცირდა მხოლოდ ოფიციალურ მონაცემებში, ფორმალურად, რეალურად კი საპყრობილეებში ისევ გაუსაძლისი პირობებია, მსჯავრდებულების მიმართ ისევ ხშირია არაადამიანური მოპყრობა და შესაბამისად, პატიმართა სიკვდილიანობაც კატასტროფულად იზრდება.** ეს არის პროცესი, რომელიც დღითიდღე სულ უფრო თვალშისაცემი ხდება და ამას ხედავს ყველა — ადვოკატებიც და უფლებადამცველებიც, მაგრამ ამ ხელისუფლებას ეს, უბრალოდ, არ აინტერესებს და გაგონებაც არ უნდა, რომ არ შეიძლება ოცდამეერთე საუკუნეში ცივილიზებულ ქვეყანაში ასეთი რამ ხდებოდეს...

**— სახალხო დამცველის დასკვნაშიც ეწერა, რომ ავადმყოფ მსჯავრდებულებს არ უტარდებათ შესაბამისი მკურნალობა და მაღალი სიკვდილიანობის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ეს იყო დასახელებული. ახლა რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით?**

— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ დღესდღეობით ამ მხრივ ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობაა, ვიდრე, ვთქვათ, შარშან და შარშანწინ იყო. მეტსაც გეტყვით, ხშირია შემთხვევები, როცა ავადმყოფი პატიმრები მოითხოვენ ექიმს ან წამალს, ტკივილგამაყუჩებელს, გულის საშუალებას და ა.შ. და მათთან შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომლებიც სცემენ იმის გამო, რომ მათ მოითხოვეს ექიმი და ეუბნებიან, აი, ეს არის შენი ექიმი, ეს არის შენთვის წამალიო. ასეთი მეთოდებით ხდება პატიმრობის დატერორება და გაჩუმება, რათა ამ ადამიანებმა ვერ გაბედონ ხმის ამოღება და შეეგუონ იმ რეჟიმს, იმ უსამართლობას, რომელიც საპყრობილეებში სუფევს...

**— არადა, ამასწინათ მონაკოს პრინცი რომ იყო ჩამოსული, კალმახელიძე ფეხდაფეხ დასდევდა და თავს აწონებდა, „საათივით აწყობილი“ სასჯელაღსრულების სისტემა გვაქვსო.**

— ყველამ ვიცით, რომ ამ ხელისუფლების პოლიტიკა პიარია – გარეგნულად დემოკრატიული და შინაგანად ავტორიტარული. ზუსტად ასეა ციხეებშიც: ზოგიერთი საპყრობილე გარედან გალამაზდა, შეიღება, გადაიხურა და ა.შ. მაგრამ შიგნით ზუსტად იგივე მდგომარეობაა, რაც იყო მანამდე და უფრო უარესიც. ანუ იმის თქმა მინდა, რომ წამება, არაადამიანური მოპყრობა და შეურაცხყოფა ისევ ხდება ციხეებში და ხელისუფლების მხრიდან ამაზე არანაირი რეაგირება არ არის; ასე რომ, ცხადია, **ესენი ყველანაირად ცდილობენ, ვიღაც-ვიღაცების თვალში ქულები დაიწერონ იმით, რომ სადღაც ფასადები შეღებეს თუ ჭერი გაარემონტეს, მაგრამ რეალურად ნათლად ჩანს და ყველამ ვიცით, რომ ის, რაც დღესდღეობით ციხეებში ხდება, დემოკრატიის ფარგლებსა და ჩარჩოებში არანაირად არ ჯდება.**

**— ერთია, როცა გარკვეული ზემოქმედება ხორციელდება პოლიტპატიმარზე, რომლის მიმართაც ხელისუფლებას შეიძლება რამე ინტერესები გააჩნდეს, მაგრამ, თქვენი აზრით, რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს ჩვეულებრივი, რიგითი პატიმრის მიმართ ზეწოლა და მით უმეტეს, არაადამიანური მოპყრობა?**

— ეს არის ზოგადი პოლიტიკა, რომელიც ეხება არა მხოლოდ პოლიტპატიმრებს, არამედ ყველას, ვინც ციხეშია და სასჯელს იხდის. რაც შეეხება ამ პოლიტიკის მიზანს, ამით ხელისუფლება ცდილობს, მუდმივ ტერორსა და შიშში ჰყავდეს, პირველ რიგში, პატიმრები და შემდეგ ასევე საზოგადოებაც, ვინაიდან, როცა ადამიანმა იცის, რომ მისი ოჯახის წევრი, ახლობელი თუ ნათესავი, რომელიც ციხეშია, შეიძლება, სერიოზულ საფრთხეში აღმოჩნდეს, თუ ის რამე ისეთს გააკეთებს, რაც ხელისუფლებას ხელს არ აძლევს, ვთქვათ, აქციებზე, მიტინგებზე თუ გავა, მაშინ, რასაკვირველია, ის ადამიანი მუდმივად იქნება დაშინებული და დატერორებული. ეს ყველაფერი ამ ხელისუფლოებამ ძალიან კარგად იცის და ამიტომაა, რომ წამება და სისასტიკე ციხეებში დღითიდღე სულ უფრო ხშირდება...

**— წინა ხელისუფლების დროს პატიმართა რაოდენობა გაცილებით უფრო ნაკლები იყო და დანაშაულიც უფრო ხშირად ხდებოდა. თქვენი აზრით, ის ფაქტი, რომ ქვეყანაში მსჯავრდებულთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება, ერთის მხრივ, ხომ არ მიგვანიშნებს იმაზეც, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები ეფექტურად მუშაობენ?**

— ეს არის ამ ხელისუფლების ლოგიკა, რითაც ცდილობენ არსებული რეჟიმის გამართლებას, მაგრამ რეალურად ჩვენ ვხედავთ, რომ არანაირი სამართალი ქვეყანაში არ არის. თუ პოლიციელი არ იღებს ქრთამს და ქუჩაში მანქანებს არ იპარავენ, არ ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგადაა, ეს ასეც უნდა იყოს. ამდენად, **როცა წესრიგსა და სამართლიანობაზეა საუბარი, პირველ რიგში, ის უნდა ითქვას, რომ ციხეები პოლიტპატიმრებითაა გატენილი, რომ სტატისტიკურად მსჯავრდებულთა რაოდენობა ყოველთვიურად ოთხასი პატიმრით იზრდება; რომ წამება და არაადამიანური მოპყრობა უკვე წარმოუდგენელ მასშტაბებს აღწევს და ა. შ.**

რაც შეეხება წინა ხელისუფლებას, რომელიც თქვენ ახსენეთ, მინდა გითხრათ, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, მაშინ ციხეებში გაცილებით უკეთესი პირობები იყო შექმნილი, ადმინისტრაციაც გაცილებით უფრო ლმობიერად ექცეოდა პატიმრებს და სიკვდილიანობაც გაცილებით ნაკლები იყო.

**— სააკაშვილი კი კვლავაც გამუდმებით იმას გაიძახის, — აი, როგორ იყო მაშინ და როგორაა ახლაო...**

— შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ 90-იან წლებშიც კი, როცა ქვეყანაში არეულობა და სრული განუკითხაობა იყო, ციხეებში პატიმართა მიმართ მოპყრობა რაღაცნაირად უახლოვდებოდა იმ სტანდარტებს, რომელსაც ჰქვია ევროპული სტანდარტი. კომუნისტების დროს კიდევ საერთოდ არ იდგა საკითხი არის თუ არა მსჯავრდებულის უსაფრთხოება გარანტირებული. მე, მაგალითად, როცა სასჯელს ვიხდიდი, ეს იყო 1983-85 წლები, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ციხის ადმინისტრაცია იყო გაცილებით უფრო ადამიანური და კანონმდებლობაც იყო გაცილებით უფრო ლიბერალური, ვიდრე დღესაა; რაც შეეხება სიკვდილიანობისა და დაავადებათა მაჩვენებელს, ეს მინიმუმამდე იყო დაყვანილი. გარდა ამისა, მაშინ თუ პატიმარი სასჯელს იხდიდა დახურული ტიპის ციხეში, ე.წ. კრიტში, ერთი დღე ეთვლებოდა სამ-ოთხ დღედ, ანუ მას ჰქონდა არჩევანის საშუალება, წასულიყო დახურული ტიპის ციხეში და უფრო მალე მოეხადა სასჯელი ან წასულიყო ღია ტიპის ციხეში და მოეხადა სასჯელი სრულად, თუმცა იქაც იყო გარკვეული შეღავათები; დღეს კი როგორ ხდება — არანაირი არჩევანის უფლება პატიმარს არ აქვს, მან არ იცის, რომელ ციხეში მოუწევს სასჯელის მოხდა, ვინაიდან ამას ყველაფერს წყვეტს ციხის ადმინისტრაცია და თანაც ისე, რომ არანაირად მსჯავრდებულის ინტერესები, მისი მდგომარეობა არ არის გათვალისწინებული. აი, ეს არის ამათი ე. წ. ლიბერალური პოლიტიკის შედეგი...

**— საუბრის დასაწყისში თქვენ თქვით, რომ ხშირია ღირსების შემლახველი მოპყრობა. კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს ყველაფერი?**

— პირველ რიგში, ეს გამოიხატება იმ დამოკიდებულებაში, რაც ციხის ადმინისტრაციას, დაწყებული ბადრაგიდან, დამთავრებული მაღალი თანამდებობის პირებით, პატიმრების მიმართ გააჩნიათ. **მსჯავრდებულთა სულ ცოტა 70 პროცენტს არ აქვს იმის უფლება, რომ იქონიოს პირველადი მოხმარების ნივთები, შესაბამისად, ისინი ვერ ახერხებენ პირადი ჰიგიენის დაცვას, რაც, ბუნებრივია, ძალიან დიდ დისკომფორტს უქმნით. პატიმართა უდიდეს ნაწილს ასევე არ აქვს უფლება, იქონიოს დანა, ჩანგალი, კოვზი და იძულებულია, წვნიანი საკვები, როგორც ცხოველმა, ისე მიიღოს.** ციხის ადმინისტრაციას რომ ჰკითხოთ, ასე იმიტომაა, რომ ხშირია შემთხვევები, როცა პატიმარმა ეს ნივთები გამოიყენა ცივ იარაღად და ზიანი მიაყენა სხვას ან საკუთარ თავს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არგუმენტი არ არის.

ნორმალურ და ცივილიზებულ ქვეყანაში, რომელსაც პრეტენზია აქვს დემოკრატიაზე, მსჯავრდებულს ყველა პირობა უნდა ჰქონდეს იმისთვის, რომ სასჯელი ადამიანურ გარემოში მოიხადოს. ხოლო, როცა საუბარია ისეთ პატიმარზე, რომელიც შეიძლება მართლა რამე საფრთხეს წარმოადგენდეს ვინმესთვის, ის უნდა მოთავსდეს ცალკე და მასზე უნდა იყოს განსაკუთრებული მეთვალყურეობა დაწესებული. სამწუხაროდ, ჩვენთან დღემდე არათუ ეს ვერ ხერხდება, არამედ პატიმრებს ისეთ პირობებში უწევთ სასჯელის მოხდა, რომ ზოგიერთი ამას ფსიქოლოგიურად ვერ უძლებს და ხშირია შემთხვევები, როცა მსჯავრდებულმა თავის მოკვლა სცადა, გარკვეული ზიანი მიაყენა საკუთარ თავს და ა.შ. არაფერს ვამბობ იმ დაავადებებზე, რომლებიც სწორედ ამ გაუსაძლისი და არაადამიანური პირობების გამო მოდებულია მთელ საპყრობილეებს...

**— საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების მხრიდან თუ ხდება ადეკვატური რეაგირება ამ ყველაფერზე?**

— რა თქმა უნდა, ხდება. მაგალითად, თომას ჰამერბერგის ბოლო სამ დასკვნაში შავით თეთრზე წერია, რომ საქართველოს ციხეებში გაუსაძლისი პირობებია და ირღვევა პატიმართა უფლებები. ანალოგიური შინაარსისაა ხოლმე სხვა საერთაშორისო უფლებადამცველთა დასკვნებიც და ჯამში ეს სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქვეყანაში ამ მხრივ მართლაც უმძიმესი მდგომარეობაა...

არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, რომ დღეს ევროპა საქართველოსგან ელის მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიას, ვინაიდან ჩვენ არ ვართ ქვეყანა, რომელიც ნავთობით ან სხვა რაიმე წიაღისეული სიმდიდრეებით შეიძლება აინტერესებდეს მსოფლიოს; აქედან გამომდინარე, ჩვენთვის, ბუნებრივია, ერთი-ორად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებები და მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოსთვის სწორედ ეს უნდა იყოს ყველაზე პრიორიტეტული, თუმცა **იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდეს, რათა დემოკრატიის განვითარება უზრუნველყოს, ჩვენ ვხედავთ, რომ არსებული რეჟიმი პირიქით, ახშობს ამ პროცესებს და ქვეყანას საბოლოოდ უსპობს განვითარების პერსპექტივას. ეს არის ტიპური ავტორიტარიზმის ნიშანი, რასაც ეს ხელისუფლება უკვე ვერ მალავს და, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამას უკვე ხედავს მთელი მსოფლიო, მათ შორის ის პოლიტიკური ძალებიც, რომელთა იმედიც მიხეილ სააკაშვილსა და მის გარემოცვას ჰქონდა...**

**«ციხეები პოლიტპატიმრებითაა გატენილი, სტატისტიკურად მსჯავრდებულთა რაოდენობა ყოველთვიურად ოთხასი პატიმრით იზრდება; წამება და არაადამიანური მოპყრობა უკვე წარმოუდგენელ მასშტაბებს აღწევს...»**

ესაუბრა
**ჯაბა ჭვანია**

**ივანიშვილის მიერ დეკლარირებული პოლიტიკური ბრძოლის სტრატეგია სწორი და გამართლებულია, თუმცა სააკაშვილისთვის — არახელსაყრელი... ამიტომაც ხელისუფლების მიერ განხორციელებული ზეწოლისა და რეპრესიების მიზანს წარმოადგენს ივანიშვილის რაციონალური პოლიტიკიდან ქუჩის პოლიტიკაზე გადაყვანა, რის მიღწევაც, დიდი ალბათობით, მაღალ მიხეილს გაუჭირდება.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შარყოფილი მარიონეტი

**ქართულ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, რამაც სტაგნაციის პროცესში მყოფი ქართული პოლიტიკური ცხოვრება ელვისებურად გამოაცოცხლა და ქართველ ერს ისევ მომავლის და ხელისუფლების შეცვლის იმედი ჩაუსახა. თუმცა ივანიშვილის პოლიტიკური გააქტიურება მაღალი მიხეილისთვის ნამდვილი შოკი იყო, ვინაიდან ერთ დროს ჩრდილში მყოფმა პიროვნებამ, რომელსაც უდიდესი ფინანსური რესურსები გააჩნია, მისი რეჟიმის დემონტაჟისთვის რეალური კონტურები მოხაზა.**

სააკაშვილი კარგად ხვდება, რომ ივანიშვილისთვის კონკურენციის გაწევა გაუჭირდება და მისთვის ჩვეული მეთოდებით ვერ გადალეუნავს. მიუხედავად გასული წლების პოლიტიკური კატაკლიზმებისა და მრავალათასიანი მიტინგებისა, ძალაუფლების დაკარგვის ასეთი რეალური საფრთხე მას არასოდეს დამუქრებია. უფრო მეტიც, მაღალ მიხეილს ბიძინა ივანიშვილის მსგავსი კონკურენტი ჯერ არ ჰყოლია, რადგან მას, გარდა მძლავრი ფინანსური რესურსებისა, პიროვნული რესურსი გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე ერთად აღებულ მთელ „ნაციონალურ მოძრაობას“. გარდა ამისა, რაც ყველაზე მეტად უშლის ნერვებს სააკაშვილს, ის არის, რომ ივანიშვილი არ არის ორიენტირებული ქუჩისკენ და რადიკალური მეთოდებით ხელისუფლების ცვლილებისკენ. მან მკაფიოდ განაცხადა, რომ რევოლუციის გზით პოლიტიკურ პროცესებს არ წაიყვანს: **„ძალიან მეშინია, ქუჩის აქციები არ დაიწყოს, რაც ამათ აწყობს. არ უნდა ვითამაშოთ მათი თამაში. როგორმე არჩევნებამდე უნდა მივიდეთ... სიტყვა „რევოლუციის“ გაგონებაც არ მინდა და არც სიტყვა „ქუჩის“ ხსენება მინდა. ხელისუფლების არჩევნებით შეცვლის პირველი პრეცედენტი უნდა შევქმნათ. ეს ერთ-ერთი დიდი წარმატება იქნება“.**

**ივანიშვილის მიერ დეკლარირებული პოლიტიკური ბრძოლის სტრატეგია სწორი და გამართლებულია, თუმცა სააკაშვილისთვის — არახელსაყრელი, რადგან ივანიშვილის ქუჩაში გაყვანას თუ ვერ შეძლებს, დასავლელ პარტნიორებს ვერ ეტყვის, რომ ის მარგინალი, კონსტიტუციური წესწყობილების წინააღმდეგ მებრძოლი „რუსეთის აგენტია“ და მის მიმართ მკაცრი ზომების გატარებას სახელმწიფო ინტერესების დაცვა მოითხოვს. მაგრამ, თუ ამას მიაღწევს, მაშინ შეეცდება მის დაპატიმრებას ან ქვეყნიდან გაძევებას, როგორც ოქრუაშვილის შემთხვევაში მოხდა. ამიტომაც ხელისუფლების მიერ განხორციელებული ზეწოლისა და რეპრესიების მიზანს წარმოადგენს ივანიშვილის რაციონალური პოლიტიკიდან ქუჩის პოლიტიკაზე გადაყვანა, რის მიღწევაც, დიდი ალბათობით, მაღალ მიხეილს გაუჭირდება.**

სტატიაზე მუშაობის დროს გონებაში სტანისლავ ეჟი ლეცის ფრთიანი ფრაზა ამომიტივტივდა: **„მარიონეტის ჩამოსახრჩობად თოკის ძებნა საჭირო არ არის“.** დიახ, საჭირო არ არის, რადგან მისი სცენიდან გაყვანა ზედვე მიბმული თოკით არის შესაძლებელი. შესაბამისად, ამერიკელებს სააკაშვილის პოლიტიკური ძალაუფლებიდან ჩამოსაშორებლად რაიმე სერიოზული ღონისძიების გატარება აღარ დასჭირდება და მას უპრობლემოდ „გადააყენებენ“, თუ საამისო მიზეზი იარსებებს, როგორც ეს მუბარაქის შემთხვევაში მოხდა.

სააკაშვილი, მართალია, მარიონეტია, მაგრამ აქტიური, ძალაუფლების მოყვარე მარიონეტი, რომელიც უკანასკნელ წუთამდე ეცდება ძალაუფლების შენარჩუნებას. ამის მისაღწევად ის ყველა გზას გამოიყენებს. **ამ ეტაპზე სააკაშვილის მიზანია, მანამდე მოახდინოს პოლიტიკოს ივანიშვილის დისკრედიტაცია, სანამ ამერიკა და ევროპა მისით დაინტერესდება და დადებითად განეწყობა, ანუ სანამ გააანალიზებენ დასავლეთის ქვეყნის ლიდერები, რომ საქართველოში ძლიერი პოლიტიკური მოთამაშე გამოჩნდა, რომელსაც შესწევს უნარი, ხელი შეუწყოს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებასა და რაციონალური საერთაშორისო პოლიტიკის გატარებას,** ამ უკანასკნელი საკითხისადმი ბიძინა ივანიშვილის ხედვა აბსოლუტურად სწორი და გამართლებულია. **„მიმაჩნია, რომ რომელიმე ერთი ქვეყნის სატელიტი არ უნდა ვიყოთ; არ უნდა გავაუარესოთ და მხოლოდ უნდა გავაუმჯობესოთ ურთიერთობა ამერიკასთან, კიდევ უფრო გავაღრმავოთ ურთიერთობა ევროპასთან და დავალაგოთ ურთიერთობა რუსეთთან. ჩვენ ყველასთვის საინტერესო უნდა ვიყოთ და ამით ვიპოვოთ ჩვენთვის საინტერესო ადგილი ცის ქვეშ. დარწმუნებული ვარ, რომ ამას მოვახერხებთ... მაქვს იმედი, რომ გლობალურ პოლიტიკაში მოხდება დაახლოებები და ხისტი პოზიციები შერბილდება... საქართველოს შეუძლია იპოვოს როლი, რომელიც მისაღები იქნება აშშ-ისთვის, ევროპისა და რუსეთისთვის!“** — აცხადებს ივანიშვილი.

შეუძლებელია, არ დაეთანხმო, რადგან უკვე დადგა დრო — საქართველო, როგორც სრულფასოვანი სახელმწიფო მარიონეტული მდგომარეობიდან აქტიურ მოთამაშედ გადაიქცეს და სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ დამიზნებულ ზარბაზანში მოთავსებული ყუმბარის როლს დაემშვიდობოს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის „ოქროს შუალედი“, რაც მისცემს შესაძლებლობას საქართველოს, აღიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი და დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი საერთაშორისო არენაზე.

**„ნაცმოკრატებისთვის“ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური გააქტიურება საშიშია არა მარტო იმიტომ, რომ მას აქვს ბევრი ფული, არამედ ივანიშვილს შესწევს უნარი, მმართველ გუნდს გამოაცალოს ყველა ის რესურსი, რომელიც სააკაშვილის ერთპიროვნული ძალაუფლების უსაფრთხოებას განაპირობებს. კერძოდ, პროდასავლურ ძალებთან — ალასანიასა და რესპუბლიკელებთან, ალიანსის შექმნით შეუძლია დასავლეთის მხარდაჭერა 180 გრადუსით თავისკენ შემოაბრუნოს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქართულ პოლიტიკურ რეალობაში და დასავლეთის მეშვეობით აიძულონ სააკაშვილი, ჩამოშორდეს პოლიტიკურ სადავებს.** ივანიშვილი ცდილობს, ჩამოაყალიბოს ძლიერი ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი, რომელიც ხელისუფლების შეცვლაზე იქნება ორიენტირებული, მანამდე კი სააკაშვილის აბსოლუტურ ძალაუფლებას დააბალანსებს და საზოგადოებასაც მიეცემა სწორი არჩევნების გაკეთების საშუალება. ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლით საზოგადოებას დაუბრუნდა რწმენა, რომ არჩევნებით შესაძლებელია ხელისუფლების ცვლილების მიღწევა. გარდა ამისა, ივანიშვილის თამამ ნაბიჯს მიბაძავენ საქართველოში მოღვაწე სხვა ქართველი ბიზნესმენები, რომლებსაც, წლებია, სააკაშვილის რეჟიმი ატერორებს და ფულს სძალავს, და შეუწყვეტენ ხელისუფლებას დაფინანსებას.

დღეს სააკაშვილის რეჟიმი აგონიაშია, მან პოლიტიკური პროცესებისადმი ადეკვატური დამოკიდებულების უნარი სრულიად დაკარგა და მხოლოდ რეპრესიული მეთოდებით აგრძელებს „მოღვაწეობას“. ვინაიდან სააკაშვილის ყველაზე დიდი საფრთხე ამ ეტაპზე ივანიშვილია, მის მიმართ რეპრესიული მანქანა უკვე მთელი სიმძლავრით ამოქმედდა: პოლიცია ყაჩაღურად თავს დაესხა ბიზნესმენის კუთვნილ ბანკი „ქართუს“ საინკასაციო მანქანას და ხუთ მილიონამდე უცხოური ვალუტა „დააპატიმრა“, მოქალაქეობა ჩამოართვეს ივანიშვილს და მის მეუღლეს, ბანკი „ქართუს“ მომსახურებაზე უარი ათქმევინეს მეცნიერებათა აკადემიისა და ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს და ა. შ. ეს ყოველივე უსამართლო და არაგონივრული გადაწყვეტილებაა, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს სააკაშვილის ხელისუფლების აღსასრულის მოახლოებას.

**სააკაშვილის რეჟიმის მიერ განხორციელებული რეპრესიული პოლიტიკა გარკვეულწილად უბიძგებს გამწარებულ ხალხს ქუჩისკენ, მაგრამ საზოგადოება უკვე კარგად აცნობიერებს, რომ სააკაშვილის ჩამოშორება ქუჩიდან ვერ მოხდება და ამისთვის აუცილებელია განხორციელდეს ხელისუფლების ცვლილება არჩევნების გზით და ამ პროცესში მიეცეს ივანიშვილს მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.**

წინააღმდეგ შემთხვევაში, მრავალწლიანი დიქტატურის პირობებში ცხოვრება გარდაუვალი იქნება, რაც გააღრმავებს კრიზისს ქვეყნის შიგნით და კიდევ უფრო მეტად დაძაბავს ურთიერთობას მეზობელ თუ პარტნიორ სახელმწიფოებთან.

უკვე ყველასთვის თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ივანიშვილის პოლიტიკური გააქტიურების შემდეგ მაღალი მიხეილის მხარდამჭერთა წრე ვიწროვდება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. სააკაშვილისთვის სილის გაწნის ტოლფასი იყო აშშ-ის ელჩის, ჯონ ბასის მეთაურობით დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების დემონსტრაციული მისვლა საქართველოს მოქალაქეობა ჩამორთმეულ ივანიშვილის სასახლეში. **„ბიძინა ივანიშვილი შედარებით ახალი ფიგურაა ქართულ პოლიტიკაში... ჩვენ ვმუშაობთ მთლიანად პოლიტიკურ სპექტრთან. მხოლოდ იმ ძალებთან არ ვითანამშრომლებთ, რომლებიც ძალადობის პოლიტიკურ ინტრუმენტად გამოყენებას შეეცდებიან. მნიშვნელოვანია, რომ იყოს ისეთი სათამაშო ველი, სადაც ყველა მონაწილისთვის თანაბარი შესაძლებლობა იქნება,“** — განაცხადა შეხვედრის შემდეგ ჯონ ბასმა, რაც იყო ირიბი აღიარება იმისა, რომ ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა უკანონო გადაწყვეტილება იყო.

სააკაშვილი კრიტიკას მისი გულმხურვალე პროპაგანდისტების — ვალერია ნოვოდვორსკაიასა და კონსტანტინ ბოროვოის მხრიდანაც ვერ ასცდა, რომლებმაც სააკაშვილი, პუტინის მსგავსად, ავტორიტარული მმართველობის დამყარების მცდელობაში დაადანაშაულეს. არც ის უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა, რაც საქართველოში ვიზიტად მყოფმა ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ უილიამ ბერნსმა დაგვიბარა (ჩვენ რა... მიშას დაუბარა!): **„მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, განახორციელოს საარჩევნო კოდექსისა და პოლიტიკური გარემოს რეფორმა, რათა უზრუნველყოფილი იქნას მომავალი ორი წლის განმავლობაში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, რისი შედეგიც იქნება 2013 წელს ხელისუფლების სრულად დემოკრატიული გადაცემა“.**

საქართველოში პოლიტიკური პროცესების „კადაფიზაციის“ თავიდან არიდების მიზნით, მოსახლეობის აქტიურობაზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს „გარე თვალს“ და მათ ობიექტურ პოზიციას. ამ ეტაპზე ვითარება უკეთესობისკენ იცვლება, რადგან საერთაშორისო საზოგადოება თანდათან უფრო დიდ ინტერესს გამოხატავს პოლიტიკოსი ივანიშვილისადმი, რაც სააკაშვილისთვის ფეხქვეშ მიწის გამოცლის ტოლფასია. როგორც ჩანს, სააკაშვილის „ძალაუფლება“ კართაგენის ბედს არც ისე შორეულ მომავალში გაიზიარებს.

**საერთაშორისო საზოგადოებისა და ქართველი ერის აზრის გათვალისწინებით, სააკაშვილი იძულებული გახდება, მიანიჭოს მოქალაქეობა ივანიშვილს და მისცეს პოლიტიკურ პროცესებში სრულფასოვანი მონაწილეობის შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკური პროცესები ქვეყანაში უმართავი გახდება, რომლის გაკონტროლებას სააკაშვილის რეჟიმი ვერ შეძლებს, თუნდაც „კუდიანებზე“ ნადირობის საბაბით, რადგან „რუსეთის აგენტის“ იარლიყის მიკერების მუქარა აზვირთებული ხალხის ძალას წინ ველარ დაუდგება და შესაძლოა, „არაბული გაზაფხული“ „ქართულ შემოდგომად“ გადაიქცეს.**

სააკაშვილის რეჟიმი, რომელსაც კონსტიტუცია, კანონის უზენაესობის პრინციპი და საზოგადოების აზრი საერთოდ არ აინტერესებს, ხოლო პოლიტიკური ოპონენტების დასათრგუნად ყველანაირ უკანონო მეთოდს მიმართავს, თანდათან უკვე ყალიბდება სრულფასოვან დიქტატურად, ხოლო ყველა დიქტატორის საბოლოო „ნავსაყუდელი“ პოლიტიკური სანაგვეა, სადაც ხალხის რისხვისა და სიძულვილის შედეგად აღმოჩნდება ხოლმე.

როგორც ჩანს, სააკაშვილი რთული არჩევანის წინაშე დადგა: ან ძალაუფლების შესანარჩუნებლად საკუთარი მოსახლეობის ტერორს გააგრძელებს და საქართველოს უგისოსო ციხედ გადააქცევს, რის შემდეგაც კადაფის ბედის გაზიარებისთვისაც მზად უნდა იყოს, ან სერიოზული დაპირისპირების გარეშე, როგორც ეს მისმა მეგობარმა ვიქტორ იუშჩენკომ გააკეთა, დათმობს ძალაუფლებას და ხელისუფლებას მის „კანონიერ“ მფლობელს — ხალხს დაუბრუნებს.

**ზურაბ ჯამბურია**



რეგიონი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზაზა გოროზიამ მარტო 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხელფასის, პრემიისა და სამივლინებო ანაზღაურების სახით აიღო 120 000 ლარი, ანუ ყოველთვიურმა ანაზღაურებამ შეადგინა 10 000 ლარი. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ლუკმაპურისა და წამლის საყიდელი თანხა არ გააჩნია. 2010 წელს გოროზიამ პრემია 17 ჯერ აიღო, პრემია აიღო შვებულებაში ყოფნის პერიოდშიც. რა დამსახურებისთვის ერიცხებოდა გოროზიას პრემია ყოველთვიურად, ზოგ შემთხვევაში — თვეში ორჯერ, ამაზე პასუხს არავინ იძლევა.**

# ზაზა გოროზია გუბერნატორობისას ხელფასზე ორჯერ მეტ პრემიას იღებდა



**ახლახან სოფლის მეურნეობის მინისტრად დაწინაურებული სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი ზაზა გოროზია, რომელიც თითქმის არასდროს იმყოფებოდა თავის სამოქმედო რეგიონში, ხელფასზე ორჯერ მეტ პრემიას იღებდა ყოველთვიურად, ზოგ შემთხვევაში კი — თვეში ორჯერაც.**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს „თავისუფალი დემოკრატებიდან“, გია ალასანიას მოთხოვნის საფუძველზე, მოუვიდა პასუხი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროს მ. ციკუტანიასაგან: **„თქვენი მიმდინარე წლის 21 ოქტომბრის წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულს — გუბერნატორს 2010 წელს დაერიცხა თანამდებობრივი სარგო 35 400 ლარი, პრემია — 53 100 ლარი და მივლინების ანაზღაურება — 31 501 ლარი; 2011 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით — თანამდებობრივი სარგო 26 550 ლარი, პრემია — 35 400 ლარი, მივლინების ანაზღაურება — 30 267 ლარი. სულ ადმინისტრაციის თანამშრომლებზე დარიცხული პრემიები 2010 წელს შეადგენდა: „220 081 ლარს, 2011 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით კი — 127 120 ლარს“.**

გია ალასანიას განმარტებით, ასეთი „წარმატებული“ მუშაობის გამო დააწინაურეს სოფლის მეურნეობის მინისტრად ზაზა გოროზია: **„მაშინ, როდესაც ხელისუფლება მოსახლეობის მოსატყუებად „ქამრების მოჭერაზე“ ამახვილებს ყურადღებას, მისი ჩინოვნიკები დიდძალ თანხას ითვისებენ ბიუჯეტიდან. რა დამსახურებისთვის იღებდა გოროზია ხელფასზე გაცილებით მეტ პრემიას ყოველთვიურად ანდა სად დადიოდა ის ასეთ ძვირადღირებულ მივლინებებში, რა საქმეებს აკეთებდა? გოროზია სოფლის მეურნეობის მინისტრად კი არ უნდა დანიშნულიყო, არამედ მის მიმართ სამართლებრივი დევნა უნდა განხორციელებულიყო, მის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევათა გამო, რასაც ხელისუფლება არ განახორციელებს, რადგან მისთვის ჩვეულია კანონის შერჩევითი გამოყენება, რასაც ადასტურებს აშშ-ის დახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაც. ეტყობა, სამედიცინო დარგის სპეციალისტი ზაზა გოროზია ასევე „შემართებით“ გააგრძელებს მუშაობას სოფლის მეურნეობის სამინისტროში. იმედია, მის კვალს არ გაჰყვება ახლადდანიშნული გუბერნატორი გურამ მისაბიშვილი,“** — აღნიშნა „თავისფალი დემოკრატების“ ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელმა გია ალასანიამ.

ზაზა გოროზიამ მარტო 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხელფასის, პრემიისა და სამივლინებო ანაზღაურების სახით აიღო 120 000 ლარი, ანუ ყოველთვიურმა ანაზღაურებამ შეადგინა 10 000 ლარი. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ლუკმაპურისა და წამლის საყიდელი თანხა არ გააჩნია. **2010 წელს გოროზიამ პრემია 17 ჯერ აიღო, პრემია აიღო შვებულებაში ყოფნის პერიოდშიც. რა დამსახურებისთვის ერიცხებოდა გოროზიას პრემია ყოველთვიურად, ზოგ შემთხვევაში — თვეში ორჯერ, ამაზე პასუხს არავინ იძლევა.** წესით და რიგით, პრემია არის წამახალისებელი ღონისძიება და ის არანაირი ლოგიკით არ შეიძლება იყოს ხელფასის ოდენობის და მითუმეტეს ხელფასზე თითქმის ორჯერ მეტი და თანაც გაიცეს მუდმივად.

გავრცელებული ვერსიით, ზაზა გოროზიას არ უნდოდა სოფლის მეურნეობის მინისტრობა, რადგან ეძნელებოდა გუბერნატორის თბილი სავარძლის დატოვება, მაგრამ ხელისუფლებამ მასზე ზემოქმედების მოსახდენად თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია გამოუგზავნა. გოროზია მას გასძალიანებია, რის გამოც თურმე მაგარი მუშტიც მიუღია ახალაიასაგან და ისიც იძულებით დათანხმებულა.

ზაზა გოროზიას თბილისში გადაყვანას მიესალმნენ ფეხბურთის ზუგდიდელი გულშემატკივრები, რადგან ის ზუგდიდის „ბაიას“ საპატიო პრეზიდენტად ითვლება. **„ვიფიქრეთ, ახლა მაინც დაანებებს თავს „ბაიასო“, მაგრამ ის ცოცხალი თავით არ ეშვება გუნდს. მაინც ვერ გავიგეთ, რა კავშირი უნდა ჰქონდეს გუნდთან ჯერ გუბერნატორს, ახლა კი მინისტრს?! მან გადააგდო, ხელფასები არ მისცა ცნობილ მეკარეს ოთარ გაბელიას და მის მოყვანილ ცხრა ფეხბურთელს, რის გამოც მათ გუნდი დატოვეს. დაგვანებოს თავი და გუნდი ჩაიბაროს ისეთმა პიროვნებამ, რომელიც ზუგდიდის „ბაიაზე“ მართლა იზრუნებს,“** — განაცხადა ზუგდიდელ გულშემატკივართა კლუბის პრეზიდენტმა ცაცა შელიამ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზაზა გოროზია გარეული იყო სამეგრელოში დაფუძნებულ იტალიურ ფირმა „ფერეროს“ მიერ ატეხილ სკანდალში. „ფერეროს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ნიკა დალაქიშვილმა სასამართლო პროცესზე ზუგდიდში განაცხადა, რომ მან სხვადასხვა დროს ექვსჯერ მისცა თანხა ქრთამის სახით ზაზა გოროზიას. ამ აღიარებისთვის ნიკა დალაქიშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს, ხოლო გოროზია დააწინაურეს.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

# როლანდ ჯალაღანია — 70

**ბატონო როლანდ!**

საუკეთესო სურვილებით მოგესალმებით და გილოცავთ ღირსშესანიშნავ იუბილეს!

თქვენ მრავალმხრივი და იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი ბრძანდებით. მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი და საგამომცემლო საქმის უბადლო ორგანიზატორი დღეს წარმატებით რედაქტორობთ გაზეთ „ილორს“, რომელსაც ცნობისმოყვარედ ეწაფება მრავალრიცხოვანი მკითხველი.

საინტერესო და ამაღელვებელია თქვენი ბიოგრაფია. მამა დიდ სამამულო ომში დაგეღუპათ, მაგრამ ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს მუდამ ვაჟკაცურად ხვდებოდით, მუხლჩაუხრელად სწავლობდით, შრომობდით და ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბდით.

თქვენ მიერ განვლილი გზის უბრალო ქრონოლოგიაც კი იმდენად შთამბეჭდავია, რომ შეუძლებელია კაცმა გულგრილად გადაავლოს თვალი.

ინჟინერ-ეკონომისტის დიპლომით ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ შრომითი საქმიანობა დაიწყეთ თბილისის საავიაციო ქარხანაში, გატაცებული იყავით სპორტით, წარმატებებს აღწევდით საერთაშორისო ტურნირებში, რამაც თქვენში კიდევ უფრო განამტკიცა ჯანსაღი ცხოვრების რწმენა და იმედი.

1956 წლიდან თქვენს ასპარეზად იქცა ჟურნალისტიკა. ამ პერიოდში გახდით გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ლიტმუშაკი, შემდეგ კი — რედაქციის გამგე.

1976-1979 წლებში ჟურნალისტური საქმიანობა გააგრძელეთ ჟურნალ „ნიანგში“, სადაც კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გამოვლინდა თქვენი ლიტერატურული შესაძლებლობები.

სულ მალე გახდით დიდი გამომცემლობის დირექტორის მოადგილე, მოგვიანებით კი გადაგიყვანეს საკავშირო ჟურნალ „კროკოდილის“ კორესპონდენტად კავკასიის რეგიონში. თქვენი წარმატებული საგამომცემლო მოღვაწეობა გაგრძელდა გამომცემლობა „ხელოვნებასა“ და „მერანში“, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყავით დირექტორის მოადგილე.



თქვენი ბიოგრაფიის სამი მნიშვნელოვანი წელიწადი უცხოეთში, კერძოდ კი დიდ ბრიტანეთში გაატარეთ. მაშინ სწორედ თქვენი ინიციატივით მოხდა ზუგდიდისა და ქ. ვოროტინგის დაძმობილება. საგულისხმოა, რომ დღემდე ამ ქალაქის საპატიო მოქალაქე ბრძანდებით.

1995 წელს, დაბრუნდით რა საქართველოში, კვლავ სათავეში ჩაუდექით საგამომცემლო საქმიანობას. თქვენი ინიციატივით გამოიცა გრიგოლ რობაქიძის, ანა ახმატოვას, ნიკოლოზ გუმილიოვის, ისააკ ბაბელის, ანდრეი ბელისა და სხვა იმ დროისთვის ტაბუირებულ ავტორთა ქმნილებები. ამასთანავე, თქვენ მაღალმხატვრულად თარგმნეთ ვასილ ველიჩკოს „კავკასია“, სერგეი კრემლიოვის „ბერია მეოცე საუკუნის საუკეთესო მენეჯერი“, იგნატი კრაშევსკის ისტორიული რომანი „ძველი თქმულება“ და სხვ.

საგულისხმოა, რომ თქვენი სცენარი კინორეჟისორმა ბიძინა ჩხეიძემ გადაიღო მხატვრული ფილმი „მჭედელი“, თამარ დულარიძემ კი „დედის მოლოდინი“ („შავი მერცხალი“). ხართ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, „ფაზისის“ აკადემიის ნამდვილი წევრი და არაერთი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

ეს მცირე ჩამონათვალი მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს თქვენს მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ჩვენი მხრივ კი მადლობას მოგახსენებთ იმ ღვაწლისთვის, რაც თქვენ აქამდე გასწიეთ და გისურვებთ ახალი ენერგიის მოკრებას, რათა კვლავ ჩვეული ღირსებით ემსახუროთ ჩვენს ერსა და ქვეყანას.

ულრმესი პატივისცემით,

ტარიელ გაგნიძე — არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე;
ზაურ გახარია სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ კოორდინატორი;
ირაკლი თოდუა — გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორი;
გიორგი სიჭინავა — ჟურნალ „აიას“ მთავარი რედაქტორი;
თემურ ქორიძე — ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ მთავარი რედაქტორი;
ალექსანდრე ჭაჭია — სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ თავმჯდომარე, აკადემიკოსი;
არნო ხიდირბეგიშვილი — საქინფორმის მთავარი რედაქტორი.

## თქვენ გელით მიწისძვრა და ატომით ავღანეთი

**სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა განაცხადა, რომ დასავლეთის ქვეყნებს მიწისძვრა და ატომით ავღანეთი ემუქრება, თუ ისინი დამასკოს საქმეებში ჩაერევიან. „სირია – ეს არის რეგიონში ინტერესების გადაკვეთის ცენტრი.** ეს არის ადგილი, სადაც ერთდება ტექტონიკური ფილები. თუ ამას გავააქტიურებთ, პასუხად ძლიერ მიწისძვრებს მივიღებთ. თქვენ, ალბათ, გსურთ ახალი ავღანეთი ან ათი ავღანეთი ერთად. თუ თქვენ გსურთ სირიის დაყოფა, ეს მთელი რეგიონის დაყოფას გამოიწვევს,“ – განაცხადა სირიის პრეზიდენტმა.

## მუამარ კადაფი ცოცხალია?!

**მამაკაცი, რომელიც ქალაქ სირტიში ამბოხებულებმა მოკლეს, ლიბიის დიქტატორი მუამარ კადაფი არ არის.** ამის შესახებ ინგლისურენოვანი გამოცემა „ვატანი“ იუწყება, რომელიც ინკოგნიტო რუს ექსპერტს ეყრდნობა. წყაროს ინფორმაციით, მოკლულია კადაფის ერთ-ერთი ორეული, სახელად ახმიდი. ექსპერტი აცხადებს, რომ აქვს ამის დამადასტურებელი ფაქტები, მათ შორის, კადაფის დაპატიმრების ამსახველი ვიდეოკადრებიც. მუამარ კადაფის, როგორც გამოცემის წყარო აღნიშნავს, გადატანილი აქვს ოპერაცია მუცლის არეში, რომელმაც პოლკოვნიკს დიდი ნაიარევი დაუტოვა. ცხედარს კი, რომელიც საჯაროდ გამოიტანეს, ქირურგიული ჩარევის კვალი არ აღენიშნება.

„უამრავი ოჯახი შემიძლია დავასახელო, რომლებიც უკიდურეს სიღატაკეში არიან, სააგენტომ კი რამდენიმე თვის შემდეგ ფულადი დახმარება აბსურდული მიზეზებით შეუწყვიტა. არადა, ამის პარალელურად უამრავი შეძლებული ოჯახი იღებს ამგვარ დახმარებას, ღატაკების გულისწყრომას სწორედ ეს ფაქტი იწვევს."

ინტერნეტ გაზეთი ქიზიყი
gazetikiziyi@yahoo.com
PRESS

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ილია მარტყოფლიშვილი:

# რეგიონებში ჩინოვნიკების უმრავლესობა ტყემალზე ზის

**დედოფლისწყაროს რაიონის და ზოგადად კახეთში მომხდარ სხვადასხვა საინტერესო ამბებზე ინტერნეტგაზეთ „ქიზიყის" მთავარ რედაქტორს, ილია მარტყოფლიშვილს ვესაუბრეთ.**

**— რამდენად რთულია ჟურნალისტური საქმიანობა რეგიონში, თუნდაც თავისუფლების მხრივ, თუ, დედაქალაქისგან განსხვავებით, ბევრად მეტი თავისუფლება გაქვთ?**

— რეგიონში მუშაობა იმაზე მეტად რთულია, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. დედაქალაქისგან განსხვავებით, პატარა ქალაქებში ყველა ერთმანეთის ახლობელი და ნათესავია. აკრიტიკო ხელისუფლება და ცხოვრობდე იმავე ქალაქში, ძალიან ძნელია. მე დედოფლისწყაროში ვმუშაობ და სწორედ ამ რაიონის მაგალითზე შემიძლია გითხრათ. ერთადერთი ფიგურა, რომელსაც ჟურნალისტებთან ურთიერთობა არ ეშლება, დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილია. მას არც დამოუკიდებელ და ე. წ. არასასურველ ჟურნალისტებთან ურთიერთობის პრობლემა აქვს და მის მიმართ გაჟღერებულ კრიტიკასაც ცივილიზებულად უყურებს. უმრავლესობა კი, რბილად რომ ვთქვათ, ტყემალზე ზის. იგივე ვითარებაა გამგეობისა და საკრებულოს პრესსამსახურებშიც. პრესმდივნებმა ელემენტარული პრესრელიზის წერაც არ იციან და არც ის, როგორ აკეთონ ხელისუფლების პიარი.

ვცდილობთ, მაქსიმალურად ვაკრიტიკოთ ხელისუფლება, ამას პროფესიული მოვალეობა გვავალდებულებს. თუმცა მინდა გითხრათ, რომ არც ოპოზიციური პარტიების კრიტიკას ვერიდებით და პირადად მე სასამართლოში ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ადგილობრივმა ლიდერმაც კი მიჩივლა. ასე რომ, ჩვენი უკმაყოფილო ოპოზიციონერიც ბევრი მინახავს და მმართველი გუნდის წარმომადგენელიც.

სხვათაშორის **„ქრისტიან-დემოკრატების" ადგილობრივმა კანდიდატმა და სიის მეორე ნომერმა დავით ალუღიშვილმა თვითმმართველობის არჩევნებამდე 2 კვირით ადრე გამგეობის შენობაში საჯარო შეხვედრის დროს ხელი სახალხოდ გამარტყა. ამ დროს ის ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა და კრიტიკულ სტატიებზე უკმაყოფილებას ღიად გამოხატავდა.**

რამდენიმე თვის წინ სოფელ ხორნაბუჯის გამგებლის — ტარიელ ღარიბაშვილის წინააღმდეგ სიღნაღის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. გამოძიება ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტზე დაიწყო. ინციდენტი 14 დეკემბერს დედოფლისწყაროს სასამართლოს შენობაში მოხდა, რა დროსაც სოფლის რწმუნებულმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა და მაიძულებდა, მისი მისამართით გარკვეული ინფორმაციების გავრცელებისგან თავი შემეკავებინა. შეგახსენებთ, ეს გამგებელიც არავის დაუსჯია და პროკურატურაში საქმეც უძრავად დევს.

**არადა, ეს ადამიანი ბევრს ტრაბახობდა, — ეგღა მაკლია, ჟურნალისტის გამო ვინმე შემეხოს, თავი ქუდში მაქვს, ჩემი შვილი ბიძინა ივანიშვილის ფონდის თავმჯდომარეა, ვერავინ შემეხებაო. ერთი კვირის წინ ტარიელ ღარიბაშვილი სამსახურიდან გაათავისუფლეს, ხოლო მისი მძახალი, კახეთის პოლიციის ექს-შეფი თამაზ თამაზაშვილი კი საკმაოდ საეჭვო ვითარებაში დააკავეს. მოსახლეობა ამ ყველაფერს ბიძინა ივანიშვილის გააქტიურებას უკავშირებს.**

**— ძირითადად, რა პრობლემებზე გიწევთ წერა?**

— ცხადია, ყველა პრობლემაზე ვწერთ, თუმცა განსაკუთრებით შემიძლია გამოვყო სოციალური პრობლემები. სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოქალაქეთათვის საარსებო შემწეობის შეწყვეტის საკითხზე თითქმის ყოველდღიურად ვწერთ. მოქალაქეთა ყოფა უარესდება, სოციალური სააგენტოს მიერ შეფასებული ქულების მიხედვით კი მათი პირობები უმჯობესდება და, თუ ერთ თვეს შემწეობას აძლევენ, მომდევნო თვეში ისევ დახმარების გარეშე ტოვებენ. ძალიან დიდი განუკითხაობაა სოციალური სააგენტოს სისტემაში და ქულების მინიჭების კუთხით უამრავი შეუსაბამობა ფიქსირდება. უამრავი ოჯახი შემიძლია დავასახელო, რომლებიც უკიდურეს სიღატაკეში არიან, სააგენტომ კი რამდენიმე თვის შემდეგ ფულადი დახმარება აბსურდული მიზეზებით შეუწყვიტა. არადა, ამის პარალელურად უამრავი შეძლებული ოჯახი იღებს ამგვარ დახმარებას, ღატაკების გულისწყრომას სწორედ ეს ფაქტი იწვევს.

**— როდესაც ინფორმაციაში თანამდებობის პირების სახელები ფიგურირებს, როგორც წესი, ხშირად აქვთ ხოლმე პრეტენზიები ჟურნალისტებთან დაკავშირებით. თუ ყოფილა რომელიმე კონკრეტულ ძალოვანზე მაკომპრომიტირებელ მასალასთან დაკავშირებით მუქარის ან ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტები?**

— რა თქმა უნდა, ხშირად საქმე სასამართლომდეც მისულა... გარკვეულ ინციდენტებს ხშირად ჰქონდა ადგილი. ყველა მათგანზე რეაგირებისთვის პოლიციას მივმართეთ, ჩვენებებიც მივეცით, გამოძიებაც დაიწყო, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ, ბოლო ერთი წელია, პროკურატურა პასუხის ღირსადაც არ გვთვლის. წელს დედოფლისწყაროში ინტერნეტგაზეთ „ქიზიყის" თანამშრომლების მიერ პროკურატურაში საქმის აღძვრის მოთხოვნით 22 განცხადება შევიდა. თვეები ისე გადის, რომ არც ის ვიცით, რა მოტივით შეწყდა გამოძიება და წერილობით პასუხსაც არ გვაძლევენ იმის თაობაზე, ოფიციალურად დაიხურა საქმე თუ სხვა ბედი ეწია.




**არცთუ ისე დიდი ხნის წინ დედოფლისწყაროს პოლიციის უფროსის მოადგილე ნოშრევან ნატროშვილი ჩვენი გაზეთის ჟურნალისტებს ემუქრებოდა, — ნარკოტიკს ჩაგიდებთ და „კორაკანაში" შეგაყუდებთო. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მის ახლობელს, სასაზღვრო პოლიციის დედოფლისწყაროს სამმართველოს უფროსს, დემურ კეკენაძეს ხშირად ვაკრიტიკებდით. გასულ წლებში კუდის ადგილობრივი თანამშრომლებიც მუდმივად გვემუქრებოდნენ და ჩვენს დაშინებას ცდილობდნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც ზეწოლის ყველა ფაქტი პრესაში გავახმაურეთ, მათი მხრიდან ამგვარი დამოკიდებულება შეიცვალა და ცდილობენ, ღია ზეწოლისგან თავი შეიკავონ.**

**— რატომღაც მოულოდნელი რეალობაა, ალბათ, რომელიმე სოფელში სასმელი წყლის დეფიციტი იმ ფონზე, როდესაც ჩვენი მთავრობა სოფლის განვითარებაზე და ხელშეწყობაზე ისეთ განცხადებებს აკეთებს.**

— წყლის პრობლემა კახეთის ბევრ სოფელში სერიოზულად დგას. მოსახლეობა ამ საკითხზე მწვავედ რეაგირებს. მიუხედავად იმისა, რომ, მესამე წელია, სოფლის დახმარების საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის 80% კახეთის სოფლების უმრავლესობაში სწორედ წყლის პრობლემას ხმარდება, რეალური შედეგები არ ჩანს. ერთადერთი ქალაქი, სადაც წყლის პრობლემა მოგვარდა, სადაც გრაფიკი არ არის და მოსახლეობას მთელი ქალაქის მასშტაბით წყალი 24 საათის განმავლობაში მიეწოდება – ეს ქალაქი დედოფლისწყაროა. თუმცა ზაფხულში დებეტის პრობლემა აქაც დადგა და სერიოზული პრეტენზიებია წყლის ხარისხთან დაკავშირებითაც.

**— პეტრე ცისკარიშვილის ყანაში მოსავლის აღებისთვის შუახნის მამაკაცი დააკავეს. ექსკლუზივი თქვენ გეკუთვნით. ვინ მოგაწოდათ ინფორმაცია და რა ბედი ეწია დაკავებულს?**

— თავდაპირველად გვქონდა ინფორმაცია მორიგ დაკავებაზე. მას შემდეგ, რაც ფაქტის გადამოწმება დავიწყეთ და სოფელში დაკავებულის ახლობლებსა და მეზობლებს დავუკავშირდით, აღმოჩნდა, რომ მთელი სოფელი ადასტურებდა, რომ ხსენებული ნაკვეთი ცისკარიშვილს ეკუთვნის. დაკავებულს ის ბედი ეწია, რომ 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ეს კი საკმაოდ მკაცრ სასჯელად მოგვეჩვენა. აღმოჩნდა, რომ მას სხვა დანაშაულებიც ბრალდება. ვერ გეტყვით, სხვა რა ჩაიდინა თუ, უმრავლესობის ლიდერს რომ შეეხო, იმიტომ დაუმატეს სასჯელი, მაგრამ ფაქტია, რომ სხვა დანაშაულებიც წამოჰკიდეს...

**— ხშირად იწერება სტატიები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და მათი ნათესავების პრიორიტეტულობაზე რეგიონში, იმაზე, რომ თანხა მოსახლეობის სასარგებლოდ არასდროს იხარჯება.**

— გეთანხმებით, მაგრამ რეგიონების ხელმძღვანელობაც ცენტრალური ხელისუფლების მსგავსად მოქმედებს და საერთო პრიორიტეტები გააჩნია. უნდა ითქვას, რომ **თვითმმართველობის ორგანოები ძირითადად ნაცნობ-მეგობრობისა და ნათესაური პრინციპებით კომპლექტდება, მაღალ თანამდებობებს ხშირად არაკომპეტენტური და სრულიად გამოუცდელი კადრები იკავებენ.** გლეხებისგან ხშირად მომისმენია, რომ დახმარების სათხოვნელად გამგეობაში მისული გაჭირვებული მოქალაქეებისთვის რაიმე სახის დახმარების გაწევა არ შეუძლიათ, ამ ფონზე კი ათიათასობით ლარი იხარჯება სხვადასხვა კონცერტებზე, შადრევნებზე და ამა თუ იმ პიარაქციებზე. ჩვენი ქვეყნის კურსი სწორედ ასეთია და, ალბათ, თვითმმართველობები ამ გზიდან გადახვევას და საკუთარ ჭკუაზე სიარულს ვერც გაბედავენ.

**— 16 ოქტომბერს, საღამოს, სოციალურ ქსელ Facebook-ზე ლაგოდეხში ტუალეტის საზეიმოდ გახსნის კადრები გავრცელდა. Oრმა ადგილობრივმა ტუალეტის წინ წითელი ლენტი გაჭრა და ლაგოდეხელებს კიდევ ერთი „ტურისტული" ობიექტის გახსნა მიულოცა. ვიდეო რამდენიმე საათში წაიშალა. ცნობილი გახდა, რომ ავტორს ვიდეოს წაშლა ლაგოდეხის გამგეობიდან მოსთხოვეს.**

— ნამდვილად ასეა. გამგებელი ზეწოლის ფაქტების კომენტირებისას ამბობს, ამის შესახებ არაფერი ვიცოდი და როგორ გავათავისუფლებდითო. არადა, ვიდეო Facebook-ზე მიშა სიყმაშვილმა განათავსა, რომელიც ქალაქ ლაგოდეხში ცხოვრობს და კომპანია „მაგთიკომის" ლაგოდეხის ოფისში მუშაობს. ვიდეოს წაშლა მიშა სიყმაშვილს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მოსთხოვეს. ლაგოდეხში საზეიმოდ გახსნილი ტუალეტის მეპატრონემ გია სიყმაშვილმა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა. კომპანია „ლაგოდეხავტოგზის" კადრების ინსპექტორის თქმით, სიყმაშვილმა გათავისუფლება პირადი განცხადების საფუძველზე ითხოვა. კომპანიის დირექტორმა კი ჟურნალისტებს მიაძახა: „რა აუწეწეთ მაგ კაცს ოჯახიო".

**— ზამთარი მოდის და, ძირითადად, რა პრობლემები აწუხებს რეგიონის მოსახლეობას?**

— ზამთართან დაკავშირებით ასეთი ფაქტი მახსენდება: შარშან ორმა მარტოხელა მოხუცმა შემომჩივლა, შეშა არ მქონდა და გამგეობას დახმარება ვთხოვეო. დედოფლისწყაროს სოციალური სამსახურის მაშინდელ უფროსს კი ასეთი პასუხი გაუცია: შეშა რად გინდა, მოხუცი ხარ, იწექი საწოლში და აღარ შეგცივდებაო! არადა, ორივე ქალბატონი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფია და სოციალურად დაუცველთა ფენას ეკუთვნის. აქ სერიოზული პრობლემაა ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის კომპეტენტურობასთან დაკავშირებით. როცა სოციალური სამსახურის უფროსი ღატაკს ასეთ ბრიყვულ პასუხს გასცემს და მისი უტაქტო საქციელი პრესაშიც გახმაურდება, წესით, ასეთ კადრს უნდა ათავისუფლებდნენ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში სწორედ ამგვარ ფიგურებს აწინაურებენ და ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. ძალიან კურიოზულ ფაქტებთან გვაქვს ხოლმე საქმე. **დედოფლისწყაროში რამდენიმე ფაქტი ყოფილა, როცა საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირებს მოქალაქეები კაბინეტიდან გაუძევებიათ და მთელი სკანდალი მოუწყვია. შემდეგ ეს საჯარო მოხელეები კომენტარში მომხდარს, ტრადიციულად, უარყოფენ ხოლმე, თუმცა არ გვაქვს არანაირი საფუძველი, ვიფიქროთ, რომ მოქალაქეები ასეთ ფაქტებს თხზავენ.**

კიდევ ერთი საინტერესო ტენდენციაა, რომ **მოქალაქეებს, რომლებიც საჯარო მოხელეებს ბრალს სდებენ, თანამდებობის პირები მუდმივად გიჟებად და ინტრიგანებად შერაცხავენ ხოლმე. ამ ფაქტებზე პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეებიც აღძრულა, თუმცა, რაკი „ნაცმოძრაობის" წევრები ფიგურირებდნენ, მალევე ჩაუფარცხავთ.** მაგალითად, შირაქის დასახლებაში მცხოვრები მარტოხელა ქალბატონი ნუნუ ჩიბუხაშვილი აცხადებდა, რომ საკრებულოს აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გელა თეთრაულმა ის კაბინეტიდან გააძევა და წიხლიც უთავაზა. ამ ინციდენტის ირგვლივ პროკურატურამ საქმეც აღძრა, თუმცა ჩიბუხაშვილი მოგვიანებით ამბობდა, რომ აიძულეს, გამოძიებისთვის საწინააღმდეგო ჩვენება მიეცა და მომხდარი დაემალა, ამიტომაც არ დადგა უტაქტო ჩინოვნიკის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, თუმცა ეს ფაქტი იმხანად ჩვენ მაინც გავახმაურეთ.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთადერთი სასულიერო პირი, რომელმაც რელიგიის შესახებ კანონში ცვლილებების მიღების გამო ხელისუფლების წარმომადგენლები დაწყევლა, ისკარიოტელის ცოდვასა და უმადურობაზე საუბრობს**



## არქიმანდრიტი ბართლომე:

# იუდა ისკარიოტელი, პირველ რიგში, უმადური იყო...

**არქიმანდრიტი ბართლომე, ერისკაცობაში ნუკრი ფირცხალაიშვილი, ვისაც დღეს ვესაუბრები, თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგნიდანაა, მაგრამ მშობლიურ კუთხედ მაინც საჩხერის რაიონის სოფელი ჭორვილა მიაჩნია. რატომ? ნუ ვიჩქარებთ. გვეტყვის. საშუალო სკოლის დამთავრებიდან მესამე დღეს მონასტერში წავიდა და 1996 წელს ბერად აღიკვეცა. სამი წლის თავზე — 12 ივნისს მღვდლად იქნა ხელდასხმული იმ სოფელში, რომელიც ეს-ესაა ვახსენეთ — ჭორვილაში.**

> **«ადამიანებმა, ვისაც ბატონი ივანიშვილი ხელს უმართავს, უარი რომ თქვან დახმარებაზე, ან თვითონ ბიძინამ შეწყვიტოს ამ სიკეთის გაცემა, დამერწმუნეთ, არც ერთ მათგანს არ დარჩება არავითარი რესურსი, გააგრძელოს ღირსეული ცხოვრება»**

**ურთულესი ვითარება დახვდა იქ, ზუსტად ისეთი, როგორიც მთელ იმდროინდელ საქართველოში იყო. მაგრამ საჩხერის რაიონში, ეგებ, ყველაზე მეტად იგრძნობოდა: მწირი, უმოსავლო მიწა, საქონელი — „ბაწარზე დაბმული“, რადგან საძოვრები არა აქვთ, გაპარტახებული მეურნეობა და გაძარცვულ-განიავებული სახალხო ქონება.**

**სრული სიდუხჭირე!**

**ამ დროს განსაკუთრებით სჭირდება ადამიანებს სულიერი სიმხნევის შენარჩუნება. და დადიოდა ახალგაზრდა მღვდელი სოფელ-სოფელ, მრევლთან მიდიოდა მამა ბართლომე, აღასრულებდა მსახურებას რვა სოფლის რვა ტაძარში, რადგან ხალხს საშუალება არ ჰქონდა, მისულიყო ჭორვილის მაცხოვრის აღდგომის ტაძარში, რომელიც ძირითად ეკლესიად იყო მიჩნეული.**

**ყვირილის გამოღმა სოფლებზე გადიოდა ღვთისმსახურის მისიონერული მარშრუტი: ჭორვილა (რამდენიმე ტაძრით), საირხე, ქორეთი, კალვათა, ჯალაუთა, გორისა და ივანწმინდა. მოძვშიც დადიოდა.**

**რა სახელებია „ჯორჯიან ვოტერ პაუერებისა“ და „ლიბერთი ბანკების“ ფონზე: დილის ცვარივით სუფთა და შეურყვნელი!**

**თავიდან უკვირდა მოსახლეობას ასეთი აქტიური საქმიანობა მამა ბართლომესი.**

— ერთხელ, ორღობეში რომ მივდიოდით, იმსოფლელი კაცი შემოგვხვდა და შეიცხადა, — ვაიმე, ვინ მოკვდაო? მღვდელი მიცვალებულისთვის წესის ასაგებად მისული თუ წარმოედგინათ.

ან — ნათლობაზე.

შემდეგ თანდათან გაერკვნენ, რომ ჩვენი საქმიანობა ადამიანის მხარში დგომაცაა, განწმენდაც და ღმერთის სიტყვის მიტანაცაა ხალხამდე.

**კეთილად განეწყო მოსახლეობა მის მიმართ.**

— ამიტომ უფრო მეტად მიყვარს ის კუთხე. იქ გავიგე და გავითავისე ადამიანების ტკივილი, სიხარული. მიმაჩნია, რომ სასულიერო პირმა თავისი მოღვაწეობა სწორედ სოფლიდან უნდა დაიწყოს, სადაც ქართული ძირია შენარჩუნებული.

**— და ასეთ გარემოში შეხვდით ბიძინა ივანიშვილს.**

— პირველად ბატონი ბიძინა ვნახე მისი ბებიის დაკრძალვის დღეს. მაშინ უკვე ცნობილი ბიზნესმენი და დიდი შესაძლებლობების ადამიანი იყო.

მისმა თავმდაბლობამ გამაკვირვა და გამახარა. რამდენიმე წუთი ვისაუბრეთ. ვკითხე, ჯვარს თუ ატარებდა. აღმოჩნდა, რომ არ ჰქონდა. ბერობის ჩემი ჯვარი მოვიხსენი და გულზე დავკიდე.

**— იმაზე რას იტყვით, მამაო, ბატონ ბიძინას რომ დააბრალეს, შავ მაგიას მისდევსო?**

— ესენი ამტკიცებენ, რომ ბატონი ბიძინა არის ურწმუნო, არ სჯერა სულის უკვდავების. ახლა კიდევ შავი მაგია მოუგონეს. ჯერ ერთი, ვისაც სულის უკვდავების არ სჯერა, ის არც შავ მაგიას მისდევს და, აქედან გამომდინარე, არ ებრძვის იმას, რაც არ სწამს.

ეს არის შავი პიარი, რომელიც მასაზეა გათვლილი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ხალხზე ეს არ იმოქმედებს.

ისიც მინდა ვთქვა, რომ 2000-2001 წლებში ბატონმა ბიძინამ საჩხერის ეპარქიას გამოუყო გარკვეული დაფინანსება, რამაც საშუალება მოგვცა, ჩვენთან გაგვეხსნა სასულიერო სემინარია, სადაც 29 სტუდენტი სწავლობდა. მათგან 23 დღეს უკვე სასულიერო პირია, უმრავლესობა ტაძრებისა და მონასტრების წინამძღვრები არიან. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, როცა ოკულტიზმსა და შავ მაგიას აბრალებენ ადამიანს, რომელმაც ასეთ სალმრთო საქმეს ჩაუყარა საფუძველი. ეს არის ავისმდომთა უდიდესი ცოდვა და სირცხვილი.

**— ახლახან მიცემულ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ქრისტიანი ვარ და ჯვარს ვატარებო.**

— ჩვენი შეხვედრიდან ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა ჭორვილაში და თავის ახლადაგებულ სახლში დაფუძნდა.

მეუბნებოდნენ — მიდი, ნახე, დაგეხმარებაო.

მაგრამ მიმაჩნდა, რომ ამ კაცს ჩემი ვალი არ ჰქონდა; არც მე მმართებდა რამე და რატომ უნდა შემეწუხებინა?

**— და მაინც განახლდა თქვენი ურთიერთობა.**

— რომ გითხრათ, მესიზმრე ვარ, მართალი არ ვიქნები... მაგრამ ერთხელ, 2000 წლის 4 აპრილის ღამეს ვნახე სიზმარი: მე ვწევარ ერთ კუთხეში, მეორე კუთხეში მოზაიკურად, კენჭებით გამოისახა თევზები და სხვადასხვა რამ, მესამე კუთხეში — პატრიარქის ფიგურა, მეოთხე კუთხეში — უზარმაზარი ტაძარი. და გაისმა ხმა, რომელიც იმეორებდა: ქრისტე, ქრისტე, ქრისტე! შეიძლება ექო იყო — ჩემი წამოძახილის ანარეკლი: ქრისტე, ქრისტე, ქრისტე!

შემეშინდა. გამომეღვიძა. იმდენად შევშინდი, რომ გარეთ ველარ გამოვედი.

გათენდა. ფეხით გავუყევი გზას, მოვინახულე ჭორვილის მშენებარე მონასტერი წმიდა ივანე ზედაზნელის და მისი ათორმეტი მოწაფისა, რომელსაც ივანიშვილი აშენებდა, რათა ბიძინასთან მიმეტანა ინფორმაცია, თუ რა მდგომარეობა იყო იქ იმ დღისთვის.

მივედი ბიძინას სახლის ჭიშკართან. გამობრუნება დავაპირე, იმდენად მერიდებოდა. დაცვამ შემაჩერა და მკითხა, ვინ გნებავთო. ვუთხარი, რომ ციცინო ბებოს ნახვა მინდოდა, ბიძინას დედისა, რომელთანაც ახლოს ვიყავი და ვარ. ძალიან კარგი ქალბატონია, მიყვარს და პატივს ვცემ, ასეთი თბილი ადამიანი მეორე არ შემხვედრია.

შეატყობინეს და დაუყოვნებლივ შემიშვეს. ეზოში შემომეგება დედა-შვილი: — კერიას ნახშირი, რახან შენ გამოჩნდი, სად დაიკარგეო, — მითხრა ციცინო ბებომ, — ასე ვეძახი. დავსხედით, ვისაუბრეთ. ბოლოს ბატონი ბიძინა მეკითხება, რა გიჭირთ, რით დაგეხმაროთო.

ვუთხარი, რომ არაფერი მიჭირდა.

— რით დადიხართ?

— ფეხით, — ეს იმდენად ბუნებრივი იყო ჩემთვის, რომ არც მიფიქრია, რომ შეიძლება თხოვნის შეფარულ ფორმად მიეღო მასპინძელს.

ახალთახალი „ნივა“ რამდენიმე დღეში კარს მომაყენა. მაგრამ ეს მოხდება შემდეგ.

— ახლა რა შეიძლება გაგიკეთოთოთ? — ჩამეკითხა.

ვუპასუხე, რომ მე პირადად არაფერი მინდა, მაგრამ ვიცი პატრიარქის სურვილი, რომელსაც უნდა, რომ წმინდა სამების ტაძრის მიწისქვეშა დონის სართულის მშენებლობა რაც შეიძლება მალე დასრულდეს, რათა 2000 წლის შობის ბრწყინვალე დღესასწაულის წირვა სწორედ იქ, მომავალი კათედრალის ფუძეზე აღასრულოს.

ბიძინა ივანიშვილმა ამაზე მიპასუხა, რომ, თუ ვინმე ხელს არ შემიშლის, ამ ტაძარს თავიდან ბოლომდე მე ავაშენებო.

**— და ააშენა კიდეც მორწმუნეთა შემოწირულობების, არ ვიტყვი ფარდად, მაგრამ ერთად — კი. მისი წილი განუზომლად დიდია, მაგრამ კეთილი გულით მიძღვნილი, მით უფრო, საღმრთო საქმისთვის, მცირედიც შეიწირების, მოგეხსენებათ.**

— ჩემთვის მისი განცხადება უდიდესი სიხარული იყო. 5 აპრილს მოხდა ეს ყოველივე. 7 აპრილს, ხარება დღეს ვაკურთხეთ მისი სახლი, 8-ში უკვე თბილისში ვიყავი, რათა პატრიარქისთვის მომეხსენებინა ჭორვილაში ნათქვამი და გადაწყვეტილი საღმრთო საქმის შესახებ.

როცა პატრიარქს ვუამბე ეს ყველაფერი, ძალიან გაეხარდა და თან შეწუხდა:

— მე რომ იქ ვერ ჩავალო?

ბიძინას ნათქვამი ჰქონდა, სადაც პატრიარქი იტყვის, იქ ვეახლებიო.

გადაწყდა, რომ მათი შეხვედრა შედგებოდა 2000 წლის 11 აპრილს, სამშაბათ დღეს.

ასეც მოხდა.

საპატრიარქოში შეხვდნენ მისი უწმინდესობა, ბატონი ბიძინა და მეუფე აბრაამი, ამის მოწმე ვარ. თხუთმეტ წუთში გადაწყდა სამების ტაძრის მშენებლობის გაგრძელების საკითხი.

ეს იყო, ჩემი აზრით, ჩვენი ერის სიმტკიცისა და სიძლიერის დასტურის დღე.

**— მაგრამ ბატონმა ბიძინამ თავის ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ სამების კათედრალი არ იყო მისი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი.**

— რამდენიმე საუკუნე უნდა გავიდეს, რომ წმინდა სამების ტაძარმა შეიძინოს ისტორიული ღირებულება, თუმცა შინაარსით იგი დღესაც არის უდიდესი.

**ვეთანხმები ბატონ ბიძინას, რომ მისი სიხარულია იმ მრავალი ეკლესიის, მონასტრისა თუ ტაძრის აღდგენაში მონაწილეობის მიღება, რომელთა რაოდენობა, როგორც ვიცი, ხუთასზე მეტია. ამ ადამიანმა საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობა გადაურჩინა. ჩამოთვლა რომ დავიწყოთ, ვეჭვობ, ბოლომდე შევძლოთ გასვლა. პირველ მაგალითად დავასახელებდი წმინდა აღდგომის ტაძარს ჭორვილაში, სადაც მსახურება დავიწყე, შემდეგ აქ აშენდა მონასტერი. ვიცი, რომ ორ მილიონზე მეტი გაიღო მან ალავერდის ტაძრის აღდგენაზე, მილიონზე მეტი — გელათისთვის, ფიტარეთი აღადგინა, აკაფრთა — ვახტანგ გორგასლის დროინდელი უძველესი ტაძარი... და ასე შემდეგ... უამრავია („საქართველო და მსოფლიოს“ დღევანდელ ნომერში ქვეყნდება ბიძინა ივანიშვილის მიერ ქველმოქმედებაზე, მათ შორის, ეკლესია-მონასტრების სარესტავრაციო სამუშაოებისთვის გაღებული სახსრების დეტალური ნუსხა).**

**განსაკუთრებით მრავლისმთქმელია, რომ სამაჩაბლოში, ნიქოზის ეპარქიაში ომამდეც და ომის შემდგომაც მიმდინარეობდა ტაძრების რეაბილიტაცია. როგორც ვიცი, ახალგორის ტერიტორიაზეც გრძელდება, ისევე, როგორც — ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და მანგლისის ეპარქიებში და ასე შემდეგ. საქართველოში არ არსებობს ეპარქია, რომელსაც მისი მადლიანი ხელი არ შეხებია... კაცხის სვეტზე აგებული ტაძარი მისი ფონდის სახსრებით აშენდა.**

ერთ, ნაკლებად ცნობილ ფაქტსაც დავუმატებდი. 2004 წელს აღდგომის ცეცხლის ჩამოტანა საქართველოში მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის დახმარებით მოხერხდა, მისი შენაწირი ფულით დაიქირავა ეკლესიამ თვითმფრინავის ჩარტერული რეისი.

**(აქ უპრიანი იქნება ერთი მამალი ტყუილის გაშიფვრა, რომელიც ტელეკომპანია „იმედმა“ გასულ შაბათს, 29 ოქტომბერს „სპეციალურ რეპორტაჟში“ შემოგვაპარა.**

**ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედების უშურველობისთვის კრიმინალური ელფერის მისაცემად, თითქოს დიდ საიდუმლოებას ახადა ფარდა, ამ პროგრამის წამყვანმა უტყუარი სამხილივით დადო ბრალდების მაგიდაზე: „ქართუ ჯგუფმა“ მხოლოდ ახლა გამოაქვეყნა ივანიშვილის მიერ ქველმოქმედებაზე დახარჯული სახსრების სიაო.**

**მაგრამ სინამდვილეში ასეთი ანგარიშები დიდი ხანია ქვეყნდება ქართულ პრესაში. მაგალითად, იხილეთ: გაზეთები: „ახალგაზრ-** ▶

„ბიძინა ივანიშვილის საქმიანობის სინთეზურობა — ადამიანების მატერიალური უზრუნველყოფა და სულიერი ნავსაყუდელის შენება — მიგვანიშნებს, რომ თავისი მენტალობით, გონებითა და შორსმჭვრეტელობით არაორდინალური პიროვნებაა. მისი თითოეული ნაბიჯი სიცოცხლის სიყვარულით არის ნაკარნახევი, მას ეფუძნება და მისგან გამომდინარეობს.“

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «მე მიკვირს იმ ადამიანების, რომლებმაც ბიძინას დამსახურება იციან და საქართველოს მოქალაქეობის მისთვის წართმევის გამო ხმას არ იღებენ. ზოგადი საუბარი რომ არ გამომივიდეს, დავასახელებ მიხეილ მაჭავარიანს, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელმაც შემოსავლების მინისტრის თანამდებობაზე ყოფნიდან მოყოლებული შესანიშნავად იცის, რა უკეთებია ბატონ ბიძინას ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. მიკვირს ასეთი დუმილი»



**◀ და ივერიელი“ — 2006 წლის №№8-9; 2007 წლის №№2-3; 2008 წლის №№1-2; „საერთო გაზეთი“ — 2009 წლის №10, 2010 წლის №8, 2011 წლის №11).**

ეკლესიები — თავისთავად, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარული იყო მოსახლეობისთვის თითოეული ახალი სკოლის მშენებლობის დასრულება, აღჭურვა ყველა სასწავლო საშუალებით, კეთილმოწყობა. აფინანსებდა მასწავლებლებსაც, რაც მათთვის არა მარტო მატერიალური, არამედ დიდი მორალური სტიმული იყო.

**— და ამ ყველაფერს ხელისუფლება მიიწერდა. დღეს კი ყველას, ვინც იღებს რაიმე სახის შემწეობას ბიძინა ივანიშვილისგან, აიძულებენ, უარი თქვას ნებისმიერ ხელის გამართვაზე, რომელიც მისგან მოდის.**

— **ამ შემთხვევაში უარის თქმა არის სიმხდალე, გარკვეულ წილად, — ცოდვაც. რატომ უნდა თქვას ადამიანმა უარი? უკეთეს ალტერნატივას ვინმე სთავაზობს? უარის თქმა იმ დახმარებაზე, რომელსაც ბატონ ბიძინასგან იღებენ, არის უსამართლობა, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილის მიმართ.**

როცა ეკლესიების აღდგენა-მშენებლობაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს მისი ღვაწლი, რომელიც მან ქართულ თეატრებსა და თეატრის მოღვაწეებს, საერთოდ ქართულ კულტურას, მეცნიერებას, განათლებას დასდო.

ადამიანებმა, ვისაც ბატონი ივანიშვილი ხელს უმართავს, უარი რომ თქვან დახმარებაზე, ან თვითონ ბიძინამ შეწყვიტოს ამ სიკეთის გაცემა, დამერწმუნეთ, არც ერთ მათგანს არ დარჩება არავითარი რესურსი, გააგრძელოს ღირსეული ცხოვრება.

**— ხომ არ უთქვამს მას თქვენთან საუბრისას, როდის დაებადა სურვილი სიკეთის უშურველად გაცემის? როდის და რატომ?**

— ბატონი ბიძინა ტრადიციული ქრისტიანია, მართლმადიდებელი. დედამისი, შეძლებისდაგვარად, მისი ასაკის მიუხედავად, ეკლესიურად ცხოვრობს — მარხულობს, ლოცულობს, ეზიარება. მისი ოჯახის წევრები — დები და ძმები, არაჩვეულებრივი ადამიანები და მორწმუნენი გახლავან. ეკლესია მათი ცხოვრების ნაწილია, ცხოვრების წესია.

**— და ასეთ რწმენის გარემოში ბუნებრივად იბადება მოწყალების გაცემის მოთხოვნილება?**

— რა თქმა უნდა. ბატონ ბიძინასგან მომისმენია: მე რომ სულის უკვდავებამდე მივიდე, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არავინ იქნებაო.

ვუთხარი, რომ იგი დღეს ბედნიერი ადამიანია.

მიპასუხა, რომ **ბედნიერი ვიქნები მაშინ, როცა საქართველოს მოქალაქეთა 80 პროცენტი იცხოვრებს ისე, როგორც მე ვცხოვრობ და დანარჩენ 20 პროცენტს ჩვენ შევინახავთ და ხელის გულზე ვატარებთო.**

სულის უკვდავება, მარადიული სიცოცხლის შეგრძნება, მოგეხსენებათ, ამქვეყნიური სიცოცხლით იწყება.

**ერთხელ ვკითხე, დიდი რწმენის გარდა, რა არის მისი ქველმოქმედების საფუძველი? იცით, რა მიპასუხა? დედაჩემის უსაზღვრო სიყვარული! იგია სიკეთის წყაროსთვალი. ყველა დედას ვეთაყვანებით, მაგრამ დედაჩემს — ყველაზე მეტადო.**

**— ეჭვობენ, რომ ჭორვილასა და საჩხერეში შეიძლება გამოძებნონ ადამიანები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ გამოვლენ. რამდენად საფუძვლიანად მიგაჩნიათ ასეთი ეჭვი?**

— მე, როგორც ერთი კერძო პირი, ჩემ დამოკიდებულებას ასეთი ადამიანებისადმი მოკლედ ასე გამოვხატავდი: მათ მენტალობაში არის დიდი პრობლემა.

**უმადურობა ყველაზე დიდი ცოდვაა. იუდა ისკარიოტელი, პირველ რიგში, უმადური იყო. ადამიანი ვერ იქნება ღირსეული თუ უმადურობა გაუჯდება.** ადამიანს მადლიერების დაფასების უნარი უნდა ჰქონდეს, მაგრამ არავის მონად არ უნდა იქცეს. ამას ხაზს ვუსვამ. მადლიერების გამოხატვა უნდა შეძლოს და მადლიერებაზე წიხლით არ უნდა შედგეს.

**— ღირსეული ადამიანის წინააღმდეგ ულირსად გალაშქრება, როგორც დღეს ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის მიმართ ირჯება, რაღაა?**

— უწესობაა.

**— ცოდვა არ არის?**

— ამაზე უკვე აღარ ვლაპარაკობ! როცა ღირსეული ადამიანის წინააღმდეგ ილაშქრებ, უდიდეს ცოდვას სჩადი. მნიშვნელობა არ აქვს, რატომ იქცევი ასე: იმიტომ, რომ ვიღაცას აამო, იმიტომ, რომ არ დაკარგო შენი ამჟამინდელი მდგომარეობა, იმიტომ, რომ ვიღაცას დაუმტკიცო, მონა არ ხარ. სულერთია. ყველა შემთხვევაში ეს არის დიდი ცოდვა.

**მე, როგორც ერთ კონკრეტულ პიროვნებას მრცხვენია, რომ ადამიანს, რომელსაც ამდენი ღვაწლი აქვს ქართული საზოგადოების, ქართული სახელმწიფოს, მართლმადიდებლური ეკლესიისა და თითოეული მოქალაქის წინაშე, არ ჰქონდეს საქართველოს მოქალაქეობა. როცა ვიღაცა მისი მოქალაქეობის კანონიერებას ეჭვქვეშ აყენებს, ეს არის სირცხვილი და ტრაგედია ჩვენი ერისა.**

**— მით უფრო იმის, ვინც კანონიერების გარანტი უნდა იყოს...**

— მე მიკვირს იმ ადამიანების, რომლებმაც ბიძინას დამსახურება იციან და საქართველოს მოქალაქეობის მისთვის წართმევის გამო ხმას არ იღებენ. ზოგადი საუბარი რომ არ გამომივიდეს, დავასახელებ მიხეილ მაჭავარიანს, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელმაც შემოსავლების მინისტრის თანამდებობაზე ყოფნიდან მოყოლებული შესანიშნავად იცის, რა უკეთებია ბატონ ბიძინას ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. მიკვირს ასეთი დუმილი.

**— როგორი კაცია ბატონი ბიძინა — მასთან შეხვედრებიდან როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— დიდი ხანია, მასთან კონტაქტი არ მქონია. მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ იგი არის ძალიან დადებითი პიროვნება, ბუნებით — დემოკრატი. ჰყავს არაჩვეულებრივი მეუღლე, კეთილი განწყობის, თბილი ადამიანი.

ყოველთვის მაოცებდა შვილებთან მათი დამოკიდებულება. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი გამონათქვამი: ძიძა ბავშვთან მშობელზე მეტ დროს არ უნდა ატარებდესო. ბავშვს მშობელთან კონტაქტი არასოდეს არ უნდა გაუწყდეს. დღევანდელ საზოგადოებაში არის პრობლემა შვილების და მშობლების ურთიერთგაუცხოების.

ბატონი ბიძინა გულთბილი ადამიანია და ვაჟკაცი გახლავთ; ოჯახიშვილია, ნათესავების მოყვარული და პატივისმცემელი.

მისი შვილები თავისუფალ ადამიანებად იზრდებიან. თავისუფლება, თქვენს მკითხველებს მოეხსენება, არის საკუთარი თავის მართვა. ამ დროსაა ადამიანი ყველაზე უფრო თავისუფალი. ბატონი ბიძინა თავის შვილებს ზრდიდა ისე, რომ მათ შეძლებოდათ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვა თავიანთი ასაკის ნებისმიერ ეტაპზე.

**— ესე იგი, ბატონი ბიძინა არის ადამიანი და არავითარ შემთხვევაში — მესია?**

— არა, რას ამბობთ! საზოგადოებას ახასიათებს ადამიანისგან შექმნას მესია. ბიძინა ივანიშვილი ჩვეულებრივი ადამიანია, უბრალოზე უბრალო, ძალიან თავმდაბალი. მესიად რომ წარმოიდგინოს თავი, ასეთ შეურაცხყოფას არასოდეს მიაყენებს საკუთარ თავს.

საზოგადოებრივ ასპარეზზე ბატონ ბიძინას გამოჩენის პირველივე ნაბიჯებიდან აშკარა გახდა, რომ იგი ყველაფერს აკეთებს საქართველოს ერთიანობის, ძლიერებისა და მისი წარმატებული მომავლისათვის.

მან კარგად იცის ისტორია, ერკვევა აწმყოში და შორს განსჭვრეტს მომავალს.

მისი საქმიანობის სინთეზურობა — ადამიანების მატერიალური უზრუნველყოფა და სულიერი ნავსაყუდელის შენება — მიგვანიშნებს, რომ თავისი მენტალობით, გონებითა და შორსმჭვრეტელობით არაორდინალური პიროვნებაა. მისი თითოეული ნაბიჯი სიცოცხლის სიყვარულით არის ნაკარნახევი, მას ეფუძნება და მისგან გამომდინარეობს.

ძალიან უყვარს სიცოცხლე და ეს სიცოცხლე უხარია ყველათი, ყველასთან ერთად. სიყვარულით და სიხარულით დატკბობის საშუალებას, რა ძალაც შესწევს, ყველას აძლევს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. უტყვი სულით შეპყრობილის მამა, შვილის განსაკურნავად მაცხოვართან მისული, დაეჭვებით, მაგრამ მაინც იმედით შეევედრება იესოს: „...თუკი რამე შეგიძლია, შეგვიბრალე და დაგვეხმარე“.**

**ხოლო იესომ უთხრა: „თუკი რამე შეგიძლია?“ — მორწმუნისათვის შესაძლებელია ყველაფერი“ (მარკ. 9, 22-23).**

## 2005-2010 წლებში ბიძინა ივანიშვილმა ქველმოქმედებაზე 1 156 081 151 ლარი დახარჯა

**„ამბები.გე-მ“ „ქართუ ჯგუფისგან“ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო საქმიანობის ანგარიში გამოითხოვა. 2005 წლიდან 2010 წლის ჩათვლით ივანიშვილმა ქველმოქმედებაზე სულ 1 156 081 151 ლარი დახარჯა. ქველმოქმედება ფონდების — „ქართუ“, „ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი“ და ასოციაცია „ატუს“ მეშვეობით ხორციელდებოდა. თანხა კულტურის, ხელოვნების, სპორტის, მედიცინის, მეცნიერების, განათლების, სოფლის მეურნეობის სფეროებსა და სოციალურად დაუცველ პირთა დახმარებაზე გადანაწილდა. ფონდ „ქართუს“ 2005-2010 წლებში ქველმოქმედების სახით დახარჯული აქვს 966 565 155 ლარი, „ისტორიულ ძელგთა დაცვისა და გადარჩენის ფონდს“ - 56 186 113 ლარი, ხოლო ასოციაცია „ატუს“ — 133 329 883 ლარი.**

**2010 წელი**

2010 წელს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ შემოსავლის სახით მიღებული აქვს 134 499 001 ლარი, რომელიც სრულად გახარჯულია ქველმოქმედებაში.

2010 წლის პროგრამული ანგარიშის თანახმად, 18 089 169 ლარით ფონდი კულტურისა და ხელოვნების სფეროს დაეხმარა.

სოფლის მეურნეობის სფერო „ქართუმ“ 2010 წელს 884 509 ლარით დააფინანსა. ფონდისვე კუთვნილმა ასოციაცია „ატუ“-მ რეგიონალურ განვითარებაში 2010 წელს 88 385 025 ლარი დახარჯა.

**2009 წელი**

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ 2009 წელს ქველმოქმედების სახით სულ გაცემული აქვს 125 391 897 ლარი.

ფონდ „ქართუს“ ოფიციალური მონაცემების თანახმად, ხელოვნების დამსახურებული მუშაკებზე, სპორტსმენებსა და მწვრთნელებზე სოციალური დახმარების სახით სულ 7 875 065 ლარი აქვს გაცემული.

**2008 წელი**

„საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის“ 2008 წლის ანგარიშში ქველმოქმედებაზე დახარჯული თანხის სახით 4 198 162 ლარია აღნუსხული. თანხა 113 ეკლესიის რესტავრაციაზე დაიხარჯა.

ფონდმა „ქართუმ“ 10 სხვადასხვა სფერო დააფინანსა. 2008 წელს ქველმოქმედების სახით ფონდმა 170 223 837 ლარი დახარჯა.

**2007 წელი**

„საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდმა“ 2007 წელს ქველმოქმედებაზე 2 818 094 ლარი დახარჯა. თანხით დაფინანსდა ისტორიულ-კულტურული ძეგლების, კერძოდ, 81 ეკლესიის რესტავრაცია.

ამავე წელს, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ ქველმოქმედებას 181 916 475 ლარი მოახმარა. თანხა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობას, კულტურის, ხელოვნების, მედიცინის, მეცნიერების, განათლების, სოფლის მეურნეობის, რეგიონალური განვითარებისა და უძრავი ქონების სფეროებს, ასევე სოციალურად დაუცველ პირთა შემწეობას მოხმარდა.

**2006 წელი**

ოფიციალური მონაცემებით, 2006 წელს ფონდმა „ქართუმ“ 272 933 005 ლარის ღირებულების პროექტები დააფინანსა, მათ შორის - მედიცინის სფეროსთვის გამოიყო 38 401 243 ლარი, განათლების სფეროსთვის - 37 255 889 ლარი, ხოლო 9 280 000 ლარი - სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობისთვის.

ამავე წელს „საქართველოს ისტორიული ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდმა“ 69 ისტორიული ძეგლისა და ეკლესიის მშენებლობა დააფინანსა, რაზეც 2 349 883 ლარი დაიხარჯა.

რაც შეეხება ასოციაცია „ატუ“-ს, 2006 წელს ასოციაციამ დახარჯა 146 139 009 ლარი, მათ შორის 36 704 936 ლარით დაფინანსდა დასვენებისა და კულტურულ-გასართობი ობიექტების მშენებლობარეაბილიტაცია, ხოლო 24 218 341 ლარით — განათლების ობიექტები.

**2005 წელი**

ოფიციალური მონაცემებით, ფონდმა „ქართუმ“ 2005 წელს 81 600 900 ლარის ღირებულების პროექტები დააფინანსა, მათ შორის, რეგიონალური სოციალური განვითარების პროექტებს ფონდიდან 45 040 002 ლარი მოხმარდა, კულტურის სფეროს — 16 585 793 ლარი, ხოლო საეკლესიო მშენებლობებს — 10 090 382 ლარი. ამავე წელს „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდმა“ 15 ძეგლისა და ეკლესიის რესტავრაცია დააფინანსა, რაზეც 419 027 ლარი დაიხარჯა.

ასოციაცია „ატუმ“ 2005 წელს ქველმოქმედების სახით 44 944 858 ლარი დახარჯა, მათ შორის - 32 780 274 ლარი სხვადასხვა ობიექტების მშენებლობასა და მასალებს მოხმარდა, ხოლო 6 069 121 ლარი — გზების მშენებლობას.

**სრული ვერსია იხ. საიტზე www.ambebi.ge**

გამოხმაურება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კომუნისტების დროს ყველა აკადემიკოსი მუშაობდა სასწავლო ან კვლევით დაწესებულებაში, სადაც მას ჰყავდა მიმდევრები, ყოფილი მოწაფეების, ასპირანტებისა და სხვათა სახით; ჰქონდა მატერიალური ბაზა (კაბინეტ-ლაბორატორიები), ჰქონდა საშუალება თავისი მეცნიერული ნაშრომის პუბლიკაციისა და ა. შ. რა გვაქვს დღეს?! აკადემიკოსებს (და სხვა მეცნიერებს) დაუხურეს კათედრები, ფაქტობრივად, გაუუქმეს კვლევითი ინსტიტუტები, ჩამოუშალეს ის ძაფები, რომლებითაც დარგობრივი მეცნიერებები უკავშირდებოდა ერთიან ცენტრს — აკადემიებს და დაუტოვეს მარტო მაგიდები და მცირედი ანაზღაურება, რომელსაც ზოგიერთები დღესაც იმადლებიან.**

# მცირე რეპლიკა მეცნიერების შესახებ...

**ამ წერილით მინდა გამოვეხმაურო თქვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილს „ცოცხალთა პანთეონი“, რომელიც ეხება ქართულ მეცნიერებას — ზოგადად და მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას — კონკრეტულად. სტუდენტობიდან დღემდე მეცნიერებას ვემსახურები, გავიარე ყველა საფეხური და მივაღწიე უმაღლეს თანამდებობამდე. ვიყავი ორი უმაღლესი სასწავლებლის რექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ვარ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებების წევრი, საზღვარგარეთული უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი და პროფესორი და ა.შ. ყოველივე ეს ვთქვი იმიტომ, რომ ჩემს გამოხმაურებას მეტი დამაჯერებლობა შევმატო და ზოგიერთი სკეპტიკოსისთვის ჩემი სიტყვა უფრო საყურადღებო გავხადო.**





**მეცნიერებაში გზის გაკაფვა იმ უზარმაზარი წინააღმდეგობების დაძლევასაც გულისხმობს, რაც მეცნიერს არა მარტო სახელმწიფოსგან, არამედ კოლეგებისგანაც ხვდება**

მეცნიერება, მოგეხსენებათ, მძიმე შრომაა, ყოველივე იმის შესწავლაა, რაც შენამდე შექმნილა, ეს კი სამეცნიერო ბიბლიოთეკებში, არქივებში, სამეცნიერო პუბლიკაციებში და ა. შ. ზღვა მასალის დამუშავებაზე დახარჯული ათი ათასობით საათია, ტიტანური შრომაა.

თანამედროვე მეცნიერება ძვირადღირებული დარგია. ამაზე არაერთხელ ითქვა და დაიწერა, მაგრამ მასზე დახარჯული კაპიტალის უკუგება იმდენად დიდია, რომ კაცობრიობას მიახლოებითაც კი უჭირს მისი გაანგარიშება.

აქვე საჭიროდ ვთვლი, აღვნიშნო, რომ მეცნიერებაში გზის გაკაფვა იმ უზარმაზარი წინააღმდეგობების დაძლევასაც გულისხმობს, რაც მეცნიერს არა მარტო სახელმწიფოსგან, არამედ კოლეგებისგანაც ხვდება. აზრთა „ჭიდილი“ ზოგჯერ ძალიან მტკივნეულია... თუმცა ეს სხვა თემაა.

„რას აკეთებენ აკადემიკოსები, რომლებიც ამ წოდებისთვის უზარმაზარ ანაზღაურებას „იღებენ“?! დაახლოებით ასეთი კითხვაა გაზეთში „რა უნდა გააკეთონ“? ვსვამ კითხვას მე... ჯერ ერთი, მათი ანაზღაურება არაა დიდი და მეორეც ისინი აკადემიკოსობისთვის გასამრჯელოს იღებენ უკვე გაკეთებული საქმეებისთვის, რითაც საზოგადოებამ ისარგებლა და სახელმწიფომაც უზარმაზარი მოგება მიიღო. და კიდევ... ხელშესახები სამეცნიერო პროდუქციის შექმნისათვის მარტო აკადემიკოსობა და სამუშაო მაგიდა არ კმარა. მეცნიერს სჭირდება თანამოაზრეთა ჯგუფი, რომელშიც ყველა თავის კონკრეტულ სამუშაოს ასრულებს, ხელმძღვანელი კი კოორდინატორია, საჭიროების მიხედვით შეაქვს შესწორებები თემატიკაში, იღებს საჭირო გადაწყვეტილებას და ა. შ., ე. ი. თანამედროვე მეცნიერებას ქმნიან არა ცალკეული პიროვნებები (თუნდაც აკადემიკოსები), არამედ ადამიანების (თანამოაზრეების) გაერთიანებები.

**კომუნისტების დროს ყველა აკადემიკოსი მუშაობდა სასწავლო ან კვლევით დაწესებულებაში, სადაც მას ჰყავდა მიმდევრები, ყოფილი მოწაფეების, ასპირანტებისა და სხვათა სახით; ჰქონდა მატერიალური ბაზა (კაბინეტ-ლაბორატორიები), ჰქონდა საშუალება თავისი მეცნიერული ნაშრომის პუბლიკაციისა და ა. შ.**

**რა გვაქვს დღეს?! აკადემიკოსებს (და სხვა მეცნიერებს) დაუხურეს კათედრები, ფაქტობრივად, გაუუქმეს კვლევითი ინსტიტუტები, ჩამოუშალეს ის ძაფები, რომლებითაც დარგობრივი მეცნიერებები უკავშირდებოდა ერთიან ცენტრს — აკადემიებს და დაუტოვეს მარტო მაგიდები და მცირედი ანაზღაურება, რომელსაც ზოგიერთები დღესაც იმადლებიან.**

რა მივიღეთ? მივიღეთ ის, რომ ცოდნის უზარმაზარი მარაგი, რაც ცნობილ მეცნიერებსა და, მათ შორის, აკადემიკოსებსაც აქვთ, დარჩა სამეცნიერო ბაზისა და თანამოაზრე ადამიანების გარეშე და დღეისათვის უმოქმედოა. ვინ დაზარალდა? პირველ რიგში, მეცნიერება და უფრო მეტად — საზოგადოება.

მინდა, მკითხველს შევახსენო, რომ მეცნიერება „არ ბერდება“. ხანდაზმულ ან მოხუც ადამიანს შეიძლება უჭირდეს გადაადგილება, მაგრამ აზროვნება, უმეტეს შემთხვევაში, მოქმედია. ასე რომ, ჭეშმარიტ მეცნიერს, მიუხედავად ასაკისა, მაგიდიდან ადგომის გარეშეც შეუძლია დიდი სიკეთის მოტანა.

რამდენიმე მაგალითს დაგისახელებთ. **საქვეყნოდ ცნობილია ე.წ. თოდუას კლინიკა და მისი ხელმძღვანელი, საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერი, ბატონი ფრიდონი, რატომ? იმიტომ, რომ მას აქვს მისივე შექმნილი შესანიშნავი სამეცნიერო ბაზა, ჰყავს თანამოაზრეთა დიდი გუნდი, რომლის გარეშეც მისი უდავოდ დიდი ცოდნა მედიცინაში დაიკარგებოდა.**

ამით იმის თქმაც მინდა, რომ სხვა სამეცნიერო დარგებსაც შეეძლო წარმატებული საქმიანობა და განვითარება, რომ არ მოშლილიყო წლების განმავლობაში რუდუნებით ნაშენები სამეცნიერო ბაზა. ასე რომ, აკადემიკოსების შედარებითი უმოქმედობა, მათი ბრალი არაა.

კიდევ ერთი ფაქტი. 90-იანი წლების ბოლოს, ჩინეთიდან უნდა შემოგვეტანა 18 ცხენისძალიანი ტრაქტორები, რომლებიც მათ მიერ გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში უნდა მიგვეღო. როგორც კი გავეცანით ბუკლეტებს, მეცნიერ-მექანიზატორებმა მაშინვე ატეხეს განგაში... **გაირკვა, რომ ტრაქტორების მუშა ორგანოები გათვლილი იყო სუფთა ნიადაგებისთვის, სადაც ერთ კენჭსაც ვერ იპოვიდი... ლოდებითა და ქვებით სავსე საქართველოს ნიადაგებში ასეთი ტრაქტორი ერთ მეტრსაც ვერ გაივლიდა. პროტესტის მიუხედავად, პროცესი ვერ შევაჩერეთ, „ხელი უკვე მოწერილიაო,“ — გვითხრეს. არადა, იმ ხელისმომწერს რამდენიმე წუთიანი საუბარი რომ ჰქონოდა სპეციალისტებთან, საქმეს ნამდვილად წაადგებოდა, მაგრამ რატომღაც არ იკადრეს...**

დიდი ხმაური მოჰყვა ჰიბრიდულ სიმინდს. ამასთან დაკავშირებით მახსენდება გასული საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში ჩაის კულტურის მასიური გავრცელების პერიოდი. პროექტის დაწყებისთანავე ანასეულში შეიქმნა საერთაშორისო მნიშვნელობის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი და იმავე პერიოდში — ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ცოტა მოგვიანებით ქ. სოხუმში დაარსდა სუბტროპიკული მეურნეობის სასწავლო ინსტიტუტი, რომელიც ერთადერთი იყო მსოფლიოში და ამზადებდა უმაღლესი განათლების კადრებს არა მარტო საბჭოთა კავშირის მეჩაიეობის რეგიონებისთვის, არამედ ინდოეთის, შრი-ლანკისა და ჩაის მწარმოებელი სხვა ქვეყნებისთვისაც.

ანასეულის კვლევითმა ინსტიტუტმა შეისწავლა ჩაის გავრცელებისათვის უვარგისი რეგიონები, დაადგინა საქართველოში არსებული ნიადაგებისათვის ჩაის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკა, მეცნიერულ დონეზე აიყვანა ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესები და, რაც მთავარია, ინსტიტუტის მეცნიერებმა გლეხებს ასწავლეს ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანის უახლესი აგროტექნიკა. შედეგად მივიღეთ ის, რომ დროთა განმავლობაში, პატარა საქართველოს ჩაის პროდუქციის წარმოების მხრივ, მსოფლიოში IV-V ადგილზე გავიდა. ანასეულში გაიზარდა როგორც მეცნიერი აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე, რომლის მიერ გამოყვანილი ჩაის კულტურის ახალი ჯიში, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაინერგა.

მე მგონი, ზემოთ მოყვანილი მაგალითი თვალსაჩინოა იმისათვის, თუ როგორ უნდა დაინერგოს სიახლე სოფლის მეურნეობაში. რაც შეეხება ჰიბრიდული სიმინდის პროექტის ნაწილობრივ ჩავარდნას, აქ ბრალი სოფლის მეურნეობის შესაბამის სამსახურებს მიუძღვით, რომლებიც არც მეცნიერებს დაეკითხნენ და, რაც მთავარია, ფერმერებიც და გლეხებიც არ მოამზადეს ამისათვის.

არ შემიძლია არ გავიხსენო კიდევ ერთი ფაქტი: მიწათმოქმედების ინსტიტუტში მრავალწლიანი ძიებისა და ექსპერიმენტების შედეგად გამოიყვანეს ურწყავი მიწებისათვის ხორბლის ახალი ჯიში, რომელიც 40 ცენტნერამდე მოსავალს იძლეოდა. მკითხველს მინდა შევახსენო, რომ მარცვლეულის წარმოებაში ეს არის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა, ვინაიდან ნათესების 80 პროცენტზე მეტი ურწყავია. გაირკვა, რომ ქართველი მეცნიერები პრობლემების გადაწყვეტის ზღვარზე არიან. მოვიწვიეთ საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს 27 ქვეყნის წამყვანმა მეცნიერებმა. მათ დაადასტურეს ქართველი მეცნიერების მიერ მიღებული შედეგები.

საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის საჭირო გახდა დამატებითი საწარმოო ნაკვეთები, რომელიაც საბოლოოდ უნდა დაედასტურებია მეცნიერული კვლევის შედეგები. წერილი გაიგზავნა სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მაგრამ იქ მომუშავე არაპროფესიონალებმა ვერ გაიგეს იმ კვლევის მნიშვნელობა, რომელსაც ქართველმა მეცნიერებმა დაუდეს სათავე. არადა, მარტო თესლის რეალიზაციის შედეგად ქვეყანას შეეძლო მიეღო მილიონობით დოლარი...

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ აქვს კი აზრი?!

დასკვნის სახით მინდა აღვნიშნო: ნუ გაკილავთ ქართველ მეცნიერებს, მითუმეტეს, — ტიტულოვნებს, ბევრი მათგანი მსოფლიო დონის მკვლევარია. ქართული მეცნიერება ერთ-ერთი მოწინავე იყო იმ უზარმაზარ იმპერიაში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა.

**დღეს ქართველ მეცნიერებს შველა სჭირდება. მათ ჯერ კიდევ შესწევთ უნარი, რომ მოამზადონ ღირსეული ცვლა. ამ შანსის დაკარგვა სერიოზულად დააზარალებს ქვეყანას. სამწუხაროდ, ზოგიერთები ქართული მეცნიერების მინავლებას ელოდებიან, მათ გასაგონად მინდა განვაცხადო: ძლიერი და მიმზიდველი ქვეყანა ინტელექტუალების გარეშე ვერ აშენდება, საქართველოს კი, ჩვენდა საბედნიეროდ, ასეთები ჯერ კიდევ შემორჩა...**

**ნაპოლეონ ქარქაშაძე**
**31.10.2011 წელი**

## აჰმადინეჯადი ლიბიელებს ომისკენ მოუწოდებს

**ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი არაბული ქვეყნების მედიასაშუალებების ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ანტიდასავლური რიტორიკით გამოვიდა და განაცხადა, რომ ლიბიელმა ხალხმა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ახალი ომი უნდა დაიწყოს.**

„მაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ ნატოს ქვეყნები განიხილავენ საკითხს, როგორ დაიცვან საკუთარი ინტერესები ლიბიაში,“ — განაცხადა აჰმადინეჯადმა. მისი აზრით, ნატო იმაზე მეტად ზღუდავს ადამიანის უფლებებს ლიბიაში, ვიდრე ამას ჩამოგდებული ხელისუფლება აკეთებდა.

## ისრაელ-პალესტინის შეთანხმება ძალაში შევიდა

**ისრაელსა და პალესტინურ დაჯგუფებებს შორის მშვიდობის დამყარების შესახებ შეთანხმება ძალაში შევიდა. ამას წინ უძღოდა ისრაელის მხრიდან პალესტინურ ბოევიკურ ობიექტებზე ავიადარტყმები.** სააგენტოს ცნობით, მშვიდობის დამყარება მხარეებმა ეგვიპტის სადაზვერვო სამსახურების ზეწოლით შეძლეს. ისრაელის ავიადარტყმებმა ღაზას სექტორში ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია. მანამდე „ჰამასმა“ და ისრაელმა ტყვეები გაცვალეს; ისრაელმა პალესტინას 477 პატიმარი გადასცა.

„მაქვს ეპილეფსია ურთულეს ფორმაში, მაგრამ სოციალურად დაუცველის სტატუსთან ერთად გამიუქმეს სამედიცინო დაზღვევის პოლისიც, არადა, არაფერი გამაჩნია — არც თავშესაფარი და არც რამე ღირებული ნივთი. ერთადერთი, რაც მაქვს, ტანსაცმელია, რომელიც მაცვია“.

ნაც-ტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხელისუფლებამ დევნილი თამაზ ჯღამაძე შიმშილითა და სიცივით სიკვდილისთვის გაწირა

**„ჩვენ ვართ ერთადერთი ქვეყანა ამ რეგიონში, რომელიც ამ მძიმე ეკონომიკურ წელს ვზრდით ეკონომიკურ პროგნოზს და ექვს პროცენტზე აგვყავს“; „რეალურად საქართველო უკვე ჩამოყალიბდა გარკვეულწილად ტურისტულ ცენტრად... საქართველო უკვე ჩამოყალიბდა გარკვეულწილად ლოგისტიკურ ცენტრად, საქართველო უკვე ჩამოყალიბდა გარკვეულწილად საინვესტიციო ცენტრად, — კომპანიები ჩამოდიან საქართველოში, აქ აკეთებენ ბაზას და შემდეგ აქედან იწყება ვაჭრობა აზერბაიჯანთან, სომხეთთან და მიმდებარე ქვეყნებთან“.**

ეს სიტყვები, რომელთა მოსმენის შემდეგ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს (იმედია, მცირეს), ვეჭვობ, დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ საქართველომ უკვე შორს ჩამოიტოვა სინგაპურიც, დუბაიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჰონგ-კონგიც კი, არც მეტი, არც ნაკლები, პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს ეკუთვნის. 26 ოქტომბერს ბათუმში „ნაცმოძრაობის“ თავკაცთა სრული შემადგენლობა შეიკრიბა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების იმ ათპუნქტიან გეგმაზე იმსჯელა, რომელიც, ყველა „სიკეთესთან“ ერთად, ირიბად იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მიხეილ სააკაშვილი მინიმუმ 2015 წლამდე არსად წასვლას არ აპირებს (დოკუმენტში შავით თეთრზე წერია, რომ იგი 2011-15 წლებზეა გაწერილი).

**გეგმაში საუბარია იმაზე, რომ ქვეყანაში, მომდევნო წლების განმავლობაში, სოციალური ფონი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, გაიზრდება შიდაპროდუქტის წარმოება, „კიდევ უფრო“ მიმზიდველი გახდება ბიზნესგარემო, დაიხვეწება ჯანდაცვისა და განათლების სისტემები და ა. შ. ერთი სიტყვით, ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენით ამტყდარი სკანდალით დაშოკილმა „ვარდოსნებმა“ ის საქართველო წარმოგვიდგინეს, რომელსაც ჩვენ, „რიგითი მოკვდავები“ ჯერჯერობით ვერ ვხედავთ და რომელმაც მთელი ცივილიზებული სამყარო უკვე „გააოცა“ თავისი ეკონომიკური მიღწევებით.**

„საქართველო და მსოფლიოს“ აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი **თამაზ ჯღამაძე** შეხვდა და იმ პრობლემებზე ესაუბრა, რომლებიც დღესდღეობით ქვეყანაში მცხოვრებ მილიონ-ნახევარ სოციალურად დაუცველ ადამიანს აქვს.

**— ბატონო თამაზ, ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებს თუ დავუჯერებთ, ქვეყანაში სოციალური მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება. თქვენ, როგორც სოციალურად დაუცველი, რამდენად გრძნობთ ამას?**

— მარტივად გეტყვით, შარშან ვიყავი სოციალურად დაუცველთა სიაში და ვღებულობდი ოცდაათლარიან დახმარებას. ეს დახმარება, მართალია, დიდს არაფერს ნიშნავდა და ძირითადად ჩემი და მინახავდა, მაგრამ წლეულს, მარტში ეს დახმარებაც გამიუქმეს და დღეს, ფაქტობრივად, არანაირი საარსებო წყარო არ გამაჩნია. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, უმჯობესდება თუ არა ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი მოქალაქისთვის, სოციალური მდგომარეობა...

**— დახმარების გაუქმების მიზეზად რა დაგისახელეს?**

— ხელახალი რეგისტრაციის დროს თქვენ არ იმყოფებოდით სახლშიო, — ასეთი პასუხი გამცეს სოციალურად დაუცველთა სააგენტოში, ანუ მიმტკიცებენ, რომ ისინი თურმე მოსულან ჩემთან სახლში, დახვედრიათ ჩემი და და მას უთქვამს, რომ მე იქ არ ვცხოვრობ, რაც აბსურდია, ვინაიდან, არავინ ჩვენთან აღწერაზე არ მოსულა. გარდა ამისა, სოციალურად დაუცველის სტატუსთან ერთად გამიუქმეს სამედიცინო დაზღვევის პოლისიც, არადა, ვარ მძიმე ავადმყოფი, მაქვს ეპილეფსია ურთულეს ფორმაში და კვირა ისე არ გავა, რომ ორჯერ-სამჯერ სასწრაფო დახმარების გამოძახება არ დამჭირდეს. ერთი სიტყვით, **უმძიმეს მდგომარეობაში ვარ და ვითხოვ, ყურადღება მომაქციონ, მაგრამ არანაირი რეაგირება სოციალურად დაუცველთა სააგენტოდან ჯერჯერობით არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთხელ გამოგზავნეს აგენტი, რომელმაც, სხვათა შორის, ისეთი ქულები დამიწერა, გაოგნებული დავრჩი. არადა, არაფერი გამაჩნია — არც თავშესაფარი და არც რამე ღირებული ნივთი. ერთადერთი, რაც მაქვს, ტანსაცმელია, რომელიც მაცვია...**

**— თქვენ თქვით, რომ მძიმე ავადმყოფი ხართ. დაახლოებით რამდენი გიჯდებათ მკურნალობა ყოველთვიურად?**

— ექიმის რეკომენდაციით, ყოველ სამ თვეში ერთხელ უნდა ჩავიტარო პროფილაქტიკური მკურნალობა და ჯამში ამას დაახლოებით 260-280 ლარამდე სჭირდება. თვეში ეს დაახლოებით ასი ლარი გამოდის, მაგრამ როგორც გითხარით, არანაირი სახსრები და საარსებო წყარო არ გამაჩნია, მთლიანად ჩემი დის კისერზე ვარ. ასე რომ, რა ვქნა, არ ვიცი, ავადმყოფობა მაქვს ისეთი, ერთი დღეც რომ წამალი მომაკლდეს, შეიძლება, ვერც გადავრჩე...




**— სამედიცინო პოლისის უქონლობის გამო დღესდღეობით რა გაკლდებათ?**

— ბოლოს ცუდად რომ გავხდი და სასწრაფო გამოიძახეს, ექიმმა გამსინჯა და მითხრა, საავადმყოფოში უნდა გადაგიყვანოთ, პოლისი თუ გაქვსო, არ მაქვს-მეთქი და დამტოვეს სახლში. ამასთან, კარდიოლოგის დასკვნაშიც მიწერია, რომ მჭირდება სასწრაფო გამოკვლევა და მკურნალობა, მაგრამ იმის გამო, რომ პოლისი არ მაქვს, ვერაფერს ვახერხებ. ის კი არა, ხვალ და ზეგ წამალი მექნება თუ არა, ეგეც არ ვიცი. რის იმედი უნდა მქონდეს ამ უსახსრობაში...

> **«ვარდოსნებმა» ის საქართველო წარმოგვიდგინეს, რომელსაც ჩვენ, «რიგითი მოკვდავები» ჯერჯერობით ვერ ვხედავთ და რომელმაც მთელი ცივილიზებული სამყარო უკვე «გააოცა» თავისი ეკონომიკური მიღწევებით**

**— სოციალურად დაუცველთა სააგენტოს გარდა, რომელიმე სხვა ორგანიზაციას, თუნდაც მერიას, თუ მიმართეთ დახმარებისთვის?**

— იცით რა, დევნილთა, სულ ცოტა, სამოცდაათი პროცენტი ჩემნაირ დღეშია და მერია სავსეა მათი განცხადებებით, მაგრამ დღემდე ამ ადამიანების მოთხოვნებზე ყურიც არავის შეუბერტყავს; რა აზრი აქვს განცხადებას?! კვირაობით ვშიმშილობდით დევნილთა სამინისტროსთან და რა მივიღეთ შედეგად? – ქალი იმ მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომ ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა. იცით, ეს რატომ გააკეთა? — დახმარებას რომ ითხოვდა, ასე უთხრეს, წადი და ბალახი მოძოვეო; მერე კიდევ საავადმყოფოში ყურადღება არ მიაქციეს და ადამიანი ძალით დაღუპეს. ახლა როგორ გინდა, ასეთ ხალხთან რამეს მიაღწიო?!

**— როგორც ვიცი, თქვენ დღემდე დევნილებისთვის განკუთვნილი კომპენსაციაც არ მიგიღიათ.**

— არანაირი კომპენსაცია ჩემთვის არ შემოუთავაზებიათ. სანამ სოციალურად დაუცველის სტატუსს გამიუქმებდნენ, 30 ლარად ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი, დღეს კი უკვე იმ ოცდაათი ლარის საშუალებაც აღარ მაქვს და დის კისერზე ვარ, ის მინახავს, მასმევს და მაჭმევს. როგორც გითხარით, სხვა არანაირი სახსარი არ გამაჩნია...

**— ხშირად არის ხოლმე საუბარი იმაზე, რომ დევნილებს ერთმანეთის მიმართ სოლიდარობა აკლიათ, რომ ისინი თავიანთი უფლებების დასაცავად ბოლომდე არ იბრძვიან და ა. შ. თქვენ რას აპირებთ მომავალში, რა ფორმით შეეცდებით იმის მიღებას, რაც რეალურად კანონოთ გეკუთვნით?**

— მე ერთი რიგითი მოქალაქე ვარ და ჩემი აქტიურობა, სულ რომ ტყავიდან გამოვძვრე, ბუნებრივია, არაფერს ნიშნავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გაჩერებას, რა თქმა უნდა, არ ვაპირებ. დასაკარგი არაფერი მაქვს. ასე რომ, ცხადია, **ყველანაირად და ყველა ფორმით ვიბრძოლებ იმისთვის, რაც მეკუთვნის; ასევე მინდა მოვუწოდო და ვთხოვო ყველა დევნილს, განსაკუთრებით მათ, ვისაც სოციალურად დაუცველის სტატუსი მოუხსნეს, რომ გავერთიანდეთ და იქნებ სწორედ ერთიანობით მივაღწიოთ იმას, რასაც ამდენი ხანია, ამდენი ბრძოლისა და ძალისხმევის მიუხედავად, დღემდე ვერაფრით ვერ მივაღწიეთ...**

> **«გავერთიანდეთ და იქნებ სწორედ ერთიანობით მივაღწიოთ იმას, რასაც ამდენი ხანია, ამდენი ბრძოლისა და ძალისხმევის მიუხედავად, დღემდე ვერაფრით ვერ მივაღწიეთ...»**

**P.S. იმედია, მკითხველს თავს არ შევაწყენ და დასასრულს ისევ ნიკა გილაურის ციტატა მინდა მოვიყვანო 26 ოქტომბერს ბათუმში გამართული მთავრობის სხდომიდან: „სამ-ოთხ წელიწადში, ხუთ წელიწადში საქართველოს ექნება ისეთი რაოდენობის ელექტროენერგია, ისეთი რაოდენობის გაზი და ისეთი რაოდენობის გამტარუნარიანობა, რომ ეს შეიძლება მართლა ჩამოყალიბდეს მულტიმოდალურ სატრანსპორტო და ენერგეტიკულ კვანძად, რომელიც მთელ რეგიონს მოემსახურება...“**

**ძვირფასო მკითხველო, მსგავსი აბსურდული სიტყვები რომელიმე ოპოზიციონერ ლიდერს, რადიკალს, თუნდაც ფსევდოს, რომ ეთქვა, დარწმუნებული ვარ, „ნაცმოძრაობის ბელადი“ ასე უპასუხებდა: „ვაი შენს პატრონს!“; მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ამ სიტყვებს მილიონ-ნახევარი სოციალურად დაუცველით დახუნძული ქვეყნის მესამე პირის, ანუ პრემიერ-მინისტრისგან ვისმენთ, ისღა დაგვრჩენია, ფრაზაში ნაცვალსახელი შევცვალოთ და ყველამ ერთად მთელი ხმით დავჭექოთ: მართლა ვაი ჩვენს პატრონს!..**

**ჯაბა ჟვანია**

## დნესტრისპირეთში 160 მილიონი დაიტაცეს

**დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ე. წ. პრეზიდენტის — იგორ სმირნოვის ვაჟი რუსეთის ფედერაციის მიერ ამ ე. წ. რესპუბლიკისთვის გამოყოფილი 160 მილიონი რუბლის ღირებულების ჰუმანიტარული დახმარების დატაცების საქმეში ფიგურირებს.** აღსანიშნავია, რომ რუსეთის გენპროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელმა ვლადიმერ მარკინმა განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაციამ დნესტრისპირელი ბანკირების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ჰუმანიტარული დახმარების დატაცების საქმესთან დაკავშირებით. მისი თქმით, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია დნესტრისპირეთის ე. წ. რესპუბლიკური ბანკის თავმჯდომარის მოადგილის — ოლეგ ბლიზიცკის და სხვა პირთა მიმართ.

## თურქმა მაშველებმა სამუშაოები დაასრულეს

**ბოლო გადარჩენილი, რომელიც მაშველებმა ნანგრევებიდან 108 საათის შემდეგ ამოიყვანეს, 13 წლის ბიჭია.** სამაშველო სამუშაოების შედეგად ნანგრევებში მოყოლილი 185 ადამიანის გადარჩენა მოხერხდა. ბოლო მონაცემებით, კვირას მომხდარი მიწისძვრის შედეგად 550 ადამიანი დაიღუპა. არაოფიციალური ინფორმაციით კი, მსხვერპლი 1000-ს აღემატება. საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების მიუხედავად, თურქეთში ათასობით ადამიანი ღამეს ისევ ღია ცის ქვეშ ათევს.

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში ამერიკული ჰიბრიდული სიმინდის მოსავლის ასაღებად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ჟურნალისტებთან ერთად წავიდნენ. ადგილზე მისულთ, დათესილ ფართობს და მოსავალს თუ ერთმანეთს შევადარებთ, საპიარე ბევრი არაფერი დახვედრიათ, რადგან სულ 8 ჰექტარზე დათესილი ფართობიდან, როგორც გაირკვა, მოსავალი 3 ჰექტარზე მოვიდა. ხელისუფლება და ფერმერი კი მიიჩნევენ, რომ ესეც ხეირია.

# ინგლისური ენის პედაგოგების «ფლეტჩერიზაცია» გრძელდება

**ინტერნეტგაზეთ „ქიზიყის“ ინფორმაციით, განათლების სამინისტროს საგანმანათლებლო პროექტის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის რუსულ-ქართულ სკოლაში ინგლისური ენის უცხოელი პედაგოგის შესვლის საკითხი რამდენიმე თვით გადაიდო. ამისშესახებ გაზეთ „ქიზიყს“ რუსულ-ქართული სკოლის დირექტორმა ლალი გოჩიტაშვილმა აცნობა. გაირკვა, რომ პედაგოგმა დედოფლისწყარო ორ თვეში დატოვა. დედოფლისწყაროში გავრცელებული ინფორმაციით, ის პროტესტის ნიშნად წავიდა.**



უცნობია, რას და როგორ აპროტესტებდა 22 წლის ინგლისურენოვანი პედაგოგი მერი სმიტი, რომელიც ამ სკოლაში განაწილდა და დედოფლისწყაროში ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფებოდა, ხოლო დედოფლისწყაროდან ვადაზე ადრე წავიდა. რუსულ-ქართული სკოლის დირექტორი „ქიზიყთან“ საუბარში ვერ აკონკრეტებს, რატომ გადაწყვიტა პედაგოგმა სოფლიდან წასვლა, თუმცა ამბობს, რომ სმიტი გურჯაანში გადავიდა. რატომ ამჯობინა მან გურჯაანი დედოფლისწყაროს, უცნობია. სამაგიეროდ, კარგად არის ცნობილი, თუ როგორ უყვართ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს ბიუჯეტის ხარჯზე საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება:

**„მერი სმიტი ჯერ დედოფლისწყაროელ სამართალდამცველებს ამეცადინებდა. ჩვენს სკოლაში შემოსვლა თავდაპირველად ამ მიზეზის გამო დაუგვიანდა. სხვა სკოლებში უცხოელი პედაგოგები მაშინვე ჩაერთნენ, თუმცა სმიტი ჩვენთან შემოსვლას ჯერ ვერ ახერხებდა. რაც ჩვენ გვევალებოდა, ყველაფერი მოვაგვარეთ, არანაირი დაბრკოლება არ შეგვიქმნია. მასპინძელი ოჯახის შერჩევა გვევალებოდა და საუკეთესო პირობები დავახვედრეთ. მაგრამ საბოლოო ჯამში აღმოჩნდა, რომ ის გურჯაანის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში გადავიდა. ჩემთვის უცნობია, რატომ დატოვა დედოფლისწყარო, ან რა გახდა მისი გურჯაანში გადასვლის კონკრეტული მიზეზი. ამის შესახებ ნამდვილად არაფერი ვიცი. ისე კი, არა მგონია, რომ მომდევნო ნაკადის საქართველოში ჩამოყვანამდე ასე დავრჩეთ. როგორც ვიცი, სხვა უცხოელ პედაგოგს ჩვენს სკოლაში ამ თვეებში გამოგზავნიან,“** — აცხადებს რუსულ-ქართული სკოლის დირექტორი.

დაახლოებით თვე-ნახევრის წინ, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლის დირექტორი ინტერნეტგაზეთ „ქიზიყთან“ საუბრისას ირწმუნებოდა, რომ მერი სმიტი მათივე მოსწავლის, დავით მაძღარაშვილის ოჯახში იცხოვრებდა. დირექტორი მანამდეც არ უარყოფდა, რომ მათ სკოლაში პედაგოგის შესვლა ჭიანურდებოდა.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი მარინე მეხრიშვილი მერი სმიტის მიერ დედოფლისწყაროს დატოვების ფაქტს ადასტურებს, თუმცა აცხადებს, რომ ინგლისურენოვანი პედაგოგის უკმაყოფილების თაობაზე არაფერი სმენია. მისი თქმით, პედაგოგი სხვა რაიონში თავად განათლების სამინისტრომ გადაიყვანა და კონკრეტული მიზეზები მისთვის უცნობია.

წელს დედოფლისწყაროში სამი უცხოელი პედაგოგი ჩავიდა, ორი – „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ პროგრამის, ხოლო 24 წლის ჯოუთენ ბერნსი „მშვიდობის კორპუსის“ ფარგლებში ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში ასწავლის.

**თუ დედოფლისწაროს მოხელეები ბავშვების ხარჯზე ინგლისურად გართობას არ მოიშლიან, შეიძლება იქიდან დარჩენილი ორი პედაგოგიც სხვაგან გაიქცეს.**

# ივანიშვილის ფულის აღებას ფეხბურთელებსაც უკრძალავენ

**შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვას საფეხბურთო კლუბი „ჩიხურა“ შეეწიროს. ამის შესახებ ინფორმაციას „გურია ნიუსი“ ავრცელებს.**

**საჩხერის კლუბი პირველი ლიგის გათამაშებაში მონაწილეობს, დღემდე წაუგებლად ასპარეზობს და უმაღლეს ლიგაში გადასვლის მთავარი კანდიდატია.**

„ჩიხურა“ ყოველთვის გამოირჩეოდა კარგი ფინანსური შესაძლებლობებით. მას, დიდი ხანია, ბიძინა ივანიშვილი აფინანსებს. წლების წინ ბიზნესმენი სერიოზულად იყო დაინტერესებული გუნდის წინსვლით, ამისთვის ის ფულს არ იშურებდა და გუნდი უმაღლეს ლიგაშიც ჰყავდა, თუმცა შემდეგ, როგორც ჩანს, კლუბის ფულით ხელის მოთბობა მოინდომეს, როგორც ეს ტრადიციულად ხდება საქართველოში, ასეთ რამეს კი ივანიშვილი ნათესავებსაც კი არ პატიობს.

მართალია, მან კლუბის პირდაპირ დაფინანსებაზე უარი თქვა, თუმცა შემდგომში მისი კომპანიებიდან საჩხერის ბიუჯეტში შესული თანხებით „ჩიხურა“ სერიოზულად ფინანსდება. როგორც ამბობენ, ბიზნესმენი ფეხბურთელებს ფინანსურადაც ახალისებს და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ პირველლიგელი კლუბის ეკონომიკურ მდგომარეობას ბევრი უმაღლესლიგელი გუნდი ნატრობს.

**გამოცემის ინფორმაციით, გუნდს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ივანიშვილის დაფინანსების მიღება აუკრძალეს: ბიძინა ივანიშვილის განცხადების შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ კლუბის ხელმძღვანელები შეკრიბა და მოთხოვა, უარი ეთქვათ ფინანსურ დახმარებაზე. ფეხბურთელებს შეუთვალეს: „მორჩა, დღეიდან ივანიშვილის ფულს ხელი არ მოჰკიდოთ და თანხას ჩვენ გადაგიხდითო“.** ეგ კი არა, მალე ექიმებსაც და ყველა იმ ადამიანებსაც ასე მოექცევიან, ვისაც ბიძინა ივანიშვილი და მისი ფონდი აფინანსებს. რაც შეეხება საფეხბურთო კლუბს, ივანიშვილის „ჩასანაცვლებლად“ ამ ეტაპზე, ალბათ, მართლაც შეუქმნიან კარგ პირობებს, თუმცა, საბოლოო ჯამში, რისი გამკეთებელია ხელისუფლება, ქართული კლუბებისთვის „ნაშოვნი სპონსორებითაც“ შეიძლება ვიმსჯელოთ,“ — წერს გამოცემა.

# სამედიცინო ექსპერტმა სართანიასთვის მიყენებული დაზიანებები დაადასტურა

**ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, სოფელ ზედა ეწერის პოლიციის განყოფილების ყოფილი უფროსის, ლაშა ექონიას საქმეზე სასამართლო სხდომა გაიმართა. მას ბრალად მოქალაქე ალექსანდრე სართანიას წამება და სიკვდილის პირამდე მიყვანა ედება.**



სასამართლო პროცესზე მოწმის სახით სამედიცინო ექსპერტი გია გომბორიძე დაიკითხა, რომელმაც დაადასტურა, რომ დაზარალებულ ალექსანდრე სართანიას მიყენებული ჰქონდა დაზიანებები სხეულზე და თავის არეში.

ყოფილი პოლიციელის — ლაშა ექონიას წინააღმდეგ ზუგდიდის რაიონულმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, რაც თავისუფლების აღკვეთას ვადით 9-დან 15 წლამდე ითვალისწინებს. 19 აგვისტოს ლაშა ექონიას ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიება — 2 თვით პატიმრობა შეუფარდა. ზედაეწერის პოლიციის განყოფილების უფროსი, მოქალაქე ალექსანდრე სართანიას ცემის გამო, სამსახურიდან 2 ივლისს გაათავისუფლეს. მანამდე დაზარალებულის ოჯახმა მას პროკურატურაში უჩივლა. მოსამართლე რომან ხორავას გადაწყვეტილებით, საქმეზე მორიგი სასამართლო პროცესი 3 ნოემბერს გაიმართება.

# გურიაში რვა ჰექტრიდან ხუთზე მოსავალი არ მოვიდა

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში ამერიკული ჰიბრიდული სიმინდის მოსავლის ასაღებად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ჟურნალისტებთან ერთად წავიდნენ. ადგილზე მისულთ, დათესილ ფართობს და მოსავალს თუ ერთმანეთს შევადარებთ, საპიარე ბევრი არაფერი დახვედრიათ, რადგან სულ 8 ჰექტარზე დათესილი ფართობიდან, როგორც გაირკვა, მოსავალი 3 ჰექტარზე მოვიდა. ხელისუფლება და ფერმერი კი მიიჩნევენ, რომ ესეც ხეირია.**

სოფელ მერიაში, ფერმერ დავით სურგულაძის ფართობში, მიუხედავად სამი მერვედი მოსავლის მიღებისა, იგი მაინც ამბობს, რომ უკმაყოფილო არ არის. სავარაუდოდ, სურგულაძე ასე „დაარიგეს“.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი, გამგებლის მოადგილე სოფლის მეურნეობის საკითხებში, ლაშა ღლონტი და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები ადგილზე მისვლისას დარწმუნდნენ, რომ დათესილი 8 ჰექტარი ფართობიდან 5 ჰექტარზე მოსავალი ვერ მიიღეს.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ სოფლის მეურნეობის საკითხებში,



ლაშა ღლონტმა სურგულაძე ასე დააკვალიანა: **„ გასაშრობად სიმინდი აბაშაში უნდა წაიღო. იქ გააშრობენ და შეინახავენ. იქვე მივა კლიენტი და შეისყიდის უკვე გამზადებულ პროდუქტს. ფერმერს მაინც დარჩება მოგება, რომ სამომავლოდ ისევ მოიყვანოს ეს კულტურა,“** – გაანუცხადა მან „გურია ნიუსის“ ჟურნალისტებს.

# ზამთარში შეშის ყიდვა კრიმინალური დანაშაულია

**აჭარის მოსახლეობას შეშის კრიზისი აქვს. ვინაიდან სატყეო სააგენტომ შეშისმომარაგებაზე ლიცენზიის გაცემა სექტემბრის ბოლოს დაიწყო, მოსახლეობამ გასათბობად შეშის მომარაგება ველარ მოხერხა. თან ამ პერიოდში მაღალმთიანეთში ტემპერატურა მნიშვნელოვნად დაეცა.**

აჭარაში „დემოკრატიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელის, გენო გელაძის თქმით, ამ თემის აქტუალობა მათ მიერ მოსახლეობის გამოკითხვის დროს გამოჩნდა. გარდა ნებართვების დაგვიანებით გაცემისა, მოსახლეობა შეშით მომარაგების კრიზისს კიდევ რამდენიმე ფაქტორით ხსნის. მათ შორის: საშეშე მერქნის გამოყოფამ ტყის მიუვალ ნაწილებში შეუძლებელი გახადა მისი ტყიდან გამოტანა.

**„დემოკრატიის ინსტიტუტი“ მიმართავს ადგილობრივ ხელისუფლებას და მოუწოდებს, მოსახლეობას დახმარება აღმოუჩინოს: უზრუნველყოს საშეშე მერქნის გამოყოფა ხელისმისაწვდომ ადგილებში, დაეხმაროს ტყიდან შეშის გამოტანაში და ტექნიკისა და რეინჯერების საჭირო რაოდენობა უზრუნველყოს.**

ალსანიშნავია, რომ რეფორმის შედეგად „შეშის ბაზრობები“ აიკრძალა. ასე რომ, დრო,



როცა მოულოდნელად თავს დატეხილი თოვლის, უშუქობისა და სიცივის შემთხვევაში ბაზარზე შეშის შეძენა ტომრებით შეიძლებოდა, წარსულს ჩაბარდა. ვისაც შეშის ღუმელის დადგმა სურს ბათუმში, აუცილებლად წინასწარ უნდა მიმართოს სატყეო სააგენტოს განცხადებით, გადაიხადოს თანხა ბანკში, დაიქირავოს ტრანსპორტი ხის მჭრელთან ერთად და ტყეში წავიდეს შეშის დასამზადებლად. ზამთარში შეშის ყიდვა კრიმინალურ დანაშაულად ჩაითვლება.

გასულ კვირას თურქული ტრაილერი, რომელსაც ამ ქვეყნის 30 წლის მოქალაქე მართავდა, არც მეტი, არც ნაკლები – არა მარტო ეზოში შევარდა, სახლშიც შევიდა! ორსართულიანი კეთილმოწყობილი სახლი ლამის შუაზე გაააპო! ბედად, სახლში არავინ იმყოფებოდა, თორემ ტრაგედია გარდაუვალი იქნებოდა... ავარიის თვითმხილველი ოჯახის წევრი ნანული ნიკოლაიშვილია, რომელმაც საკუთარი თვალით დაინახა, თუ როგორ შეიჭრა მის ეზოში გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალი ტრაილერი და როგორ დაუნგრია სახლი.

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შსს ჟურნალისტებს მორიგებას სთავაზობს



**26 მაისს დაზარალებულ ჟურნალისტებსა და მედიაორგანიზაციებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე მორიგებას სთავაზობს, მაგრამ პირობები უცნობია.**

შსს-ს წინააღმდეგ ჟურნალისტების სარჩელთან დაკავშირებით გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მეორე მოსამზადებელ სხდომა გაიმართა. გადაწყდა, რომ საქმის არსებითი განხილვა 22 ნოემბერს დაიწყება.

პროცესზე მოსამართლემ მოსარჩელე მხარეს მოპასუხის შესაგებელი გადასცა, სადაც შსს წერს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება სამართალდამცავთა მხრიდან ჟურნალისტებისთვის მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტი.

შსს-ს წარმომადგენელმა ჟურნალისტების ინტერესების დამცველს სასამართლომდე მორიგება შესთავაზა, თუმცა პირობები არ წარმოუდგენია. ადვოკატ ნათია კაპანაძის თქმით, ეს მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც ადვოკატები იმ ჟურნალისტებს და მედიაორგანიზაციებს მოეთათბირებიან, ვინც შსს-ს უჩივის.

**შპს „გაზეთ ბათუმელების“ დამფუძნებელი მზია ამაღლობელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან რაიმე სახის მორიგებას კატეგორიულად გამორიცხავს. მისი თქმით, გაზეთმა მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით იმიტომ მიმართა სასამართლოს, რომ ყველაფერი სამართლებრივად გაირკვეს.**

ჟურნალისტებმა შსს-ს წინააღმდეგ სასამართლოში ადმინისტრაციული წესით სარჩელი 2011 წლის 26 მაისს, თბილისში ოპოზიციის აქციის დაშლისას, სამართალდამცავების მიერ მიყენებული ფინანსური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით შეიტანეს. ჟურნალისტების საერთო სარჩელი სულ შვიდი მოსარჩელის მოთხოვნას აერთიანებს, ესენი არიან: ნეტგაზეთის ჟურნალისტები: თაზო კუპრეიშვილი და კონსტანტინ სტალინსკი, გაზეთ „გურია ნიუსის“ ჟურნალისტი ნატო გოგელია, შპს „გაზეთი ბათუმელები“, შპს „ჩოხატაურის მაცნე“, შპს „ახალი ამბები“, შპს „ცენტრ პლიუსი“ და ინტერნეტ გამოცემა მედია.გე. ჟურნალისტების ინტერესებს სასამართლოში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან არსებული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის იურისტები: თამარ კორძაია და ნათია კაპანაძე იცავენ.

# დე ვაალმა ნაცებს შეუტია



**ქართულ პოლიტიკაში მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას ბელგიელი ექსპერტი, კარნეგის ფონდის სპეციალისტი თომას დე ვაალი The National Interest-ში გამოქვეყნებული პუბლიკაციით გამოეხმაურა.**

დე ვაალი წერს, რომ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის ქარიშხალს გაუძლო და ოპოზიციის მარგინალიზაცია მოახერხა, 2012-2013 წლების საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით მხოლოდ ორი პასუხგაუცემელი შეკითხვა იყო: როგორი უმრავლესობით შევიდოდა პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობა“ და ეცდებოდა თუ არა სააკაშვილი პრემიერმინისტრობას 2013 წლის შემდეგ.

**„თუმცა, ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილს, მხოლოდ და მხოლოდ ორი კვირა დასჭირდა იმისთვის, რომ შიდა ქართული პოლიტიკური სცენა შეერყია,“** — წერს ექსპერტი და პოლიტიკურ პროცესებში ჩართვასთან დაკავშირებით ივანიშვილის 7 ოქტომბრის განცხადებას პოლიტიკურ დემარშს უწოდებს.

დე ვაალი თავის წერილში იმ ბრალდებების და ეჭვების შესახებაც წერს, რომლებიც მმართველი გუნდის მიერ ბიძინა ივანიშვილის მისამართით გამოითქვა. ექსპერტის თქმით, **„მათ რუსეთის კარტით უკვე იმდენჯერ ითამაშეს, რომ ახლა ამით ველარავის შეაშინებენ“.** ავტორის აზრით, ივანიშვილის „პუტინის დამქაშობის“ შესახებ ბრალდებები არადამაჯერებლია.

**„ამ ადამიანმა (ივანიშვილმა) რუსეთი ცხრა წლის წინ დატოვა და საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო, მისი შვილი ბერა რეპერია, რომელიც ლოს-ანჯელესში მოღვაწეობს. მას (ბიძინა ივანიშვილს) აქვს საკმარისი ფული იმისთვის, რომ საკუთარ თავს ეკუთვნოდეს. ივანიშვილმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ მას რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა უნდა, მე ვეჭვობ, რომ ეს გზავნილი ელექტორატის ფართო სეგმენტისთვის ჩაძირული იყოს, ამ ქართველებს, შესაძლოა, არ სურთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი პუტინს ხელში ჩაუგდონ, მაგრამ მათ რუსეთთან ვაჭრობა და თავისუფლად გადაადგილება უნდათ,“** — წერს დე ვაალი.

ექსპერტი შენიშნავს, რომ ქართველ მილიარდერს, რომელსაც, „ფორბსის“ მონაცემებით, 5,5 მილიარდის ოდენობის კაპიტალი აქვს, გამჭრიახი პოლიტიკური ინსტინქტებიც აღმოაჩნდა: **„მან ხმამაღლა თქვა ის, რასაც თბილისში კერძო საუბრებში ყველა ამბობს — „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“ ფსევდო-ოპოზიციაა“.**

ექსპერტი იმასაც აღნიშნავს, რომ ივანიშვილი თავის პოლიტიკურ პარტნიორებად იმ ძალებს მოიაზრებს, ვინც საქართველოში კრიტიკული აზროვნებით გამოირჩევა: რესპუბლიკელები და ირაკლი ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“.

თომას დე ვაალის შეფასებით, ამ მომენტისთვის სცენაზე ივანიშვილის გამოჩენას ქართული პოლიტიკური სისტემისთვის ჯანსაღი შოკის ეფექტი აქვს. **„პოლიტიკური სივრცე გაიხსნა და საქართველოში ნამდვილი შეჯიბრია შესაძლებელი,“** — აღნიშნავს ექსპერტი.

# ჯონ ბასს MAP-ის მინიჭებაზე საუბარი ნაადრევად მიაჩნია

**საქართველოში აშშ-ის ელჩს, ჯონ ბასს ნაადრევად მიაჩნია საუბარი იმაზე, დადგება თუ არა 2012 წლის ნატოს მინისტერიალზე საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხი.**



**„ბატონი ჯეიმს აპატურაისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ჩიკაგოს მინისტერიალამდე 6 თვით ადრე არ განვსაზღვრავდი, რა საკითხები შეიძლება დადგეს მინისტერიალზე და რა საკითხები — არა. საქართველო მნიშვნელოვანი პარტნიორია, მას ავღანეთის ოპერაციაში, რომელიც საერთო უსაფრთხოებას და გამოწვევების დაძლევას ემსახურება, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს,“** — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ჯონ ბასმა აპატურაის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას.

უცხოურმა და რუსულმა სააგენტოებმა გაავრცელეს ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში ნატოს წაარმომადგენლის, ჯეიმს აპატურაის კომენტარი, რომლის მიხედვითაც, საქართველო, სავარაუდოდ, ჩართული არ იქნება ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმაში (MAP), რომელიც 2012 წლისთვის ჩიკაგოში დაგეგმილ სამიტზე უნდა გამოცხადდეს.

# თურქული ტრაილერები ეზოებში იჭრებიან და სახლებს ანგრევენ

**ლანჩხუთის მოსახლეობა აღშფოთებას ველარ მალავს თურქი მძღოლების თავგასულობის გამო, რასაც პატრული წაყრუების პოლიტიკით პასუხობს.**

„გურია ნიუსის“ ინფორმაციით, ბოლო პერიოდში გახშირდა ავარიები უცხოელი მძღოლების მიერ, რასაც ადამიანთა მსხვერპლიც კი მოჰყვა. ბოლოსწინა შემთხვევა ყველაზე ტრაგიკული აღმოჩნდა – ავტოსაგზაო შემთხვევამ, რომელიც თურქი მძღოლის დაუდევრობას მოჰყვა, 7 ადამიანის სიცოცხლე ადგილზე შეიწირა. წინა შემთხვევებში კი თურქულმა ტრაილერმა რამდენიმე ახალგაზრდა იმსხვერპლა.

**გასულ კვირას თურქული ტრაილერი, რომელსაც ამ ქვეყნის 30 წლის მოქალაქე მართავდა, არც მეტი, არც ნაკლები – არა მარტო ეზოში შევარდა, სახლშიც შევიდა! ორსართულიანი კეთილმოწყობილი სახლი ლამის შუაზე გააპო! ბედად, სახლში არავინ იმყოფებოდა, თორემ ტრაგედია გარდაუვალი იქნებოდა.**

ავარიის თვითმხილველი ოჯახის წევრი ნანული ნიკოლაიშვილია, რომელმაც საკუთარი თვალით დაინახა, თუ როგორ შეიჭრა მის ეზოში გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალი ტრაილერი და როგორ დაუნგრია სახლი. იგი მეზობლისგან ბრუნდებოდა, როცა სატვირთო მანქანა შენიშნა, ჭიშკრის მხარეს გადავიდა, რომ გზა დაეთმო, ტრაილერის მძღოლმა კი საჭე ვერ დაიმორჩილა, საავტომობილო გზიდან გადავიდა, ეზოში ღობიდან შეიჭრა, საცხოვრებელი სახლის ორივე სართულის წინა ნაწილი მთლიანად ჩამოანგრია და სახლში გაიჭედა. ქალბატონი ნანული უყურებდა, როგორ ინგრეოდა სახლი.

**მეზობლებმა სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს, თუმცა ის მძღოლს არ დასჭირვებია, რადგან არ დაშავებულა. სამაგიეროდ, გონება დაკარგა ოჯახის უფროსმა. გამოცემის ინფორმაციით, ალუმინის ფილები ტრაილერს აზერბაიჯანიდან თურქეთში გადაჰქონდა. იმის გამო, რომ ტვირთი სატრანზიტო გახლდათ, საქმეში საბაჟო უწყება ჩაერთო. როგორც დაზარალებული ოჯახი აცხადებს, პოლიციას მანქანის საჯარიმო სადგომზე გადაყვანა იმ დღესვე უცდია, მაგრამ ამის ნება ნიკოლაიშვილებს არ დაურთავთ, რადგან სატვირთო მანქანა ისეა სახლში შეჭრილი, რომ გამოიყვანონ, სახლი მთლიანად დაიშლება.**

ოჯახი ზარალის ანაზღაურებას ითხოვს. გარდა მეორე სართულისა, პირველ სართულზე მთლიანად განადგურდა სათავსო, სადაც ოჯახს ახალდაწურული 300 ლიტრი ღვინო და ზამთრისთვის მომზადებული სურსათსანოვაგე ჰქონდა მომარაგებული. ამას გარდა, დაკარგულია ოჯახის უფროსის საპენსიო მოწმობა და თანხა – 2000 ლარამდე.



თურქი მძღოლი ლანჩხუთში დასაქმებულმა თანამემამულემ შეიფარა, რომელსაც პატარა სასადილო აქვს. როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ოჯახთან მძღოლმა სწორედ თანამემამულეები მიაგზავნა და 10 ათას ლარამდე შესთავაზა: **„სამარცხვინო თანხაა, ამას როგორ ავიღებთ? აგვიშენონ ისეთი სახლი, როგორიც გვქონდა. სანამ ამის გარანტიას არ მივიღებთ, მანქანას არ გავატანთ! ზამთარი მოდის და ღია ცის ქვეშ გვტოვებენ? მათ ააშენონ, ფულს არ ვთხოვთ! გვითხრეს, 50 ათასზე მეტი დაჯდებაო და ისინი 10 ათასს იხდიან. მანქანა რომ გაიყვანონ, მძღოლი თურქეთში გადავა და მერე ვინ აგვინაზღაურებს ზარალს?“** – აცხადებენ დაზარალებულები.

გურულები პატრულისგან მოითხოვენ, ქართველ მძღოლებს რომ არ ინდობენ, უცხოელი მძღოლების თავგასულობაც შეაჩერონ!

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თუ იმას, რასაც მათი გაწვრთნილი მიხეილი ტელეეკრანებზე სჩადის, სახელწიფოს მართვა ჰქვია, მაშინ რას ერჩით ვლადიმერ ლენინს, რომელსაც მიაწერენ დებულებას – „ЛЮБАЯ КУХАРКА СПОСОБНА УПРАВЛЯТЬ ГОСУДАРСТВОМ“?! ნებისმიერი ვერონიკა, ხათუნა და, მით უფრო, ნინა წკრიალაშვილი რეფორმირებულ საქართველოში სახელმწიფოს მართვის ეტალონური ნიმუშებია.

# რეფორმირებული პრიმიტივიზმი ჩამოკიდების თემაზე

> **«ადამიანები, რომლებიც გაზეთებს არ კითხულობენ, ადგილზე მორალურად უნდა მოკლა».**
>
> *ილია ილფი და ევგენი პეტროვი, «ოქროს ხბო»*

**პრობლემებით გადახნულ და დაფარცხულ საქართველოს მიწაში დრომ და ამერიკელებმა ახალი ჯიშის პოლიტიკოსების ისეთი ჩითილები ჩარგეს, იმდენი მწვანე-მწვანეები მიუყარეს სასუქად, რომ მივიღეთ გაზეთების არმკითხველი ბელადების უდღეური პოპულაცია. სუპერსტარი უწიგნურები, რომელთა ხელშია ჩვენი ბედიც და ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხიც.**



გართულებული სიტუაციის გამო, სააკაშვილის ინტენსიურ ტელეგამოსვლებს რომ უსმენს და უყურებს რაგინდარა უპრეტენზიო ობივატელი, ისიც კი ხვდება, რომ ამ კაცის პიარმენეჯერები „კლიპური აზროვნების“ პრიმიტიულობაში არიან ჩარჩენილები და ჭიანჭველების სამყაროს წვრილ-წვრილი იდეებით გვკვებავენ.

წამურტლეს ქვეყანა.

**თუ იმას, რასაც მათი გაწვრთნილი მიხეილი ტელეეკრანებზე სჩადის, სახელწიფოს მართვა ჰქვია, მაშინ რას ერჩით ვლადიმერ ლენინს, რომელსაც მიაწერენ დებულებას — „Любая кухарка способна управлять государством“?!**

**Кухарка – მზარეული ქალი.**

**მაგრამ ლენინს ასე არ უთქვამს. პირიქით: „Мы не утописты. Мы знаем, что любой чернорабочий и любая кухарка не способны управлять государством“.**

ასე კი იმიტომ თქვა, რომ ნანახი არ ჰყავდა ვერონიკა ქობალია, თორემ უსიტყვოდ მიიწერდა იმას, რასაც მიაწერენ. **ნებისმიერი ვერონიკა, ხათუნა და, მით უფრო, ნინა წკრიალაშვილი რეფორმირებულ საქართველოში სახელმწიფოს მართვის ეტალონური ნიმუშებია,** „სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“.

ვლადიმირ ილიჩი ყოველთვის ცოტას აჭარბებდა და ცდებოდა აქედან გამომდინარე; მიხაილ ნიკოლაევიჩიც ცოტას აჭარბებს, მაგრამ არ ცდება.

ორიოდ დღის წინათ, 26 ოქტომბერს ბათუმიდან გვაცნობა (თბილისში ცუდი სმენადობაა), რომ ყველა გლეხს, ვინც ამერიკული ჰიბრიდული სიმინდის დათესვით იზარალა, ვათავისუფლებთო ყოველგვარი ვალისგან!

ამოისუნთქა გლეხობამ, იმან, ვინაც მიშას „მოხალისეთა ლაშქარში“ ჩაეწერა, როცა ჰიბრიდული ჰანიბალი კარს იყო მიმდგარი. მაგრამ კრედიტების ამნისტიის გამოცხადების მეორე დღესვე გაირკვა, რომ მარმარილოში ნაკვეთი იმპერატორის ეს გულუხვობა ვრცელდებოდა მხოლოდ იმ გლეხებზე, ვინაც ერთ ჰექტარამდე ფართობი მოაცდინა ოქროსფერი კლონდაიკის სასწაულის ექსპერიმენტისთვის.

დანარჩენებმა ჯიბეს გაიკარით ხელიო.

მაგრამ ჯიბეც რომ გახეულია?!

**ახლა გულზე მჯიღს ირტყამს სიმინდის გამპიარებელი სუპერვაიზერი: გლეხებისთვის უნდა გაგვეცნო ამ უჯიშო ჯიშის მოყვანის აგროწესებიო. უკაცრავად, მაგრამ ის სწავლული აგრონომები რა უყავით, ეგვიპტეში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე ბუკითა და ნაღარით რომ გააცილეთ?**

სულ ცოტა, მოგვატყუა სააკაშვილმა.

ხელისუფლების სათავეში რომ მოვიდა, გახსოვთ, ალბათ, განაცხადა — მთავრობაში უმრავლესობა ქალთა სქესის წარმომადგენლები გვეყოლებაო.

გახსოვთ.

დღეს სამად სამით კმაყოფილდება და ისიც ვერონიკა ქობალიათი, ხათუნა კალმახელიძით და ეკა ტყეშელაშვილით.

თუ ვინმე იცით სხვა, დაამატეთ!

სულ ცოტა ვერ გათვალა, როცა ლტოლვილებს დაუფიცა — ჩემი პრეზიდენტობის მეორე ვადის დასრულებამდე შინ დაგაბრუნებთო.

სულ ცოტა... ცოტ-ცოტაობით იყო პატარძალი რომ დაორსულდა.

ცოტ-ცოტაობით ლტოლვილები ჯერ აქ აჰყარა, შემდეგ იქ აუკრძალა გარევაჭრობა და ციური მანანის იმედად დატოვა.

ისინიც და ჩვენც – დანარჩენები.

სამაგიეროდ, **26 ოქტომბერს ბათუმში გამართულ მთავრობის სხდომაზე 10-პუნქტიანი საეტაპო პროგრამა — „მწვანე წიგნი“ — ლიბიის მოკლული ლიდერის თეორიული ნაშრომის ანალოგი – როგორ ვიცხოვროთ უკეთესად წარმოგვიდგინა.**

ერთი საათით ხალიფას პროგრამა მოულოდნელი პასაჟებით იყო გაჯერებული, მაგალითად, ბიოლოგიური სიმბოლიკით, საიდანაც შევიტყვეთ, რომ კუსა და ჭიანჭველას ნაბიჯები ერთნაირად ზანტია: საერთაშორისო ბაზარზე ჩვენი სვლა თურმე „ეს არის ჭიანჭველის ნაბიჯები, კუს ნაბიჯები“(!).



**როცა აღნიშნული პროგრამის პრეზენტაციის დროს ჯერი რუსეთის ბაზარზე მიდგა, რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმი გენადი ონიშჩენკო ხომ მანიაკად გამოაცხადა და, პარალელურად ალბერტ აინშტაინის ფარდობითობის თეორიასაც შეურყია ძირი და საფუძველი: კი არის ყველაფერი ფარდობითი, მაგრამ არ არისო.**

აბა, მოუსმინეთ: **„რეალურად... არ უნდა ვიყოთ ჩამოკიდებული ვიღაცის მართლა... და, კიდევ კარგი, აღარ ვართ ჩამოკიდებული“** (დაიხსომეთ: აღარ ვართო ჩამოკიდებული!)... **მაგრამ ის საერთოდ აღარ უნდა იყოს ეს კითხვა ისმებოდეს, გავალთ თუ არა, ვთქვათ, რუსეთის ბაზარზე, სადაც, მოლდაველებს ველაპარაკე, ვითომ შეუშვეს და არაფერიც არ შეუშვეს, და სისხლი აქვთ, სიცოცხლე აქვთ გამწარებული“.**

სისხლი აქვთ გამშრალიო, ბოლომდე ვერ გაქაჩა, „კითხვის სმა“, არ გაგვიშიფრა. ჩვეულებრივ, სმა დალევის მნიშვნელობით იხმარება. მიშას ქართულით, თუ კითხვას დალევ, შეგერგება!

დაბოლოს, ასე დაასრულა ეს ჩიქორთული ტირადა ჩამოკიდება-ჩამოკიდებულის თემაზე: „ვიღაც მანიაკ ონიშჩენკოზე უნდა ვიყოთ ჩამოკიდებული“.

მოდი და არკვიე – ვართ, არ ვართ თუ უნდა ვიყოთ ჩამოკიდებული?

ხოლო ცხელ გულზე, პირდაპირ ეთერში, მოხსნის თუ არა სააკაშვილი „სამტრესტის“ მმართველს დაკავებული თანამდებობიდან, ხალხს ისევე ჰკიდია, როგორც აქამდე ეკიდა...

ფეხებზე.

**დადგეს ახლა მინისტრი გოროზია რუსეთის ბაზრის კართან და იმღეროს:**

**„Купите бублики**
**Для всей республики,**
**Гоните рублики**
**Вы поскорей“.**

თუმცა, რა ვიცი, წაადგება კი პროლეტარიატის დიქტატურის დროინდელი ეს მოწოდება – იყიდეთ! – კაპიტალიზმის ნათელი მწვერვალებისკენ მიმავალ გზაზე შემდგარ საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღების მენეჯმენტს.

არ წაადგება და აგერ არ გვყავს თბილისის მერი უგულავა, რომელიც დაგვპირდა, რომ მისი მორიგი ინიციატივა (რა მნიშვნელობა აქვს, რომელი) სულ მალე **აფუნქციონირდება** და განგვეხვნება სამოთხის კარი.

**აფუნქციონირდებაო...**

**ბენჟამენ იგარკა**

**P.S. ასეთ შემთვევაში ირონიულად შენიშნავდა დიდი კომბინატორი ოსტაპ ბენდერი: „როცა ამ ახალ ცხოვრებას ვხედავ, ამ ძვრებს, გაღიმება კი არა, ლოცვა მინდება“.**

მოკლედ

## ერევნის მერი «გაზპრომის» მმართველის მოადგილე გახდება

**ერევნის მერი კარენ კარაპეტიანი თანამდებობიდან გადადგა და მას ღია სააქციო საზოგადოება „გაზპრომის“ მმართველის — ალექსანდრ მილერის მოადგილის თანამდებობა შესთავაზეს.** სომხური ოფიციალური გაზეთების ინფორმაციით, კარაპეტიანის გადადგომის შესახებ განცხადება უკვე წარუდგინეს სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარქსიანს. უახლოეს დღეებში კარაპეტიანი რუსეთში გაემგზავრება. მერის თანამდებობის დაკავებამდე კარაპეტიანი „არმროსგაზპრომის“ გენერალური დირექტორი იყო, რაც სომხეთის ენერგეტიკის სამინისტროსა და რუსული „გაზპრომის“ შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა.

## ლიბიაში სამხედრო ოპერაცია სრულდება

**ნატოს საბჭომ ლიბიაში სამხედრო ოპერაციის დასრულების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.** ლიბიაში საერთაშორისო ოპერაცია „გაერთიანებული დამცველი“ სრულდება. შეგახსნებთ, რომ ოპერაცია მიმდინარე წლის 19 მარტს დაიწყო. ნატოს ავიაცია თითქმის ყოველდღიურად ბომბავდა ლიბიის გარდაცვლილი ლიდერის — მუამარ კადაფის მომხრეთა პოზიციებს. მოკავშირეების შეიარაღებული ძალების მიერ ლიბიაში სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ განცხადება საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ გააკეთა.

„საფრანგეთის ლიდერის თბილისში ვიზიტისას მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ პაციენტი სრულიად არაადეკვატური გახდა. მისი ჩივილებია: შფოთიანობა, პერიოდული პანიკა, დეპრესიულობა, ფობიები, მანიაკალური გამოხდომები.“

პამფლეტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიხეილ სააკაშვილის ანამნეზი ჯონ ბასის შესრულებით

**სკანდალურად ცნობილმა ვიკილიკსმა ახალი დოკუმენტი გამოაქვეყნა. საქართველოში აშშ-ის ელჩი ჯონ ბასი სახელმწიფო დეპარტამენტს მიხეილ სააკაშვილის ანამნეზს უგზავნის, რომელშიც ნათქვამია:**

„თქვენ მიერ დასმულ კითხვაზე პაციენტი N1-ის შერაცხადობის შესახებ გპასუხობთ: მიხეილ სააკაშვილი დაიბადა 1967 წელს საბჭოთა საქართველოში. ბავშვობაში ხშირად ავადმყოფობდა. მიაჩნია, რომ ჩაგრავდნენ. სკოლის პერიოდში დააფუძნა საბჭოთა კავშირში პირველი სამოყვარულო პორნოსტუდია, რომელშიც თანაკლასელ გოგონებს იღებდა. ამის გამო მას თბილისური ოჯახების კარიც გამოუკეტეს და სახელმწიფო უნივერსიტეტისაც. იძულებული გახდა, სწავლა ბიძამისის – კგბ-ს კადრის ოფიცრის რეკომენდაციით კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში გაეგრძელებინა. როგორც თავად უთითებს, იქაც პრობლემები შეექმნა, როგორც დისიდენტს და ამის გამო უშიშროების ჯარში მოუწია სამსახური.

პაციენტის მტკიცებით, მან მოკლე ხანში — 1994–1995 სასწავლო წელს მოასწრო კოლუმბიისა და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტების დამთავრება და იმავე წელს — სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის დიპლომის მიღება. 1995 წლიდან ბრუნდება საქართველოში და სწრაფად წინაურდება პოლიტიკაში. ამას წინათ მის ბიოგრაფიაში კიდევ ერთი ცნობა გაჩნდა იმის შესახებ, რომ იგი საერთაშორისო სამართლის დოქტორია, მაშინ, როცა მას მაგისტრის დიპლომიც არ აქვს. მან, როგორც სჩვევია, აქაც მოხერხებულად აუარა გვერდი სიმართლეს. საყოველთაო პრაქტიკაა, როცა სახელმწიფოს მეთაურებს საპატიო დოქტორის წოდებას ანიჭებენ. **სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ეს საკუთარი ბიოგრაფიის გაყალბების ერთადერთი ფაქტი როდია საქართველოს ხელისუფლებაში (იხ. ვერონიკა ქობალიას, ნინო კალანდაძის, ლადო ვარძელაშვილის, მამუკა ახვლედიანის და სხვათა დოსიეები, რომელიც უკვე გაახლეთ).**



ისევე, როგორც ამერიკაში, საქართველოშიც სააკაშვილი უსწრაფესად იცვლის უმაღლეს თანამდებობებს: 1999 წელს შევარდნაძის პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერია, 2000 წელს – იუსტიციის მინისტრი ხდება, 2001 წელს თანამდებობიდან მიდის და იმავე ვაკის ოლქში იყრის კენჭს, რომლიდანაც 1999 წელს მოხვდა პარლამენტში. პრაქტიკულად, მან ორ წელიწადში სამჯერ გამოიცვალა თანამდებობა, თანაც ერთი მოწვევის პარლამენტში ორჯერ მოახერხა მაჟორიტარ დეპუტატად შესვლა. ჩვენ კი გვასწავლიდნენ, რომ „ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ“! 2002 წელს იგი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ხდება, ხოლო 2003 წელს – „ვარდების რევოლუციის“ ბელადი. რაკი სახელმწიფო დეპარტამენტი უშუალოდ გეგმავდა და ახორციელებდა იმ რევოლუციას, ამ თემაზე აღარ დავწერ.

**სააკაშვილი კონტროლიდან აშკარად გამოვიდა 2007 წლის ნოემბერში, რასაც ჩვენი მოთხოვნით მისი გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები მოჰყვა. ჩვენი უშუალო ჩარევითა და დახმარებით მისთვის პრეზიდენტის სავარძლის შენარჩუნება მოხერხდა, თუმცა დაავადება, რემისიულ ფაზაში გადასვლის ნაცვლად, სულ უფრო მწვავე ფაზაში გადადიოდა და დღეს იგი კრიტიკულს უახლოვდება.**

კონსტიტუციის გადაწერისა და ოპოზიციასთან გარიგების შემდეგ პაციენტის მდგომარეობა ერთგვარად დასტაბილურდა, მაგრამ 26 მაისის აქციის დარბევისას პირადად ჩემ მიერ გაწეული მხარდაჭერის მიუხედავად, ვერ ვახერხებ მის გაკონტროლებას, რადგან იგი თავადაც ვერ აკონტროლებს საკუთარ თავს. **საფრანგეთის ლიდერის თბილისში ვიზიტისას მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ პაციენტი სრულიად არაადეკვატური გახდა. მისი ჩივილებია: შფოთიანობა, პერიოდული პანიკა, დეპრესიულობა, ფობიები, მანიაკალური გამოხდომები.**

ანამნეზის შედგენისას დავინტერესდი, აკმაყოფილებს მას თუ არა მისი დღევანდელი სტატუსი, რაზეც მიპასუხა, რომ 2015 წლისთვის სამოქმედო პროგრამაზე მუშაობს. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ პრეზიდენტისთვის შეუფერებელი მეწვრილმანეობით ცდილობს, ივანიშვილის მილიარდებს რაიმე დააკლოს და ეს, მიუხედავად იმისა, რომ მისგან 1 მილიარდზე მეტი თავად და მის სამოხელეო აპარატს აქვს მიღებული!

**პაციენტი აშკარად ვერ მიჯნავს რუსეთს და ივანიშვილს, ეჩვენება, რომ იგი პუტინის დავალებებს ასრულებს, თუმცა თავად, ჩვენი არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, სწორედ რუსებს მიჰყიდა ყველა ის სტრატეგიული ობიექტი, რომელთა გასხვისებას ჩვენ ვაპროტესტებდით.**

ობიექტური ანამნეზის შედგენა ვერ ხერხდება, რადგან მისი ოჯახის წევრები, პოლიტიკური გარემოცვა და ჩვენ მიერ მისთვის შერჩეული ოპოზიცია ზუსტად იმას იმეორებს, რასაც თავად პაციენტი. ჩემი დასკვნით, მათ ანალოგიური დაავადებები სტანჯავთ, რაც სააკაშვილს, თუმცა დღემდე ისინი გადამდებ დაავადებათა ჯგუფს არ განეკუთვნებოდა. ასევე ვერ ხერხდება იმ მონაცემების მიღება, რომელსაც თავად პაციენტი მალავს. ამას ორი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: პირველი — დამალული აღარაფერია, მეორე — ყველაფერი უკვე გაყიდულია.

პაციენტის განსაკუთრებული გულისწყრომა გამოიწვია ჩემმა ვიზიტმა (დანარჩენ 18 ელჩთან ერთად) ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრში. მართალია, მე არ გამიპროტესტებია იქ პაციენტის პირადი ემისრის — ლუის ნავაროს ყოფნა, მაგრამ ამ უკანასკნელმა, როგორც მანამდეც, ამჯერადაც სანაქებოდ შეასრულა ენის მიმტანის ფუნქცია. ზოგადად, ამ სუბიექტზე ადრეც შემიტყობინებია, — ნავარო ისეთი გულუხვობით უწერს სოციოლოგიურ გამოკვლევებში სააკაშვილს გაზრდილ მონაცემებს, რომ პაციენტმა სრულიად ირწმუნა ეს პროცენტები და ხელისუფლების დატოვებას აღარ აპირებს. მისი ვერსიით, ძალაუფლების ერთი ხელიდან მეორეში გადატანაც კი „ხელისუფლების დემოკრატიულად გადაცემა იქნება“.

**რაკი პროცესებზე ზემოქმედება ჩემი მხრიდან შეუძლებელი ხდება, გთხოვთ, განიხილოთ პაციენტის ვაშინგტონში, გაფართოებულ კონსილიუმზე ტრანსპორტირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის შემდგომ მდგომარეობასა და კავკასიაში ჩვენი ნაციონალური ინტერესების განხორციელებაზე პასუხისმგებლობას სრულიად ვიხსნი.**

პატივისცემით,
ჯონ ბასი.

P.S. გთხოვთ, არ დაგავიწყდეთ, რომ პაციენტს ტრანსპორტირებისას ყოველ მიზეზგარეშე უნდა ვახლდე, რადგან ჰაერში მისი საქციელი კიდევ უფრო აგრესიული და უპროგნოზო ხდება. არც ჩემი მდგომარეობა ექვემდებარება პროგნოზს საქართველოში მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ“.

**«ობიექტური ანამნეზის შედგენა ვერ ხერხდება, რადგან მისი ოჯახის წევრები, პოლიტიკური გარემოცვა და ჩვენ მიერ მისთვის შერჩეული ოპოზიცია ზუსტად იმას იმეორებს, რასაც თავად პაციენტი»**



## ბოსნიაში აშშ-ის საელჩოს ცეცხლი გაუხსნეს

**ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში აშშ-ის საელჩოს ცეცხლსასროლი ავტომატით ცეცხლი გაუხსნეს.** პოლიციამ თავდამსხმელი დააკავა. ბოსნიაში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობის განცხადებით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

## საქართველო რუსეთის მსო-ში გაწევრიანებას დათანხმდა

**საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, საქართველომ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას მწვანე შუქი აუნთო.** ევროკავშირმა თბილისს ნათლად აუხსნა, რომ, კომპრომისის მიუღწევლობის შემთხვევაში, მსო დაარღვევდა კონსესუსის პრინციპს და რუსეთი ორგანიზაციაში ხმების უმრავლესობით, საქართველოს თანხმობის გარეშე, გაწევრიანდებოდა. ამის შემდეგ საქართველომ შვეიცარიის მეშვეობით წარმოდგენილ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა. წინადადება გულისხმობს სპეციალური მექანიზმის შექმნას, რომელიც გააკონტროლებს ტვირთების გადაადგილებასა და მიმოქცევას იმ დერეფნებში, რომლებიც საქართველოსა და რუსეთის გამაერთიანებელი ტერიტორიების საზღვრებზე მდებარეობს.

## ავღანეთში ნატოს სამხედრო კოლონა ააფეთქეს

**ქაბულში ნატოს კოლონას თავს თვითმკვლელი დაესხა და რამდენიმე ამერიკელი სამხედროს სიცოცხლე შეიწირა.** არიან დაჭრილებიც. თვითმკვლელმა დანაღმული ავტომობილი ნატოს კოლონას შეაჯახა. აღნიშნული ინციდენტის სხვა დეტალები არ კონკრეტდება.

მოკლედ

## საბერძნეთის ევროზონაში მიღება შეცდომა იყო

**საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი მიიჩნევს, რომ საბერძნეთის ევროზონაში მიღება შეცდომა იყო.** ამის შესახებ სარკოზიმ ერთ-ერთ ფრანგულ ტელეარხთან ინტერვიუში განაცხადა და იქვე აღნიშნა, რომ ოფიციალური ათენის მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური მაჩვენებელი სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ამავე დროს, სარკოზიმ იმედი გამოთქვა, რომ საბერძნეთის ამჟამინდელი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა ვითარება გამოასწოროს. საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სტავროს ლამბრიდისმა სარკოზის საპასუხოდ აღნიშნა, რომ, ყველა პრობლემის მიუხედავად, საბერძნეთი არ წარმოადგენს ევროზონის კრიზისის მიზეზს.

## კადაფის ანდერძი გახსნეს

**ლიბიის დამარცხებულმა ლიდერმა მუამარ კადაფიმ სიკვდილამდე 3 დღით ადრე თავისი უკანასკნელი ნება წერილში გამოთქვა. ტექსტი არაბულ ენაზეა შედგენილი.** მასში ჯამაჰირიის ლიდერი ითხოვს, რომ ის ქალაქ სიტრში, ნათესავების გვერდით დაკრძალონ იმ სამოსში, რომელიც სიკვდილისას ეცმევა. კადაფის სურვილი იყო, რომ დაკრძალვისას მისი სხეული არ განებანათ. „მოგმართავთ ჩემს მომხრეებს, განაგრძეთ წინააღმდეგობა და იხსენით ლიბია უცხოელი აგრესორებისგან. იბრძოლეთ დღეს, ხვალაც და მომავალშიც,“ — წერს დევნილი ლიდერი და იქვე დასძენს, რომ მხოლოდ ლიბიის მიწაზე მოკვდება.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჩემთვის გასაგებია თქვენი წყენა მათ მიმართ, იმ განცხადების გამო, რომლებიც ბატონმა შალვა ნათელაშვილმა თქვენი სასახლის ფონზე ტელევიზიით გამოსვლისას თქვენი მისამართით გააკეთა. ამასთან, ბოლომდე ვიყოთ ობიექტური და ვთქვათ, რომ მან სიმართლე თქვა, რაც თქვენ თვითონ დაადასტურეთ — სააკაშვილს ვაფინანსებდიო.

# არ გვეკადრება

## „რა ეშველება დაღუპულ ადათს“ ან ასე მწარედ გარეცხილ სინდისს“.

*ნიკო სამადაშვილი*

ხშირად ვფიქრობ, მე-19 საუკუნეში ტელევიზია რომ ყოფილიყო, ილია ჭავჭავაძე რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად შეძლებდა ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლებას და აღორძინებას? საზოგადოებრივ აზრს დღეს ტელეჟურნალისტები ქმნიან და უმეტესწილად მთავრობის დაკვეთას ასრულებენ, რისი მორიგი ნიმუშიც ტელეკომპანია „იმედმა“ „სპეციალური რეპორტაჟით“ წარმოგვიდგინა 2011 წლის 29 ოქტომბერს ძლიერი და ღირსეული ოპონენტის — ბატონ ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციის მიზნით.

„მოდელირებული ქრონიკების“ შექმნაში გაწაფულმა ტელეკომპანიამ ამჯერადაც ისეთი მონური მორჩილებით შეასრულა დავალება, რომ ლამის 1989 წლის 9 აპრილის დარბევაც მას დააბრალა. წესით, იმ ავადსახსენებელი „მოდელირებული ქრონიკის“ შემდეგ, როცა ხალხი პანიკაში ჩააგდეს, გული გაუხეთქეს და მსხვერპლიც კი მოჰყვა, პატიოსანი ჟურნალისტი ეკრანზე საერთოდ აღარ უნდა გამოჩენილიყო ან პატიება მაინც ეთხოვა, მაგრამ სინდის-ნამუსის საყოველთაო დეფიციტის პირობებში ეს არ ხდება და არც შურისა და უმადურობის საშინელი სენის დაძლევის ნიშნები ჩანს, რაზეც სხვა დიდ წინაპრებთან ერთად ვაჟა-ფშაველაც მოთქვამდა:

**„...რამდენი ფიქრი მწვავს, მებადება:**
**თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,**
**კარგი შვილები რად გვებადება?**
**შვილის სიკეთე მშობელს შეჰშურდეს,**
**ნამდვილ მშობელსა ეს ეკადრება?**
**ცრემლები მახრჩობს, ველარას ვამბობ,**
**კარგის დაღუპვა რად გვენატრება,**
**ჩვენი შვილისა, ჩვენივე ძმისა?!**
**ველარას ვიტყვი, ვთრთი, მეხათრება,**
**ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ,**
**არ გეკადრება, არ გეკადრება!“ (1910 წ.).**

**მედეა კუჭუხიძე,**
**საქართველოს სახალხო არტისტი**

# ხალხთან ერთად იბრძოლეთ საქართველოს გადასარჩენად!

## რიგითი მოქალაქის ღია წერილი დიდ ქართველ ქველმოქმედსა და მეცენატს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

**ბატონო ბიძინა, ისე, როგორც საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, მეც მივესალმები სამართლიანობის აღდგენის პრინციპით ქვეყნის ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით პოლიტიკურ არენაზე თქვენს გამოჩენას. თქვენმა ამ გადაწყვეტილებამ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას იმედის ნაპერწკალი გაუღვივა და ღრმა პესიმიზმში ჩავარდნილი ხალხი ოპტიმიზმისკენ შემოაბრუნა. ეს ფაქტია და ამას ვერ გავექცევით. თითქმის მთლიანად ვიზიარებ თქვენს წერილებსა და ინტერვიუში ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს; განსაკუთრებით, თქვენს თეზას: „მატერიალისტი ვარ და არ მჯერა ცხოვრების სიკვდილის შემდეგ“. ეს ფრაზა ჩემი ცხოვრების კრედოა და, ვინც მიცნობს, დამეთანხმება, რომ ჩემი ამ პოზიციის გამო ბევრი უსიამოვნებაც შემხვედრია, ათეისტი, ულმერთო და ურწმუნოც კი უწოდებიათ. მიუხედავად ამისა, დღემდე მტკიცედ ვრჩები ჩემს პოზიციაზე. მწამს მხოლოდ ის, რასაც ვუყურებ და რაც პრაქტიკულად არსებობს.**



თქვენდამი განსაკუთრებული მხარდაჭერა და სიმპათია გამიჩნდა თქვენი ერთ-ერთი ძირითადი მიზნის — ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის გამო. მინდა, დავადასტურო, რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქვეყანაში გამეფებულია ტოტალური უსამართლობა, დაწყებული სახელისუფლო სტრუქტურის ნებისმიერი რგოლიდან, სასამართლოთი დამთავრებული. მთელი ჩემი ცხოვრება ახალგაზრდობის აღზრდასა და სამართლიანობისთვის ბრძოლას შევალიე, მაგრამ მერიისა და სასამართლოს მხრიდან ჩემ მიმართ მრავალგზის განხორციელებულ უსამართლობას ვერაფერი მოვუხერხე. პრეზიდენტი ხომ განცხადებებს საერთოდ არ კითხულობს. ეტყობა, ეს იციან და ამიტომაცაა, რომ მისი აპარატიდან გადაგზავნილ წერილებს მისი გარემოცვაც აგდებულად ეკიდება და პასუხსაც არ იძლევა. მაგალითად, წლეულს, 27 ივლისს პრეზიდენტის აპარატიდან ქალაქის მერიაში გადაგზავნილ ჩემს განცხადებაზე პასუხი ჯერაც არ მიმიღია.

ბატონო ბიძინა, ეს ისე, ქვეყანაში გამეფებული უსამართლობისა და განუკითხაობის მიმოხილვისთვის, თორემ წერილის ძირითად მიზანს ამასთან კავშირი არ აქვს. თქვენი წერილებიდან და ინტერვიუდან გამომდინარე, თქვენს ხასიათს ნაწილობრივ ჩავწვდი, ნაწილობრივ კი, როგორც ზემო იმერელმა კაცმა, გადმოცემით ვიცოდი თქვენთან დასაქმებული ხალხისგან. **დიდ პატივისცემას იმსახურებს თქვენი განცხადება იმის შესახებ, რომ გარემოცვიდან პატივს ვცემ ყველას, ვინც სამართლიან შენიშვნას მომცემს და გამაკრიტიკებსო. მხედველობაში ვიღებ თქვენი ხასიათის ამ ნიუანსს, ვხელმძღვანელობ მოყვარეს პირში უძრახეს პრინციპით, მაგრამ ჯერჯერობით კრიტიკისაგან თავს შევიკავებ, რადგან ამ ეტაპზე კრიტიკას ნამდვილად არ იმსახურებთ. მიუხედავად ამისა, გავკადნიერდები და ჩემი და მოსახლეობის იმ ნაწილის სახელით, რომლის აზრი ავტობუსში თუ მეტროთი მგზავრობისას, ან საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში მომისმენია, მცირე შენიშვნით შემოვიფარგლები.**

არც ერთი პარტიის წევრი არ ვარ, მიუხედავად ამისა, ყურადღებით ვადევნებ თვალს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და საქართველოში რეგისტრირებულ ყველა პარტიაზე ჩემი შეხედულება გამაჩნია. ამიტომ ამ მხრივ ჩემი გამოცდილების საფუძველზე მიმაჩნია, რომ **თქვენი განცხადება ლეიბორისტული პარტიის, „ახალი მემარჯვენეებისა“ და „ქრისტიან-დემოკრატების“ გვერდით დაყენებაზე და მათთან შედარებით „რესპუბლიკელებისთვის“ დიდი უპირატესობის მინიჭება, ჩემი აზრით, შეცდომა იყო.** ამ მცირე პერიოდში „რესპუბლიკელებთან“ დაკავშირებით, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, საკმაოდ ბევრი პრეტენზია გამოითქვა, რაც თქვენც წაკითხული გექნებათ და ამით თავს აღარ შეგაწყენთ. რაც შეეხება ლეიბორისტებს: შეიძლება ითქვას, რომ ეს თითქმის ერთადერთი პარტიაა, რომელიც ნამდვილად იბრძვის და ცდილობს, შესაძლებლობის ფარგლებში ხალხისთვის რაღაც გააკეთოს, რაც ზოგჯერ გამოსდით, ზოგჯერ — არა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი სხვა პარტიებზე.

**ჩემთვის გასაგებია თქვენი წყენა მათ მიმართ, იმ განცხადების გამო, რომლებიც ბატონმა შალვა ნათელაშვილმა თქვენი სასახლის ფონზე ტელევიზიით გამოსვლისას თქვენი მისამართით გააკეთა. ამასთან, ბოლომდე ვიყოთ ობიექტური და ვთქვათ, რომ მან სიმართლე თქვა, რაც თქვენ თვითონ დაადასტურეთ — სააკაშვილს ვაფინანსებდიო. დარწმუნებული ვარ, ბატონ შალვას რომ სცოდნოდა, ამ ხელისუფლებისგან გამიჯვნას და პოლიტიკაში მოსვლას აპირებდით, ასეთ განცხადებას ნამდვილად არ გააკეთებდა. ამიტომ ბევრს არ სჯერა და ეჭვის თვალით უყურებს თქვენს განცხადებას იმის შესახებ, რომ ლეიბორისტები სააკაშვილის დავალებით მოქმედებენო.**

ბატონო ბიძინა, არ შემიძლია ვუღალატო ობიექტურობას და უფრო დიდი შენიშვნა არ მივცე და არ ვუსაყვედურო ჩემთვის პატივსაცემ კაცს, ბატონ შალვა ნათელაშვილს. **ბატონო შალვა, მიუხედავად განაწყენებისა, ასეთი ფორმითა და აგრესიით ბატონი ბიძინასთვის არამც და არამც არ უნდა გეპასუხათ. თუ შემდგომშიც ასე გააგრძელებთ, ამით ყველას დაარწმუნებთ, ბატონი ბიძინას მიერ თქვენ მიმართ წაყენებული ბრალდების სისწორეში, რაც საერთო საქმეს სასიკეთოთ ნამდვილად არ წაადგება.** ამიტომ, ბ-ატონო შალვა, უმორჩილესად გთხოვთ, თავი შეიკავოთ ბატონი ბიძინასთვის ტალახის სროლისგან, მითუმეტეს მთიელ კაცს ასეთი სიფიცხე და ემოციურობა ნამდვილად არ შეგშვენით. შე კაი კაცო, ეროსი კიწმარიშვილმა, ამ ქვეყნის გამყიდველმა კაცმა, ჭკუით როგორ უნდა გაჯობოს?! ნახე, რა განცხადება გააკეთა და როგორ მიმართა ბატონ ბიძინას, რითაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში სიმპათიაც კი დაიმსახურა.

**ბატონო ბიძინა, თქვენ რომ ჭკვიანი კაცი ბრძანდებით და ქვეყნის პატრიოტი ხართ, ეს საყოველთაოდ ცნობილია, ამაში ეჭვი არავის ეპარება და სადავოც არაფერია. დარწმუნებული ვარ, თანდათან უკეთესად გაერკვევით შექმნილ სიტუაციაში, კიდევ ერთხელ გადახედავთ თქვენს პოზიციას, გამონახავთ ფორმას და თქვენი მხრიდან ლეიბორისტების მიმართ ამ რადიკალურ დამოკიდებულებას როგორმე შეარბილებთ.**

ბატონო ბიძინა, შეიძლება მე ყველა დეტალი არ ვიცი და ისე ღრმად არ ვარ ჩახედული საქმეში, როგორც თქვენ, ამდენად, შეიძლება მე ვცდები და თქვენ მართალი ბრძანდებით, რისი დაჯერებაც ცოტა ძნელია, მაგრამ, საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაივიწყოთ ეს წყენა, გამონახოთ რაღაც ფორმა, გნებავთ ისეთი, როგორიც ტელეკომპანიების — „მაესტროსა“ და „კავკასიის“ მიმართ გამოიყენეთ. დადექით ერთად და ქართველ ხალხთან ერთად იბრძოლეთ საქართველოს გადასარჩენად.

**P.S. ეჰ, ცხონებული მუხრან მაჭავარიანი რომ მოსწრებოდა ამ დღეს და ჩემი ეს წერილი წაეკითხა, გულიანად გაიცინებდა და თავისი ბუხუნა ხმით დაამატებდა: „ეს კაცი კიდევ არ ეშვება თავის საქმეს, შესარიგებელი აღარავინ დარჩა და ახლა პოლიტიკოსების შერიგებაზე გადასულაო“. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.**

**ღრმა პატივისცემით და მომავლის იმედით,**

**ომარ გოცაძე**

# დუშეთის გამგეობაში «კმარას» ყოფილმა აქტივისტმა და დეპუტატის მეგობარმა იჩხუბეს

**დუშეთის გამგეობაში ტერიტორიული კეთილმოწყობის განყოფილების უფროსმა შორენა კბილცეცხლაშვილმა და ამავე განყოფილების სამსახურის სპეციალისტმა მარიამ კარიაულმა იჩხუბეს. დაპირისპირებული მხარეების გაშველება დუშეთის გამგებელმა ლაშა ჯანაშვილმა სცადა: „გაჩუმდით, თორემ ამ ამბავს ინტერნეტში შეყრიანო“.**

როგორც მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრისთვის გახდა ცნობილი, კბილცეცხლაშვილი მარიამ კარიაულს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას — ინდმეწარმეებთან ხელშეკრულების გაფორმებას სთხოვდა. კარიაულმა კი აღნიშნული დავალების შესრულებაზე უარი თქვა. ჩხუბის მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

**„ჩხუბი ნამდვილად მოხდა. დავალება მივეცი, ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინა, რომელიც უკან გადმომიგზავნა. შემდეგ პიროვნულ შეურაცხყოფაზე გადმოვიდა. თვეში ერთხელ ამ მდგომარეობაში ვარ. არც პოლიციის და არც სასამართლოს გზა არ მესწავლება“, — განაცხადა შორენა კბილცეცხლაშვილმა.**

მარიამ კარიაულმა ჩხუბის ფაქტი კატეგორიულად უარყო. ის გამგეობაში სპეციალისტის თანამდებობაზე კეთილმოწყობის დარგში 2011 წლის იანვარში დაინიშნა. მანამდე დუშეთის მე-3 ბაგა-ბაღის გამგე იყო, საიდანაც თანამშრომლების მოთხოვნით გაუშვეს. მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, კარიაულმა გამგეობაში თანამდებობა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატთან ზურაბ ოტიაშვილთან მეგობრობის გამო მიიღო. **გამგეობის თანამშრომლების თქმით, კარიაული კერძო საუბრებში ხშირად აცხადებს, „ოტიაშვილთან კაბინეტში რომ შევდივარ, ფეხზე დგება და ისე მესალმებაო“. რაც შეეხება შორენა კბილცეცხლაშვილს, ის „კმარას“ ყოფილი აქტივისტია.**

**რატომ ასრულებს საქართველოს ხელმძღვანელობა ბინძურ სამუშაოს, რომელსაც ჩვეულებრივ ხელს კიდებენ ყველაზე უიმედო და გალატაკებული დიქტატურები? აკი, მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველო ფრიად მტკიცედ და თავდაჯერებულად დგას და დღეს თუ ხვალ მიიღებენ დასავლეთის თანამეგობრობაში?**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბრჭყვიალა თბილისური შირმის უკან სიღატაკე და უსაშველობაა!

**მიმომხილველები რუსეთის წინააღმდეგ მიხეილ სააკაშვილის გამოხდომებს სულ უფრო ხშირად ადარებენ სახიფათო თამაშს ზამთრის ძილისგან გაღვიძებულ დათვთან, რომელსაც ცხოვრების ბუნებრივი რეჟიმი დაურღვიეს. „შატუნი“ ამ დროს ისეა გაავებული, რომ წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება. ამერიკელი მასწავლებლების მიერ წაქეზებული სააკაშვილი ამ რეალობას არ ითვალისწინებს და საქართველოს სახელისუფლო სტრუქტურებს აიძულებს, მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც რუსეთის უკიდურეს გაღიზიანებას იწვევს. წერილი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ამ საკითხს ეძღვნება.**



გასულ კვირაში აშშ-ის სენატმა გამოაქვეყნა მოხსენება, რომელიც მიეძღვნა საქართველოში შექმნილი მდგომარეობისა და ამ რესპუბლიკის ამერიკასთან ურთიერთობის განვითარების პერსპექტივას. დოკუმენტში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, რომლებიც, სენატორების აზრით, „რუსეთის მიერაა ოკუპირებული“, ხოლო იქ არსებული სიტუაცია არასტაბილურია, რაც მოითხოვს ამ რეგიონებში საერთაშორისო დამკვირვებლების კონტიგენტების განლაგებას.

**რა ხდება სინამდვილეში აშშ-ისა და საქართველოს ურთიერთობის კულისებს მიღმა? რა როლის შესრულებას დააკისრებენ საქართველოს უახლოეს დროში? მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი დღეს აშკარად ვერ ანაზღაურებს ამერიკელების მიერ მის შესანახად რეგულარულად დახარჯულ ფულს.**

ამერიკელები დაინტერესებული არიან რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო პოზიციებისთვის საფუძვლების მერყეობით. ამ მიმართებით ერთ-ერთ მთავარ პუნქტად მიჩნეულია სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩავარდნა. თუ ამას მოახერხებენ, ისეთი სკანდალი აგორდება, რომლის მსგავსი ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში იშვიათია. ამით კი რუსეთის საერთაშორისო პრესტიჟი კოლოსალურად დაზარალდება.

2010 წლის 19 ნოემბერს საქართველოში გაიმართა ხელმძღვანელი ორგანოების კომპლექსური სხდომა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის საკითხებზე, რომელიც დახურულ ფორმატში ჩატარდა. გამოჟონილი ინფორმაციით გაირკვა, რომ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ოლიმპიური თამაშების ჩატარების წინააღმდეგ საპროტესტო კამპანიის ჩატარების შესახებ. ქართველმა დეპუტატებმა საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართეს, გადაიტანონ ოლიმპიადა სხვა ქვეყანაში.

2014 წლის თამაშების საწინააღმდეგოდ წამოაყენეს სამი ძირითადი არგუმენტი: ეკოლოგიის დარღვევა, არასაკმარისი უსაფრთხოება და ისტორიული მიზანშეუწონლობა. ამ უკანასკნელში იგულისხმება „ჩერქეზი ხალხის წინააღმდეგ რუსეთის იმპერიის მიერ მოწყობილი გენოციდი“.

**რეზოლუციის საბაბად გამოიყენეს 1864 წლის 21 მაისის მოვლენები, როცა რუსეთის ჯარებმა აიღეს ჩერქეზული წინააღმდეგობის უკანასკნელი ცენტრი კბადეში (ამჟამად – კრასნაია პოლიანა). იმ დღეს დიდმა მთავარმა მიხაილ ნიკოლაევიჩმა ამ ადგილას ჩაიბარა რუსეთის ჯარების აღლუმი.**

**მაგრამ ქართველ პარლამენტარებს მართლა თუ აწუხებდა წარსულის ობიექტური მოვლენები, მოუწევდათ სიტყვების „გენოციდი ჩერქეზების წინააღმდეგ“ გვერდით დაეწერათ ადამიანების დაღუპვაში თავად-აზნაურობის პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც კავკასიაში იმპერიული პოლიტიკის მთავარი განმახორციელებელი იყო. ასობით ქართველი ოფიცერი მსახურობდა რუსეთის არმიაში.**

აშკარად აბსურდულია პარლამენტარების მოთხოვნა — თანამედროვე კანონის გამოყენება შორეული წარსულის მოვლენების მიმართ. რუსეთის მიერ XVIII-XIX საუკუნეებში კავკასიაში განხორციელებულ პოლიტიკას რეზოლუცია ახასიათებს, როგორც ჰააგის კონვენციასთან „ხმელეთზე ომის კანონებისა და ჩვეულებათა შესახებ“ შეუთავსებელს, რომელიც მიღებული იყო 1907 წელს. აკრიტიკებს რუსეთის იმდროინდელ პოლიტიკას გაეროს მიერ 1947 წლის დეკემბერში მიღებული კონვენციის პოზიციებიდან, რომელიც ითვალისწინებს გენოციდის დანაშაულებათა თავიდან აცილებისა და დასჯის საკითხებს. მთელი ეს სამართლებრივი გაუგებრობა მიმართულია „ოლიმპიადა 2014“-ის წინააღმდეგ საერთაშორისო საბოტაჟისთვის პირობების შესაქმნელად.

მაგრამ, როგორც ცნობილია, **საქართველოს პარლამენტის რეზოლუციას არავითარი სენსაცია არ მოჰყოლია მსოფლიოში და არც რაიმე გავლენა მოუხდენია ოლიმპიადისთვის მზადების გეგმებზე. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, ეტყობა, არც შეუმჩნევია.**

მაშ, ვინ იტყვის გადამწყვეტ სიტყვას? რა თქმა უნდა, — საერთაშორისო დამკვირვებლები! თუ მათი გუნდების წევრები ჩავლენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და ატეხენ განგაშს, რომ სოჭის მახლობლად, რუსეთის ფედერაციის საზღვარზე „არ არის სიმშვიდე“, მაშინ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი იძულებული იქნება, მიიღოს საკითხი განსახილველად. დაიწყება ლაპარაკი „კავკასიურ ტერორიზმზე“, „ჩერქეზების გენოციდზე“, ევკალიპტების გაჩეხილ ტყეზე, ნარკოტრაფიკზე და ა.შ. და ა.შ. ცენტრში კი იდგება მიხეილ სააკაშვილი კავკასიაში მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის მთავარი მზრუნველი.

**რატომ ასრულებს საქართველოს ხელმძღვანელობა ბინძურ სამუშაოს, რომელსაც ჩვეულებრივ ხელს კიდებენ ყველაზე უიმედო და გალატაკებული დიქტატურები? აკი, მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველო ფრიად მტკიცედ და თავდაჯერებულად დგას და დღეს თუ ხვალ მიიღებენ დასავლეთის თანამეგობრობაში?**

მაგრამ ექსპერტებს სააკაშვილის ასეთი ოპტიმიზმი ძალზე გაზვიადებულად მიაჩნიათ. საქართველოს მოსახლეობა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზე დგას. ასეთი მდგომარეობა ზოგჯერ სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისთვისაც არის დამახასიათებელი, მაგრამ საქართველოს მაგალითი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ეს ქვეყანა წარმოგვიდგება როგორც ხელისუფლების მოღვაწეობის ახალი მოდელი პოსტსაბჭოთა სივრცეში. **ბრჭყვიალა შირმის უკან, რომელსაც უკანასკნელ წლებში ოფიციალური თბილისი იფარებს, სულ უფრო აშკარად იკვეთება სიღატაკისა და უსაშველობის სურათი.**

> **2013 წლისთვის საქართველოს საგარეო ვალი 800 მილიონ დოლარს მიაღწევს. დღეისთვის ამ ვალის მოცულობა მთლიანი შიდა პროდუქტის 40 პროცენტზე მეტია, ხოლო 60 პროცენტს თუ მიაღწია, ქვეყანას გაკოტრებულად გამოაცხადებენ**

გაეროს მონაცემებით, საქართველოში მცხოვრები 1,8 მილიონი ადამიანი შიმშილის ზღვარზეა. ერთი წლის წინათ მათი რაოდენობა ნაკლები იყო და 1,2 მილიონს უდრიდა. ეს ციფრები ღირს დაფიქრებად: რესპუბლიკა, რომელიც საბჭოთა კავშირში აყვავებული იყო, ვაშინგტონური ჩამოსხმის დემოკრატებმა უაზრო მდგომარეობამდე მიიყვანეს — ყოველ მეორე ქართველს საკმარისი რაოდენობის პურიც კი არ გააჩნია.

ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში შრომისუნარიანი მოსახლეობის 14 პროცენტი უმუშევარია. რეალურად მათი რაოდენობა 30-35 პროცენტია.

ეკონომიკური რეფორმები უკიდურესად არაეფექტიანია. **2013 წლისთვის საქართველოს საგარეო ვალი 800 მილიონ დოლარს მიაღწევს. დღეისთვის ამ ვალის მოცულობა მთლიანი შიდა პროდუქტის 40 პროცენტზე მეტია, ხოლო 60 პროცენტს თუ მიაღწია, ქვეყანას გაკოტრებულად გამოაცხადებენ.**

**მიხეილ სააკაშვილის მთავრობის წარუმატებელი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, ქვეყნის ბიუჯეტი, ფაქტობრივად, უცხოეთის წყაროებიდან შემოსული ფულით ფინანსდება, ეკონომიკის რეალური სექტორი სტაგნაციის მდგომარეობაში რჩება.**

სააკაშვილის ხელისუფლებას ახალ-ახალ კრედიტებს აწვდიან საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურები, რაც ქვეყნის უფრო და უფრო დაკაბალებას იწვევს. მიმდინარე წლის დასაწყისში აშშ და ევროკავშირი დაჰპირდა თავის „ძაღლიშვილს“, რომ 3 წლის განმავლობაში საქართველოს გამოუყოფს სესხს 4,5 მილიარდი დოლარის ოდენობით.

2008 წლიდან მოყოლებული საქართველომ 4 მილიარდამდე დოლარი მიიღო. ამ თანხის ხარჯვაზე განსხვავებული აზრი არსებობს. ის, რაც თბილისმა მიიღო, დასაბრუნებელი იქნება, რადგან კრედიტია, სესხი. და აქ იწყება ყველაზე საინტერესო.

2008 წელს საქართველომ გამოუშვა 500 მილიონი დოლარის ევროობლიგაციები, რაც 2013 წლამდე უნდა დაეფარა. ამის გაკეთება დანგრეული ეკონომიკის პირობებში შეუძლებელი შეიქმნა, ამიტომ საქართველომ დამატებით გამოუშვა 500 მილიონი დოლარის ახალი ევროობლიგაციები. ძველს ახალი ვალი დაამატა, რომლის გადახდის ვადა 2021 წელს ამოიწურება. სააკაშვილმა, ფაქტობრივად, ეს ვალი ხელისუფლების მომავალ ფორმაციას დაუტოვა გადასახდელად.

**დღეს დამკვიდრებულია პროპაგანდისტური შტამპი იმის შესახებ, რომ საქართველოში დაამარცხეს კორუფცია. სინამდვილეში კი ქვეყანაში ჩამოყალიბდა ელიტარული კორუფციის უნიკალური სისტემა. ამ სქემაში ადამიანების ჩართვა მიხეილ სააკაშვილის ნებართვით ხდება. ამ სისტემაში უზარმაზარი თანხა ტრიალებს. აქ მუშაობს პრინციპი „ხელი ხელს ბანს და ორივე ზემდგომის პირსო“.**

სააკაშვილის რეჟიმს ისღა დარჩენია, რომ საყაჩაღოდ შარაგზაზე გამოვიდეს და ჩაუსაფრდეს 2014 წლის სოჭის ოლიმპიადას.

**დიმიტრი სედოვი**

## უგო ჩავესი ლიბიის ხელისუფლებას არ აღიარებს

**ვენესუელის ლიდერი უგო ჩავესი ლიბიის გარდამავალ ხელისუფლებას არ აღიარებს და ქვეყანაში ახალი ომის დაწყებას პროგნოზირებს. ჩავესმა მუამარ კადაფის მკვლელობის გამო შეშფოთება გამოთქვა და ნატო გააკრიტიკა.** მისი თქმით, ლიბიელი ხალხი ქვეყნის შიდა საქმეებში ნატოს ჩარევას არ მოითმენს და აუცილებლად აჯანყდება.

ცნობისთვის: ჩავესი კადაფის მეგობარი იყო. ლიბიის სამოქალაქო ომის პერიოდში ჩავესმა ამბოხებულებს „ტერორისტები“ უწოდა.



## სიგნალი დიქტატორებისთვის

**აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა არ ამართლებს იმ მეთოდებს, რა მეთოდებითაც ლიბიელი ამბოხებულები მუამარ კადაფის გაუსწორდნენ,** თუმცა მიიჩნევს, რომ მისი სიკვდილი სხვა დიქტატორებისთვის გაკვეთილი უნდა იყოს, „ე. წ. არაბული გაზაფხულის დროს მას ჰქონდა საშუალება, მმართველობის ფორმები შეერბილებინა და ქვეყნის მართვა დემოკრატიულ ფორმაზე გადაეყვანა. ჩვენ მას საკმარისი საშულება მივეცით იმისათვის, რომ ეს გაეკეთებინა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა,“ — განაცხადა ობამამ.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ერთიანი პროგრამა-2010“-ის მისიაა გლობალური ზემოქმედების, უპირატესად, — არაბირთვული აეროკოსმოსური, იმფორმატიზებული და ქსელური შეიარაღებული ძალების შექმნა. არსი შემდეგია: მრავალეშელონური სისტემის შექმნა ნებისმიერი მოწინააღმდეგის ელვისებურად გასანადგურებლად და საკუთარი ტერიტორიის კომპლექსურად დასაცავად.

# აშშ-რუსეთი: ასიმეტრიული დაპირისპირება თუ პოლიტიკური პარიტეტი?



## გლობალური კატაკლიზმები, როგორც უმართავი სუპერიარაღი

**პრესაში სულ უფრო ხშირად წაიკითხავთ პუბლიკაციებს, რომელთა ავტორები ზოგჯერ მინიშნებით, ზოგჯერ აშკარად გამოთქვამენ შეშფოთებას რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლების მორიგი შესაძლო პროვოკაციის გამო.**

ქვეყნის ხელისუფლების ბრავურული განცხადებები რუსეთის წინააღმდეგ, ის შეურაცხმყოფელი ტონი, რომლის უფლებასაც სააკაშვილი თავის თავს აძლევს მეზობელი სახელმწიფოს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ვერბალური გალაშქრებისას, ერთის მხრივ, ცეცხლზე ნავთს უსხამს ისედაც გართულებულ ქართულ-რუსულ ურთიერთობას, მეორე მხრივ, ზემოთ აღნიშნული შეშფოთების საფუძველს რეალურს ხდის.

სანამ ჩვენ აქედან რუსეთის „ჟანგიან ტანკებზე“ ცინიკურად ვქირქილებთ და დონდლო კუნთებს ვათამაშებთ, სერიოზული ანალიტიკოსები მსოფლიო პრესაში ისეთ მასალებს აქვეყნებენ, რომ დაგვერწმუნეთ, ღირს დაფიქრებად და ტაქტიკური ნაბიჯების რადიკალურად შესაცვლელად.

**გვინდა-არგვინდა, დღევანდელი მსოფლიოს „მშვიდობიან ამინდს“ ორი სახელმწიფო განსაზღვრავს – აშშ და რუსეთი, უფრო ზუსტად, — მათი სტრატეგიული პარიტეტი. ეს წონასწორობა ერთობ პირობითია, რადგან ორივე მხარე ცდილობს უპირატესობის საბნის თავის მხარეზე გადაქაჩვას. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სტრატეგია შეფარული „ცივი ომის“ საფუძველთა საფუძველია.**

ასიმეტრიული პასუხის პრობლემა რუსეთის წინაშე განსაკუთრებული აქტუალობით მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების გასაყარზე დადგა, რადგან გამალებული შეიარაღება ამერიკის აშკარა უპირატესობით გრძელდება: **აშშ რეალურად შეუდგა სტრატეგიული პროგრამის „ერთიანი პროგრამა-2010“ განხორციელებას.**

**ამ პროგრამის მისიაა გლობალური ზემოქმედების, უპირატესად, — არაბირთვული აეროკოსმოსური, იმფორმატიზებული და ქსელური შეიარაღებული ძალების შექმნა. არსი შემდეგია: მრავალეშელონური სისტემის შექმნა ნებისმიერი მოწინააღმდეგის ელვისებურად გასანადგურებლად და საკუთარი ტერიტორიის კომპლექსურად დასაცავად.**

ბუნებრივია, რომ ამერიკის ამგვარ გააქტიურებას რუსეთი გულხელდაკრეფილი ვერ შეხვდებოდა და ასიმეტრიული პასუხის გასაცემად გლობალური შესაძლებლობების პროექტების დამუშავებას შეუდგა, რომლებიც გამოყენებული იქნება „საპასუხო დარტყმის“ რეჟიმში. ლაპარაკია გეოფიზიკურ იარაღზე, რომელიც სტიმულს აძლევს ისეთი ბუნებრივი გეოფიზიკური მოვლენების ამოქმედებას, როგორიცაა ცუნამი, მიწისძვრა, ვულკანების ამოფრქვევა, ქარიშხალი, მაგალითად, ქარიშხალი „კატრინა“ (ლუიზიანა, აშშ) და სხვ.

### როცა ფეხქვეშ მიწა გვერყევა პირდაპირი მნიშვნელობით

**ასიმეტრიული პარიტეტის უზრუნველყოფა პოტენციურ მოწინააღმდეგესთან შესაძლებელია ცუნამის ხელოვნური გამოწვევით, როცა სანაპირო ხაზთან ტალღის სიმაღლე ათობით და ასობით მეტრს აღწევს.**

**ჩვეულებრივ, ცუნამის ინიცირებას იწვევს ბუნებრივი მოვლენები, მაგალითად, ვულკანის ამოფრქვევით გამოწვეული მიწისძვრა, რომელიც გეოფიზიკურ სტრუქტურაზე ზემოქმედებს.**

განსაკუთრებით დამანგრეველია სუპერვულკანის ამოქმედება. ნატოს წევრ ქვეყნებში ასეთი გეოფიზიკური სტრუქტურებია იელოუსტონის სუპერვულკანი (ძირითადი ვაიომინგის შტატში) და სუპერვულკანი ლონგ-ველი (კალიფორნია), ორივე აშშ-ის დასავლეთითაა, ასევე, სუპერვულკანი იტალიაში ნეაპოლის მახლობლად, რომლის ვალდერა (სტრუქტურა, სუპერვულკანებში ენაცვლება ჩვეულებრივი ვულკანის კონუსს) ფლეგრიის ველებს და ნაწილობრივ ზღვის ყურეშია.

იელოუსტონის სუპერვულკანის გიგანტური ვულკანური ვალდერის ნაწილის აწევის სიჩქარე 2004 წლიდან მკვეთრად გაიზარდა. სუპერვულკანის მიწისქვეშა საძირკვლის საერთო ფართობი 10 კმ სიღრმეში 1200 კმ-ია, რაც ემთხვევა დედამიწის ქერქის მაგმის ფენას, რაც სეისმური გაზომვებითაა დამტკიცებული. ამ სუპეროვულკანის საფუძველში მხურვალე ნივთიერების მოცულობა მატულობს წელიწადში 0,1 კმ-ით, იზრდება წნევაც, რამაც უკვე გამოიწვია მისი კალდერის ტერიტორიაზე გეიზერების მთელი რიგის აქტივიზაცია. წარმოიქმნება უამრავი მცირე ვულკანური ყელი, ბზარი, სტრუქტურა კარგავს მდგრადობას. საბოლოოდ კალდერის ცენტრალური ნაწილი ჩაინგრევა მაგმის რეზერვუარში. ჩაქცეული ქანები დედამიწის წიაღიდან სწრაფად ამოაფრქვევს ლავის გიგანტურ შადრევნებს. ასეთი აფეთქების ძალა უამრავჯერ სჭარბობს ყველაზე ძლიერი ბირთვული ბომბის აფეთქების ძალას.

**აფეთქება იწვევს უძლიერეს მიწისძვრას, რომელიც პლანეტის ყველა წერტილში იგრძნობა, წარმოქმნილი ყელიდან (შემდგომ კალდერადან) ამოიფრქვევა 40-50 კილომეტრ სიმაღლეზე ვულკანური ფერფლის ღრუბელი. კლდის ნატეხები ჩამოშლილი ლითოსფეროს ნაშალი (ლავისა და ფერფლის მასა ფარავს ფართობს ამოფრქვევის ეპიცენტრიდან 1000 კილომეტრის რადიუსით. იელუსტონის სუპერვულკანთან საშიშ სიახლოვეს ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთის პრაქტიკულად მთელი მოსახლეობა ცხოვრობს; აქ მდებარეობს ისეთი დიდი ქალაქები, როგორიცაა სიეტლი (აშშ), კალგარი და ვანკუვერი (კანადა).**

**10 ათას კვადრატულ კილომეტრს გადაუვლის პიროკლასტიკური ტალღა გავარვარებული ტალახის სიკვდილის მთესველი ნაკადი, რომელიც წვავს ყველაფერს, რაც გზაზე დახვდება.**

ასეთი მასშტაბის ნაკადში ცოცხლად გადარჩენა შეუძლებელია, ეს 200 ათასი ადამიანის დაუყოვნებელ დაღუპვას გამოიწვევს. მაგრამ ეს იქნება მხოლოდ უმნიშვნელო დანაკარგი იმასთან შედარებით, რაც ჩრდილოეთ ამერიკას თავს დაატყდება მიწისძვრის შედეგად. მსხვერპლის რაოდენობა ათობით მილიონ ადამიანს გადააჭარბებს.

**სუპერვულკანის ყელიდან ამოფრქვეული ფერფლის ღრუბელი ერთი დღე-ღამის განმავლობაში დაფარავს აშშ-ის მთელ ტერიტორიას მისისიპის შესართავამდე.**

ვულკანური ფერფლი ფრიად საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. მისი ნაწილაკები იმდენად წვრილია, რომ ვერავითარი რესპირატორი ვერ აკავებს. ფილტვებში მოხვედრილი ნაწილაკები ფარავს ლორწოვან ზედაპირს და მკვრივდება როგორც ცემენტი.

საშიშროება დაემუქრება სუპერვულკანს ათასობით კილომეტრით დაცილებულ ტერიტორიებს: როგორც კი ვულკანური ფერფლის ფენა დასაშვებზე მეტი სისქით დაედება შენობებს, ისინი ჩაინგრევა. ეს გახდება ადამიანების სიკვდილის მიზეზი იმ რეგიონებში, რომლებსაც არ გადაუარა პიროკასულმა ტალღამ. მასობრივი დაღუპვის მეორე ფაქტორი სუპერვულკანის უაღრესად შხამიანი ამონაფრქვევებისგან მოსახლეობის მოწამლვაა.

### შუა ზაფხულში დამდგარი ზამთარი

**იელოუსტონის სუპერვულკანის აფეთქების ყველაზე საშინელი შედეგი „ვულკანური ზამთარია“, რადგან ამოფრქვევიდან ერთ თვეში ფერფლი მზეს მთელ დედამიწაზე დაფარავს. განადგურდება მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო, უმეტესად — დასავლეთ ნახევარსფეროში. ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობას გადარჩენის მინიმალური შანსი თუ ექნება.**

**დედამიწის სხვა ნაწილებში მცხოვრებ მოსახლეობას გადარჩენის შანსი მეტი აქვს, მისთვის შედეგები კატასტროფული არ იქნება.**

დღევანდელ მსოფლიოში ვულკანის ამოფრქვევის თავიდან აცილების არავითარი საშუალება არ არსებობს, არ არის საამისო არც ტექნოლოგიები, არც რაიმე მოწყობილობა.

**იმ სახელმწიფოს ზარალი, რომლის ტერიტორიაზეცაა სუპერვულკანი, კატასტროფულია. სუპერვულკანების აფეთქება განსაკუთრებით საშიშია ეკვატორულ და მის მიმდებარე განედების ზონებში, რადგან ამ რეგიონების ბიოსფერო ტემპერატურის ხანგრძლივი დაცემის, ყინვისა და მოყინვებისადმი ნაკლებად მდგრადია.**

მსოფლიოს უდიდესი ქალაქების მნიშვნელოვანი ნაწილი სუპერვულკანების მახლობლადაა განლაგებული. ბუნებრივი აფეთქება პრაქტიკულად გაანადგურებს ქვეყნებს, რომელთა ტერიტორიაზეც ასეთი სუპერვულკანებია, აგრეთვე, მათ მეზობელ ქვეყნებსაც, უარყოფითად იმოქმედებს მთელი პლანეტის ეკოსისტემაზე.

### როცა წყალი წალეკავს ყველაფერს

**ასიმეტრიული პარიტეტის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შორის მოიაზრებენ კატაკლიზმების გამოწვევის შესაძლებლობას ტექტონიკური ფილების გადაადგილების მეშვეობითაც.**

**ამგვარ გეოფიზიკურ სტრუქტურებს შორისაა ჩრდილოეთამერიკული და ევრაზიული ტექტონიკური ფილები ატლანტის ოკეანეში.**

ამ ფილების დაშორიშორება ჰიპერცუნამის გამოწვევის მიზეზი შეიძლება გახდეს. ამ დროს აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროზე ტალღის სიმაღლემ, სავსებით შესაძლებელია, ასობით მეტრს ან კილომეტრსა და მეტსაც მიაღწიოს. უფრო ნაკლები იქნება ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის სხვა ქვეყნების, ასევე, სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ქვეყნების ოკეანის სანაპირო ზოლში.

ამასობაში ევრაზიული ფილა დაბლა იწევს, რაც, აგრეთვე, სუპერცუნამისა და ცუნამის პროვოცირების მიზეზი ხდება დასავლეთ ევროპის რიგი ქვეყნების სანაპირო ზოლში.

**გიგანტური ცუნამი, პრაქტიკულად, გაანადგურებს ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ ნაწილს 500-დან 1500-მდე კილომეტრზე და მეტით — ქვეყნის სიღრმეში, აშშ-ის ცენტრალურ ნაწილში კლდოვან მთებამდე, მდინარეთა დაბლობებში, უფრო შორს, სუპერცუნამი კი მნიშვნელოვნად დააზარალებს ნატოს წევრ დასავლეთევროპულ ქვეყნებს.**

გეოფიზიკური პროცესების დაწყების დრო დადგენილი არ არის, მაგრამ პლანეტის ვულკანური გააქტიურება უფლებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ეს ვადა არც მილიონობით, არც ათასწლეულობით, არც ასი წლით არ გადაიწევს.

**სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ბუნებრივი გეოფიზიკური პროცესების აქტივიზაციის შედეგად და მათი მეშვეობით წარმოქმნილი სუპერ და ჰიპერცუნამი შეიძლება ჩავთვალოთ მასობრივი განადგურების უმართავ იარაღად.**

ამასთან ერთად, სხვადასხვაგვარი ბუნებრივი გეოფიზიკური პროცესები, რომლებიც პოტენციურ მოწინააღმდეგესთან ასიმეტრიული სტრატეგიული პარიტეტის უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა, შეიძლება განვიხილოთ როგორც ძვირადღირებული, ხანგრძლივი სიმეტრიული სტრატეგიული პარიტეტის ალტერნატივა.

ამასთან ერთად, ანალიტიკოსები დარწმუნებულები არიან, არა სამხედრო, არამედ პოლიტიკური პარიტეტის დამყარება მომგებიანია ორივე მხარისთვის.

ეს რეალობა დაჟინებით მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის შეთანხმებულ მოქმედებას. საქმე აქეთკენ მიდის. და ამ პროცესში საქართველოს ხელისუფლების „განსაკუთრებული პოზიცია“ არა მარტო უაზრობაა, არამედ სასაცილოც.

**ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის**
**სერგეი გავრილოვის**
**ინტერნეტპუბლიკაციის მიხედვით**

ემა ტომპსონი სულ რაღაც 4 წლის იყო, როდესაც 2009 წელს სიკვდილის პირამდე სცემეს. ბავშვს აღენიშნებოდა ნეკნების მოტეხილობები, თავის ქალის, ძვლების მოტეხილობები, დასისხლიანებული ჰქონდა თითქმის მთელი სხეული და ამავე დროს გაუპატიურებული იყო. ბავშვის დედა და მისი საყვარელი გაასამართლეს და დააპატიმრეს. ბავშვის მამამ განაცხადა, რომ ემა მიატოვა ყველამ, ვინც გვერდით ჰყავდა.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბავშვების სიკვდილი — ამერიკის სირცხვილი



**სასტიკი დამოკიდებულების ან დაუდევარი მოპყრობის გამო აშშ-ში ყოველ ხუთ საათში ერთი ბავშვი იღუპება. ხელისუფლების უკანასკნელი შეფასებებით, ცუდი მოპყრობის შედეგად 2009 წელს 1770 ბავშვი მოკვდა. კონგრესში ახლახან წარდგენილი მოხსენება კი ასკვნის, რომ რეალური ციფრი 2500-ს უახლოვდება.**



**უკანასკნელ ათ წელიწადში საკუთარ სახლში 20 ათას ამერიკელ ბავშვს ამოჰხადეს სული მისივე ოჯახის წევრებმა. ეს დაახლოებით ოთხჯერ აღემატება იმ ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობას, რომლებიც ერაყსა და ავღანეთში დახოცეს**

ფაქტობრივად, ბავშვებთან სასტიკი დამოკიდებულების მხრივ ამერიკას განვითარებულ ქვეყნებს შორის ყველაზე ცუდი სტატისტიკა აქვს. **ყველა განვითარებულ ქვეყანაში ერთად ფიზიკური ძალადობის ან არასათანადო მოვლის გამო კვირაში 15 წლამდე ასაკის 66 ბავშვი კვდება; მათგან 28 — ამერიკაში, რაც ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია. მაშინაც კი, როდესაც ყურადღება ექცევა მოსახლეობის რაოდენობას, იუნისეფის 2001 წლის კვლევის თანახმად, ცუდი მოპყრობის გამო ბავშვთა სიკვდილიანობით აშშ მექსიკას უთანაბრდება.**

ბავშვებთან სასტიკი დამოკიდებულების ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მაჩვენებლის მქონე ტეხასის შტატში დალასის საბავშვო სამედიცინო ცენტრმა ცუდი დამოკიდებულებისა და ძალადობის შედეგად გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობის ზრდა დააფიქსირა. გარდა ამისა, ჰიუსტონის ცენტრი აფართოებს საქმიანობას ბავშვებისადმი სექსუალური ძალადობის პრობლემის ზრდის შესაჩერებლად.

ემა ტომპსონი სულ რაღაც 4 წლის იყო, როდესაც 2009 წელს სიკვდილის პირამდე სცემეს. ბავშვს აღნიშნებოდა ნეკნების მოტეხილობები, თავის ქალის, ძვლების მოტეხილობები, დასისხლიანებული ჰქონდა თითქმის მთელი სხეული და ამავე დროს გაუპატიურებული იყო. ბავშვის დედა და მისი საყვარელი გაასამართლეს და დააპატიმრეს. ბავშვის მამამ განაცხადა, რომ ემა მიატოვა ყველამ, ვინც გვერდით ჰყავდა.

ემა ტომპსონის მსგავსად, კიდევ უამრავი ბავშვია მოკლებული დაცვისა და მზრუნველობის სახელმწიფო სისტემას. ამის გამო ზოგიერთი სამუშაოთი გადაღლილ გამომძიებლებსა და მართვის არაეფექტურობას ასახელებს, სხვები კი ამბობენ, რომ პრობლემა ფედერალური ხელისუფლებაა, რომელიც ოჯახებს ერთად დარჩენისკენ უბიძგებს.

ჩინოვნიკები, რომლებიც ტეხასში, ამ მხრივ ყველაზე რთულ შტატში ბავშვთა უფლებების დაცვით არიან დაკავებულნი, აცხადებენ, რომ თითეული შემთხვევა ძალზე ჩახლართულია და შესაფასებლად — რთული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვთა კანონიერი წარმომადგენლები სიმართლეს მალავენ.

**ვაშინგტონში პოლიტიკოსები იწყებენ იმის აღიარებას, რასაც ზოგიერთები „ნაციონალურ კრიზისს" უწოდებენ. ივლისში კონგრესში ექსპერტებს მოუსმინეს იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება გაკეთდეს სასტიკი დამოკიდებულების გამო ბავშვთა სიკვდილიანობის თავიდან ასაცილებლად.**

ფორმირდება სახელმწიფო კომისია, რომელიც დაკავდება მთელი ქვეყნის მასშტაბით რეაგირების ზომების კოორდინირებით.

ბავშვებთან სასტიკი დამოკიდებულება უარყოფითად აისახება არა მხოლოდ მსხვერპლთა ოჯახებზე, არამედ მათი ნათესავებისა და მეგობრების წრეზეც.

ტეხასის ბავშვთა დაცვის ასოციაციის მონაცემებით, ძალადობის მსხვერპლი ბავშვების შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის შანსი 74-ჯერ იზრდება, შანსი იმისა, რომ ისინი სასტიკად მოექცევიან საკუთარ შვილებს — ექვსჯერ.

ამ მიზეზის გამო სპეციალისტები თვლიან, რომ ბავშვთა დაცვა ძალადობისგან არის როგორც აშშ-ის ხელისუფლების, ასევე მთელი საზოგადოების ინტერესებშიც. მათივე თქმით, უკლებლივ ყველა მოქალაქე პასუხისმგებელია, საკუთარი წვლილი შეიტანოს ძალადობის შემცირებაში.

**უკანასკნელ ათ წელიწადში საკუთარ სახლში 20 ათას ამერიკელ ბავშვს ამოჰხადეს სული მისივე ოჯახის წევრებმა. ეს დაახლოებით ოთხჯერ აღემატება იმ ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობას, რომლებიც ერაყსა და ავღანეთში დახოცეს.**

ბავშვებთან ცუდი დამოკიდებულების გამო მათი სიკვდილიანობის დონე აშშ-ში სამჯერ უფრო მაღალია, ვიდრე კანადაში და 11-ჯერ უფრო მაღალი, ვიდრე იტალიაში. ყოველწლიურად ფიქსირდება ძალადობისა და მშობლების მხრიდან საკუთარი მოვალეობების უგულებელყოფის მილიონობით შემთხვევა.

აშშ-ში მთლიანობაში ბევრად მაღალია მოზარდთა ორსულობა, სკოლის უფროსი კლასებიდან მათი გასვლა, ძალადობრივი დანაშაული, თავისუფლების აღკვეთა და სიღატაკე. ამასთან, სხვა განვითარებულ ქვეყნებში სოციალური პოლიტიკა ითვალისწინებს ბავშვების დაცვას, საყოველთაო სამედიცინო დაზღვევას, ბავშვთა მოვლის სკოლამდელი დაწესებულებების ხელმისაწვდომობას და ოჯახში დახმარების აღმოჩენას პრაქტიკულად ყველასთვის, ვინც ამას საჭიროებს.

**აშშ-ში, როდესაც ბავშვი იბადება, ოჯახში, რომელიც ამისათვის ჯერ მზად არაა, სოციალური დაცვის ადგილობრივი სისტემები ან ზედმეტი მონდომებით მუშაობენ, ან საერთოდ არ ჩანან. მათ არ შეუძლიათ ოჯახისთვის იმ სტრესის კომპენსირება, რომელიც ბავშვმა უნდა გადაიტანოს.**

ყველაზე უარეს შემთხვევებში მდგომარეობა კანონზომიერად რთულდება და ბავშვი იღუპება. ამ ბავშვების დაახლოებით 75 პროცენტი ოთხ წლამდე ასაკისაა, მათი ნახევარი კი — ერთ წლამდე.

ბავშვთა კეთილდღეობის განმსაზღვრელი ფაქტორია გეოგრაფიაც. მაგალითისათვის ავიღოთ ტეხასისა და ვერმონტის შტატები.

ტეხასი ამაყობს ყველაზე დაბალი გადასახადებისა და სოციალური ხარჯების მქონე შტატის სტატუსით. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მიხედვით ის სხვა შტატებთან შედარებით შუალედურ პოზიციაზეა, გადასახადების საერთო რაოდენობა კი იქ თითქმის ყველაზე ნაკლებია.

ვერმონტი საპირისპირო უკიდურესობაშია. იქ გადასახადები ყველაზე მაღალია. თუ კეთილდღეობის ძირითად მაჩვენებლებს შევხედავთ, ტეხასელ ბავშვებს სკოლის მაღალი კლასებიდან გარიცხვის შანსი ორჯერ მეტი აქვთ, ვიდრე მათ ვერმონტელ თანატოლებს. მათ დაზღვევის გარეშე დარჩენის ან ციხეში მოხვედრის შანსი ვერმონტელებზე ოთხჯერ მეტი აქვთ, დაუნდობელი მოპყრობისგან გარდაცვალებისა კი — თითქმის ორჯერ მეტი.

ტეხასში არის მრავალი საფრთხე ბავშვისათვის და ამას ემატება არაკეთილსასურველი ფაქტორების შერწყმა სიღატაკის მაღალი დონის, ნაციონალური უმცირესობების ბავშვთა მაღალი ხვედრის, განათლების შედარებით დაბალი დონის სახით.

ტეხასი, ისევე, როგორც ტრადიციულად კონსერვატორული სხვა შტატები, ნაკლებადაა მზად იმისათვის, რომ დახმარება აღმოუჩინოს თავის მოსახლეობას. შტატებს შორის მდგომარეობის მნიშვნელოვანი სხვაობა კი ფედერალური მთავრობის როლის გაზრდის აუცილებლობაზე მიანიშნებს. ეს ბავშვები, პირველ რიგში, ტეხასის ბავშვები არიან თუ ამერიკის?

**ქვეყნის ნაციონალურ სტრატეგიას განვითარება და ცხოვრებაში დანერგვა სჭირდება. დასაწყისისთვის კონგრესმა უნდა მიიღოს კანონი იმ ნაციონალური კომისიის შესაქმნელად, რომელიც სასტიკი დამოკიდებულებისა და დაუდევარი მოპყრობის ბავშვთა სიკვდილიანობის წინააღმდეგ იბრძოლებს. და ბავშვთა დაცვის არც ერთი პროგრამა არ უნდა დადგეს ეჭვქვეშ — არც ფედერალური, არც საშტატო. აშშ-ის ეკონომიკა ბავშვებს არ დაუნგრევიათ. ამ დანგრეული ეკონომიკის ბავშვების ხარჯზე აღდგენა მორალურად საზიანო ამჟამინდელი ეკონომიკური პოლიტიკაა.**

**მდგომარეობის გაუარესების ფონზე, ბავშვთა სიღატაკის ზრდისა და ბავშვებისათვის სახელმწიფო დახმარების მოცულობათა მილიარდებით შემცირების ფონზე კიდევ უფრო იზრდება დაძაბულობა, რომელსაც ამერიკის ისედაც სუსტი სოციალური უზრუნველყოფის სისტემა განიცდის.**

ეს ყველაფერი თავისთავად ნიშნავს, რომ მოკვდება უფრო მეტი ბავშვი და ყველაზე ადვილი მშობლების ან ბავშვთა დაცვის სოციალური სამსახურების დადანაშაულება იქნება, მაგრამ რთული პრობლემები ადვილად არ გვარდება.

და როდესაც მილიონობით ბავშვი იტანჯება, ათასობით კი კვდება, ეს ნამდვილად მასშტაბური პრობლემაა, რომელსაც შესაბამისი მასშტაბებით გადაწყვეტა სჭირდება.

**ბავშვებთან ცუდი დამოკიდებულების გამო მათი სიკვდილიანობის დონე აშშ-ში სამჯერ უფრო მაღალია, ვიდრე კანადაში და 11-ჯერ უფრო მაღალი, ვიდრე იტალიაში**

bbc.co.uk

მოკლედ

## ყურანის დამწველს პრეზიდენტობა სურს



**პასტორმა ტერი ჯონსმა, რომელმაც მუსლიმანების საღვთო წიგნი ყურანი საჯაროდ დაწვა, აშშ-ის პრეზიდენტობა გადაწყვიტა. იგი საპრეზიდენტო არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატად მიიღებს მონაწილეობას.** ჯონსის წინასაარჩევნო პლატფორმა სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, არალეგალი იმიგრანტების დეპორტაციასა და ბიზნესისთვის გადასახადების დაწევას ითვალისწინებს. პასტორი გამოდის ინიციატივით, რომ საკუთარ სახლებს დაუბრუნდნენ ამერიკელი ჯარისკაცები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობენ.

## სირიაში კიდევ 40 ადამიანი დაიღუპა

**ანტისამთავრობო გამოსვლების დაშლისას სირიაში 40 ადამიანი დაიღუპა. ქალაქებში — ჰამასში, ჰომსსა და მათ შემოგარენში უსაფრთხოების ძალებთან შეტაკებისას მხოლოდ მშვიდობიანი მოქალაქეები დაიღუპნენ.** სირიაში ანტისამთავრობო გამოსვლები, უკვე შვიდი თვეა, გრძელდება, თუმცა 29 ოქტომბრის ღამე ყველაზე სისხლიანი იყო ბოლო თვეების განმავლობაში. თავდაპირველად გამოსვლები ქვეყნის სამხრეთში, დერააში დაიწყო და შემდეგ სხვა რეგიონებშიც გავრცელდა. შეტაკებების დროს დაღუპულთა რაოდენობა ამ დროისთვის სამი ათასს აღწევს.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დაუძლეველი სურვილი, მოლაპარაკებების მაგიდას მიუჯდეს რეჟიმებთან, რომლებიც მოლაპარაკებებს საერთაშორისო ზეწოლის შემსუბუქების შესაძლებლობად აღიქვამენ, ობამას საგარეო პოლიტიკის პრაქტიკულად ყველა ასპექტს ახლავს.



# ისლამისტები ხელისუფლებაში მოდიან

**როგორც ჩანს, ეგვიპტელი „ძმები მუსლიმანების“ ლოზუნგი „ისლამი — ეს გადაწყვეტილებაა“ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ჩრდილოეთ აფრიკის ყველა არაბული სახელმწიფოსადმი, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ თავიანთი რეჟიმების ელიტურობის დემონსტრირებას ახდენდნენ. ალჟირს, სადაც ისლამისტებმა ხელისუფლებაზე პრეტენზია ჯერ კიდევ 20 წლის წინ განაცხადეს, რამაც ქვეყანაში წლობით გაგრძელებული შეიარაღებული კონფლიქტი გააჩაღა, ახლა უკვე მიუერთდა ტუნისიც, მიერთების პროცესშია ლიბია და უკვე მათკენ იხრება ეგვიპტეც. ტუნისში ისლამისტები ხელისუფლებაში მოვიდნენ, ლიბიაში ისინი საკვანძო თანამდებობებისთვის იბრძვიან, ეგვიპტეში კი არჩევნებში გამარჯვებისთვის ემზადებიან.**



როგორც რევოლუციის შემდგომ პირველ საპარლამენტო არჩევნებს უწოდეს, რამდენიმე დღის წინ გამართულმა „ისტორიულმა“ არჩევნებმა აჩვენა, რომ მანამდე ქვეყანაში აკრძალულ ისლამისტურ მოძრაობა „ან-ჰახდას“ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში აქტიური მონაწილეობის სერიოზული შანსი აქვს.

ლიბიაში იგივე ტენდენცია შეინიშნება. — ხელისუფლებაში საკვანძო თანამდებობებისთვის პრეტენზიას ისლამისტები აცხადებენ. როგორც დამკვირვებლები აღნიშნავენ,

**ქვეყანაში აკრძალულ ისლამისტურ მოძრაობა «ან-ჰახდას» ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში აქტიური მონაწილეობის სერიოზული შანსი აქვს**

მომავალ მინისტრთა კაბინეტში მათმა მოსალოდნელმა მოხვედრამ განაპირობა გარდამავალი ნაციონალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის — მაჰმუდ ჯიბრილას გადადგომა. თავდაპირველად იგეგმებოდა, რომ სწორედ ის ჩამოაყალიბებდა ახალ მინისტრთა კაბინეტს, მაგრამ ეს ეწინააღმდეგებოდა „რევოლუციის დაცვის უმაღლესი საბჭოს“ გეგმებს ტრიპოლში. ამ საბჭოს შემადგენლობაში, ძირითადად, ისლამისტების შეიარაღებული ჯგუფების მომხრეები შევიდნენ, აბდელ ჰაკიმ ბელჰაჯეს მეთაურობით. უკანასკნელმა მაშინვე მიანიშნა, რომ **ისლამისტები ადგილების ლომის წილს მოითხოვენ მომავალი მთავრობის აღმასრულებელ ორგანოში და მათ მხარი დაუჭირა გარდამავალი ნაციონალური საბჭოს მხარეს გადასული და ლონდონსა და პარიზთან მჭიდროდ დაკავშირებული ტექნოკრატებისაგან შემდგარი ჯიბრილასა და მისი გუნდის გადადგომას.**

ამავე დროს გარდამავალი ნაციონალური საბჭოს ხელმძღვანელ მუსტაფა აბდელ ჯალილიუს უკვე მოუწია თავის მართლება იმ განცხადებების გამო, რომელთა თანახმადაც ლიბიამ უნდა იცხოვროს მისი კანონმდებლობის საფუძველში ჩადებული შარიათის კანონებით. **მიუხედავად იმისა, რომ ისლამური სამართალი, როგორც ასეთი, გაწერილია პრაქტიკულად ყველა არაბული სახელმწიფოს კონსტიტუციაში, მათ შორის შედარებით ზომიერებშიც, როგორებსაც სულ ცოტა ხნის წინ ეგვიპტეც მიეკუთვნებოდა, აბდელ ჯალილიუს ნათქვამმა ევროპაში ბევრ მათგანს დასცა თავზარი, ვინც ლიბიისგან ადამიანის უფლებათა დაცვას და დასავლეთის სხვა ლიბერალური ფასეულობების გაზიარებას ელოდა.**

როგორც გარდამავალი ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, ლიბიელები იცხოვრებენ შარიათის წესებით, მაგრამ ზომიერ მუსლიმანებად დარჩებიან. **„მინდა, მსოფლიო საზოგადოება დავარწმუნო, რომ ჩვენ, ლიბიელები, მუსლიმანები ვართ და ზომიერი მუსლიმანები. როგორც მუსლიმანები, ჩვენ პატივს ვცემთ ისლამის ნორმებს, რომლებიც საფრთხეს არ წარმოადგენს არც ერთი პოლიტიკური პარტიისა თუ ფრაქციისათვის. და შარიათი კანონმდებლობის წყაროდ უნდა იქცეს,“** — განაცხადა მან და აღნიშნა, რომ ეს არ ნიშნავს მანამდე არსებული ყველა კანონის გაუქმებას.

ამავე დროს ეგვიპტეში დასრულდა საპარლამენტო არჩევნების კანდიდატთა რეგისტრაცია. არჩევნები 28 ნოემბერს გაიმართება. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, სახალხო კრების 498 ადგილისთვის პრეტენზიას აცხადებს ათი ათასზე მეტი ადამიანი. ამასთან, ტუნისის ანალოგიურად, განსაკუთრებით აქტიურად მიიწევს ხელისუფლებისკენ მრავალი წლის წინ აკრძალული ორგანიზაცია „ძმები მუსლიმანები“, რომლის პარტიამაც უკვე მოასწრო წაჩხუბება ყველა ზომიერ და არც თუ ისე ზომიერ ფრაქციებთან, რომელთაც ასევე სურთ, მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში.

itar-tass.com

# მორიგი ქვეყნის მოთვინიერება: ჩრდილოეთ კორეის ჯერია



**ობამას ადმინისტრაცია დაუღალავად ცდილობს დესპოტური რეჟიმების კეთილგანწყობის მოპოვებას, განსაკუთრებით ჩინეთთან, ირანთან, რუსეთთან, კუბასთან დაკავშირებით. აშშ-ს ამ ყველაფრიდან არაფერი აუნაზღაურდა. რეჟიმები ქვეყნებს შიგნით უფრო რეპრესიული გახდა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ კი — უფრო აგრესიული. ამიტომ, ცხადია, დადგა დრო, შეცდომა გაიმეორონ ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებითაც.**



აშშ ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკებებს ჟენევაში განაახლებს. ორიოდე დღის წინ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ბირთვულ საკითხებზე მომუშავე მუდმივი წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე გამოაცხადა. ჩრდილოკორეული მასმედია კი იტყობინებოდა, რომ კიმ ჩენ ირმა მცირე კომენტარი გააკეთა იმ ექვსმხრივი მოლაპარაკების განახლების თაობაზე, რომლის მიზანიც ქვეყანაში ბირთვული პროგრამის შეწყვეტაა.

**ექვსმხრივი მოლაპარაკების დასრულების მომენტიდან ჩრდილოეთ კორეამ განახორციელა ბირთვული მოწყობილობის აფეთქება და გამოსცადა შორეული მოქმედების რაკეტები, რომლებიც ერთხელაც ბირთვული ქობინების მზიდებად შეიძლება იქცეს. გარდა ამისა, ქვეყანაში აღმოჩენილ იქნა ურანის გამდიდრების ქარხანა და შეინიშნება სამხრეთ კორეის მიმართ მტრული დამოკიდებულების ზრდა. ასე რომ, ახლა ნამდვილად ძალიან ძნელია ჩრდილოეთ კორეის მოლაპარაკებებზე დათანხმება. შექმნილი მდგომარეობა ვაშინგტონსა და სეულში პოლიტიკოსებს ორ ვარიანტს უტოვებს: დაითანხმონ ჩრდილოეთ კორეა მოლაპარაკებებზე, თუმცა მან შეიძლება ეს მხოლოდ მეტი ეკონომიკური დახმარების მისაღებად გამოიყენოს და უარი არ თქვას თავის ბირთვულ შეიარაღებაზე; ან უარი თქვან მოლაპარაკებებზე და გაზარდონ დაძაბულობა კორეის ნახევარკუნძულზე.**

არიზონის შტატის რესპუბლიკელი სენატორი ჯონ კილი გამოვიდა განცხადებით, რომელშიც იტყობინებოდა, რომ ჩრდილოკორეულ რეჟიმთან კონტაქტში შესვლის მცდელობისას მთავარი იქნება იმის კონტროლი, რომ ობამას ადმინისტრაცია თავისი გარანტიების ერთგული დარჩეს და ქვეყნისთვის არ დაწესდეს რაიმე წახალისებები. ეს ორმხრივი მოლაპარაკებები კი ბოლოს და ბოლოს ექვსმხრივ მოლაპარაკებებამდე მივა. სენატორის თქმით, ადმინისტრაციამ დაარწმუნა იგი, რომ ჩრდილოეთ კორეას ნათლად აგრძნობინეს, დადგა დრო, კონკრეტული ნაბიჯები გადადგას ბირთვული იარაღისგან გასათავისუფლებლად. მისივე განცხადებით, დამთავრდა დღეები, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები ჩრდილოეთ კორეას იმ დაპირებებისთვის უხდიდა, რომელთა შესრულებასაც არავინ აპირებდა.

**აშშ-ის ყოფილი წარმომადგენელი გაეროში, ჯონ ბოლტონი, რომელმაც მრავალჯერ გააკრიტიკა ბუშისა და კლინტონის ადმინისტრაციები ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკებათა გამართვის მცდელობისთვის, ამბობს, რომ ახლა არ არსებობს ადრინდელზე მეტი მტკიცებულება იმისა, რომ ჩრდილოეთ კორეა დახურავს თავის ბირთვულ პროგრამას. მოლაპარაკებათა განახლება მას მხოლოდ ლეგიტიმურობის განახლების შეგრძნებას გაუჩენს და მისცემს დროს, რომ განაგრძოს აღჭურვა და რაკეტების წარმოება.**

დაუძლეველი სურვილი, მოლაპარაკებების მაგიდას მიუჯდეს რეჟიმებთან, რომლებიც მოლაპარაკებებს საერთაშორისო ზეწოლის შემსუბუქების შესაძლებლობად აღიქვამენ, ობამას საგარეო პოლიტიკის პრაქტიკულად ყველა ასპექტს ახლავს. მაგრამ ამჯერად ობამას გუნდი მარტო არაა ჩრდილო კორეასთან მოლაპარაკების არარეალურ სურვილში, თუმცა არის ალტერნატივაც — რეჟიმის შეცვლის იდეისადმი ერთგულება, საერთაშორისო ზეწოლის გაზრდა და ფინანსური შევიწროება გაცილებით უკეთესი ალტერნატივაა, ვიდრე გარდაუვალი ცალმხრივი მოლაპარაკებები, რომლებიც დიქტატორობის წახალისება და სხვა ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით ირანისთვის, იმაზე მინიშნებაა, რომ ამერიკით მანიპულირება შეიძლება.

The Washington Post



**სიკვდილის წინ კადაფი აწამეს. იგი ცოცხლად შეიპყრეს, მაგრამ ბოევიკებმა ჯერ სასტიკად სცემეს, შემდეგ კი მუცელსა და თავში რამდენიმე ტყვია დაახალეს... ევროპაში კრიზისის პირობებში კადაფის მკვლელობა, ანუ იმ ფულის დაბრუნების აუცილებლობის მოსპობა, რომელიც დასავლეთმა კადაფისგან მიიღო, ევროპის ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი საშუალებაა.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კადაფის წამებით სიკვდილი — ევროპის მორალური გაკოტრება

**მსოფლიო მასმედია კადაფის მკვლელობაზე წერისას სადამ ჰუსეინთან ავლებს პარალელს. სინამდვილეში კი ლიბიის ლიდერის სიკვდილი უფრო მეტად ჰგავს ავღანეთის პროსაბჭოთა ლიდერის — მოჰამედ ნაჯიბულას მკვლელობას. 1996 წლის 27 სექტემბერს მოძრაობა „თალიბანის“ ბოევიკებმა ქაბული აიღეს და გაეროს მისიის შენობაში შეიჭრნენ, სადაც იმყოფებოდა ნაჯიბულა თავის ძმასთან ერთად. ქვეყნის ლიდერი დაუნდობელი წამებით მოკლეს, მაგრამ მაშინ არც აშშ-სა და არც ევროკავშირს ამ დანაშაულზე რაიმე რეაქცია არ ჰქონია. იმ პერიოდში კლინტონის ადმინისტრაციამ თალიბებზე, რომლებთანაც „შესაძლებელი იქნებოდა ბიზნესის წარმოება“, პირიქით, დიდი იმედები დაამყარა.**



ის, რაც 20 ოქტომბერს სირტას შემოგარენში მოხდა, ძალიან ჰგავს ქაბულში მომხდარს. სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ მანქანა, რომლითაც კადაფი მგზავრობდა, ნატოს პილოტებმა დაბომბეს და ამით ლიბიის ლიდერის ფიზიკური განადგურების ბრძანება შეასრულეს. სხვა ყველაფერი, დეტალებისა და მოქმედი პირების ჩათვლით, ემთხვევა; ისევე, როგორც ნაჯიბულა, კადაფიც ტყვედ აიყვანეს და სასტიკი წამების შედეგად გამოასალმეს სიცოცხლეს.

ამასთან, კადაფის მკვლელები, როგორც ჩანს, არც კი აცნობიერებდნენ, რომ ჩადიოდნენ დანაშაულს, რომლისთვისაც, შესაძლოა, პასუხისგება მოუხდებოდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საეჭვოა, მათ ტელეკამერების წინაშე პოზირებისა და პოლკოვნიკისთვის წართმეული ოქროს პისტოლეტის ტრიალის სურვილი გასჩენოდათ. **როგორც საინფორმაციო საშუალებები იტყობინება, სიკვდილის წინ კადაფი აწამეს. იგი ცოცხლად შეიპყრეს, მაგრამ ბოევიკებმა ჯერ სასტიკად სცემეს, შემდეგ კი მუცელსა და თავში რამდენიმე ტყვია დაახალეს. ლიბიის ლიდერი სიკვდილს ვინმე ახმესაშ-შაიბანმა აზიარა.**

**ის, რაც მოხდა, ოდნავაც არ შეესაბამება ლონდონიდან, პარიზიდან და ბრიუსელიდან გაჟღერებულ პათოსურ კომენტარებს, რომელთა თანახმადაც ლიბიაში დემოკრატიამ და ადამიანის უფლებებმა გაიმარჯვა. გასაკვირი არაა, რომ კადაფის მკვლელობის შოკისმომგვრელი კადრები უმალ გაქრა ტელევიზიების საიტებიდან.**

„ლიბიის სამოქალაქო საზოგადოებამ“, რომელსაც, ბარონესა ეშტონის აზრით, ევროპამ მხარდაჭერა აღმოუჩინა, სასტიკი, გაუსამართლებელი დასჯით წარმოაჩინა თავი. ამან კი ის ძალიან დაამსგავსა „ავღანეთის სამოქალაქო საზოგადოებას“, რომლის მხარდაჭერასაც დასავლეთი ასევე ახორციელებდა ათწლეულების მანძილზე და რომელმაც თალიბების მიერ აღებულ ქაბულში ნაჯიბულას მხეცური მკვლელობით გამოიჩინა თავი.

მოკლედ, ლიბიელი „ამბოხებულები“ იდეოლოგიურად არც ისე შორს დგანან ავღანელი თალიბებისგან. ლიბიაში დღის წესრიგში დგას იმავე ისლამური ემირატის აშენების ლოზუნგები, სადაც ადამიანებს შარიათის კანონებით გაასამართლებენ და პოლიტიკური განვითარების ეტალონად საუდის არაბეთი მიიჩნევა. ამასთან, მრავალმა ლიბიელმა „ამბოხებულმა“ „თალიბანი“ კონკრეტულად მისსავე რიგებში ყოფნისას შეისწავლა, უკიდურეს შემთხვევაში იმ ასობით ბოევიკმა მაინც, რომლებმაც 1990-იან და 2000-იან წლებში ავღანეთი გაიარეს.

როგორც ჩანს, მათგანვე ისწავლეს ტყვეებთან მოქცევის წესები. **მოამარ კადაფი ლიბიური რეჟიმის პირველი წარმომადგენელი არაა, ვინც „მეამბოხეებმა“ განსაკუთრებული სისასტიკით გამოასალმეს სიცოცხლეს. მიმდინარე წლის მარტში იგივე ბედი ეწია ბენღაზში, მისურატსა და ლიბიის სხვა ქალაქებში მათ ხელში ჩავარდნილ ათობით პოლიციელსა და სამხედროს.**

არანაკლებ შოკისმომგვრელი იყო ათასობით აფრიკელი გასტარბაიტერის ბედი ლიბიაში. „მეამბოხეებმა“ ისინი ერთბაშად მიათვალეს კადაფის დაქირავებულებს და დემოკრატიისთვის მებრძოლებად გადაკვალიფიცირებულმა ლიბიელმა მოჯაჰედებმა პირდაპირ ქუჩებში გაჟლიტეს. „ამბოხებულთა“ დანაშაულებს იმხელა რეზონანსი მოჰყვა, რომ თვით Amnesty International-ი, რომელიც უკიდურესად ფრთხილობს გენოციდსა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებებთან მიმართებაში, იძულებული გახდა, მომხდარზე განცხადება გაეკეთებინა.

**აშშ-ისთვის კადაფის სიკვდილი ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან ვაშინგტონს თავისთვის არასასურველ ლიდერებთან ცერემონიები არ სჩვევია. ევროპისთვის კი, რომელიც არა კოლონიალურ-აგრესიული, არამედ დასავლური ცივილიზაციის ჰუმანური მოდელის განხორციელებაზე აცხადებს პრეტენზიას, კადაფის წამებით მოკვლა სრული მორალური გაკოტრებაა. ამის შემდეგ უკვე ნათელია, რომ ვაშინგტონსა და ბრიუსელს შორის განსხვავება მხოლოდ რიტორიკაშია.**

win.ru

# სისხლიანი ყასბები



**კადაფის მკვლელობა ევროპის ეკონომიკური კრიზისის გადაწყვეტის საშუალებაა. კადაფი დასავლურ ეკონომიკაში უზარმაზარ თანხებს აბანდებდა, მაგრამ ეს ხომ საჩუქარი არ იყო, ეს იყო ინვესტიციები, რომლებიც ადრე თუ გვიან უკან უნდა დაბრუნებულიყო.
ახლა მოამარ კადაფი მოკლულია.**

რატომ მოკლეს? რატომ დაეცა ბრძოლაში, როგორც ყოველთვის თავადვე ამბობდა? ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, მან თავად გადაწყვიტა, ტყვედ არ ჩავარდნილიყო, არადა, ეს შეცდომა იყო, რადგან კადაფის ბევრი რამის თქმა შეეძლო თავის პარტნიორებზე, რომლებიც ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ გულში იკრავდნენ მას, ხელს ართმევდნენ და მისი ფულის ხელში ჩაგდების სურვილით კანკალებდნენ. მეორეც, **იგი სარკოზისა და იმ ადამიანების დაკვეთით მოკლეს, რომელთა საარჩევნო კამპანიებისთვისაც ფულს ხარჯავდა. მოკლეს დასავლური ფინანსურ-სამრეწველო ისტებლიშმენტის შეთანხმებული პოზიციის შედეგად — კადაფი უზარმაზარ ფულს აბანდებდა დასავლურ ეკონომიკაში.**

***ევროპაში კრიზისის პირობებში კადაფის მკვლელობა, ანუ იმ ფულის დაბრუნების აუცილებლობის მოსპობა, რომელიც დასავლეთმა კადაფისგან მიიღო, ევროპის ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი საშუალებაა.***

ამ ომს ევროპისთვის უდიდესი ეკონომიკური სარგებელი ახლდა. იტალიაში, უმსხვილეს კონცერნებში, ფრანგულ კორპორაციებში დაბანდებულ ათობით მილიარდს ახლა უკან ველარავინ მოითხოვს. ამიტომაც მოკლეს კადაფი სასწრაფოდ და ბანდიტურად.

ამ ადამიანის მთავარი შეცდომა დასავლეთთან მოლაპარაკების, მსოფლიო ისტებლიშმენტის წევრობის სურვილი იყო. მას გულუბრყვილოდ სწამდა, რომ დემოკრატია, ჰუმანიზმი და სხვა დეკლარირებული ღირებულებები რეალურად არსებობს და ისინი, ვისთანაც საქმე ჰქონდა, არ წარმოადგენდნენ გამწარებული არამზადების ბანდას, რომლისთვისაც ყველაზე მთავარი ფული და ძალაუფლებაა. სწორედ ამ გულუბრყვილო რწმენამ მიიყვანა კადაფი სირტას ქუჩებში ტრაგიკულ აღსასრულამდე.

**ის კაცურად მოკვდა. იძიებენ თუ არა შურს მამის მკვლელობისთვის მისი შვილები? აიშას შვილები დაუხოცეს, მისმა ახალშობილმა გოგონამ ჯერ კიდევ დედის მუცელში მიიღო კანტუზია იმის გამო, რომ ქალი ფრანგული ბომბების დარტყმის ქვეშ მოხვდა. აიშას ნამდვილად აქვს შურისძიების უფლება.**

ახლა კარლა ბრუნსაც გოგონა შეეძინა, აიშას კი სარკოზის ოჯახთან პირადი ანგარიშები აქვს. თუ იგი ერთ მშვენიერ დღესაც მივა კარლა ბრუნთან, რათა უბრალოდ თვალებში ჩახედოს, თავისი დასისხლიანებული, ბომბებისგან დასახიჩრებული შვილების ფოტოები აჩვენოს, მაშინ გამოჩნდება, ვინაა სინამდვილეში კარლა ბრუნი — უაზრო ტოპ-მოდელი, რომელიც გლამურული ჟურნალების გარეკანზე გამოსაჩენად შიშვლდება, თუ ადამიანი, რომელსაც სულის რაღაც ჩანასახი მაინც გააჩნია. იმ დროისთვის უკვე ორსულ კარლა ბრუნს ერთი ცრემლიც არ ჩამოვარდნია მისი ქმრის მიერ აიშა კადაფის შვილების მკვლელობის გამო.

**კადაფი ახალი ჩე გევარა ვერასდროს გახდება, თუნდაც იმიტომ, რომ ერნესტო ჩე გევარა დასავლურ ისტებლიშმენტში სატანას ხედავდა და მიიჩნევდა, რომ სატანასთან კომპრომისები და მოლაპარაკებები შეუძლებელია. იგი სატანას ხედავდა საბჭოთა კავშირშიც.** თავის ცნობილ ალჟირულ გამოსვლაში მან განაცხადა, რომ საბჭოთა იმპერიალიზმი დასავლურზე უარესია, რადგან ის სოციალიზმის ნიღაბს ეფარება, სინამდვილეში კი განვითარებად ქვეყნებს აიძულებს, აიღონ შეკვეთები, ფული, იყიდონ საბჭოთა შეიარაღება. ჩე გევარა მოკვდა, როგორც ნამდვილი რევოლუციონერი, ადამიანი, რომელიც ცხოვრების მიზნად ხედავდა მხოლოდ თავისუფლებას, რევოლუციას, სოციალურ სამართლიანობას.

**სიცოცხლის ბოლოს კადაფი, ალბათ, მიხვდა თავის შეცდომებს. რაღაც მომენტში მას სურდა, სასახლის კარზე ჯამბაზად, ეგზოტიკურ ბელადად ქცეულიყო. იგი ეპოლეტებიანი ლამაზი მუნდირით დადიოდა. კარლა ბრუნიც, სარკოზიც, ბერლუსკონიც, ტონი ბლერიც და ყველა მასთან იყო. ყველამ იცოდა, რომ ის უცნაურია, მაგრამ, ვინაიდან ყველას ალმასებს, ბრილიანტების კოლიეს, ბენტლის, როლს-როისებს წარწერით „თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა“ ჩუქნიდა, მის უცნაურობას ყველა ლებულობდა.**

მაგრამ მერე გაირკვა, რომ კრიზისის დროს მათთვის კადაფის მოკვლა უფრო მომგებიანი იყო, რაც გააკეთეს კიდეც. საფასური უდიდესია და სწორედ ეს იყო ლიბიის ომის ნამდვილი მოტივი. და ეს ომი მძარცველებმა მოიგეს.

უკანასკნელ დღეებში კადაფი, ალბათ, მიხვდა, რაც გააკეთა და საკუთარ ცხოვრებას გადახედა, გაიაზრა საკუთარი შეცდომები და იმედია, აპატია თავის ლიბიელ ხალხს, რომელიც ასე უყვარდა და რომელსაც მიუძღვნა სიცოცხლე.

**საშინელ სასამართლოზე კი, ალბათ, მოკითხავს სარკოზისაც, ბაროზუსაც, ბერლუსკონისაც და ყველას, ვინც ლიბიაში 25 ათასი ლიბიელი მოკლა იმ შავკანიანი გასტარბაიტერების გარდა, რომელთაც საერთოდ არავინ ითვლიდა, და ვინც 50 ათასი ლიბიელი დაასახიჩრა. მოკითხავს ყველას, ვინც ლიბიის ათობით ქალაქი დაარბია და არა მხოლოდ აიშა კადაფი, არამედ ათი ათასობით სხვა ლიბიელი ქალიც დააქვრივა.**

Russia.ru

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პეკინი დაჟინებით ირწმუნება, რომ ის პირველი არ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს, მაგრამ 2005 წელს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გენერალ-მაიორმა ჩჟ ჩენდუმ განაცხადა, რომ ჩინეთი ბირთვული დარტყმებით შეუტევს ამერიკის ას ან ორას ქალაქს, თუ ომის შემთხვევაში აშშ ტაივანის მხარეს დადგება.**



# რამდენი ბირთვული იარაღი აქვს ჩინეთს?



**ცივი ომის დასრულებიდან ცოტა ხანში ამერიკის თავდაცვის უწყების ოფიციალური წარმომადგენელი ფილიპ კარბერი რუსეთში გაემგზავრა როგორც უფლებამოსილი პირი, რათა ყოფილი თავდაცვის მინისტრის — ფრენკ კარლუჩის ვიზიტი მოემზადებინა. „ჩვენ შევხვდით რუს გენერლებს და მათ შორის ერთ გენერალ-ლეიტენანტს, რომელმაც გვითხრა, რომ მათ აქვთ 40 ათასი საბრძოლო ქობინი, ნაცვლად ჩვენთვის მანამდე ცნობილი 20 ათასისა,“ — იხსენებს ბატონი კარბერი. ეს გამაოგნებელი აღმოჩენა იყო. მაშინ, როდესაც ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ანალიტიკოსების, პენტაგონის სამხედროებისა და შეიარაღების სპეციალისტების მთელი ლეგიონები ლამის მთლიანად უძლვნიდნენ თავს საბჭოთა არსენალის ზომების განსაზღვრას, აშშ-მა რეალურ ციფრთან დაკავშირებით ორჯერ ნაკლები რაოდენობა დაითვალა.**

## «ჩინეთი ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად გამჭვირვალე სახელმწიფოა დღეს ყველა იმ მიმართულებით, რაც ბირთვულ იარაღთან დაკავშირებულ სიტუაციას ეხება»

ბატონი კარბერი, რომელიც ამერიკის სხვადასხვა ადმინისტრაციისა და კონგრესის წამყვანი ლიდერებისთვის მუშაობდა, ახლა კი სათავეში უდგას აზიის შეიარაღების კონტროლის პროექტს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში, ამ ისტორიას თავისი უკანასკნელი ნამუშევრის შესავლის სახით იხსენებს. **2008 წელს პენტაგონის საომარი საფრთხის შემცირების სააგენტომ, რომელსაც ყველაფერთან აქვს საქმე შეიარაღების შეთანხმებათა დაცვის კონტროლიდან ბირთვულ აფეთქებებსა და კრიმინალისტიკამდე, მას დაავალა, გაერკვია, რა ხდება ჩინეთის საიდუმლო პროექტში, სახელწოდებით „მიწისქვეშა დიდი ჩინური ქვეყანა“. გამოკვლევამ კარბერი აიძულა, ეჭვქვეშ დაეყენებინა ჩინეთის ზესაიდუმლო ბირთვული არსენალის მოცულობისა და მიზნების შესახებ მანამდე არსებული ყველა მოსაზრება.**

ამ საკითხისადმი სააგენტოს ინტერესმა პიკს მაშინ მიაღწია, როდესაც მიმდინარე წლის 12 მაისს სიჩუანის პროვინციაში დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა. ჩვეულებრივი სამაშველო რაზმების გვერდით პეკინმა სტიქიის რაიონში ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ქვედანაყოფის მეორე საარტილერიო კორპუსის რადიაციული უსაფრთხოების ათასობით სპეციალისტი განალაგა. არმია პასუხისმგებელია ქვეყნის სტრატეგიულ ბირთვულ ძალებზე და ჩინეთის ბირთვული შეიარაღების დიდ ნაწილზეც. მეორე საარტილერიო კორპუსის მონაწილეობა რაღაც აბსოლუტურად საოცარი მოვლენა არ იყო, რადგან სიჩუანში მდებარეობს საკვანძო ბირთვული ობიექტები, მათ შორის ლოს-ალამოსის ლაბორატორიის ჩინური ვერსიაც. **გაცილებით უფრო საინტერესო იყო ინფორმაცია ჩამონგრეული ფერდობების თაობაზე, რის შედეგადაც გამოჩნდა ბეტონის უზარმაზარი კონსტრუქციების ნანგრევები. გავრცელდა ხმა, რომ ჩინეთის ბირთვული არსენალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მიწისქვეშა გვირაბებსა და საცავებში ინახებოდა, შესაძლოა, ამ მიწისძვრის შედეგად განიავდა.**

კარბელი ამ ყველაფრის შესახებ მეტი ინფორმაციის მოპოვებას ცდილობდა სტუდენტების, თანამგზავრული ფოტოების, ჩინური წყაროებისა და სხვა მასალების დახმარებით. მთელი ეს მასალები საყოველთაოდ ხელმისაწვდომია, მაგრამ მათ ნაკლებად თუ აქცევს ვინმე ყურადღებას დასავლეთში.

**გვირაბების მშენებლობა დაახლოებით ორი ათასწლეულის მანძილზე ჩინეთის სამხედრო კულტურის ნაწილი იყო. ეს მაო ძე დუნის განსაკუთრებულად ახირებული იდეა იყო. მან პეკინში უზარმაზარი მიწისქვეშა ქალაქი გამოთხარა და 1960 წელს გასცა ბრძანება, რუსეთის მხრიდან ბირთვული შეტევის (რისაც ჩინეთს ეშინოდა) საწინააღმდეგოდ ცენტრალურ ჩინეთში ეგრეთ წოდებული თავდაცვის მესამე ხაზის მშენებლობა დაეწყოთ. კოლოსალური პროექტი მოიცავდა მიწისქვეშა ბირთვულ რეაქტორს, საბრძოლო ქობინების შესანახ ობიექტებს და ბუნკერებს ჩინური ბირთვული პირველი თაობის რაკეტებისთვის.**

მაოს გარდაცვალებასთან ერთად გვირაბების თხრის ჩინური მანია არ დასრულებულა, პირიქით, გაძლიერდა. 2009 წლის დეკემბერში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 60 წლის იუბილის აღნიშვნისას ჩინეთის სახლხო-განმათავისუფლებელმა არმიამ დიდი ზარ-ზეიმით გამოაცხადა, რომ მეორე საარტილერიო კორპუსმა საერთო ჯამში გვირაბების ქსელისთვის სამი ათასი მილი გათხარა, მათგან ნახევარი — უკანასკნელ 15 წელიწადში.

**„მაგალითად, თუ დავიწყებთ ნიუ-გემპშირში,** — აღნიშნავს კარბერი შედარებისთვის, — **და ჩიკაგოს, შემდეგ დალასის, შემდეგ მექსიკაში ტიხუანის მიმართულებით ვიმოძრავებთ, ეს დაახლოებით სამი ათასი მილი იქნება“.**

რაში სჭირდება მეორე საარტილერიო კორპუსს ამდენი გვირაბის თხრა? ბოლოს და ბოლოს ბირთვული არსენალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სხვა საშუალებებიც არსებობს. და თუნდაც ასეთი მრავალრიცხოვანი და იაფფასიანი მუშახელის პირობებში ამ კარგად და მტკიცედ ნაგები, გაჩახჩახებული, მოასფალტებული, მაღალჭერიანი გვირაბების ღირებულება წარმოუდგენლად დიდია.

გვირაბებით უზრუნველყოფის უზარმაზარი მასშტაბები ასევე ძნელად შეესაბამებოდა ჩინეთის, სავარაუდოდ, მცირე რაოდენობის ბირთვულ არსენალს, რაც, როგორც ითვლება, 240-დან 400-მდე საბრძოლო ქობინს მოიცავს. **„გამოდის, რომ თითო ქობინისთვის მათ 10 მილი გვირაბი გათხარეს? ეს უაზრობაა და გონიერების საზღვრებს სცილდება,“** — ამბობს კარბერი.

სწორედ ამ მოსაზრებამ აიძულა კარბერი, მეტი დაკვირვებით შეესწავლა ჩინური არსენალის დასავლური შეფასება. 1960-იანი წლების დასასრულს ამერიკელი სამხედროები პროგნოზირებდნენ, რომ 1973 წლისათვის ჩინელებს 435 საბრძოლო ქობინი ექნებოდათ. სწორხაზოვანი გადაანგარიშებით, ამ დროისთვის ჩინეთს დაახლოებით სამი ათასამდე საბრძოლო ქობინი უნდა ჰქონდეს. აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს 1984 წლის შეფასებით, ჩინეთს 1994 წლამდე 818 საბრძოლო ქობინი ექნებოდა, დღემდე კი — ათასზე მეტი. **ჩინურ მასმედიაში გავრცელებული უფრო ახალი ინფორმაციების თანახმად, ახლა ჩინეთს 2350-დან 3500-მდე საბრძოლო ქობინი აქვს, უკანასკნელ ათწლეულში კი ახალი საბრძოლო ქობინების ყოველდღიური წარმოება ორასს აჭარბებს. ამ ცნობებისგან განსხვავებით, აშშ-ის ბუნებრივი რესურსების დაცვის ნაციონალური საბჭოს შეფასებით, ჩინეთის არსენალმა პიკს სადღაც 1980 წელს მიაღწია და მას შემდეგ მეტ-ნაკლებად უცვლელად რჩება.**

რამდენად ზუსტია ამ ციფრებიდან თითოეული? ადგილზე გადამოწმების გარეშე დიდი დაჟინებით ამის მტკიცება შეუძლებელია. როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს ათი წლის წინანდელ ანგარიშში აღინიშნებოდა, **„ჩინეთი ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად გამჭვირვალე სახელმწიფოა დღეს ყველა იმ მიმართულებით, რაც ბირთვულ იარაღთან დაკავშირებულ სიტუაციას ეხება“.**

გაუმჭვირვალობის მიუხედავად, ჩინეთის საკითხთან დაკავშირებული ექსპერტები გაცილებით დაბალ შეფასებაზე თანხმდებიან. ამერიკელი მეცნიერების ფედერაციის წევრი ჰანს კრისტენსენი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ჩინეთი აშშ-თან ან რუსეთთან ბირთვული პარიტეტის მიღწევას არ ცდილობს და გვირაბებში ასეულობით ბირთვულ იარაღს არ მალავს. მისივე თქმით, გვირაბები ტიპური ჩინური თამაშია, რათა დამალონ ის, რაც აქვთ, და დაიცვან თავიანთი შედარებით შეზღუდული სარაკეტო ძალები.

კარბერი კი ასე დარწმუნებული არაა. **„გვირაბის ერთი კილომეტრი დანახარჯების მხრივ ოთხ ან ხუთ ერთეულ ბირთვულ იარაღს უტოლდება. რაში სჭირდება ჩინეთს ამ უზარმაზარი რესურსების ხარჯვა გვირაბების დამცავი ქსელის მშენებლობაზე და ამ დროს თავად იარაღზე, რომელიც ამ გვირაბებმა უნდა დაიცვას, ბევრად ნაკლები სახსრების ხარჯვა?“** — კითხულობს იგი.

გარდა ამ ყველაფრისა, დგას საკითხი იმის შესახებაც, შეიძლება თუ არა ბირთვულ სფეროში პეკინის მიერ დეკლარირებული პოლიტიკის ნდობა. პეკინი დაჟინებით ირწმუნება, რომ ის პირველი არ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს, მაგრამ 2005 წელს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გენერალ-მაიორმა ჩჟ ჩენდუმ განაცხადა, რომ ჩინეთი ბირთვული დარტყმებით შეუტევს ამერიკის ას ან ორას ქალაქს, თუ ომის შემთხვევაში აშშ ტაივანის მხარეს დადგება.

პეკინი ასევე აცხადებს, რომ მცირე ბირთვული ძალების პოლიტიკის ერთგული რჩება, რასაც ერთმა გენერალმა საპასუხო ზომების მისაღები მინიმალური საშუალებები უწოდა, მაგრამ კარბერს ამასთან დაკავშირებითაც ეჭვები აქვს.

ჩინეთში ბირთვული პოტენციალის მოდერნიზაცია მიმდინარეობს და ამ პროცესის ფარგლებში ხდება კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების ახალი თაობით აღჭურვაც. როგორც იტყობინებიან, ამ რაკეტების საშუალებით შესაძლებელია ▶



ობამა ზელიბერალური ამერიკის პროდუქტია. 20 წლის მანძილზე მისი მენტორი იყო „პასტორი“ რაიტი, რომელიც წყევლიდა ამერიკას და 11 სექტემბრის ტერაქტებით აღფრთოვანებას ვერ მალავდა. ობამას მეგობარი ტერორისტი აიერსი ახლაც ამაყობს, რომ პენტაგონისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს შტაბ-ბინების აფეთქებას ცდილობდა.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ განცალკევებადი თავის ქობინების დანიშნულების ადგილამდე მიტანა. შეფასებების თანახმად, ჩინეთი დაახლოებით 1300 ერთეულ ტაქტიკურ სარაკეტო სისტემას განათავსებს საბრძოლო მოქმედებათა თეატრისთვის და ეს რაკეტები შეიძლება აღიჭურვოს როგორც ბირთვული, ასევე ჩვეულებრივი ქობინებით. ამგვარი ორმაგი შესაძლებლობა უკვე აძლევს ჩინეთს უზარმაზარ სტრატეგიულ ბერკეტს ომის შემთხვევაში.

**კარბერი ეჭვობს, რომ ჩინეთს შეიძლება ჰქონდეს ხუთამდე რაკეტა თითოეული მობილური გამშვები დანადგარისთვის. თუ ეს ასეა, შეიძლება ვისაუბროთ „განმეორებითი დამუხტვის“ შესაძლებლობაზე, რაც მნიშვნელოვანწილად ახსნიდა შეუსაბამობას ჩინეთის გამშვებ დანადგარებსა და ჩინეთის სავარაუდო ბირთვულ არსენალთან დაკავშირებით.**

რა მიზანს ემსახურება დიდი და მტკიცე ჩინური არსენალი? ბირთვული სფეროს ექსპერტები ათწლეულობით ვარაუდობდნენ, რომ ბირთვული დარტყმებისას გამარჯვების გასაღები საპასუხო დარტყმების მიყენების ეფექტური საშუალებაა, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ძალების ქონას მოითხოვს. მეორე საარტილერიო კორპუსმა თავად შექმნა რამდენიმე ვარაუდის საფუძველი, როდესაც გამოაცხადა, რომ 2009 წელს დაასრულა მიწისქვეშა ჩინეთის კედლის აღჭურვა და აღნიშნა, რომ ის ჩინეთს საშუალებას აძლევს, გაუძლოს ბირთვულ დარტყმებს, რომ დამოუკიდებელი ტაივანი სასოწარკვეთაში უნდა ჩავარდეს და რომ ჩინეთს აღარ აქვს მიზეზი, აშშ-თან გადამწყვეტი ბრძოლისა ეშინოდეს.

**ძველებურად გაურკვეველია, რატომ ღებულობს ჩინეთის განცხადებებს სიხარულით შეიარაღების კონტროლის ამერიკული საზოგადოება. ამასთან დაკავშირებით კარბელს საკუთარი მოსაზრება აქვს — ამერიკის ხელისუფლება წლობით აკრიტიკებს პენტაგონსა და სადაზვერვო სამსახურებს ყველაზე ცუდი სცენარების პროგნოზირებისთვის, ამიტომაც ყველა ცდილობს, როგორმე გაექცეს ამგვარ პროგნოზებს.**

მიღებულია ითვლებოდეს, რომ ჩინეთი არის იმის მაგალითი, თუ რა არსენალს უნდა ფლობდეს ბრთვული ზესახელმწიფო, მაგრამ ჩინეთი, რომლის არსენალიც სინამდვილეში გაცილებით მეტია, უმაღლესი დონის უხერხულ სიმართლედ იქცევა მათთვის, ვინც ბირთვული შეიარაღების სერიოზული შემცირების მომხრეა. ეს განსაკუთრებით ეხება ობამას ადმინისტრაციას, რომელიც განაგრძობს რუსეთთან ერთად ბირთვული იარაღის სერიოზული შემცირების ამბიციური იდეის განვითარებას ისე, თითქოს ჩინეთი თავისი არსენალით საერთოდაც არ არსებობს.

ალტერნატივად იქცევა ორნახევარი ათასწლეულის მანძილზე ჩაკეტილობის, ტყუილისა და მოულოდნელობების მიმართ მიდრეკილი ჩინეთის მხრიდან საკუთარი უპირატესობის გამოცხადება იმ სფეროში, რომელშიც ჩვენ სულელურად დავთმეთ პირველობა.

**The Wall Street Journal**

# ვინ არის ჭკვიანი?

**ძნელი გასარკვევია, რა ითვლება ჭკუად პოლიტიკოსისთვის? ძალაუფლების ხელში ჩაგდების ხელოვნება? მისი შენარჩუნება თუ ბრძნული სახელმწიფო პოლიტიკა? ჩერჩილს XX საუკუნის უდიდეს პოლიტიკოსად მიიჩნევენ, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში ტრიუმფის შემდეგ მან არჩევნები წააგო. ჭკვიანი იყო ჩერჩილი?**



თავისი ისტორიის 230-ზე მეტი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებს სულ 43 პრეზიდენტი ჰყავდა. საჭიროა ჭკუა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი გახდე? საჭიროა და მერე როგორ! მაგრამ, თუ დაიბადე ღარიბ და არა არისტოკრატულ ოჯახში (როგორც მამა-შვილი ბუშები), გყავდა არამზადა მამა, რომელიც შვილებს სხვადასხვა ქალებთან აჩენდა სხვადასხვა ქვეყანაში და შემდეგ არც კი ნახულობდა მათ? ან გყავდა უცნაური დედა, რომელსაც ამერიკაში ცხოვრებას მუსლიმანური ინდონეზია და პაკისტანი ერჩივნა? ამ შემთხვევაში გაპრეზიდენტებისთვის გენიოსობაა საჭირო.

**საუბარია ობამაზე, რომელიც პრესტიჟულ კოლუმბიისა და ჰარვარდის უნივერსიტეტებში მოხვდა. იქ ყველას არ იღებენ, თუმცა მისი ნიშნები გასაიდუმლოებულია. ხუთიანები რომ ჰქონოდა, ალბათ, არ დამალავდნენ.**

**ძალზე განათლებულად ობამა არ გამოიყურება: მას ეგონა, რომ ამერიკაში 57 შტატია, ავსტრალიაში კი ავსტრალიურ ენაზე მეტყველებენ, მაგრამ ვინ თქვა, რომ ჭკუა და განათლება ერთი და იგივე მცნებაა? სამაგიეროდ, მან გენიალურად ააგო თავისი კარიერა.**

ჰარვარდის შემდეგ ობამას შეეძლო პრესტიჟულ იურიდიულ კანტორაში წასულიყო და ყოველდღიურად 14-საათიანი მუშაობით წელიწადში 200 ათასი დოლარი ეშოვა. ამგვარ კანტორაში გატარებული 5-10 წლის შემდეგ მილიონების გამომუშავებასაც დაიწყებდა. ამის ნაცვლად ობამა წავიდა რაღაც გაურკვეველ ორგანიზაციებში, რომლებიც პოლიტიკური კარიერის გაკეთების საშუალებას იძლეოდა და ეს საშუალება ბოლომდე გამოიყენა.

**მაშ ასე: ბრწყინვალე გონება — იცოდა, ვისთან იმეგობროს, რა თქვას, რათა შეიყვარონ და ამ დროს არ აღმოაჩინონ, თუ რას ფიქრობს სინამდვილეში. რას ფიქრობს სინამდვილეში ობამა, ამ დრომდეც გაურკვეველია. არაჩვეულებრივია მისი კომპანიის დევიზები: „ცვლილებები, რომლებისაც შეგვიძლია გვჯეროდეს“ და „დიახ, ჩვენ შეგვიძლია“.**

წარმატებული რეკლამის კანონების მიხედვით, მეორე რაღაც სექსუალურ ასოციაციებს მაინც იწვევს, მაგრამ რას ნიშნავს პირველი? — იმ ფანდს ჰგავს, რომელსაც „ომი და მშვიდობა“-ში ანატოლი კურაგინი იყენებდა — თქვა რაიმე გაუგებარი იმ იმედით, რომ მსმენელი თავად მიანიჭებს მას გარკვეულ აზრს.

ასეთივე იდუმალია ობამას, როგორც პრეზიდენტის, საგარეო პოლიტიკა. რატომ დაუჭირა მხარი ჰონდურასის გაძევებულ პრეზიდენტს, უგო ჩავესის მეგობარ სელაიუს, რომელიც ცდილობდა, ჰონდურასში ჩავესის კარიერა გაემეორებინა? საიდან ასეთი სიძულვილი ისრაელის, ამერიკის ერთგული მოკავშირისადმი?

ობამას პოზიციისთვის რაციონალური ახნის მოძებნაზე უარის თქმის სურვილს ბადებს მისი ავღანური პოლიტიკა. პრეზიდენტობის კანდიდატი ობამა აკრიტიკებდა ერაყში „არასწორი“ ომის წარმოების ბუშისეულ პოლიტიკას და მას ავღანეთის „სწორი“ ომი დაუპირისპირა. ბუშის პოლიტიკის ლოგიკა გასაგებია. ის იმედოვნებდა, რომ არაბული სამყაროს ცენტრში, ერაყში, დასავლური დემოკრატიის მოდელს დაამკვიდრებდა და იზიარებდა აზრს, რომ „დემოკრატიები ერთმანეთს თავს არ ესხმიან“. ამგვარი პოლიტიკის შანსების შეფასება შემფასებლის ოპტიმიზმზეა დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში, აქ ლოგიკა არის. რამ შეიძლება განაპირობოს ავღანეთის ველურ მებრძოლ თემებთან გამარჯვება, ბუში, როგორც ჩანს, ვერ ხვდებოდა.

**გახდა რა პრეზიდენტი, ობამამ პირობა დადო, მაგრამ ჯარები არ გაიყვანა ერაყიდან, სადაც მდგომარეობა თითქოს დალაგდა. სამაგიეროდ, დაიწყო „სწორი“ ომი ავღანეთში.**

თავდაპირველად მან ჯარების სარდალი შეცვალა, შესაძლოა, ცუდი გენერალი — კარგით. ეს „კარგი“ გენერალი მაკკრისტალი დამატებით 40 ათას სამხედროს ითხოვდა. ობამამ სამი თვე იფიქრა და გამოუყო 30 ათასი, ოღონდ განაცხადა, რომ 2010 წლის ივლისიდან ქვეყნიდან ჯარების გაყვანას იწყებდა. მალე ობამა ამერიკელების მიერ მხარდაჭერილი ავღანეთის პრეზიდენტის — ჰამიდ ყარზაის პიარ-კამპანიით დაკავდა და თითქოსდა ეხმარებოდა მას ხელისუფლების სტაბილიზებასა და „თალიბანზე“ გამარჯვებაში.

რეალურ სამყაროში მცხოვრებმა ყარზაიმ სიტუაცია შემდეგნაირად გაიგო: მისი მოკავშირე აშშ მას კორუფციონერს უწოდებს და ემუქრება, რომ მალე „თალიბანსა“ და „ალ ქაიდას“ ჩააბარებს. ამიტომ ყარზაიმ განაცხადა, რომ ავღანეთის ოკუპანტმა ამერიკელებმა „თალიბანს“ მშვიდობა და ხელისუფლებაში მონაწილეობა შესთავაზა და ირანის პრეზიდენტი ახმადინეჯადი მეგობრული ვიზიტით მიიღო. როგორც ჩანს, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ამერიკის ავღანური პოლიტიკა ობამამ მთლიანად ნაგვის ურნაში ჩაუშვა.

თვით ფარიდ ზახარია, „ობამას საბრძოლო ფურცლის“ რედაქტორი ჟურნალ Newsweek International-ში და პრეზიდენტის მუდმივ მაქებარ „ვაშინგტონ პოსტისთვის“ დაწერილ სტატიაში ამბობს:

**„პრეზიდენტი ობამა მუდამ ამბობს, რომ ავღანეთში ომის მოგებას აპირებს. „მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ გავიმარჯვებთ,“ — აცხადებდა ის თავის ყოველწლიურ მიმართვაში კონგრესისადმი. მაგრამ მისი ადმინისტრაცია წარმატების საკუთარ შანსებს ანადგურებს ქვეყანაში ამერიკის ერთადერთი საიმედო პარტნიორის — ჰამიდ ყარზაის მუდმივი კრიტიკით“.**

საქმის გადარჩენა სახელმწიფო დეპარტამენტის მეთაურმა ჰილარი კლინტონმა და თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა მოინდომეს. ეს წყვილი ერთი ტელეპროგრამიდან მეორეში მიდიოდა და მაყურებელს უხსნიდა, რომ ავღანეთთან დაკავშირებით ყველაფერი რიგზეა და ყარზაი გენერალ მაკკრისტალთან თანამშრომლობას განაგრძობდა.

ობამას მთავარი მინისტრები ავღანეთზე საუბრისას სიტყვას ერთმანეთს უთმობდნენ, თავად პრეზიდენტმა კი ყარზაის პირადი გზავნილი მისწერა და თეთრ სახლში მიიწვია.

**იქნებ გავიგოთ, რით აიხსნება პრეზიდენტ ობამას ესოდენ სიურეალისტური პოლიტიკა? ვარაუდი, რომ ის ცოტას წაისულელებს, ცალსახად უნდა უარვყოთ. ესოდენ ოსტატურად აუგნიო თავგზა ამხელა ნაციას და პრეზიდენტად აარჩევინო ორგანიზატორი, რომელსაც სულს იქეთ მხოლოდ YES, WE CAN აბადია, წარმოუდგენელია. იმისათვის, რომ ობამას პოლიტიკა ავხსნათ, ალბათ, დოქტორი ფროიდი უნდა მოვიშველიოთ.**

ობამა ზელიბერალური ამერიკის პროდუქტია. 20 წლის მანძილზე მისი მენტორი იყო „პასტორი“ რაიტი, რომელიც წყევლიდა ამერიკას და 11 სექტემბრის ტერაქტებით აღფრთოვანებას ვერ მალავდა. ობამას მეგობარი ტერორისტი აიერსი ახლაც ამაყობს, რომ პენტაგონისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს შტაბ-ბინების აფეთქებას ცდილობდა. თავისი ბავშვობის უმნიშვნელოვანესი წლები ობამამ ინდონეზიაში გაატარა, როგორც მუსლიმანმა. ამიტომ გულის სიღრმეში იგი ამერიკის მტრებს სოლიდარობას უცხადებს. როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს, მისმა მეუღლემ, მიშელმა, განაცხადა: „სიცოცხლეში პირველად ვამაყობ ამერიკით“. ხოლო როდესაც ბერლინის კედლის დანგრევის, ამერიკის საგარეოპოლიტიკური იდეის უდიდესი ტრიუმფის წლისთავს ზეიმობდნენ, ობამა, სხვა მთავარი ქვეყნების პირველი პირებისგან განსხვავებით, დღესასწაულზე არ მივიდა. მისთვის ეს მოვლენა ტრიუმფი არ იყო.

როგორც ამერიკის პრეზიდენტი, ცხადია, ობამა ცდილობდა, ეკეთებინა ის, რაც მას მოეთხოვებოდა, მაგრამ სულის სიღრმეში იგი ამერიკის ოპონენტების მხარესაა. ამიტომ იყო, რომ სამი თვის განმავლობაში ვერაფრით აიძულა თავი, დამატებითი ჯარები გაეგზავნა ავღანეთში, და როდესაც ბოლოსდაბოლოს გაგზავნა, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მისია ჩავარდნილიყო.

„ვაშინგტონ პოსტის“ მიმომხილველები თავიანთ სტატიებში აღნიშნავდნენ, რომ ობამამ მოახერხა ურთიერთობების გაფუჭება აშშ-ის მთავარ მოკავშირეებთან — ინგლისთან, საფრანგეთთან და ისრაელთან. ამასთან, ამერიკის მტრები მის მეგობრებად არ ქცეულა, იქნებ იმიტომ, რომ ობამა მთელი ამერიკა არაა.

**მისივე კეთილდღეობისთვის, ობამას 2012 წლის არჩევნებში დამარცხება უნდა ვუსურვოთ. საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში ოთხი წლის გატარება მძიმე ტვირთია, მაგრამ რვა წლის მანძილზე პიროვნების გაორებამ, შესაძლოა, სერიოზული ზიანი მიაყენოს მის სულიერ ჯანმრთელობას.**

**Newswe.com**

**გახდა რა პრეზიდენტი, ობამამ პირობა დადო, მაგრამ ჯარები არ გაიყვანა ერაყიდან, სადაც მდგომარეობა თითქოს დალაგდა. სამაგიეროდ, დაიწყო «სწორი» ომი ავღანეთში**



ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გაძლიერებულ რუსეთთან დაახლოება შეიძლება ერთადერთი იმედის მომცემი საშუალება იყო ქრისტიანულ სამყაროს მოწყვეტილი და მაჰმადიანურ გარემოცვაში მომწყვდეული, დანაწევრებული საქართველოს გადასარჩენად.



ტიმირიაზევის სახელობის ბიოლოგიური მუზეუმი მალაია გრუზინსკაიაზე

# საქართველო-რუსეთის ურთიერთობის სათავეებთან

**რუსეთი საქართველოს იმაზე ადრე გაეცნო, ვიდრე ამაზე წერილობითი წყაროები გვაუწყებენ და იგი IX საუკუნეში კიევის რუსეთის ადრეფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და ბიზანტიის იმპერიის ინტერესთა სფეროში მის ჩართვას უკავშირდება. ბიზანტიას ხელს არ აძლევდა აღმოსავლეთისკენ საწყალოსნო გზების მაძიებელი ახალი სახელმწიფოს გაძლიერება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, რაც კიევის რუსეთთან მისი არაერთი კონფლიქტით აღინიშნა IX საუკუნის მეორე და X საუკუნის პირველ ნახევარში.**



წმ. გიორგის ტაძარი გრუზინსკაიას მოედანზე

მართალია, ქართველებთან რუსების მსგავსი კონტაქტების დამადასტურებელი წერილობითი ცნობები არ შემონახულა, მაგრამ რუსეთში აღმოჩენილი დავით კურაპალატის მონეტები ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა. გარდა ამისა, ვოლგა-კასპიის მთავარი სავაჭრო არტერიით კასპიის ზღვით გადმონაპირებულ რუს ვაჭრებს მდინარე მტკვრით შეეძლოთ ამიერკავკასიის მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრამდე, თბილისამდე ასვლა. რუსი ვაჭრების კომერციულ საქმიანობაზე საქართველოში მეტყველებს ვლადიმირის, მინსკისა და ფსკოვის მხარეებში თბილისელი ჯაფარიდების მონეტების აღმოჩენა.

წერილობითი წყაროებით (სომხური და ბერძნული) პირველი კონტაქტები რუსებსა და ქართველებს შორის X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისშია დამოწმებული. ეს ცალკეული შეხვედრები, განსაკუთრებით კიევის რუსეთის გაქრისტიანების (988—989) შემდეგ, ბიზანტიის ინტერესებით იყო გამოწვეული და არსებითად სამხედრო-პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა.

**უძველესი ქართული ცნობა ქართველებისა და რუსების ურთიერთობის ისტორიისათვის შეეხება XI საუკუნეში რუს-ვარანგთა მონაწილეობას სასირეთის ბრძოლაში ბაგრატ IV-სა და ლიპარიტ ერისთავს შორის.**

სამხედრო-პოლიტიკური კონტაქტების გარდა, ქართველთა და რუსთა შორის კულტურულ კავშირებზე მსჯელობა იმდროინდელი დიდი საგანმანათლებლო კერების არსებობის საფუძველზე შეიძლება. ათონსა და იერუსალიმში როგორც ქართველების, ისე რუსების სამონასტრო ცენტრები ფუნქციონირებდა, რაც ამ ორი ერთმორწმუნე ხალხის მოწინავე სასულიერო მოღვაწეთა შეხვედრებს, ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას კეთილ ნიადაგს უქმნიდა.

სამონასტრო საქმიანობასთან დაკავშირებით, ქართველები მოიხსენიებიან XV საუკუნის რუსულ ნუსხებში დაცულ XI საუკუნის დროიდან გადმოსულ ცნობაში. მასში ნათქვამია, რომ XI საუკუნეში კიევის მღვიმეთა მონასტრის (ანუ კიევ-პეჩერის მონასტრის) მთავარი ტაძრის დამშვენებაში (მოხატვა-მოკენჭვა) კონსტანტინეპოლიდან მოწვეულ ბერძნებთან ერთად ობეზი (ანუ ქართველი) ოსტატებიც მონაწილეობდნენ.

რუსეთთან საქართველოს შემდგომი დაახლოება XII საუკუნის მეორე ნახევარში დინასტიური კავშირების დამყარებით აღინიშნება. ცნობა პირველი ასეთი კავშირის შესახებ მხოლოდ რუსულ მატიანეშია დაცული და შეეხება კიევის მთავრის იზიასლავ მსტისლავის ძის ქორწინებას ქართველთა მეფის ასულზე (1154 წლამდე). მკვლევართა აზრით, ეს იყო დემეტრე I-ის ქალიშვილი რუსუდანი — თამარ მეფის მამიდა, რომელიც შემდგომში თამარისა და იური ბოგოლიუბსკის ქორწინების აქტიური მომხრეა.



წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის კათოლიკური ტაძარი მალაია გრუზინსკაიაზე

**საქართველოს მონარქთა დამოყვრების ინიციატივა იზიასლავს ეკუთვნოდა: საქართველოს სახით რუსეთი ძლიერ, მაღალი საერთაშორისო პრესტიჟის მქონე ერთმორწმუნე პარტნიორს იძენდა.** რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ბიზანტიის პატრიარქისგან მიტროპოლიტის დამტკიცებას ვერ მიაღწია, საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესია კი საიმედო დასაყრდენი უნდა ყოფილიყო რუსეთისთვის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

მოგვიანებით (1185 წელს), საქართველოს სამეფო დარბაზის გადაწყვეტილებით, შედგა თამარ მეფის ქორწინება ნოვგოროდის მთავარ იური ანდრიას ძე ბოგოლიუბსკისთან (გიორგი რუსთან). ეს მოვლენა მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდებოდა: ფორმალურად სავსებით მისაღები ერთმორწმუნე რუსი უფლისწული იმხანად საკმაოდ ფეხმოდგმულ თამარის მოწინააღმდეგე დიდგვაროვან ფეოდალებს თავიანთი ინტერესების განსახორციელებლად ესაჭიროებოდათ; თავის მხრივ, იური ბოგოლიუბსკი სამშობლოში დასაბრუნებლად დამხმარე ძალას ეძებდა იმ დიდებულებში, რომლებმაც იგი მეფე-ქმრად დასვეს საქართველოში.

XIII-XIV საუკუნეებში ცნობები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა შესახებ მონღოლთა ლაშქრობებს უკავშირდება.

რუსულ მატიანეში საქართველო უმეტესწილად XIV საუკუნის კონტექსტებში ჩნდება. ამავე საუკუნეში ტრადიციულ ტერმინ „ობეზის“ გვერდით ჩნდება საქართველოს ახალი, აღმოსავლური ენებიდან მომდინარე სახელწოდება „გურზისტანი“ და „გურზი“, რომელიც შემდგომში „ობეზის“ ადგილს იკავებს რუსულ წერილობით ძეგლებში.

ცოცხალ კულტურულ კავშირებზე მიუთითებს რუსული მატიანის ნიკონისეულ ნუსხაში 1389 წლით დათარიღებული საგულისხმო ჩანაწერი, რომლის თანახმად, „ქართული კულტურული კერების მნახველი განათლებული რუსი XIV საუკუნის დასასრულს იერუსალიმიდან სამშობლოში ბრუნდებოდა და მატიანის საშუალებით ქართველების კუთვნილი ტაძრების შესახებ რუსეთის მოწინავე წრეებს ცნობას აწვდიდა“. მკვლევარის შეფასებით, „ეს ქართველებისა და რუსების ურთიერთგაცნობის მნიშვნელოვანი ფაქტია ამ დროისთვის“.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XV საუკუნეში სრულიად შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში განახლდა. მონღოლთა ბატონობის პერიოდში საფუძველშერყეული საქართველოს ფეოდალური მონარქია დაეცა და XV საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი სახელმწიფო საბოლოოდ დაიშალა ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და ერთმანეთთან დაპირისპირებულ სამთავრო ებად და სათავადოებად. რღვევის გზაზე დამდგარი ქვეყანა ახლადჩამოყალიბებულ ოსმალთა იმპერიისა და ირანის სახელმწიფოს აგრესიის წინაშე აღმოჩნდა. ამავე პერიოდში რუსეთის სამთავროები მოსკოვის დიდი სამთავროს ირგვლივ გაერთიანდნენ და ივანე III-ის თაოსნობით საბოლოოდ დაამარცხეს მონღოლები.

**გაძლიერებულ რუსეთთან დაახლოება შეიძლება ერთადერთი იმედის მომცემი საშუალება იყო ქრისტიანულ სამყაროს მოწყვეტილი და მაჰმადიანურ გარემოცვაში მომწყვდეული, დანაწევრებული საქართველოს გადასარჩენად. პირველი ნაბიჯი მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიზნით კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა გადადგა. 1483 წელს და 1491 წელს მან მოსკოვის დიდი მთავრის ივანე III-ის კარზე ელჩები გაგზავნა, რითაც საფუძველი ჩაუყარა საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის ახალ მნიშვნელოვან ეტაპს.**

XV-XVI საუკუნეებში ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა, ფაქტობრივად, მოსკოვ-კახეთის ურთიერთობით შემოიფარგლებოდა. კახეთის მეფეთაგან პირველად ლევანი იყო რუსეთის მფარველობაში მიღებული ივანე IV-ის (მრისხანის) დროს, თუმცა ფიცის წიგნი შემონახული არ არის. კახეთის მეფემ, რუსეთისგან დახმარების მიღების მიზნით, 1563 წელს ელჩები გაგზავნა მოსკოვში ივანე IV-სთან, რის შედეგად კახეთში ციხეების დასაცავად რუსთა რაზმი ჩამოვიდა.

იმ ხანად შექმნილმა რთულმა საერთაშორისო ვითარებამ გამოიწვია 50-60-იან წლებში განახლებული პოლიტიკური ურთიერთობის შეწყვეტა და მხოლოდ 1585 წელს რუსეთის მეფე თედორეს ელჩის — დანილოვის ხელით ალექსანდრე II-ს (ლევან მეფის ▶

**XVII საუკუნის ბოლოს ქართული ახალშენის შექმნა რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა და მიზნად საქართველოსთან კავშირის განმტკიცებას ისახავდა. ამიტომ რუსეთში ფეხის მოსაკიდებლად ქართველებს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ და ფინანსურ დახმარებასთან ერთად უძრავი ქონებითაც უზრუნველყოფდნენ.**
**პეტრე I-ის ბრძანებით, ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილებს საკუთრებაში გადაეცათ ვ. გოლიცინის ყოფილი საზამთრო სასახლე ეკლესიით. მალე ქართველებმა სააგარაკოდ მიიღეს სასახლე სოფელ ვსესვიატსკოეში კარის საყდრით.**

ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ძეს) პოლიტიკური კავშირი და მფარველობა შესთავაზეს, რაც საბოლოოდ „ფიცის წიგნითა“ და „წყალობის სიგელით“ გაფორმდა 1587 წელს.

**XVII ს-ის დასაწყისში „გაყიზილბაშების“ საფრთხის წინაშე აღმოჩენილი კახეთი ქეთევან დედოფლის მეთაურობით აჯანყებისთვის სამზადისს შეუდგა და დახმარების სათხოვნელად რუსეთში ბაგრატ იესეს ძე, ალექსანდრეს ძმის შვილი, გაგზავნა.**

ამრიგად, 1587 წლიდან კახეთის მეფე იურიდიულად რუსეთის მეფის ქვეშევრდომობას იღებდა.

მაგრამ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ამიერკავკასიის საკითხი თითქმის მთელი XVII საუკუნის მანძილზე აქტუალური არ იყო, რადგან რუსეთის მთავარ საზრუნავს ჩრდილოეთისა და დასავლეთის საზღვრების მოწესრიგება შეადგენდა. ამასვე მოითხოვდა იმხანად ირანთან სავაჭრო ურთიერთობის შენარჩუნებისა და თურქეთის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკა.

ამიტომ ვერ გამოიღო შედეგი შაჰ-აბას I-ის შემოსევების დროს რუსეთის ორიენტაციის მომხრე კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის მიერ მოსკოვში დახმარების სათხოვნელად გაგზავნილმა არაერთმა ელჩობამ (1615, 1618, 1624, 1635, 1649). სამხედრო დახმარებას კი თეიმურაზმა 1658 წელს მოსკოვში პირადად ჩასვლითაც კი ვერ მიაღწია.

თეიმურაზ I პირველი ქართველი მეფე იყო, რუსეთში ელჩების თანხლებით რომ ჩავიდა; ხოლო მის მიერ 1653 წელს მოსკოვს წარგზავნილი შვილიშვილი ერეკლე (ერეკლე I, რუსეთის სამეფო კარზე ნიკოლოზის სახელით ცნობილი) — პირველი ქართველი უფლისწული, რომელიც რუსეთში ჯერ 1660 წლამდე, მოგვიანებით კი კახეთში გამეფების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, 1665-1677 წლებში ცხოვრობდა და ზოგიერთი მკვლევარის მიერ მოსკოვის ქართული კოლონიის დამაარსებლადაა მიჩნეული. ერეკლე ბაგრატიონი მონაწილეობდა რუსეთის სახელმწიფო კარის ზეიმებში, ხელმწიფის ქალაქგარეთ გასვლებში და, ასევე, ესწრებოდა სამხედრო წვრთნებს.

მოსკოვში პირველი ქართული ახალშენის ჩამოყალიბება მეფე არჩილ II-ს უკავშირდება და XVII საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში პეტრე I-ის ხელშეწყობით ხორციელდება.

იმერეთში გამეფების ოთხგზის უშედეგო მცდელობის შემდეგ არჩილ მეფე 1699—1700 წლებში რუსეთში ოჯახით საბოლოოდ დასახლდა, ფაქტობრივად, ჩამოსცილდა პოლიტიკურ ცხოვრებას და ფართო კულტურულ საქმიანობას შეუდგა.




ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩა (ხედები)



მოსკოვის ზოოპარკის მთავარი შესასვლელი ბოლშაია გრუზინსკაიასა და კრასნაია პრესნიას კუთხეში

**XVII ს.-ის ბოლოს ქართული ახალშენის შექმნა რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა და მიზნად საქართველოსთან კავშირის განმტკიცებას ისახავდა. ამიტომ რუსეთში ფეხის მოსაკიდებლად ქართველებს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ და ფინანსურ დახმარებასთან ერთად უძრავი ქონებითაც უზრუნველყოფდნენ**

**XVII საუკუნის ბოლოს ქართული ახალშენის შექმნა რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა და მიზნად საქართველოსთან კავშირის განმტკიცებას ისახავდა. ამიტომ რუსეთში ფეხის მოსაკიდებლად ქართველებს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ და ფინანსურ დახმარებასთან ერთად უძრავი ქონებითაც უზრუნველყოფდნენ.**

პეტრე I-ის ბრძანებით, ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილებს საკუთრებაში გადაეცათ ვ. გოლიცინის ყოფილი საზამთრო სასახლე ეკლესიით. მალე ქართველებმა სააგარაკოდ მიიღეს სასახლე სოფელ ვსესვიატსკოეში კარის საყდრით.

არჩილ მეფის ირგვლივ გაერთიანებულმა ქართულმა ახალშენმა შუამავლის როლი შეასრულა XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ჩამოყალიბებაში. ამ კავშირის საფუძველზე გაემგზავრა რუსეთში ვახტანგ VI დიდი ამალით 1724 წელს, მას შემდეგ, რაც პეტრე I-სა და ვახტანგ VI-ს შორის დამყარებული სამხედრო-პოლიტიკური კავშირით ირანის წინააღმდეგ გათვალისწინებული ერთობლივი ლაშქრობა ჩაიშალა და აღმოსავლეთ საქართველოს ოსმალები დაეპატრონენ.

მოსკოვში ქართველთა ახალი ნაკადის ჩასვლის შემდეგ, 1729 წელს ვახტანგ VI-მ მიიღო სასახლე ბაღით და მამულით პრესნიაზე, რომელიც თანდათან მჭიდროდ დასახლდა და უბანს მალე **„გრუზინი“** ეწოდა. მოგვიანებით აქ წმ. გიორგის საყდარი აშენდა. ეს და სხვა ისტორიული ძეგლები დღესაც ორგანულად ერწყმის თანამედროვე მოსკოვის იერსახეს.

***

**ბოლშაია გრუზინსკაიას** ქუჩა მოსკოვის ცენტრში მდებარეობს, მისი სიგრძე 1.75 კილომეტრია. ქუჩის დასაწყისში მდებარეობს მეტროსადგური „ბარიკადნაია“, აქვეა მოსკოვის ზოოპარკიც.

XIX საუკუნის დასაწყისში ქუჩის ნაწილი გრუზინსკაიას მოედნამდე იწოდებოდა სანაპირო ქუჩად, რამეთუ იგი მიუყვებოდა მდინარე პრესნიას სანაპიროს. 1918-24 წლებში ქუჩას კომუნისტიჩესკაია დაარქვეს, მოგვიანებით ძველი სახელი დაუბრუნეს; ისტორიული ცნობების მიხედვით, 1749 წელს პრესნიაზე 50 ქართული სახლი იყო, მათი მკვიდრნი არც ერთი ეკლესიის მრევლს არ წარმოადგენდნენ. ქართველი მღვდლები სახლებში ეწეოდნენ ღვთისმსახურებას.

* * *

**40-იანი წლების ბოლოს ქართველმა უფლისწულმა გიორგიმ (ვახტანგის ძემ) ააგო ხის ეკლესია, რომელიც აკურთხა 1750 წელს ქართველმა არქიეპისკოპოსმა იოსებ სამებელმა, ვიდრე ყიზლარში გაემგზავრებოდა (ამ ღირსეული ადამიანის შესახებ ქვემოთ გიამბობთ). ეკლესიაში მღვდლად მსახურობდა დიმიტრი ივანოვი. 1779 წელს ეკლესია ხანძრის შედეგად დაიწვა. მხოლოდ საეკლესიო შესამოსლისა და ჭურჭლის საცავი გადარჩა და იგი პოკროვის ეკლესიაში გადაიტანეს. ამდენად, ქართული სათვისტომო დარჩა ეკლესიის გარეშე. ხანძრიდან 9 წლის შემდეგ — 1788 წელს მიტროპოლიტ პლატონს ქართველებმა ახალი ეკლესიის აშენება და იქ ქართველი მღვდლის დანიშვნა თხოვეს. მშენებლობის უფლება მიეცათ, მაგრამ მღვდელზე არაფერს ამბობდნენ. ეკლესია ნელი ტემპით შენდებოდა, ამიტომ ქართველებს უწყალობეს გაუქმებული ლეონტიევის ეკლესია ტვერის ქუჩაზე სამრეკლოთი და ყველა საჭირო ატრიბუტით. 1793 წელს ეკლესიის ნაწილი აღდგომის წინა დღეებში აკურთხეს.**

თავის დროზე ამ ეკლესიასთან ახლოს მდებარეობდა ვახტანგ VI-ის სასახლე (ამჟამად მის ადგილას გერმანიის საელჩოა). ღვთისმსახურება ეკლესიაში ქართულ ენაზე წარმოებდა.

1807 წელს თავადი ციციანოვები (ციციშვილები) რთავენ ეკლესიის ეკვდერს წითელი ხით. მათ ეკლესიას საკმაოდ ძვირფასი რელიქვიები შესწირეს: ჯვარი, ევანგელე, საღვთისმეტყველო წიგნები, საეკლესიო ჭურჭელი, კიდობანი და სხვ. ეკლესია საკმაოდ მდიდარი იყო, მასში ინახებოდა მართლმადიდებლური ქართული რელიქვიები (მათ შორის, წმ. ნინოს ჯვარი), ასევე მდიდარი ბიბლიოთეკა უძველესი წიგნებით ძველ სლავურ და ქართულ ენებზე.

XIX საუკუნის დასაწყისის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის პავლე დიმიტრის ძე ციციანოვის უმცროსი ძმა — მიხეილი ეკლესიის ქტიტორი იყო 25 წლის მანძილზე. 1870 წელს სამრეკლოს სიმაღლე მოუმატეს, ასევე გაადიდეს მინაშენები. 1897 წელს ძველ ეკლესიას, რომელსაც უკვე აღარ შეეძლო მრევლის დატევა (რადგან ამ რაიონში მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა), აშენდა ახალი შენობა არქიტექტორ სვეტენსკის პროექტით.

1920-იანი წლის ბოლომდე ეკლესია მოქმედი იყო. 1930 წელს კომუნისტებმა იგი დახურეს, შენობა კი გადააკეთეს: სამრეკლო დაშალეს, ბიბლიოთეკა, როგორც ჩანს, გაიტანეს. სწორედ ამ დროიდან განთავსდა ეკლესიაში კრასინის სახელობის ელექტროტექნიკუმი.

1993 წელს ტაძრის უძველესი ნაწილი ეკლესიას დაუბრუნდა, ახალში კი დღესაც ტექნიკუმი ფუნქციონირებს. რუსულ-ქართული საზოგადოება „ძალისას“ მეცადინეობით, ტაძარი ეკლესიას დაუბრუნდა და რესტავრაცია ჩაუტარდა. ამჟამად აქ ღვთისმსახურება ქართულ და რუსულ ენებზე მიმდინარეობს, მოქმედებს საკვირაო სკოლა ბავშვებისა და უფროსებისათვის, არის ბიბლიოთეკა.

მოამზადა
**დარეჯან ანდრიაძემ**
ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“



გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული
მემკვიდრეობა»
ოცდამესამე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მშრალი უდაბნო

**ითვლება, რომ ყველაზე მშრალი ადგილი დედამიწაზე საჰარაშია, მაგრამ ეს მოსაზრება მცდარია.** მეცნიერების დასკვნით, დედამიწაზე ყველაზე მშრალი ადგილი ანტარქტიდაშია. მას მშრალი უდაბნოები უწოდეს. ისინი მთლიანად თავისუფალა თოვლისა და ყინულისგან, ხოლო წვიმა არასდროს მოდის. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს ადგილი ბუნებრივი პირობებით მარსს წააგავს.

# ყველაზე უცნაური გზები

**როგორც ცნობილია, A პუნქტიდან B პუნქტამდე ყველაზე ახლო მანძილი მათი სწორი შეერთებაა, მაგრამ გზები ამ პრინციპით იშვიათად თუ იგება. მსოფლიოს ყველა კუთხის ინჟინრები ცდილობენ, ასფალტის დასაგებად ეფექტური გამოსავალი მონახონ. მაგალითად, მთებს ან გარშემო უვლიან, ან გვირაბებს აკეთებენ მასში, მდინარეებზე ხიდებს ჭიმავენ და ხანდახან კი ნამდვილად გასაოცარ, თითქმის არარეალურ პროექტებსაც კი ქმნიან.**



## Trollstigen

**ეს ულელტეხილი ნორვეგიის ჩრდილო-დასავლეთში გადის და 1936 წელს გაიხსნა 8-წლიანი სამუშაოების დასრულების შედეგად.** ეს გზა ნორვეგიაში ტურისტების მიერ დათვალიერების მხრივ მეოთხე ადგილზეა. გზის შუაში გვხვდება ჩანჩქერზე გადაჭიმული პატარა ხიდი, რომლის სიმაღლე 180 მეტრია. გზა იღება მაისის ბოლოს ან, რთული ზამთრის შემთხვევაში, ივნისიდან.



## Capulin Volcano Road

**ეს დახვეული გზა მიგვიყვანს ვულკან ჩაპულინ-ის კრატერამდე, რომელმაც 60 000 წლის წინათ ამოხეთქა.** გზა ისეთი ვიწროა, რომ მასზე მანქანები გვერდს ვერ უქცევენ ერთმანეთს, სწორედ ამიტომ მოძრაობა გეგმიურად ცამხრივია. კრატერში სასეირნოდ კი სპეციალური ბილიკებია მოწყობილი, რადგან ეს ვულკანი, უკვე დიდი ხანია, უმოქმედოა.



## Hana Highway

**ჰავაიში Hana Highway გადის კუნძულის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში და მასზე მოგზაურებს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ სანახაობას სთავაზობს.** გზა მთლიანად ზღვის ნაპირს მიუყვება და 600 მოსახვევსა და 54 ხიდს ითვლის. მისი სიგრძე 80 კილომეტრამდეა. როგორც იუწებიან, გზის დასაფარად 4 საათამდე დროა საჭირო. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ გზაზე ხშირად შეიძლება შეგხვდეთ ძალიან ნელა მოძრავი ტრანსპორტი, რომელთა გასწრებაც გზის უმეტეს მონაკვეთზე შეუძლებელია.



## Guoliang Tunnel

**ეს თავბრუდამხვევი გვირაბი ერთადერთი გზაა ჩინეთის პროვინცია ხუნტაიში მოსახვედრად. გზა 1970 წელს ხელით გამოკვეთეს კლდეში.** ეს უფრო სკულპტურაა, ვიდრე მოძრაობის საშუალება. გადის ტაიხანშანსკის კლდეში და დახუნძლულია „ფანჯრებით“, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა, საშიში მაგრამ ულამაზესი სანახაობით დატკბეთ.



## Yungas Road

**Yungas Road ბოლივიის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი გზაა. მისი სიმაღლე 1200 მეტრიდან 4500 მეტრამდეა მთელ რიგ ადგილებში, მაშინ, როცა მისი სიგანე უმეტეს ადგილას სულ რაღაც 3 მეტრია.**

მთელი გზის მანძილზე ასევე არ უნდა ელოდოთ არც ერთ დამცავ ჯებირს. ამის გამო ავტომანქანები თითქმის ყოველდღიურად ვარდებიან გზიდან. იგეგმება გზის გაფართოება და კეთილმოწყობა, მაგრამ ჯერჯერობით პროექტი ინვესტორებს ელოდება.



## Atlanterhavsveien

**Atlanterhavsveien უფრო ცნობილია როგორც ატლანტიკური გზა და წარმოადგენს 9-კილომეტრიან მონაკვეთს ნორვეგიის დასავლეთ ნაპირზე.** ის 1989 წელს გაიხსნა. გზა შედგება 8 მცირე ხიდისაგან, რომლებიც კვეთენ 8 სხვადასხვა ზომის კუნძულისგან შემდგარ არქიპელაგს. ამობურცული ხიდები სპეციალური ტექნოლოგიითაა აშენებული და გაუძლებს ნებისმიერ უამინდობას. ამ გზის მშენებლობაზე მომუშავეებს 10-ჯერ მოუწიათ ტორნადოს გადატანა, რაც ამ რეგიონში ჩვეულებრივი მოვლენაა.



## Passo dello Stelvio

**ეს მთიანი ულელტეხილი იტალიის ალპებში მდებარეობს — ზღვის დონიდან 950 მეტრზე იწყება და 2760 მეტრამდე ადის.** პირველად გზა 1820 წელს ავსტრიის იმპერიამ ააშენა, რათა ლომბარდიის პროვინცია დანარჩენ ავსტრიასთან შეეერთებინა. მასზე სიარულისას 48 თავბრუდამხვევი მოსახვევი შეგხვდებათ. სწორედ ამ გზაზე ტარდება Giro dItalia-ს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეტაპი. ზამთარში აქ ვერავინ გაივლის, რადგანაც უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ამ გზას, უბრალოდ, კეტავენ.

# ყველაზე... ყველაზე...

**რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, აქ ჩამოთვლილ ყოველ ფაქტს მეცნიერები ადასტურებენ, რაც, ბუნებრივია, დღეისათვის დამკვიდრებულ უამრავ მოსაზრებას უარყოფს!**



### წყალი

**ცნობილია, რომ წყალს აქვს 3 აგრეგატული მდგომარეობა, თუმცა ამ იდეას უარყოფს მეცნიერებათა ნაწილი და ამტკიცებს, რომ მათი რაოდენობა 5-ჯერ მეტია და 15-ს შეადგენს.**



### სინათლე

რა სიჩქარით მოძრაობს სინათლე? ცნობილია, რომ ის 300 ათასი კმ/წმ-ში სიჩქარით ვრცელდება, თუმცა ეს მაჩვენებელი შეესაბამება მის სიჩქარეს ვაკუუმში. თუ გამოვთვლით მის სიჩქარეს -272 გრადუს ცელსიუსზე, ნატრიუმის გავლით, დავასკვნით, რომ ასეთ პირობებში სინათლის სიჩქარე დაახლოვებით 60კმ/სთ-ს უნდა შეადგენდეს.

### მთვარე

რამდენი მთვარე „ჰყავს“ დედამიწას? რაც არ უნდა თამამ განცხადებად მოგეჩვენოთ, — 7. ერთ-ერთი მათგანი ჩვენთვის კარგად ნაცნობი მთვარეა, დანარჩენი ექვსი კი დედამიწის თანმდევ ასტეროიდებს წარმოადგენს, მაგრამ მათი დანახვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია.





### მაუნა-კეა

**ყველაზე მაღალი მთა დედამიწაზე მაუნა-კეაა.** მიუხედავად იმისა, რომ მისი სიმაღლე ზღვის დონიდან მხოლოდ 4206 მეტრია, თუ მის სიმაღლეს ავითვლით ფუძიდან, რომელიც ზღვის სიღრმეში იწყება, გამოდის, რომ სიმაღლე 10 200 მეტრს აღწევს. ეს დაახლოვებით 1,2 კილომეტრით მაღალია ევერესტზე.



ცუმ უმ ნუიმ გაშიფრული ტექსტების გამოქვეყნების უფლება მიიღო, მაგრამ პროფესორის ნაშრომი სათაურით „12 000 წლის წინ არსებული ხომალდის ისტორია" მკაცრი კრიტიკისა და დაცინვის საგანი გახდა. განაწყენებული მკვლევარი საცხოვრებლად გადავიდა იაპონიაში, სადაც მალე გარდაიცვალა, ხოლო სენსაციური აღმოჩენა „კულტურული რევოლუციის" ქაოსში ჩინეთის სხვადასხვა საცავსა და მუზეუმში გაიფანტა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დროპას იდუმალი ტომი

**1937-38 წლების მიჯნაზე ჩინეთისა და ტიბეტის საზღვართან მდებარე ბაიან-ყარა-ულას მთების მიუვალ რაიონში ექსპედიციამ, რომელსაც პეკინის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი ჩი პუ ტეი ხელმძღვანელობდა, ერთ-ერთ კლდეში ციცქნა მღვიმეები აღმოაჩინა. ისინი უზარმაზარ სკას მოგაგონებდა. მღვიმეებში 130 სანტიმეტრამდე სიმაღლის ჩონჩხები აღმოჩნდა, არაპროპორციულად დიდი თავებითა და წვრილი კიდურებით. მათი გულმოდგინე კვლევის შედეგად მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ გარემომცველი კლდეები უძველესი სასაფლაოა, ხოლო პატარა მღვიმეები – 716 გარდაცვლილი უცხოპლანეტელის უკანასკნელი თავშესაფარი.**



მღვიმეებში ასევე აღმოჩნდა მზის, მთვარის, დედამიწისა და თანამედროვე ასტრონომებისთვის დღემდე უცნობი პლანეტის ნახატები. უცნობი პლანეტიდან გამომავალი მუხუდოს მარცვლის ზომის წერტილებისგან შემდგარი ჯაჭვი გარს უვლიდა მზეს და დედამიწას ებჯინებოდა.

**გარდა ამისა, იქვე აღმოაჩინეს 30 სანტიმეტრის დიამეტრისა და 8 მილიმეტრის სისქის უცნაური კერამიკული დისკები. ცენტრში ყოველ მათგანს ნახვრეტი ჰქონდა. დისკის ცენტრიდან კიდეებისკენ მიემართებოდა წვრილი, გაუგებარი ნიშნებისგან შემდგარი სპირალი.**

60-იანი წლების დასაწყისში ჩინელმა ცუმ უმ ნუიმ ნაწილობრივ გაშიფრა წარწერები დისკებზე, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმის დასამტკიცებლად, რომ ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინ, უცხოპლანეტელ არსებათა ჯგუფი, რომელიც თავის თავს „დროპას" უწოდებდა, იძულებით დაეშვა ბაიან-ყარა-ულას რაიონში და აფრენა ვეღარ შეძლო. ამ მეტად მკაცრ მხარეში ჩარჩენილები გადარჩენისთვის იბრძოდნენ, მაგრამ, საბოლოოდ ყველა დაიღუპა.



**ცუმ უმ ნუიმ გაშიფრული ტექსტების გამოქვეყნების უფლება მიიღო, მაგრამ პროფესორის ნაშრომი სათაურით „12 000 წლის წინ არსებული ხომალდის ისტორია" მკაცრი კრიტიკისა და დაცინვის საგანი გახდა. განაწყენებული მკვლევარი საცხოვრებლად გადავიდა იაპონიაში, სადაც მალე გარდაიცვალა, ხოლო სენსაციური აღმოჩენა „კულტურული რევოლუციის" ქაოსში ჩინეთის სხვადასხვა საცავსა და მუზეუმში გაიფანტა.**

დღეისათვის გერმანელი არქეოლოგის — ვალტერ ფონ მოლტკეს წყალობით, დისკების წარწერათა თარგმანი დავიწყებას გადაურჩა. რამდენიმე წლის წინ კი მან ჩინეთში მორიგი ექსპედიცია მოაწყო.

**1962 წელს გაკეთებული თარგმანი მოგვითხრობს დროპას ტომის — იმ ეთნიკური უმცირესობის ისტორიას, რომელიც 1947 წლისათვის თითქმის მთლიანად გაქრა. იდუმალმა წარწერებმა გვაუწყა, რომ დროპას მშობლიური პლანეტა სირიუსის მახლობლად მდებარეობს.** მათმა წინამორბედებმა დედამიწაზე ორი ექსპედიცია განახორციელეს დაახლოებით 20 000 წლის წინ და 1014 წელს. უკანასკნელი მისიის დროს ხომალდი დაიმტვრა და გადარჩენილებმა ვერ შეძლეს ჩვენი პლანეტის დატოვება. ასე წარმოიშვა დროპას ტომი.

**ხანგრძლივი ძიების შემდეგ მოლტკემ მიაკვლია ჩინეთის სხვადასხვა მუზეუმში გაფანტულ უცხოპლანეტელთა ჩონჩხებს. მოლტკე ვარაუდობს, რომ 716-დან 12 ჩონჩხი პირველ კოსმოსურ კოლონისტებს ეკუთვნოდათ, ისინი დანარჩენებისგან უფრო მცირე ზომით, თავის ქალებისა და თვალის ბუდეების სიდიდით გამოირჩეოდნენ.** ერთ-ერთ მათგანს ფეხზე ქირურგიული ოპერაციის აშკარა კვალი ემჩნეოდა, რაც, სავარაუდოდ, ლაზერით იყო გაკეთებული....

**დღეისთვის დროპას იდუმალი ტომი არ შემორჩენილა, თუმცა სავსებით შესაძლებელია, მისი უკანასკნელი წარმომადგენლები ჯერ კიდევ ბინადრობდნენ ჩინეთის ძნელადმისადგომ მთიან რაიონებში.**

რამდენიმე წლის წინ ჩინეთის სხვა მაღალმთიან მხარეში, ბასუდან-ულას მთის ფერდობზე მონადირეებმა ყინულში უცხოპლანეტელის კარგად შენახული გვამი აღმოაჩიეს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მისი ასაკი დაახლოებით 5 000 წელს შეადგენს.

ამერიკის ილინოისის შტატის უნივერსიტეტში ცხედარი გულდასმით გამოიკვლიეს. სპეციალისტთა მტკიცებით, გვამის თითქმის ყველა ორგანო... ხელოვნური წარმოშობისაა, ხოლო მასალები, რომლითაც ისინია დამზადებული, უცნობია თანამედროვე მეცნიერებისათვის.

მეცნიერები, რომლებმაც „ჩინური მუმია" გამოიკვლიეს, ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ლაპარაკია არა ხელოვნურ ნაყალბევზე, არამედ კოსმოსურ სტუმარზე.











# ყველაზე შოკისმომგვრელი ანდერძები

### ჯონ ბოუმენი

**ამ ადამიანს მეტად უცნაური აზრები აწუხებდა, თუმცა თვითონ აბსოლუტურად დარწმუნებული იყო საკუთარ სიმართლეში.** ჯონს ცოლი და ორი ქალიშვილი გარდაეცვალა. მიუხედავად ასეთი ტრაგედიისა, იმედი არ დაკარგა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მთელი ოჯახი რეინკარნაციას განიცდიდა და ახლიდან მოევლინებოდა ქვეყანას. ამიტომაც ჯონმა დატოვა უცნაური ანდერძი, რომლის მიხედვითაც მთელი ფული — 50 ათასი დოლარი — რჩებოდა მის სახლშივე მომსახურე პერსონალს, რომელსაც ჩვეულებრივ, ცვლილებების გარეშე, უნდა გაეგრძელებინა ცხოვრება, გაეკეთებინა სადილი და გაეწყო მაგიდა ოჯახისთვის. თუმცა ოჯახი რეალურად არ არსებობდა, მაგრამ, ჯონის აზრით, ისინი ხომ რეინკარნაციის შემდგომ აქ დაბრუნდებოდნენ. ანდერძი შესრულდა, პერსონალი სახლს პატიოსნად ემსახურებოდა 1950 წლამდე, ვიდრე ჯონის დატოვებული ფული არ გამოილია.

### ლეონა ჰალმსლი

**სასტუმროების მფლობელი მილიონერი, საკმაოდ ჭკვიანი ქალბატონი, რომელიც მუდამ ექსცენტრიულ გადაწყვეტილებას იღებდა, არც ანდერძის შედგენისას დარჩენილა ამ წესის მიმართ გულგრილი.** მისი ანდერძის მიმართ საზოგადოებას სხვადასხვა დამოკიდებულება გაუჩნდა — ზოგი ამბობდა, რომ სიბერეში გამოჩერჩეტდა, ზოგი კი ირწმუნებოდა, რომ მისი კანონიერი მემკვიდრეები ზუსტადაც რომ იმსახურებდნენ მშრალზე დარჩენას.

ლეონამ, არც მეტი, არც ნაკლები, 12 მილიონი დოლარი თავის პატარა თეთრ ცუგას უანდერძა, იმისთვის, რომ მისთვის დარჩენილი წლების ფუფუნებაში გატარება უზრუნველეყო. ლეონამ ძმასაც გადახედა მოწყალე თვალით და მილიონი უბოძა, თუმცა, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ სწორედ მას ხედავდა ძაღლის მომვლელის როლში. რაც შეეხება შვილიშვილებს, ქალბატონს 4 შვილიშვილი ჰყავდა, ფული კი ორ მათგანს ერგო — თითოს 10 მილიონის ოდენობით და იმ პირობით, რომ, თუკი ეს ორი შვილიშვილი მამის საფლავს წელიწადში ერთხელ მაინც არ მოინახულებდა, დატოვებული ქონების ნახევარი ჩამოეჭრებოდათ. რაც შეეხება მშრალზე დატოვებულ დანარჩენ ორ შვილიშვილს, ანდერძში ეწერა, რომ მდიდარი ბებია მათ არაფერს უტოვებდა და, როგორც იქვე აღნიშნავდა, „კარგად იციან რატომაც".

ლეონამ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ, როცა მისი ძაღლი მოკვდებოდა, აუცილებლად უნდა დაეკრძალათ მავზოლეუმში, სადაც მისი ქმარი და თავადაც იქნებოდნენ დასვენებულნი. ძაღლი 2010 წლის დეკემბერში, 12 წლის ასაკში, გარდაიცვალა.

### ზინკი

**ერთი ქალთმოძულე ადვოკატი ზინკი 1930 წელს გარდაიცვალა, მაგრამ სიკვდილმაც ვერ დააშორა თავის საყვარელ გასართობთან. ზინკს ძალიან უყვარდა ქალების დევნა. თუ რაში მდგომარეობს დევნა, ეს მის ანდერძში წერია.**

„ქალების მიმართ ჩემი მომეტებული სიძულვილი სულაც არაა განპირობებული მათი წარმოშობით ან განვითარების დონით, ასევე არ ეფუძნება მათსა და ჩემს შორის რაიმე ფიზიკურ განსხვავებებს. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გამოცდილების ბრალია, იმ გამოცდილების, რომელიც ქალებთან ურთიერთობაში დავაგროვე, ასევე ჩემი დაკვირვების, ჩემი სწავლის, ათასობით ნაშრომისა თუ ფილოსოფიური წერილების".

რით შეიძლებოდა დაესაჯა ამ კაცს ქალები? მან მოინდომა, რომ სიცოცხლის მანძილზე დაზოგილი 35 ათასი დოლარი მისი გარდაცვალების შემდეგ შეეტანათ ბანკში და 75 წლის შემდგომ, როდესაც თანხის რაოდენობა საკმაოდ გაიზრდებოდა, აეშენებინათ ზინკის უქალო ბიბლიოთეკა. სახელწოდება მართლაც უხეშად ჟღერდა და ასეთივე უხეშ წესებს უნდა ემოქმედა ამ დაწესებულებაში. პირველ რიგში, შესასვლელშივე იქნებოდა მოზრდილი აბრა წარწერით: ქალები არ დაიშვებიან! შესაბამისად, ბიბლიოთეკით სარგებლობა არც ერთი ქალისთვის არ იქნებოდა ხელმისაწვდომი. ზინკი მხოლოდ ამ წესით არ დაკმაყოფილდა, ბიბლიოთეკაში არავითარ შემთხვევაში არ მოხვდებოდა წიგნები, წერილები, ნაშრომები, ჟურნალები, გაზეთები ქალების ავტორობით!

ჰყავდა თუ არა ამ კაცს ოჯახი? დიახ, ჰყავდა ცოლიც და ქალიშვილიც. მზრუნველმა მამამ გოგონას თავისი ქონებიდან 5 დოლარი დაუტოვა, თუმცა არც გოგონა დარჩა ვალში — მამის ყოვლად გაუგონარი იდეა გაასაჩივრა, სასამართლოც მას მიემხრო და საბოლოოდ ზინკის ოცნება აუსრულებელი დარჩა.



**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი**

# ზეინეფ უჩბაშარანს მოცარტის კონცერტით გავიცნობთ

**5 ნოემბერს, 19 საათზე კონსერვატორიის დიდ დარბაზში ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის მუსიკის კონცერტი გაიმართება. თქვენ წინაშე წარსდგებიან ცნობილი მუსიკოსები — თურქი პიანისტი ზეინეფ უჩბაშარანი და ქართველი დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრს წარუძღვება. მსმენელები მოისმენენ უვერტიურებს მოცარტის ოპერებიდან „დონ ჟოვანი“, „ფიგაროს ქორწინება“, „ჯადოსნური ფლეიტა“, ასევე — მეოცე საფორტეპიანო კონცერტს.**

**კონცერტი იმართება საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს ორგანიზებით. კონცერტის სპონსორები არიან კომპანიები „ეფესი“, „ჯეოსელი“ და ასევე, ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია.**

**ორიგინალური პროგრამა და კონცერტში მონაწილე მუსიკოსების მაღალი საშემსრულებლო დონე ნამდვილად ქმნის 5 ნოემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში შეკრებილი მსმენელებისთვის დაუვიწყარი სიამოვნების მინიჭების საფუძველს.**

**მოისმინეთ და ისიამოვნეთ!**

**გთავაზობთ ზეინეფ უჩბაშარანისა და ვახტანგ მაჭავარიანის შემოქმედებით ბიოგრაფიებს:**

**პიანისტმა ზეინეფ უჩბაშარანმა მუსიკის სწავლა დაიწყო 4 წლის ასაკში სტამბულის კონსერვატორიაში, რომლის შემდეგაც სწავლა განაგრძო ლისტის სახელობის მუსიკის აკადემიაში ბელა ბარტოკის მოსწავლესთან, პროფესორ კატალინ ნემესთან, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მიიღო საკონცერტო არტისტის დიპლომი. ზეინეფ უჩბაშარანმა დაამთავრა აგრეთვე ფრაიბურგის მუსიკის უმაღლეს სკოლა.** USC-მა მას მიანიჭა ხელოვნების ოსტატისა და მუსიკალური ხელოვნების დოქტორის წოდებები (MA ანდ DMA). პიანისტს გადაეცა ლისტის ამერიკული საზოგადოების ჯილდო, 1996 და 2000 წლებში მან გაიმარჯვა ლოს ანჯელესში გამართულ ლისტის სახელობის კონკურსებში. ზეინეფ უჩბაშარანი დასახელდა „2003 წლის გამორჩეულ ქალბატონად“ აშშ-ის ორგანიზაციის „ათათურქის ქალიშვილების“ მიერ. პიანისტს გამართული აქვს სოლო და კამერული კონცერტები თურქეთში, ეგვიპტეში, ესტონეთში, უნგრეთში, ლიტვაში, გერმანიაში, ინგლისში, დანიაში, შვედეთში, ნორვეგიაში, სლოვენიაში, ბრაზილიაში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**2004 წელს შედგა პიანისტის დებიუტი უიგმორ-ჰოლში. ამავე წელს მან გამოუშვა კრიტიკის მიერ დადებითად რეცენზირებული კომპაქტ-დისკები, რომლებზეც აღბეჭდილია ლისტის, შუბერტის, მოცარტის, სკარლატის, ბეთჰოვენის, აგრეთვე XX საუკუნის კომპოზიტორების — სეიგანის, ბერნსტაინის და მუჩინსკის მუსიკა.**

ახლახან ეროიკას კლასიკური ჩანაწერების სერიით გამოიცა პიანისტის კომპაქტ-დისკები, რომლებიც მოიცავს ზეინეფ უჩბაშარანის მიერ ინტერპრეტირებულ შოპენის სკერცოებსა და პოლონეზებს, მოცარტის ყველა საფორტეპიანო სონატას. ნაქსოს ინტერნეიშენელმა გამოსცა პიანისტის მიერ შესრულებული ადნან სეიგანის საფორტეპიანო მუსიკა, აგრეთვე ამავე კომპოზიტორის კონცერტი 2 ფორტეპიანოსთვის შესრულებული პიანისტ ს. გალოსთან ერთად.

ახლახან ზეინეფ უჩბაშარანმა ჩაწერა მუსიკა სამი ფორტეპიანოსათვის, რომელშიც შევიდა საიგუნის „პოემა“ (თხზ. 73), ამერიკელი, ესპანელი, ბრაზილიელი და, აგრეთვე, სხვადასხვა თურქი კომპოზიტორების ახალი ქმნილებების პირველი ჩანაწერები. ეს ნაწარმოებები საგანგებოდ სწორედ ამ უნიკალური პროექტისთვის შეიქმნა.

ზეინეფ უჩბაშარანმა 2010 წლის სტამბულის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე შეასრულა შოპენის ყველა სკერცო და პოლონეზი. 2011 წელს პიანისტი მონაწილეობდა კოსტერის ფესტივალში შვედეთში ვიოლონჩელისტ მ. რასტენთან ერთად. ამავე წლის ზაფხულში ლექციები ჩაატარა პრესხოვემის მუსიკალურ სკოლაში, აგრეთვე, მონაწილეობდა კორდოვას ფესტივალზე ესპანეთში. პიანისტს 2011-2012 წლების მუსიკალური სეზონისთვის დაგეგმილი აქვს არაერთი სოლო და კამერული მუსიკის კონცერტი ევროპასა და აშშ-ში.

**ვახტანგ მაჭავარიანი, უკვე დიპლომირებული პიანისტი, სადირიჟორო ხელოვნებას თბილისის კონსერვატორიაში ო. დიმიტრიადის, მოსკოვის კონსერვატორიაში კი გ. როჟდესტვენსკის ხელმძღვანელობით დაეუფლა. დაამთავრა ვენის სამუსიკო აკადემია კ. ოსტერრაიჰერის ხელმძღვანელობით. იმავე პერიოდში გაიარა სტაჟირება თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს დირიჟორთან, ვენის ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელთან, ლორინ მააზელთან.** ეს უკანასკნელი თავის სარეკომენდაციო წერილში წერდა: **„მას შემდეგ, რაც ვახტანგ მაჭავარიანმა უდირიჟორა ვენის ფილარმონიის ორკესტრს, შემიძლია განვაცხადო, რომ მას გააჩნია სადირიჟორო ნიჭი და იმსახურებს დიდ მხარდაჭერას”.**

ვენაში სწავლის დასრულების შემდეგ ვახტანგ მაჭავარიანი მიიწვიეს სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრის დირიჟორად.

**ვახტანგ მაჭავარიანი დირიჟორობდა სხვადასხვა სპექტაკლებს და ღონისძიებებს რუსეთის, ლატვიის, გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, დიდი ბრიტანეთის საოპერო თეატრებში.**

1990 წელს მან დააარსა და რუსეთის წამყვანი ორკესტრების მუსიკოსებით დააკომპლექტა საბჭოთა საფესტივალო ორკესტრი (მოგვიანებით მოსკოვის საფესტივალო ორკესტრი), რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორიც იყო 2000 წლამდე.

1996 წლიდან (2004 წლის ჩათვლით) ვახტანგ მაჭავარიანი გახდა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. ორკესტრთან ერთად მან გამართა კონცერტი ჰოლანდიაში — ამსტერდამის „კონცერტგებაუში” და გერმანიაში.

მისი ინიციატივით თბილისში მსმენელის წინაშე წარსდგა ბონის ფილარმონიის გუნდი, ცნობილი მევიოლინე ივრი გიტლისი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი დირიჟორი კენტ ნაგანო. მოგვიანებით ნაგანომ ასეთი წერილი მისწერა ვახტანგ მაჭავარიანს: „ძვირფასო, ვახტანგ, თქვენმა ორკესტრმა ბრწყინვალად შეასრულა მალერის №7 სიმფონია. ეს იყო სიყვარულით, აღმაფრენით და თავდადებით სავსე შესრულება, რაც იშვიათი მოვლენაა. ცხადია, რომ ეს არის თქვენი ხელმძღვანელობის და თქვენი ღრმა მუსიკალური ზეგავლენის ანარეკლი. თქვენ შესძელით განსაკუთრებული მუსიკალური ტრადიციის შექმნა საქართველოში”.

**2000 წელს ვახტანგ მაჭავარიანი რუსეთის დიდი სიმფონიური ორკესტრის - “მილენიუმის” სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა.**

**ვახტანგ მაჭავარიანი თანამშრომლობს 80-ზე მეტ ორკესტრთან, მათ შორის: ლონდონის სამეფო ფილარმონიის, მანჩესტერის, შტუტგარტის სახელმწიფო, ბელგიის ნაციონალური, გერმანიის წამყვანი ორკესტრები, საფრანგეთის ნაციონალური ორკესტრი, სანკტ-პეტერბურგისა და მოსკოვის ფილარმონიული ორკესტრები და სხვ.**

ვახტანგ მაჭავარიანს კონცერტები გამართული აქვს გაერთიანებულ სამეფოში, საფრანგეთში, ბელგიაში, ავსტრიაში იტალიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში, ჰოლანდიაში, ისრაელში, დანიაში, თურქეთში, რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში, კორეაში, სინგაპურში, ტაივანში და სხვ.

**ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით განხორციელდა ალექსი მაჭავარიანის შემდეგი ნაწარმოებების პრემიერები: „ვეფხისტყაოსანი”, სიმფონიები №3, 4, 5, 6, 7, სიმფონიური სუიტა „ჰამლეტი”, ოპერა „ჰამლეტის” პირველი მოქმედების შესრულება ნაწყვეტების სახით, ბალეტი „ჭირვეულის მორჯულება”, ოპერა “მედეას” საკონცერტო შესრულება, კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისთვის, სხვადასხვა კამერული ნაწარმოებები.**

ფირმა “მელოდიასთან” თანამშრომლობით ჩაწერილია ალექსი მაჭავარიანის რიგი თხზულებები.

ვახტანგ მაჭავარიანის სახელს უკავშირდება თბილისში მრავალი ნაწარმოების საპრემიერო დადგმა და შესრულება, მათ შორის, ვერდის „ფალსტაფი”, ვაგნერის „ტრისტანი და იზოლდა”; ბარტოკის „ლურჯწვერა ჰერცოგის სასახლე”, რიჰარდ შტრაუსის „ასე ამბობდა ზარატუსტრა”, „სიკვდილი და გასხივოსნება”, „ოთხი უკანასკნელი სიმღერა”, მალერის სიმფონიები №5 და №7 და ციკლი ვ. რიუკერტის სიტყვებზე, ბრამსის „გერმანული რეკვიემი”, ბრიტენის „ფედრა”, უოლტონის სიმფონია №2, ნეინის სიმფონიები №3 და №4, იოჰან შტრაუსის მთელი რიგი ნაწარმოებები და სხვა.

**სულ ახლახან გამოიცა სამი კომპაქტ-დისკი, რომლებზეც ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით სხვადასხვა ორკესტრების შესრულებით ჟღერს ბეთჰოვენის, ბერლიოზის, მალერის, რაველის, რახმანინოვის, სტრავინსკის, ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებები.**




pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net